K 272.015
3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფიული ცვლილა ძველებასა, შეუტანელია!

ლ. ტროცკი

ტეროროიზმი
და
კომუნიზმი

თარგმანი ფ. ლოლაძისა.

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი—1924

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პრიალეტარიელთა იყოლია ქვეყნისა, მოეგებოდეთ!

335.552
ბ 76

№ 3975

261/304

ლ. ტროცკი

ტერორიზმი
და
კომუნიზმი

თარგმანი ჯ. ლოქერაია.

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა

ტფილისი—1924

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა.

ამ წიგნის დაწერის საბაბი შეიქნა კაუცკის მეცნიერული პასკვილი ამავე სახელწოდებისა. [1]) ეს მუშაობა დავიწყე იმ დროს, როდესაც ცხარე ბრძოლას ვაწარმოებდით დენიკინთან და იუდენიჩთან და არა ერთხელ შეწყვეტილ იქნა ფრონტებზე მომხდარი ამბების გამო. იმ მძიმე დღეებში, როდესაც ამ წიგნის პირველი თავები იწერებოდა, საბჭოთა რუსეთის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო მარტო სამხედრო საქმეებზე. უპირველეს ყოვლისა უნდა დაგვეცვა თვით შესაძლებლობა სოციალისტური მეურნეობის შემოქმედებისა. მრეწველობის დარგში ოდნავ იმაზე მეტის გაკეთება შეგვეძლო, რაც აუცილებელი იყო ფრონტის საჭიროებისათვის. იძულებული ვიყავით კაუცკის ეკონომიური ცილისწამების გამოსააშკარავებლად მიგვემართა უმთავრესად მისი პოლიტიკური ცილისწამების ანალოგიისათვის. კაუცკის საზარელი მტკიცება, ვითომც რუსეთის მუშებს არ ჰქონდეთ უნარი შრომის დისციპლინისა და სამეურნეო თვითშეზღუდვისა, ჩვენ შეგვეძლო ამ შრომის დასაწყისში—თითქმის ერთი წლის წინეთ—უარგვეყო უმთავრესად იმ უდიდესი დისციპლინისა და სამხედრო გმირობის აღნიშვნით, რომელიც რუსეთის მუშებმა სამოქალაქო ომის ფრონტებზე გამოიჩინეს. ეს გამოცდილება საკმარისზე მეტი იყო მეშჩანური ცილისწამების უარსაყოფად. ხოლო ეხლა, რამდენიმე თვის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ ფაქტებს და საბუთებს, რომელთაც უშუალოდ იძლევა საბჭოთა რუსეთის სამეურნეო ცხოვრება.

როგორც კი შესუსტდა სამხედრო ზეგავლენა—მას შემდეგ, როცა კოლჩაკი და იუდენიჩი გავანადგურეთ, ხოლო დენიკინს გადამწყვეტი ზარალი მივაყენეთ, როცა ესტონეთთან ზავი შევკარით და ლიტვასა და პოლონეთთან მოლაპარაკება დავიწყეთ,—მთელმა ჩვენმა ქვეყანამ პირი იბრუნა სამეურნეო დარგისაკენ. მარტო ის ფაქტი, რომ ხალხის ყურადღება და ენერგია სწრაფად და გულდასმით გა-

[1]) „Terrorismus und Kommunismus. Ein Beitrag zur Naturgeschichte der Revolution" von Karl Kautsky, Berlin, 1919.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატანილ იქნა მეორე ამოცანებზე, რომელნიც ღრმად განსხვავდებიან პირველი ამოცანისაგან და მოითხოვენ არა ნაკლები მსხვერპლის გაღებას, უდაოდ მოწმობს საბჭოთა წესწყობილების ძლიერს ცხოველმყოფელობას. მიუხედავად ყოველგვარი პოლიტიკური გაჭირვებისა, ფიზიკური უბედურების და საშინელებისა, მშრომელი მასები შორს არიან პოლიტიკური რღვევის, ზნეობრივი გახრწნილებისა თუ აპატიისაგან. იმ რეჟიმის წყალობით, რომელმაც ამ მასებს, მართალია, დიდი სიმძიმე დააკისრა, მაგრამ მათს ცხოვრებას შინაარსი მისცა და მაღალი მიზანი დაუსახა, ისინი ინარჩუნებენ განსაკუთრებულ ზნეობრივ შეუდრეკლობას და კოლექტიურ ამოცანებზე ყურადღების და ნებისყოფის მიპყრობის ისეთ უნარს, რომლის მაგალითიც ისტორიას ჯერ არ ახსოვს. ამ ჟამად მრეწველობის ყოველ დარგში სწარმოებს ენერგიული ბრძოლა შრომის მკაცრი დისციპლინის დაწესებისა და შრომის ნაყოფიერების წარმატებისათვის. პარტიული ორგანიზაციები, პროფესიონალური კავშირები, საქარხნო-საფაბრიკო სამმართველოები ერთმანეთს ეჯიბრებიან ამ დარგში, ხოლო მთელი მუშათა კლასის საზოგადოებრივი აზრი უყოყმანოთ უჭერს მათ მხარს. ქარხნები ნებაყოფლობით, კრებების დადგენილებით, ადიდებენ სამუშაო დღეს. პეტერბურგი და მოსკოვი მაგალითს იძლევიან, პროვინცია ფეხდაფეხ მისდევს პეტერბურგს. შაბათობა და კვირაობა, ე. ი. ნებაყოფლობით და უსასყიდლო მუშაობა დასასვენებლად დანიშნულ საათებში, ფართოდ ვრცელდება და ასი-ათასობით იზიდავს მუშას, კაცსა და ქალს. შრომის ნაყოფიერება და სიძლიერე იმ მუშაობისა, რომელიც შაბათობით და კვირაობით სწარმოებს, სპეციალისტების აზრით და ციფრების მოწმობით, განსაკუთრებული სიმაღლით განირჩევა.

ნებაყოფლობითი მობილიზაცია შრომითი ამოცანებისათვის პარტიასა და ახალგაზრდათა კავშირში ტარდება ისეთივე ენტუზიაზმით, როგორც წინეთ იგი ტარდებოდა სამხედრო მიზნებისათვის. შრომის მოხალისეობა ავსებს და აცხოველებს შრომის ბრიგადას. ამას წინად შექმნილი შრომის ბრიგადის საქმეთა კომიტეტების ქსელი მთელ ჩვენს ქვეყანას მოედო. მოსახლეობის ჩათრევა მასიურ სამუშაოებში (თოვლისაგან გზების გაწმენდა, რკინის გზის ლიანდაგის რემონტი, ტყის მოჭრა, შეშის დამზადება და გადაზიდვა, მარტივი საალმშენებლო სამუშაოები, ფიქალის და ტორფის ამოღება) უფრო და უფრო და გეგმა-შეწყობილ ხასიათს ღებულობს. სამხედრო ნაწილების შრომაში ჩაბმა, რაიც უფრო და უფრო ფართოვდება, განუზომელი დარჩებოდა შრომისადმი მაღალი სულიერი განწყობილების გარეშე.

მართალია, ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ პირობებში, როდესაც მეურნეობა ძალზე დაცემულია და გამოფიტული, როდესაც გარს სილატაკე და შიმშილი გვახვევია. მაგრამ ეს გარემოება არ არის საბჭოთა რეჟიმის საწინააღმდეგო საბუთი: ყველა გარდამავალ ეპოქას ახასიათებდა ასეთივე ტრაღიკული თვისებები. ყოველი კლასობრივი საზოგადოება (მონური, ფეოდალური, კაპიტალისტური), ამოწურავს რა თვის სასიცოცხლო ძალებს, თავისით კი არ მიდის სცენიდან, იგი ძალით განადგურებულ უნდა იქნეს გაძლიერებული შინაგანი ბრძოლით, რომელიც მებრძოლთ ზოგჯერ უფრო მეტ მწუხარებას და ტანჯვას აყენებს, ვიდრე ისინი აყენებდენ, ვის წინააღმდეგაც ეს მებრძოლნი აჯანყებულან.

ფეოდალური მეურნეობიდან ბურჟუაზიულზე გადასვლა,—ეს უდიდესი პროგრესიული მნიშვნელობის აღმაფრენა,—წარმოადგენდა გულშემზარავ მარტიროლოგიას. დიდად იტანჯებოდენ ბატონყმური მასები ფეოდალიზმის დროს, მძიმე იყო და მძიმეა პროლეტარიატის ცხოვრება კაპიტალიზმის დროს, მაგრამ არასოდეს მშრომელთა ვაება ისე მწვავე არ ყოფილა, როგორც იმ ეპოქებში, როდესაც ძველი ფეოდალური წესწყობილება ძალით იმსხვრეოდა და ახალ რეჟიმს ადგილს უთმობდა. საფრანგეთის მე-18 საუკუნის რევოლიუციამ, რომელიც გიგანტურად გაიშალა განაწვალები მასების შეტევის გამო, უკიდურესად და დიდის ხნით გააღრმავა და გაამწვავა ამ მასების უბედურება. განა შეიძლებოდა სხვანაირად მომხდარიყო?

სასახლის გადატრიალებანი, რომლებიც ზედა წრეებში პიროვნებათა გადაჯგუფებით თავდებიან, დიდხანს არა გრძელდებიან. ასეთმა გადატრიალებამ შეიძლება თითქმის არავითარი გავლენა არ იქონიოს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაზე. სულ სხვა საქმეა რევოლიუცია, რომელიც მშრომელებს მილიონობით ითრევს თავის მორევში. რა საზოგადოებრივი ფორმაც უნდა არსებობდეს, იგი უსათუოდ შრომას ემყარება. შრომიდან ხალხის მასების მოწყვეტით, მათი ხანგრძლივად ბრძოლაში ჩათრევით და ამით მათი წარმოებითი ურთიერთობის დარღვევით, რევოლიუცია ანადგურებს მეურნეობას და აუცილებლად აქვეითებს იმ ეკონომიურ დონეს, რომელსაც მან მოუსწრო თავის მოქმედების დაწყებისას. რამდენადაც ღრმაა სოციალური გადატრიალება, რამდენადაც უფრო დიდ მასებს ითრევს იგი თავის წიაღში, რამდენადაც იგი ხანგრძლივია, იმდენად უფრო მეტად ანიავებს იგი საზოგადოებრივ მარაგს. აქედან თავის თავად გამომდინარეობს დასკვნა, რომელიც არ საჭიროებს მტკიცებას, რომ სამოქალაქო ომი მავნებელია მეურნეობისათვის. მაგრამ თუ ამას დანაშაუ-

ლად ჩაეუთვლით საბჭოთა სამეურნეო სისტემას, ეს იგივე იქნება, რომ ადამიანის ახალ არსებას დანაშაულად ჩაეთვალოს ის ტანჯვა-წამება, რომელსაც მშობიარობის დროს მისი დედა განიცდის ხოლმე. მთელი ამოცანა იმაშია, რომ შემოკლდეს სამოქალაქო ომი. ამის მიღწევა კი შესაძლოა მხოლოდ გადამწყვეტი მჭრელი მოქმედებით. მაგრამ მთელი წიგნი კაუცკისა სწორედ ამ რევოლიუციონურად გადამწყვეტი მოქმედების წინააღმდეგ არის მიმართული.

* * *

იმ წიგნის გამოქვეყნების შემდეგ, რომელსაც ჩვენ ვარჩევთ ამ ჟამად, არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში, და უპირველეს ყოვლისა, ევროპაში, მოხდა უდიდესი ამბები ან შესამჩნევად განვითარდა დიდმნიშვნელოვანი პროცესები, რომლებიც ძირს უთხრიან კაუცკიანობის უკანასკნელ სიმაგრეს.

გერმანიაში სამოქალაქო ომმა უფრო გამწვავებული ხასიათი მიიღო. მუშათა კლასის ძველი პარტიული და პროფესიონალური დემოკრატიის გარეგნულმა ორგანიზაციულმა სიძლიერემ არა თუ ვერ შექმნა სოციალიზმზე გადასვლის უფრო მშვიდობიანი და „ჰუმანიური" პირობები, რაც გამომდინარეობს კაუცკის თანამედროვე თეორიიდან, არამედ, პირიქით, იგი შეიქმნა ბრძოლის გაჭიანურების და მისი გამძვინვარების ერთ მთავარ მიზეზად. რამდენადაც მეტ კონსერვატიულ ტვირთად გადაიქცა გერმანიის სოციალ-დემოკრატია, იმდენად იძულებულია მეტი ძალა, სიცოცხლე და სისხლი გაიღოს მის მიერ გაყიდულმა გერმანიის პროლეტარიატმა ბურჟუაზიულ საზოგადოების სიმაგრეებზე თანდათანობითი იერიშის მიტანის დროს, რათა თვით ბრძოლის პროცესში შექმნას თავისთვის ახალი ნამდვილი რევოლიუციონური ორგანიზაცია, რომელიც შესძლებს მიიყვანოს იგი საბოლოო გამარჯვებამდე. გერმანელი გენერლების შეთქმულობამ, მათს მიერ ძალა-უფლების ერთი წუთით ხელში ჩაგდებამ და ამაზე მოყოლილმა სისხლიანმა ამბებმა ხელახლა დაგვანახა, რა საბრალო და უმნიშვნელო მასკარადს წარმოადგენს ეგრეთწოდებული დემოკრატია იმპერიალიზმის დამხობისა და სამოქალაქო ომის პირობებში. დრომოჭმული დემოკრატია ვერ სწყვეტს ვერც ერთს საკითხს, ვერ ამსუბუქებს ვერც ერთ წინააღმდეგობას, ვერ ჭკურნავს ვერც ერთს ჭრილობას, ვერ იცილებს თავიდან აჯანყებას ვერც მარჯვნიდან და ვერც მარცხნიდან—იგი უძლურია, არარა, მატყუარა, ემსახურება მხოლოდ იმას, რომ არევ-დარევა შეიტანოს ხალხის ჩამორჩენილი წრეების აზროვნებაში, განსაკუთრებით წვრილი ბურჟუაზიის აზროვნებაში.

კაუცკის მიერ თავისი წიგნის ბოლოში გამოთქმული იმედი, რომ დასავლეთის ქვეყნები, საფრანგეთისა და ინგლისის „ძველი" და ამასთანავე გამარჯვებით დაგვირგვინებული „დემოკრატიები" მოგვცემენ სურათს ნორმალური, სალი, მშვიდობიანი, წმინდა კაუცკიანური განვითარებისას სოციალიზმისაკენ, არის ყველაზე უფრო მეტად უაზრო ილიუზია. ამ ჟამად ძლევამოსილი საფრანგეთის ეგრედწოდებული რესპუბლიკანური დემოკრატია წარმოადგენს ქვეყნიერებაზე არსებულ ყველა მთავრობაზე უფრო რეაქციონურს, სისხლიან და გაბრწნილ მთავრობას. მისი შინაგანი პოლიტიკა აშენებულია შიშზე, გაუმაძღრობაზე და ძალადობაზე, ისევე, როგორც მისი საგარეო პოლიტიკა. მეორე მხრივ, საფრანგეთის პროლეტარიატი, მოტყუებული ისე, როგორც არც ერთი კლასი არასოდეს არ ყოფილა მოტყუებული, უფრო და უფრო გადადის პირდაპირი მოქმედების გზაზე. რეპრესიები, რომლებიც საყოველთაო შრომის კონფედერაციამ რესპუბლიკის მთავრობისაგან განიცადა, მაჩვენებელია იმისა, რომ სინდიკალისტურ კაუცკიანობასაც-კი, ე. ი. პირმოთნე შემთანხმებლობასაც, არა აქვს ლეგალური ადგილი ბურჟუაზიულ დემოკრატიის ფარგლებში. მასების გარევოლიუციონერება, მესაკუთრეთა გამძვინვარება და საშუალო ჯგუფების გაქრობა—სამოქალაქო ომის მოახლოების მომასწავებელი ეს სამი პარალელური პროცესი—ვითარდებოდა ჩვენს თვალს წინ ამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში საფრანგეთის რესპუბლიკაში.

იმავე ძირითადი ფორმით ვითარდებიან ინგლისის ამბები, რომლებიც მხოლოდ ფორმით განსხვავდებიან თვით ინგლისში, რომლის მმართველი კლასი ამ ჟამად უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, სჩაგრავს და ყლეფს მთელს ქვეყნიერებას, დემოკრატიის ფორმულამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა როგორც პარლამენტარული მართლტნობის იარაღმაც-კი. ამ დარგის უფრო მეტად კვალიფიციური სპეციალისტი, ლოიდ-ჯორჯი, მომხრეებს ეძებს არა დემოკრატიაში, არამედ კონსერვატიულ და ლიბერალურ მესაკუთრეთა წრეებში მუშათა კლასის წინააღმდეგ. მის არგუმენტებში კვალიც კი აღარ დარჩა „მარქსისტ" კაუცკის დემოკრატიული წყალ-წყალაობისა. ლოიდ-ჯორჯი სდგას კლასობრივი რეალობის ნიადაგზე და სწორედ ამიტომ ლაპარაკობს სამოქალაქო ომის ენით. ინგლისის მუშათა კლასი მისი დამახასიათებელი მძიმე ემპირიზმით უახლოვდება თავისი ბრძოლის იმ საფეხურს, რომლის წინაშეც დაიჩრდილება ჩარტიზმის ყველაზე საგმირო ფურცლები, ისე, როგორც პარიზის კომუნა ფერმკრთალი იქნება საფრანგეთის პროლეტარიატის მახლობელი ძლევამოსილი აჯანყების წინაშე.

სწორედ იმიტომ, რომ ისტორიული ამბები მძაფრი ენერგიით ანვითარებდენ ამ თვეებში თავის რევოლიუციონურ ლოლიკას, ამ წიგნის ავტორი ეკითხება თავის თავს: არის თუ არა კიდევ საჭირო ამ წიგნის გამოქვეყნება? არის თუ არა საჭირო კაუცკის აზრების დარღვევა? არის თუ არა თეორეტიული მოთხოვნილება რევოლიუციონური ტერორიზმის გამართლებისა?

სამწუხაროდ — არის. სოციალისტური მოძრაობა თავის არსებით იმგვარია, რომ მასში იდეოლოგია უდიდეს როლს თამაშობს. ემპირიულ ინგლისისათვისაც-კი დადგა ხანა, როდესაც მუშათა კლასმა უნდა უფრო გააძლიეროს თავის გამოცდილებიდან და ამოცანებიდან თეორეტიული ზოგადი დასკვნის გამოყვანის მოთხოვნილება. ამავე დროს, ფსიქოლოგია, თვით პროლეტარულიც-კი, შეიცავს კონსერვატიზმის სახეფათო ინერციას, — მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა სხვა რამეზე, არამედ მეორე ინტერნაციონალის იმ პარტიათა ტრადიციულ იდეოლოგიაზე, რომელნიც პროლეტარიატს აღვიძებენ და რომელნიც დიდი ხანი არ არის, რაც ესოდენ ძლიერნი იყვნენ. ოფიციალური სოციალ-პატრიოტიზმის (შეიდემანის, ვ. ადლერის, რენოდელის, ვანდერველდეს, ჰენდერსონის, პლეხანოვის და სხვ.) დამსხვრევის შემდეგ, საერთაშორისო კაუცკიანელობა (გერმანიის დამოუკიდებელთა შტაბი, ფრიდრიხ ადლერი, ლონგე, იტალიელების მნიშვნელოვანი ნაწილი, ინგლისის „დამოუკიდებელნი", მარტოვის ჯგუფი და სხვანი) არის მთავარი პოლიტიკური ფაქტორი, რომელსაც ეყრდნობა კაპიტალისტური საზოგადოების მერყევი წონასწორობა. შეიძლება ითქვას, რომ მთელი განათლებული მსოფლიოს მშრომელთა მასის ნებისყოფა, რომელიც უშუალოდ მოქმედებაში მოჰყავს დიდი ამბების მსვლელობას, ამჟამად ბევრად უფრო რევოლიუციონურია, ვიდრე მათი შეგნება, ვინც ჯერ კიდევ შებოჭილია პარლამენტარიზმის და შემთანხმებლობის ცრუმორწმუნეობით. ძიმდინარე მომენტისთვის მუშათა კლასის ბრძოლა დიქტატურის მოსაპოვებლად ნიშნავს კაუცკიანობასთან ულმობელ ბრძოლას შიგ მუშათა კლასში. შემთანხმებლობის სიცრუე და ცრუმორწმუნეობა, რომლებიც ჯერ კიდევ სწამლავენ ატმოსფერას, იმ პარტიებშიაც კი, რომელთაც მიდრეკილება აქვთ მესამე ინტერნაციონალისაკენ, უნდა უკუგდებულ იქნენ. ეს წიგნი უნდა ემსახუროს იმ შეურიგებელ ბრძოლას, რომელიც მიმართულია ყველა ქვეყნის მშიშარა, მერყევ და პირმოთნე კაუცკიანელობის წინააღმდეგ.

* * *

P. S. ამჟამად (1920 წლ. მაისი) საბჭოთა რუსეთის ცა კვლავ მოიღრუბლა. პოლონეთი თავს დაესხა უკრაინას-და ამით დასაწყისი მისცა მსოფლიო იმპერიალიზმის ახალ შემოტევას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. უდიდესი საფრთხე, რომელიც იზრდება რევოლიუციის წინაშე, და უამრავი მსხვერპლი, რომელიც დააკისრა მშრომელ მასას ომმა, ხელახლად ითრევს რუსეთის კაუცკიანელებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის აშკარა წინააღმდეგობის გაწევის გზაზე, ე. ი. ფაქტიურად სოციალისტური რუსეთის მსოფლიო მბრჩობელთათვის ხელის შეწყობის გზაზე. კაუცკიანელების ბედი გამოიხატება იმაში, რომ ეცადონ დაეხმარონ პროლეტარულ რევოლიუციას მაშინ, როდესაც მისი საქმე საკმაოდ კარგად მიდის და გაუწიონ მას ყოველგვარი დაბრკოლება, როდესაც იგი განსაკუთრებით საჭიროებს დახმარებას. კაუცკიმ არა ერთხელ იწინასწარმეტყველა ჩვენი დაღუპვა: ეს დაღუპვა იქნებოდა საუკეთესო საბუთი მისი, კაუცკის, თეორეტიული სიმართლისა. ეს „მარქსის მემკვიდრე" იქამდე დაქვეითდა, რომ ერთადერთ მის სერიოზულ პროგრამას წარმოადგენს პროლეტარული დიქტატურის დამსხვრევაზე სპეკულიაციის წარმოება.

იგი ამ შემთხვევაშიაც მოტყუვდება. ბურჟუაზიული პოლონეთის განადგურება წითელ არმიის მიერ, რომელსაც კომუნისტური მუშები ხელმძღვანელობენ, იქნება პროლეტარული დიქტატურის სიძლიერის ახალი მანიფესტაცია, და სწორედ ამით იგი შემუსრავს მენშევიკურ სკეპტიციზმს (კაუცკიანელობას) მუშათა მოძრაობაში. მიუხედავად გარეგნული ფორმებისა, ფერებისა და ლოზუნგების გიჟური არეულ-დარევისა, თანამედროვე ისტორიამ საოცრად გაამარტივა თავისი პროცესის ძირითადი შინაარსი, დაიყვანა რა იგი იმპერიალიზმისა და კომუნიზმის ბრძოლამდე. პილსუდსკი იბრძვის უკრაინასა და ბელორუსიაში, იბრძვის არა მარტო პოლონელი მაგნატების მიწებისთვის, არა მარტო კაპიტალისტური საკუთრებისა და კათოლიკური ეკლესიისათვის, იგი იბრძვის პარლამენტარული დემოკრატიისა, ევოლიუციონური სოციალიზმისა და მეორე ინტერნაციონალის გულისთვის, იგი იბრძვის იმისთვის, რომ კაუცკის უფლება ჰქონდეს დარჩეს ბურჟუაზიის მოკრიტიკე თანამცხოვრებად. ჩვენ ვიბრძვით კომუნისტური ინტერნაციონალისა და პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლიუციისათვის. გაბედვა დიდია ორივე ხრიდან. ბრძოლა იქნება სასტიკი და შეუპოვარი. ჩვენ იმედი გვაქვს გამარჯვების, ეინაიდან ამისათვის ჩვენსკენაა ყველა ისტორიული უფლება.

ლ. ტროცკი.

მოსკოვი
29 მაისი 1920 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტერორიზმი და კომუნიზმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

I.

ძალთა განწყობილება.

საბუთი, რომელსაც აუცილებლად იმეორებენ რუსეთის საბჭოთა რეჟიმის და, განსაკუთრებით, სხვა ქვეყნებში საბჭოთა რეჟიმზე გადასასვლელად რევოლიუციონურ ცდათა კრიტიკის დროს,—არის საბუთი **ძალთა განწყობილებისა.** საბჭოთა რეჟიმი რუსეთში უტოპიურია, ვინაიდან იგი „არ შეესაბამება ძალთა განწყობილებას". ჩამორჩენილ რუსეთს არ შეუძლია დაისახოს ისეთი ამოცანები, რომლებიც დროულია მოწინავე გერმანიისათვის. მაგრამ გერმანიის პროლეტარიატისათვისაც უგნურება იქნება ხელში ჩაიგდოს პოლიტიკური ძალა-უფლება, ვინაიდან ეს „ამჟამად" ძალთა განწყობილებას დაარღვევსო. ერთა ლიგას უარყოფითი მხარეები აქვს, მაგრამ სამაგიეროთ იგი შეესაბამება ძალთა განწყობილებას. უტოპიურია ბრძოლა იმპერიალისტური ბატონობის დასამხობად,—ძალთა განწყობილებას შეესაბამება ვერსალის ხელშეკრულების შესწორების მოთხოვნა. როდესაც ლონგე ჩანჩალით მისდევდა ვილსონს, ეს ხდებოდა არა ლონგეს პოლიტიკური გამოფიტულობის გამო, არამედ ძალთა განწყობილების კანონის საღიდებლად. ავსტრიის პრეზიდენტმა ზეიცმა და კანცლერმა რენერმა, ფრიდრიხ ადლერის აზრით, უნდა ავარჯიშონ თავიანთი მეშჩანური პოლიტიკა ბურჟუაზიული რესპუბლიკის ცენტრალურ პოსტებზე, ვინაიდან სხვაფრივ დარღვეული იქნება ძალთა განწყობილება. ორიოდე წლის წინეთ მსოფლიო ომამდე კარლ რენერი, მაშინ ჯერ კიდევ არა კანცლერი, არამედ ოპორტუნიზმის „მარქსისტული" ვექილი, მიმტკიცებდა, რომ სამი იენისის რეჟიმი რუსეთში, ე. ი. მონარქიით დაგვირგვინებული მემამულეთა და კაპიტალისტთა კავშირი აუცილებლად გასძლებს მთელი ისტორიული ეპოქის განმავლობაში, რადგან იგი ძალთა განწყობილებას შეესაბამება.

მერე რა არის ეს ძალთა განწყობილება,—ეს საკრამენტალური ფორმულა, რომელმაც უნდა განსაზღვროს, წარმართოს და განმარ-

ტოს ისტორიის მთელი მსვლელობა როგორც საერთოდ, ისე ნაწილ-ნაწილად? რატომ არის, რომ კაუცკის ახლანდელ სკოლას ასე ხშირად სჭირდება ძალთა განწყობილების ფორმულა, როგორც გაუბედავობისა, ინერტობისა, ლაჩრობისა, ღალატისა და გამცემლობის გამართლება?

ძალთა განწყობილებად გულისხმობენ ყველაფერს, რასაც მოისურვებენ: წარმოებაში მიღწეულ განვითარების დონეს, კლასობრივ დიფერენციაციის ხარისხს, ორგანიზაციულად შეკავშირებულ მუშების რიცხვს, ნაღდ ფულს პროფესიონალურ კავშირთა სალაროში, ზოგჯერ უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების შედეგს, ხშირად სამინისტროების დამთმობი პოლიტიკის ან ფინანსიური ოლიგარხიის თავხედობის ხარისხს, ყველაზე ხშირად-კი, ბოლოს, ზოგად პოლიტიკურ შთაბეჭდილებას, რაც დაებადება ნახევრად დაბრმავებულს პედანტს ან ეგრედწოდებულ რეალ-პოლიტიკოსს, როჟელიც, მიუხედავად მარქსიზმის ფრაზეოლოგიის შეთვისებისა, ყოველთვის ხელმძღვანელობს უმდაბლესი კომბინაციებით, კუჭით გატაცებულ მცხოვრების მსჯელობით და პარლამენტარული „ნიშნებით"... პოლიციის დეპარტამენტის დირექტორთან წაჩურჩულების შემდეგ, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულმა პოლიტიკოსმა წარსულ, ხოლო არც ისე შორეულ, წლებში ყოველთვის სისწორით იცოდა — დასაშვებია თუ არა ვენაში „ძალთა განწყობილების მიხედვით" მშვიდობიანი საჯარო მანიფესტაცია პირველი მაისის დღეს. ებერტებისა, შეიდემანებისა და დავიდებისათვის არც ისე დიდიხანია, რაც ძალთა განწყობილება სრული სისწორით განიზომებოდა იმ თითების რაოდენობით, რომელსაც რეიხსტაგში შეხვედრისას მათ ბეტმან-ჰოლვეგი ან თვით ლიუდენდორფი აწვდიდა.

ფრიდრიხ ადლერის აზრით ავსტრიაში საბჭოთა დიქტატურის დამყარება ძალთა განწყობილების დამრღვევი და დამლუპველი იქნებოდა: ანტანტა ავსტრიას დაამშვევდა. ამის დასამტკიცებლად ფრიდრიხ ადლერმა საბჭოთა ივლისის ყრილობაზე დაასახელა ჰუნგრეთი, სადაც იმ ხანებში ჰუნგრელმა რენერებმა ჰუნგრელი ადლერების დახმარებით ვერ შესძლეს საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. ერთი შეხედვით შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა, რომ ფრიდრიხ ადლერი ჰუნგრეთის შესახებ მართალი იყო: პროლეტარული დიქტატურა იქ მალე იქნა დამხობილი და მისი ადგილი დაიკავა ბნელეთის მოციქულის ფრიდრიხის სამინისტრომ. მაგრამ ვიკითხოთ ერთი—შეესაბამებოდა თუ არა ეს უკანასკნელი გარემოება ძალთა განწყობილებას? ყოველ შემთხვევაში, ფრიდრიხი და მისი გუსარი დროებითაც კი

ვერ მოექცეოდენ ხელისუფლების სათავეში, რომ რუმინიის ჯარს მათთვის დახმარება არ გაეწია. აქედან ცხადია, რომ ჰუნგრეთის საბჭოთა ხელისუფლების ბედის განმარტების დროს ანგარიშში უნდა მივიღოთ, „ძალთა განწყობილება" ყოველ შემთხვევაში ორი ქვეყნის მაინც—თვით ჰუნგრეთის და მეზობელი რუმინიისა. მაგრამ ძნელი გასაგები არ არის, რომ ამაზე შეჩერება შეუძლებელია: ჰუნგრეთის კრიზისის დაწყებამდე ავსტრიაში რომ დიქტატურა დამყარებულიყო, საბჭოთა ხელისუფლების დამხობა ბუდაპეშტში გაცილებით უფრო ძნელი იქნებოდა. მაშასადამე, ფრიდრიხ ადლერის გამყიდველ პოლიტიკასთან ერთად ავსტრიაც უნდა ჩავრიცხოთ იმ ძალთა განწყობილებაში, რომელმაც განსაზღვრა საბჭოთა ხელისუფლების დროებითი დაცემა ჰუნგრეთში.

თვით ფრიდრიხ ადლერი ძალთა განწყობილების გამოცნობას ეძიებს არა რუსეთსა და უნგრეთში, არამედ დასავლეთში—კლემანსოსა და ლოიდ-ჯორჯის ქვეყნებში: მათ ხელთ აქვთ პური და ნახშირი, ხოლო ნახშირი და პური, განსაკუთრებით ჩვენს დროში, ისეთივე პირველ-ხარისხოვანი ფაქტორებია ძალთა განწყობილების მექანიკაში, როგორც ზარბაზნები ლასალის კონსტიტუციაში. მაშასადამე, მწვერვალიდან ჩამოქვეითებული აზრი ადლერისა მდგომარეობს იმაში, რომ ავსტრიის პროლეტარიატმა ძალა-უფლება არ უნდა ჩაიგდოს ხელში იმ დრომდე, ვიდრე ნებართვას არ მიიღებს კლემანსოსაგან (ან მილიერანისაგან, ე. ი. მეორეხარისხოვან კლემანსოსაგან).

თუმცა აქაც შეგვიძლია ვიკითხოთ: თვით კლემანსოს პოლიტიკა შეესაბამება თუ არა ძალთა ნამდვილ განწყობილებას? ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს, რომ ეს შესაბამება, საკმაოდ კარგად დამტკიცებული თუ არა, ყოველ შემთხვევაში, უზრუნველყოფილი მაინც არის კლემანსოს ტანდარმების მიერ, რომელნიც არბევენ მუშების კრებებს, ატუსაღებენ და ხვრეტენ კომუნისტებს. მაგრამ არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ საბჭოთა ტერორისტულ ზომებს, ე. ი. იმავე ჩხრეკას, დატუსაღებას და დახვრეტას, მიმართულს კონტრ-რევოლიუციონერთა წინააღმდეგ, ზოგიერთები სთვლიან იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ შეესაბამება ძალთა განწყობილებას. სრულიად ამაო იქნებოდა ჩვენს დროში ძებნა ისეთი რეჟიმისა, რომელიც თავის დასაცავად მასიური რეპრესიების სასტიკ ზომებს არ მიმართავდეს. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ მტრულმა კლასობრივმა ძალებმა ყოველგვარი და, მათ შორის, „დემოკრატიული" უფლების გარსი გაარღვიეს და დაუნდობელის ბრძოლით სცდილობენ ახალ განწყობილებათა დამყარებას.

როდესაც რუსეთში საბჭოთა სისტემა მყარდებოდა, იგი ძალთა განწყობილების მიმართ კადნიერ გამოწვევად გამოაცხადეს არა მარტო ყველა ქვეყნის კაპიტალისტურმა პოლიტიკოსებმა, არამედ სოციალისტურმა ოპორტუნისტებმაც - კი. ამ საკითხში ადგილი არა ჰქონია აზრთა სხვადასხვაობას კაუცკის, ჰაბსბურგის გრაფის ჩერნინის და ბოლგარიის პრემიერის რადოსლავოვის შორის. მას შემდეგ დაემხო ავსტრო-ჰუნგრეთის და გერმანიის მონარქიები. მტვრად იქცა მთელს ქვეყნიერებაზე უძლიერესი მილიტარიზმი. საბჭოთა ხელისუფლება კი უვნებლად გადარჩა. ანტანტის ძლევამოსილმა ქვეყნებმა თავი მოუყარეს და მიუსიეს რუსეთს ყველაფერი, რაც კი შეეძლოთ. საბჭოთა ხელისუფლება თავის ადგილზე დარჩა. კაუცკისა, ფრიდრიხ ადლერისა ან ოტტო ბაუერისათვის ორი წლის წინეთ რომ ეწინასწარმეტყველათ—რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურა აიტანს ჯერ გერმანიის იმპერიალიზმის შემოსევას, შემდეგ შეთანხმების სახელმწიფოთა იმპერიალიზმთან განუწყვეტელ ომსაო,—მეორე ინტერნაციონალის ბრძენნი ასეთს წინასწარმეტყველებას „ძალთა განწყობილების" სასაცილო უცოდინარობად ჩასთვლიდენ.

პოლიტიკურ ძალთა განწყობილება ყოველ განსაზღვრულ მომენტში დამოკიდებულია ძლიერების სხვადასხვა ხარისხის ძირითად და წარმოებულ ფაქტორების გავლენაზე და მას მხოლოდ თავის ღრმა საფუძვლებში საზღვრავს წარმოების განვითარების დონე. ხალხის სოციალური წყობილება ძლიერ ჩამორჩება მწარმოებელ ძალთა განვითარებას. წვრილი ბურჟუაზია და განსაკუთრებით გლეხობა მას შემდეგაც კი, როდესაც საზოგადოების წარმოებითი და ტექნიკური განვითარებით მათი სამეურნეო მეთოდები სამუდამოდ უკუგდებული და მივიწყებულია, დიდხანს ინარჩუნებს თავის არსებობას. თავის მხრით მასების შეგნებაც ძლიერ ჩამორჩა ახალ სოციალურ ურთიერთობათა განვითარებას. ძველი სოციალისტური პარტიების შეგნება მთელი ეპოქით ჩამორჩა მასების სულიერ განწყობილებას; ხოლო საპარლამენტო და ტრედ-უნიონების ძველი ბელადების შეგნება,—უფრო რეაქციონური, ვიდრე შეგნება მათი პარტიებისა,—წარმოადგენს იმ გაქვავებულ ნაჭერს, რომელიც გულზე ადგია ისტორიას და დღემდე ვერც მონელება და ვერც ამოღება ვერ მოუხერხებია. მშვიდობიან პარლამენტარულ ეპოქაში, სოციალურ ურთიერთობათა ურყეობის დროს, ფსიქოლოგიური ფაქტორი, აშკარა შეცდომების დაუშვებლად, საფუძვლად ედებოდა ყველა მიმდინარე ანგარიშებს: ეგონათ, რომ საპარლამენტო არჩევნები საკმაო სისრულით გამოხატავდა ძალთა განწყობილებას. იმპერიალისტურმა ომმა, რომელმაც ბურჟუაზიული სა-

ზოგადოების წინასწორობა დაარღვია, გამოააშკარავა ხანული უვარგისობა ძველი კრიტერიებისა: ეს კრიტერიები სრულებით არ ეხებოდენ იმ ღრმა ისტორიულ ფაქტორებს, რომელნიც წინა ეპოქაში თანდათანობით ვროვდებოდენ, ხოლო ახლა უეცრად გარეგან გამოიფინენ და განსაზღვრავენ ისტორიის მოძრაობას.

პოლიტიკურ რუტინერებს, რომელთაც არ ძალუძთ ისტორიული პროცესის მიმობილვა მისი სირთულით, მისი შინაგანი შეუფერებლობა-წინააღმდეგობით, საქმე ისე წარმოუდგენიათ, თითქოს ისტორია სოციალისტურ წესწყობილებას ამზადებდეს ერთ დროულად და გვგმაშეზომილათ ყოველმხრივ, ისე, რომ წარმოების კონცენტრაცია, მწარმოებლის და მომხმარებლის კომუნისტური მორალი მწიფდებოდეს ერთს და იმავე დროს ელექტრონის გუთანთან და პარლამენტარულ უმრავლესობასთან ერთად. აქედან წარმოსდგა წმინდა მექანიკური დამოკიდებულება პარლამენტარიზმთან, რომელიც მე-2 ინტერნაციონალის პოლიტიკოსთა უმრავლესობის თვალში ისევე შეუცდომლად უჩვენებდა სოციალიზმისათვის საზოგადოების მომზადების ხარისხს, როგორც მანომეტრი უჩვენებს ორთქლის დაწოლის ძალას. ნამდვილად კი შეუძლებელია იმაზე დიდი უაზრობა, როგორც არის ასეთი მექანიკური წარმოდგენა საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებაზე.

თუ საზოგადოების წარმოებითი საფუძვლიდან დაწყებული მაღლა ავყვებით ზედნაშენების საფეხურებს: კლასებს, სახელმწიფოს, სამართალს, პარტიებს და სხვას, დავრწმუნდებით, რომ თვითეული შემდეგი ზედნაშენის ინერტობა უბრალოდ კი არ უერთდება წინა ინერტობას, არამედ ბევრ შემთხვევაში მრავლდება ყველა წინა საფეხურის ინერტობაზე. საბოლოოდ, პოლიტიკური შეგნება ჯგუფისა, რომელიც დიდხანს თავის თავს ყველაზე უფრო მოწინავე ელემენტად სთვლიდა, გადატეხის დროს გვეელინება როგორც კოლოსალური ტორმაზი ისტორიული განვითარებისა. ამ ჟამად ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ პროლეტარიატის სათავეში მდგომი მეორე ინტერნაციონალის პარტიები, რომელთაც კაცობრიობის ისტორიის ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტში ვერ გაბედეს, ვერ შესძლეს და არ მოისურვეს ძალა-უფლების ხელში ჩაგდება და რომელთაც პროლეტარიატი დააყენეს იმპერიალისტური ურთიერთის ამოწყვეტის გზაზე, ალმოჩნდენ **კონტრ-რევოლიუციის გადამწყვეტ ძალად.**

უძლიერესი მწარმოებელი ძალები,—ეს შემტევი ფაქტორი ისტორიულ მოძრაობისა,—იხრჩობოდენ იმ ზედნაშენ და ჩამორჩენილ და-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

წესებულებებში (ყერძო საკუთრება და ნაციონალური სახელმწიფო), რომლებშიაც ისინი მომწყვდეულნი აღმოჩნდენ წინადროის განვითარებით. კაპიტალიზმის მიერ გამოზრდილი მწარმოებელი ძალები უკაკუნებდენ ნაციონალურ-ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ყველა კედლებს და მოითხოვდენ მსოფლიო მასშტაბით მეურნეობის განთავისუფლებას სოციალისტური ორგანიზაციის გზით. სოციალურ შეჯგუფებათა ინერტობამ, იმ პოლიტიკური ძალების ინერტობამ, რომელნიც უძლურნი აღმოჩნდენ დაარღვიონ ძველი კლასობრივი შეჯგუფებანი; იმ ხელმძღვანელი სოციალისტური პარტიების ინერტობამ, გონებაჩლუნგობამ და გამცემლობამ, რომელთაც ფაქტიურად იკისრეს ბურჟუაზიული საზოგადოების დაცვა,—ყველა ამან წარმოებითი ძალები იმპერიალისტური ომის სახით სტიქიურ აჯანყებამდე მიიყვანა. კაცობრიობის ტეხნიკა,—ისტორიის ეს უდიდესი რევოლიუციონური ფაქტორი,—ათეული წლობით დაგროვილი ძალღონით წინაღუდგა შეიდეგმანების, კაუცკების, რენოდელების, ვანდერველდეების, ლონგეების საზიზღარ კონსერვატიზმს და მდაბალ გონებაჩლუნგობას და თავისი უზარმაზარი ზარბაზნების, მიტრალეზების, დრედნოუტების და ავიონების საშუალებით გაშმაგებით აიწოკა და დაარბია კაცობრიობის კულტურა.

ამგვარად, მიზეზი უბედურობისა, რომელსაც ამ ჟამად კაცობრიობა განიცდის, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის მიერ ბუნების დაძლევის ტეხნიკური განვითარება უკვე **დიდი ხანია** მომწიფდა მეურნეობის სოციალიზაციისთვის,—პროლეტარიატმა წარმოებაში დაიჭირა ის ადგილი, რომელიც საკუთრივ უზრუნველყოფს მის დიქტატურას, მაშინ, როდესაც ისტორიის უფრო შეგნებული ძალები—პარტიები და მათი წინამძღოლნი—ჯერ კიდევ საკუთრივ ძველი აზრების გავლენის ქვეშ აღმოჩნდენ და მასების უნდობლობა დაიმსახურეს. წარსულ, არა შორეულ, წლებში კაუცკის ესმოდა ეს. „პროლეტარიატი ამ ჟამად ისე გამაგრდა,—სწერდა კაუცკი ბროშურაში „გზა ხელისუფლებისაკენ",—რომ მას დიდი დამშვიდებით შეუძლია შეხვდეს მოახლოებულ ომს. **ნაადრევ** რევოლიუციაზე ლაპარაკი აღარ შეიძლება მაშინ, როდესაც პროლეტარიატმა არსებულ სახელმწიფოებრივ საფუძველს ამოართვა იმდენი ძალა, რამდენის გამოლებაც მისგან შეიძლებოდა. და როდესაც მისი გარდაქმნა მისი შემდეგი აღორძინების ერთად-ერთ პირობად გადაიქცა". მას შემდეგ, რაც მწარმოებელ ძალთა განვითარებამ, რომელიც იმდენად გაიზარდა, რომ გადალახა ნაციონალურ-ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ფარგლები, ჩაითრია კაცობრიობა კრიზისების და შერყე-

ვათა ეპოქაში, მასების შეგნება, მრისხანე მუჯლუგუნის მოქმედებით, გამოყვანილ იქნა წინა ეპოქის შედარებითი წონასწორობიდან. ცხოვრების წყობის რუტინამ და ინერტობამ, მშვიდობიანი ლეგალობის ჰიპნოზმა უკვე დაკარგა ძალა-უფლება პროლეტარიატზე. მაგრამ პროლეტარიატი შეგნებულად და თავგამოდებით ჯერ კიდევ ვერ დაადგა აშკარა რევოლიუციონური ბრძოლის გზას. იგი ყოყმანშია და მერყევ წონასწორობის უკანასკნელ წუთებს განიცდის. ამ ფსიქოლოგიურ დაძვრის მომენტში კენწეროს როლი,—სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისა, ერთის მხრით, და რევოლიუციონური პარტიისა, მეორე მხრით, უდიდეს მნიშვნელობას იძენს. საკმარისია გადამწყვეტი მუჯლუგუნი მარცხნიდან ან მარჯვნიდან, რომ პროლეტარიატი დაიძრეს განსაზღვრული პერიოდისათვის ამა თუ იმ მიმართულებით. ჩვენ ამას ვხედავდით 1914 წელს, როდესაც იმპერიალისტურ მთავრობათა და სოციალ-პატრიოტების პარტიათა გაერთიანებული მოწოლით მუშათა კლასი ერთბაშად გამოვიდა წონასწორობიდან და გადასროლილ იქნა იმპერიალიზმის გზაზე. შემდეგ ჩვენ ვხედავთ, ომის მიერ გამოწვეულმა გაჭირვებამ და მისი შედეგებისა და პირველადელი ლოზუნგების შორის შექმნილმა კონტრასტმა როგორ შეარყია რევოლიუციონურად მასები და როგორ მისცა მათ მეტი უნარი აშკარად აჯანყებულიყვნენ კაპიტალის წინააღმდეგ. ამ პირობებში არსებობა რევოლიუციონური პარტიისა, რომელიც თანამედროვე ეპოქის მამოძრავებელი ძალების შესახებ ნათელ ანგარიშს აძლევს თავის თავს და რომელსაც შეგნებული აქვს ამ ძალთა შორის რევოლიუციონური კლასის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც იცნობს რევოლიუციონური კლასის დაუშრეტელ ფარულ ძალებს, რომელსაც რწმენა აქვს მისი და თავის თავის, რომელმაც იცის რევოლიუციონური მეთოდების ძლიერების მნიშვნელობა ყველა სოციალურ ურთიერთობათა მერყეობის ეპოქაში, რომელიც მზადაა ეს მეთოდი გამოიყენოს და მიიყვანოს ბოლომდე,—ასეთი პარტიის არსებობის ფაქტს დაუფასებელი ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

და, პირიქით, სოციალისტური პარტია, რომელიც სარგებლობდა ტრადიციონული გავლენით, მაგრამ რომელიც არ აძლევს თავის თავს ანგარიშს იმაში, თუ რა ხდება მის ირგვლივ, რომელსაც არ ესმის რევოლიუციონური სიტუაცია და ამიტომ ვერ პოულობს მის გასაღებს, რომელიც არ ენდობა არც პროლეტარიატს და არც თავის თავს,—ასეთი პარტია ჩვენს ეპოქაში არის ყველაზე მეტად მავნებელი ისტორიული მუხრუჭი, არევ-დარევის წყარო და დამაუძლურებელი ქაოსი.

ასეთია დღეს კაუცკისა და მისი თანამოაზრეების როლი. ისინი ასწავლიან პროლეტარიატს, არ ენდონ თავის თავს, არამედ ენდონ თავიანთ ანარეკლს დემოკრატიის მრუდე სარკეში, რომელიც მილიტარიზმის ჩექმამ ათას ნამსხვრევად აქცია. მათი შეხედულობით პროლეტარიატის რევოლიუციონური პოლიტიკისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა საერთაშორისო სიტუაციას, არა კაპიტალიზმის ფაქტიურ დამსხვრევას, არა იმ საზოგადოებრივ რღვევას, რომელიც ამით წარმოიშვება, არა მუშათა კლასის ბატონობის იმ ობიექტიურ აუცილებლობას, რომელიც კაპიტალისტური ცივილიზაციის მბოლავი ნამტვრევებიდან ღალადებს, არა ყველაფერმა ამან უნდა განსაზღვროს პროლეტარიატის რევოლიუციონური პარტიის პოლიტიკა, არამედ ხმების დათვლამ, რომელსაც პარლამენტარიზმის კაპიტალისტური მნუსხავები აწარმოებენ. სულ რამდენიმე წლის წინეთ, ვიმეორებთ, კაუცკის თითქოს ეამოდა რევოლიუციონური პრობლემის ნამდვილი რაობა. „რადგან ნაციის ერთად-ერთ რევოლიუციონურ კლასს პროლეტარიატი წარმოადგენს,—სწერდა კაუცკი თავის ბროშურაში „გზა ხელისუფლებისკენ“,—აქედან აშკარაა, რომ თანამედროვე წესწყობილების ყოველი დამარცხება, იქნება იგი მორალური, ფინანსიური თუ სამხედრო ხასიათისა, ნიშნავს გაკოტრებას ყველა ბურეუაზიული პარტიისას, რომელნიც ყოველივე ამის პასუხისმგებელნი არიან, და რომ ერთად-ერთი გამოსავალი გზა შექმნილ ჩიხიდან არის **პროლეტარიატის** ხელისუფლების დამყარება“. და დღეს-კი პროსტრაციის და სიმხდალის პარტია, კაუცკის პარტია, ეუბნება მუშათა კლასს: „საკითხი იმაში კი ა არ არის, ამ ერამად შენ ისტორიის ერთად-ერთი შემომქმედი ძალა ხარ თუ არა, შეგიძლია თუ არა უკუაგდო მმართველ ყაჩაღთა ის ბრბო, რადაც მქონებელი კლასები გადაიქცენ; საკითხი იმაში კი არ არის, რომ ამ ამოცანას შენს მაგიერ არავინ მოიყვანს სისრულეში; არც იმაშია, რომ შენ ისტორია არ დაგაცლის, რადგან თანამედროვე სისხლიანი ჭაოსის მდგომარეობა გეშუქრება შემდეგში დაგასაფლავოს კაპიტალიზმის უკანასკნელ ნამსხვრევების ქვეშ,—საკითხი იმაშია, რომ იმპერიალისტურმა მმართველმა ბანდიტებმა შესძლეს გუშინ თუ დღეს მოეტყუებინათ, ძალა ეხმარათ და გაეტეხათ საზოგადოებრივი აზრი, რადგან შეჰკრიბეს ხმათა 51% შენი 49—ის წინააღმდეგ. დეე, დაილუპოს ქვეყანა, ოღონდ პარლამენტარულ უმრავლესობას გაუმარჯოს!“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

პროლეტარიატის დიქტატურა.

„მარქსმა და ენგელსმა გამოსჭედეს **პროლეტარიატის დიქტატურის** ცნება, რომელსაც მტკიცეთ იცავდა ენგელსი 1891 წელს, თავის სიკვდილის წინა ხანებში, — ცნება პროლეტარიატის პოლიტიკური თვითმპყრობელობისა, როგორც ერთად-ერთი ფორმა, რომლის საშუალებითაც პროლეტარიატს შეუძლია განახორციელოს სახელმწიფოებრივი ხელისუფლება".

ასე სწერდა კაუცკი ათიოდე წლის წინეთ. პროლეტარიატის ხელისუფლების ერთად-ერთ ფორმად იგი სთვლიდა არა სოციალისტურ უმრავლესობას დემოკრატიულ პარლამენტში, არამედ პროლეტარიატის თვითმპყრობელობას, მის დიქტატურას. და სრულიად აშკარაა, რომ თუ ჩვენს ამოცანას შეადგენს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობა, მაშინ ერთად-ერთი გზა მის გადასაწყვეტად არის მთელი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების თავმოყრა პროლეტარიატის ხელში და შექმნა გარდამავალ პერიოდისათვის ისეთი განსაკუთრებული რეჟიმისა, რომლის დროსაც გაბატონებული კლასი ხელმძღვანელობს არა საერთო ნორმით, რომელიც განწესრიგებულია გრძელი პერიოდისათვის, არამედ რევოლიუციონური მიზანშეწონილობის მოსაზრებებით.

დიქტატურა აუცილებელია იმიტომ, რომ საკითხი დასმულია არა კერძო ხასიათის ცვლილებების, არამედ თვით ბურჟუაზიის არსებობის შესახებ. ამ ნიადაგზე შეთანხმება შეუძლებელია, აქ საკითხის გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ ძალას. პროლეტარიატის თვითმპყრობელობა არ უარყოფს, რასაკვირველია, ცალკე შეთანხმებებს, არც მნიშვნელოვან დათმობას განსაკუთრებით წვრილ ბურჟუაზიისა და გლეხობის მიმართ. მაგრამ ამ შეთანხმებებზე წასვლა პროლეტარიატს შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც დაიპყრობს ხელისუფლების მატერიალურ აპარატს და უზრუნველყოფს თავის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის იმის დამოუკიდებელ გადაწყვეტილების შესაძლებლობას, თუ რის დათმობა და რის უარყოფაა საჭირო სოციალისტურ ამოცანათა ინტერესების მიხედვით.

ამ ჟამად კაუცკი პირწმინდათ უარყოფს პროლეტარიატის დიქტატურას, როგორც „უმცირესობის ძალადობას უმრავლესობაზე", ე. ი. ახასიათებს პროლეტარიატის რევოლიუციონურ რეჟიმს იმავე თვისებებით, როგორითაც ყველა ქვეყნის პატიოსანი სოციალისტები ყოველთვის ახასიათებდენ ექსპლოატატორთა დიქტატურას, თუნდაც დემოკრატიის ფორმებში გამოხვეულს.

უარჰყო რა რევოლიუციონური დიქტატურა, კაუცკიმ პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობის საკითხი გათქვიფა მეორე საკითხში, სახელდობრ სოციალ-დემოკრატიის მიერ ერთ-ერთ მომავალ საარჩევნო კამპანიაში ხმის უმრავლესობით ხელისუფლების დაპყრობის საკითხში. საყოველთაო საარჩევნო უფლება, თანახმად პარლამენტარიზმის იურიდიული ფიქციისა, იძლევა ერის ყველა კლასის ნებისყოფის გამოხატულებას, და, მაშასადამე, უმრავლესობის სოციალიზმისაკენ მიმხრობის შესაძლებლობას ჰქმნის. სანამ ეს თეორეტიული შესაძლებლობა რეალობად არ იქცევა, სოციალისტური უმცირესობა ბურჟუაზიულ უმრავლესობას უნდა ემორჩილებოდეს. პარლამენტარული უმრავლესობის ფეტიშიზმი წარმოადგენს თავისით არა მარტო პროლეტარიატის დიქტატურის უხეშ უარყოფას, არამედ უარყოფას მარქსიზმისაც და საერთოდ რევოლიუციისაც. თუ პრინციპიალურად სოციალისტურ პოლიტიკას დავუქვემდებარებთ პარლამენტარული უმრავლესობის და უმცირესობის საიდუმლოებას, მაშინ ფორმალური დემოკრატიის ქვეყნებში ადგილი აღარ ექნება საერთოდ რევოლიუციონურ ბრძოლას. თუ შვეიცარიაში საყოველთაო ხმის მიცემის საფუძველზე არჩეულ უმრავლესობას გაფიცულთა წინააღმდეგ გამოაქვს დრაკონისებური დადგენილებანი, ან და ჩრდილოეთ ამერიკაში ფორმალური უმრავლესობის ნებისყოფით არსებული აღმასრულებელი ხელისუფლება ჰხურეტს მუშებს, აქვთ თუ არა შვეიცარიელ და ამერიკელ მუშებს „უფლება" საყოველთაო გაფიცვის საშუალებით პროტესტის გამოცხადებისა? ცხადია, არა. პოლიტიკური გაფიცვა არის ფორმა პარლამენტის გარეშე ზეგავლენისა „ნაციონალურ ნებისყოფაზე", რომელიც საყოველთაო ხმის მიცემის საშუალებით გამოიხატა. მართალია, თვით კაუცკის ცოტათი რცხვენია წავიდეს ისე შორს, როგორც ამას მისი პოზიციის ახალი ლოგიკა მოითხოვს. წარსულის რაღაც ნაშთებით შებოჭილი, იგი იძულებულია დაუშვას, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლებაში შეტანილ იქ-

ნას მოქმედებით შესწორებანი... პარლამენტარული არჩევნები, პრინციპიალურად მაინც სოციალ-დემოკრატებს არასოდეს არ მიიჩნდათ ისეთ რამედ, რასაც შეუძლია რეალური კლასობრივი ბრძოლის, მისი შეტაკებების, მოგერიების, შეტევის, აჯანყების მაგიერობა გასწიოს; ეს არჩევნები მიჩნეული იყო ამ ბრძოლაში დამხმარე ელემენტებად, ამასთანავე არჩევნები ერთ ეპოქაში თამაშობდენ მეტს, ხოლო მეორეში უფრო ნაკლებს როლს, რათა დიქტატურის ეპოქაში სრულიად გაჰქრენ.

1891 წელს, ე. ი. სიკვდილის წინადღეებში, ენგელსი, როგორც ჩვენ, ეს არის, ახლა მოვისმინეთ, მტკიცედ იცავდა პროლეტარიატის დიქტატურას, როგორც მისი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ერთად-ერთ ფორმას. თვით კაუცკის არა ერთხელ გაუმეორებია ეს განმარტება. აქედან, სხვათა შორის, ჩანს, როგორი ულირსი ფალსიფიკაციაა კაუცკის ახლანდელი ცდა მოგვიგდოს ჩვენ დიქტატურა, როგორც სპეციალური რუსული გამოგონება.

ვისაც სურს მიზანი, მას არ შეუძლია უარი სთქვას საშუალებაზე. ბრძოლა ისეთი თავგამოდებით უნდა სწარმოებდეს, რომ პროლეტარიატის თვითმპყრობელობა ნამდვილად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს. რაკი სოციალისტური გადატრიალების ამოცანა მოითხოვს დიქტატურას,—„ერთად-ერთ ფორმას, რომელშიაც პროლეტარიატს შეუძლია განახორციელოს სახელმწიფოებრივი ხელისუფლება",—ცხადია, რადაც უნდა დაჯდეს, დიქტატურა უზრუნველყოფილი უნდა იქნას.

დიქტატურის შესახებ წიგნაკის დაწერისათვის საჭიროა საწერკალამი და ქაღალდის დასტა და შეიძლება კიდევ ცოტაოდენი აზრიც თავში. ხოლო იმისთვის, რომ დაწესებულ და განმტკიცებულ იქნეს დიქტატურა, საჭიროა წინააღუდგე ბურჟუაზიის პროლეტარიატის სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისათვის ძირის გამოთხრის განზრახვის დროს. კაუცკი, ცხადია, ფიქრობს, რომ ამის მიღწევა შესაძლებელია მოწუწუნე წიგნაკების საშუალებით. მაგრამ საკუთარ გამოცდილებას უნდა დაენახვებინა მისთვის, რომ ბურჟუაზიაზე გავლენის მოსახვეჭად საკმაო არ არის პროლეტარიატზე გავლენის დაკარგვა.

მუშათა კლასის თვითმპყრობელობის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ იმით, თუ ბატონობას მიჩვეულ ბურჟუაზიას ვაიძულებთ შეიგნოს, რომ მისთვის ძლიერ სახიფათოა წინააღმდეგობა პროლეტარიატის დიქტატურისა, ძირის გამოთხრა მისთვის საბოტაჟით, შეთქმულობით, აჯანყებით და უცხო ქვეყნების ჯარის დახმარებით. უნდა აიძულო ხელისუფლებისაგან გარიყული ბურჟუაზია დაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორჩილდეს. როგორი გზით? ხუცები აშინებდენ ხალხს საიქიოს სასჯელით. ჩვენს განკარგულებაში ასეთი საშუალებები არ არის. არც ხუცების ჯოჯოხეთი მდგარა ოდესმე განცალკევებულად, ანამედ უერთდებოდა წმინდა ინკვიზიციის მატერიალურ ცეცხლს, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოების მორიელებს. იქნებ კაუცკი ფიქრობს, რომ ბურჟუაზიის მოჭკვიანება შეიძლება კატეგორიული იმპერატივის დახმარებით, რომელიც მის უკანასკნელ ნაწერებში სულიწმინდის როლს თამაშობს? ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ პრაქტიკული დახმარება აღვუთქვათ მას იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაწყვეტს კანტურ-ჰუმანიტარულ მისიის გაგზავნას დენიკინისა და კოლჩაკის საბეფოში. ყოველ შემთხვევაში, მას იქ შეძლება მიეცემოდა დარწმუნებულიყო, რომ კონტრ-რევოლიუციონერები ბუნებით უხასიათონი არ არიან, ხოლო იმის წყალობით, რომ მათ ექვსი წელიწადი ომის ცეცხლსა და კვამლში გაატარეს, მათმა ხასიათმა სიმტკიცეც მოიპოვა, ყოველმა თეთრგვარდიელმა უკვე შეითვისა ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ კომუნისტის ჩამოხრჩობა ტოტზე უფრო ადვილია, ვიდრე მისი მოჭკვიანება კაუცკის წიგნაკით. ეს ვაებატონები არ განიცდიან ცრუმორწმუნეობითს შიშს არც დემოკრატიის პრინციპებისაგან და არც ჯოჯოხეთის ალისაგან. მით უმეტეს, რომ ეკლესიის და ოფიციალური მეცნიერების ხუცები მათთან ერთად მოქმედებენ და ათასნაირად შეზავებულ რისხვას თავს ატეხენ მხოლოდ ბოლშევიკებს. რუსი თეთრგვარდიელები იმით გვანან გერმანელ და ყველა სხვა თეთრგვარდიელებს, რომ არ შეიძლება მათი დარწმუნება ან დარცხვენა, შეიძლება მხოლოდ მათი დაშინება ან გაჭყლეტა.

ვინც უარჰყოფს პრინციპიალურად ტეროროიზმს, ე. ი. ზომებს შეიარაღებული და გაშმაგებული კონტრ-რევოლიუციის ჩაღრჩობისას და დაფრთხობისას, მან უარი უნდა სთქვას მუშათა კლასის პოლიტიკურ ბატონობაზე, მის რევოლიუციონურ დიქტატურაზე. ვინც უარჰყოფს პროლეტარიატის დიქტატურას, იგი უარჰყოფს სოციალურ რევოლიუციას და ასამარებს სოციალიზმს.

* * *

ორავითარი თეორია სოციალური რევოლიუციის შესახებ კაუცკის ამ ჟამად არა აქვს. ყოველთვის, როდესაც ის სცდილობს განაზოგადოს რევოლიუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ თავისი დაბეზღება, მას მოჰყავს ჟორესიზმის და ბერნშტეინიანობის გაბურებული წინასწარები.

„1789 წლის რევოლიუციამ,—სწერს კაუცკი,—თვით განდევნა ის უდიდესი მიზეზები, რომლებმაც მისცეს მას ისეთი მკაცრი და ძალადობის ხასიათი და მოამზადა უფრო მსუბუქი ფორმები მომავალი რევოლიუციისათვის" (გვ. 97). ვთქვათ, ეს ასეა, თუმცა ამისათვის უნდა დავივიწყოთ 1848 წლის ივნისის დღეები და კომუნის ჩახრჩობის საშინელებანი. ვთქვათ, მე-XXIII საუკუნის დიდმა რევოლიუციამ, რომელმაც დაუზოგველი ტერორის შემწეობით მოსპო აბსოლუტიზმის, ფეოდალიზმის და კლერიკალიზმის ბატონობა, ნამდვილად მოამზადა პირობები სოციალური საკითხების უფრო მსუბუქად და მშვიდობიანათ გადაწყვეტისათვის. მაგრამ თუნდაც რომ მივიღოთ ეს პირწმინდა ლიბერალური დებულება, ჩვენი მამხილებელი არც ამ შემთხვევაში იქნება მართალი, რადგან რუსეთის რევოლიუცია, რომელიც დაგვირგვინდა პროლეტარიატის დიქტატურით, დაიწყო სახელდობრ იმ მუშაობიდან, რომელიც საფრანგეთში დასრულებულ იქნა მე-XVIII საუკუნის დასასრულს. ჩვენმა წინაპრებმა წარსულ საუკუნეში არ იზრუნეს მოემზადებინათ—რევოლიუციონური ტერორის გზით—დემოკრატიული პირობები ჩვენი რევოლიუციის ზნე-ხასიათის მოლბობისათვის. ეთიურ მანდარინს, კაუცკის, ეს გარემოება მხედველობაში უნდა მიეღო და ბრალი დაედო ჩვენი წინაპრებისათვის და არა ჩვენთვის.

კაუცკი ამ მხრივ თითქო მცირე დათმობაზედაც მიდის. „მართალია,—ამბობს იგი,—ვერც ერთი შორსმჭვრეტელი ადამიანი ეჭვს ვერ შეიტანს იმაში, რომ დამხობა ისეთი სამხედრო მონარქიისა, როგორიც არის გერმანიის, ავსტრიის, რუსეთის მონარქიები, შეიძლებოდეს მხოლოდ ძალადობის საშუალებათა დახმარებით, მაგრამ ამასთან ყოველთვის ნაკლებს ფიქრობდენ (ვინ?) იარაღის გამოყენებაზე სისხლის დასაღვრელად და მეტს მუშათა მოძრაობის იმ საშუალებაზე, რომელიც პროლეტარიატს აქვს შეთვისებული,—მასიურ გაფიცვაზე... მაგრამ არ ველოდით, თუ პროლეტარიატის თვალსაჩინო ნაწილი, რომელიც ხელისუფლებას სათავეში მოექცა, ხელახლა, როგორც ეს მე-XVIII საუკუნის დასასრულში მოხდა, თავის სიშმაგეს და შურისძიებას სისხლის ღვრაში გამოხატავდა. ეს ნიშნავს მთელი განვითარების თავდაყირა დაყენებას" (გვ. 101).

საჭირო იყო, როგორც ეტყობა, ომი და მთელი რიგი რევოლიუციებისა, იმისთვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო კარგად შეგვებედნა ხოგიერთი სწავლული თეორეტიკოსის თავში და გაგვეგო, თუ რა ხდებოდა იქ. თურმე კაუცკი არ ფიქრობდა, რომ რომანოვის და ჰოჰენცოლერნის განდევნა შეიძლებოდა ლაუბობის გზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამავე დროს იგი სერიოზულად ფიქრობდა, რომ სამხედრო მონარქიის დამხობა შესაძლებელია საერთო გაფიცვის საშუალებით, ე. ი. გულზე ხელდაკრეფილი პასიური მანიფესტაციის გზით. მიუხედავად 1905 წლის რუსეთის გამოცდილებისა და მსოფლიო დისკუსიისა ამ საკითხის შესახებ, კაუცკიმ შეინარჩუნა, როგორც სჩანს, ანარქიულ-რეფორმისტული შეხედულება საერთო გაფიცვაზე. ჩვენ შეგვეძლო მოგვეგონებინა კაუცკისთვის ის, რაც 12-დე წლის წინათ დაბეჭდილი იყო მისი საკუთარი ჟურნალის „Neue Zeit-"ის ფურცლებზე, სადაც განმარტებული იყო, რომ საყოველთაო გაფიცვა არის მხოლოდ პროლეტარიატის მობილიზაცია და მისდამი მტრულად განწყობილ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების წინააღმდეგ დაპირისპირება, თორემ გაფიცვას თავის-თავად არ შეუძლია გადასწყვიტოს ამოცანები, რადგან პროლეტარიატის ძალები უფრო მალე ამოიწურება, ვიდრე მისი მტრისა და ეს ადრე თუ გვიან აიძულებს მუშებს დაუბრუნდენ დაზგებს. საყოველთაო გაფიცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება მიეცეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას მოჰყვება შეტაკება მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებთან, ე. ი., როდესაც მას მოჰყვება მუშათა აშკარა რევოლიუციონური აჯანყება. მხოლოდ მოწინააღმდეგის მხარეზე მდგომ არმიის ნებისყოფის მოტეხვით შეუძლია რევოლიუციონურ კლასს გადაწყვიტოს პრობლემა ხელისუფლების შესახებ, რაც ძირითადი ამოცანაა ყოველი რევოლიუციისა. საყოველთაო გაფიცვას ორივე მხარე მიჰყავს ძალების მობილიზაციამდე, იგი იძლევა პირველ სერიოზულ გამოცდას იმისას, თუ რა წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიათ კონტრ-რევოლიუციის ძალებს, მაგრამ მხოლოდ ბრძოლის შემდეგს განვითარებაში, როდესაც მუშათა კლასი შეიარაღებულ აჯანყებაზე გადავა, შეიძლება განსაზღვრა იმ სისხლის ფასისა, რომელიც რევოლიუციონურმა კლასმა უნდა გაიღოს ხელისუფლების მოსაპოვებლად. ხოლო რომ ფასის გაღება მოითხოვს სწორეთ სისხლს, რომ ხელისუფლების დაპყრობისთვის და მისი უზრუნველყოფისთვის გაწეულ ბრძოლაში პროლეტარიატს მოუხდება არა მარტო თავისი სიცოცხლის შეწირვა, არამედ სხვისი მოკვლაც,—ამაში ეჭვი არ შეეჭქონდა არც ერთს სერიოზულ რევოლიუციონერს. თქმა იმისა, რომ პროლეტარიატის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ბურჟუაზიასთან „თავდაყირა აყენებს მთელს განვითარებასაო", ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ზოგიერთი პატივცემული იდეოლოგის თავი წარმოადგენს Camera obscura-ს, ბნელ კამერას, რომელშიაც საგნების ანარეკლი თავდაყირა მოსჩანს.

მაგრამ უფრო მოწინავე და კულტურული, ხანგრძლივი დემოკრატიული ტრადიციების ქვეყნების მიმართაც კაუცკის ისტორიული დებულების სამართლიანობა სრულიად არაფრით არ არის დამტკიცებული. რევიზიონისტები ამას ოდესღაც უფრო პრინციპიალურ ხასიათს აძლევდენ, ისინი ამტკიცებდენ, რომ პროლეტარული ორგანიზაციების ზრდა დემოკრატიის პირობებში უზრუნველყოფს თანდათანობითს და შეუმჩნეველს—რეფორმისტულს, ევოლიუციონურს გადასვლას სოციალისტურ რეჟიმზე; ასეთი გადასვლა, მათი აზრით, მოხდებოდა საყოველთაო გაფიცვის, აჯანყების და პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე.

თავისი მოქმედების იმ კულმინაციურ პერიოდში, კაუცკი ამტკიცებდა, რომ, დემოკრატიის ფორმის მიუხედავად, კაპიტალისტური საზოგადოების კლასობრივი წინააღმდეგობანი ღრმავდებიან, და ამ პროცესს უსათუოდ მოჰყვება რევოლიუცია და პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობაო.

არავინ, რასაკვირველია, არ ცდილა წინასწარ დაეთვალა რიცხვი მსხვერპლისა, რომელსაც გამოიწვევდა პროლეტარიატის რევოლიუციონური აჯანყება და მისი დიქტატურის რეჟიმი. მაგრამ ყველასათვის ცხადი იყო, რომ მსხვერპლის რაოდენობა განისაზღვრებოდა გაბატონებულ კლასთა წინააღმდეგობის გაწევის სიძლიერით. თუ კაუცკის სურს თავისი წიგნაკით სთქვას, რომ დემოკრატიულმა აღზრდამ ვერ შეამცირა ბურჟუაზიის კლასობრივი ეგოიზმი, მაშინ ეს შეიძლება ვიცნოთ და მეტი სიტყვის თქმა საჭირო არ არის.

ხოლო თუ მას სურს დაუმატოს, რომ იმპერიალისტურმა ომმა, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში მძვინვარებდა, **მიუხედავად** დემოკრატიისა, ხელი შეუწყო ზნე-ჩვეულებათა გატლანქვას, განამტკიცა ძალმომრეობა და სრულიად გადააგიწყა ბურჟუაზიას კაცობრიობის მასების განადგურების საქმეში თავაზიანობა—უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ შემთხვევაშიაც იგი მართალია. ყველაფერი ეს მოხდა. მაგრამ ბრძოლაც ხომ სწორედ იმ პირობებში სწარმოებს, რომელიც არსებობს. იბრძვიან არა პროლეტარული და ბურჟუაზიული ჰომუნკულუსები, გამოსულნი ვაგნერ-კაუცკის რეტორტიდან, არამედ იბრძვის რეალური პროლეტარიატი რეალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, როგორიც ისინი გამოვიდენ ხალხთა უკანასკნელ იმპერიალისტურ ომეტახოცვიდან.

ის ფაქტი, რომ დაუნდობელი სამოქალაქო ომი მთელ დედამიწას ედება, კაუცკის მიაჩნია მეორე ინტერნაციონალის „გამოცდილი ძლევამოსილი ტაქტიკის“ უარყოფის დამლუპველ შედეგად.

„იმ დროიდან,—სწერს იგი,—რაც მარქსიზმი ბატონობს სოციალისტურ მოძრაობაში, ეს უკანასკნელი მსოფლიო ომამდე ყველა თავისი შეგნებული დიდი მოძრაობის დროს დაცული იყო დიდი დამარცხებებისაგან. და აზრი თავისი გამარჯვების უზრუნველყოფისა ტერორისტული ბატონობის გზით სრულიად გაჰქრა მისი რიგებიდან".

„ბევრი მოგვცა ამ მხრით იმ გარემოებამ, რომ იმ დროს, როცა მარქსიზმი გაბატონებული სოციალისტური მოძღვრება იყო, დასავლეთ ევროპაში დემოკრატია გამაგრდა და იგი იქ ბრძოლის მიზნიდან პოლიტიკური ცხოვრების საიმედო საფუძვლად გადაიქცა".

ამ „პროგრესის ფორმულაში" მარქსიზმის ერთი ატომიც კი არ არის: კლასთა ბრძოლის რეალური პროცესი, კლასთა მატერიალურ შეჯახებათა განვითარება გათქვეფილია მარქსისტულ პროპაგანდაში, რომელიც დემოკრატიის პირობების წყალობით თითქოს უზრუნველჰყოფს „უფრო გონიერულ" საზოგადოებრივ ფორმებზე უმტკივნეულო გადასვლას. ეს არის ვულგარული აზრი განათლების გავრცელების შესახებ, მე-18 საუკუნისებური დაგვიანებული რაციონალიზმი, იმ განსხვავებით, რომ კონდორსეს იდეები შეცვლილია „კომუნისტური მანიფესტის" გავულგარებით. მთელი ისტორია უდრის საბეჭდავი ქალალდის განუწყვეტელ ტრიალს და ამ „ჰუმანური" პროცესის ცენტრს წარმოადგენს კაუცკის დამსახურებული სამწერლო მაგიდა.

მაგალითად გვისახავენ მეორე ინტერნაციონალის ეპოქის მუშათა მოძრაობას, რომელსაც მარქსიზმის დროშის ქვეშ სიარულის დროს არ განუცდია დიდი დამარცხება თავის შეგნებულ გამოსვლებში. მაგრამ მუშათა მოძრაობამ, მთელი მსოფლიოს პროლეტარიატმა და მათთან კაცობრიობის მთელმა კულტურამ აკი განიცადეს განუსაზღვრელი დამარცხება 1914 წლის აგვისტოში, როდესაც ისტორია ჯამს უკეთებდა სოციალისტური პარტიების ძალებს და უნარიანობას, იმ პარტიების, რომელთა შორისაც სახელმძღვანელო როლი ეკუთვნოდა „დემოკრატიის მტკიცე საფუძვლებზე" დამყარებულს ვითომდა მარქსიზმს. **ეს პარტიები კოტრები აღმოჩნდენ.** მტვრად იქცა მათი წინანდელი მუშაობის ის თვისებები, რომელთა სამარადისო განმტკიცებაც ამ ჟამად კაუცკის სურს. ეს თვისებებია: შეგუება-მოწყობა, „არალეგალურ" მოქმედებათა უარისყოფა, აშკარა ბრძოლის მორიდება, იმედი დემოკრატიისა, როგორც უმტკივნეულო გადატრიალების გზა. ეშინიათ რა დამარცხებისა, იკავებენ რა მასებს ყოველგვარ პირობებში აშკარა ბრძოლაში ჩარევისაგან, გათქვიფეს რა დისკუსიებში საყოველთაო გაფიცვა, მეორე ინტერნაციონალის პარტიებმა მოიმზადეს თავიანთი საშინელი დამარცხება, ვინაიდან ვერ შეს-

ძლეს თითის განძრევაც კი, რომ თავიდან აეცდინათ მსოფლიო ისტორიის უდიდესი კატასტროფა: ოთხი წლის განმავლობაში იმპერიალისტური ელეტა-ხოცვა, რომელმაც წინასწარ განსაზღვრა სამოქალაქო ომის გაშმაგებული ხასიათი. ჭეშმარიტად დაბამბული არახჩინი უნდა დაიხუროს კაცმა არა თუ თვალებზე, არამედ ცხვირსა და ყურებზედაც, რომ ახლა, მეორე ინტერნაციონალის უსახელო დაცემის, მისი ხელმძღვანელი პარტიის, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის, გაკოტრების, მსოფლიო ელეტა-ხოცვის სისხლიანი იდიოტიზმისა და სამოქალაქო ომის გიგანტური გაჭანების შემდეგ, ჩვენს წინააღმდეგ წამოაყენოს ღრმააზროვნება, ლოიალობა, მშვიდობისმოყვარეობა და სიფხიზლე მეორე ინტერნაციონალისა, რომლის მემკვიდრეობასაც ჩვენ ამ ჟამად ლიკვიდაციას ვუშვრებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

111

დემოკრატია.

„ან დემოკრატია, ან სამოქალაქო ომი“.

კაუცკის აქვს ნათელი და ერთად-ერთი მხსნელი გზა: **დემოკრატია**. საჭიროა მხოლოდ, ყველამ იცნოს იგი და ვალდებული გახდეს დაემორჩილოს მას. მემარჯვენე სოციალისტებმა უნდა უარჰყონ სისხლისმღვრელი ძალადობა, რომელსაც ისინი აწარმოებენ, ასრულებენ რა ბურჟუაზიის ნება-სურვილს. თვით ბურჟუაზიამ უნდა უარჰყოს ის აზრი, რომ იგი თავისი ნოსკეების და პოლუჩიკ ფოგელების დახმარებით ბოლომდე შეინარჩუნებს თავის პრივილეგიურ მდგომარეობას. ბოლოს, პროლეტარიატმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა უარჰყოს აზრი ბურჟუაზიის ჩამოგდებისა რაიმე სხვა საშუალებით, გარდა იმისა, რომელიც კონსტიტუციით არის გათვალისწინებული. როდესაც დაცული იქნება ჩამოთვლილი პირობები, სოციალური რევოლიუცია უმტკივნეულოდ გაითქვიფება დემოკრატიაში. წარმატებისათვის საკმაოა, როგორც ჰხედავთ, რომ ჩვენმა მშფოთვარე ისტორიამ თავზე არახჩინი ჩამოიცოს, ხოლო სიბრძნე კაუცკის ბურნუთის კოლოფიდან ისესხოს.

„არსებობს მხოლოდ ორი შესაძლებლობა,—გვასწავლის ჩვენი ბრძენი:—ან დემოკრატია ან სამოქალაქო ომი“ (გვ. 145). და ამას კაუცკი გვეუბნება მაშინ, როდესაც გერმანიაში სადაც „დემოკრატიის“ ფორმალური ელემენტები მოიპოვებიან, სამოქალაქო ომი ერთი საათითაც არ წყნარდება. „უეჭველია,—გვეთანხმება კაუცკი,—ახლანდელი ეროვნული კრების საშუალებით გერმანიის გაჯანსაღება არ შეუძლია, მაგრამ გაჯანსაღების პროცესს ჩვენ ხელის შეწყობის ნაცვლად, ხელს შევუშლით, თუ ბრძოლას ახლანდელი კრების წინააღმდეგ ვაქცევთ ბრძოლად დემოკრატიულ საარჩევნო უფლების წინააღმდეგ“ (გვ. 152). თითქოს მართლაც გერმანიაში საკითხი მდგომარეობდეს მხოლოდ საარჩევნო უფლების ფორმაში და არა ხელისუფლების დაპყრობის რეალობაში.

ახლანდელ ეროვნულ კრებას, აღიარებს კაუცკი, არ შეუძლია „გააჯანსაღოს“ გერმანია. ამიტომ თამაში თავიდან დავიწყოთ, მაგრამ დაეთანხმებიან-კი პარტნიორები? საეჭვოა. თუ პარტია ხელსაყრელი არ არის ჩვენთვის, მაშინ, ცხადია, იგი ხელსაყრელია იმათთვის. ეროვნულ კრებას, რომელსაც „არ შეუძლია გააჯანსაღოს“ ქვეყანა, საკუთარი შეუძლია, ნოსკეს დროებითი დიქტატურის მეოხებით, ნიადაგი მოუმზადოს ლიუდენდორფის „სერიოზულ“ დიქტატურას. ასეთი საქმე დაემართა დამფუძნებელ კრებას, რომელმაც ნიადაგი მოუმზადა კოლჩაკს. კაუცკის ისტორიული დანიშნულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დაუკადოს გადატრიალებას და შემდეგ დასწეროს წიგნაკი, სადაც რევოლიუციის დამარცხება ახსნილი იქნება მთელი წინა ისტორიის მსვლელობით, მიიმუნიდან ნოსკემდე და ნოსკედან ლიუდენდორფამდე. რევოლიუციონური პარტიის ამოცანა სულ სხვაა: მან თავის დროზე უნდა გაითვალისწინოს საფრთხე და მისი თავიდან ასაცილებლად იმოქმედოს. ხოლო ამისთვის ამ ჟამად არ არსებობს სხვა გზა, გარდა იმისა, რომ ძალა-უფლება ხელიდან გამოგლიჯოს მის ნამდვილ მპყრობელთ, აგრარიებს და კაპიტალისტებს, რომელნიც მხოლოდ დროებით იმალებიან ბატონ ებერტების და ნოსკეების ზურგს უკან. ამრიგად, ისტორიული გზა ახლანდელი ეროვნული კრებიდან ორად იყოფა: ან იმპერიალისტების დამჭაშთა დიქტატურა, ან პროლეტარიატის დიქტატურა. გზა „დემოკრატიისაკენ“ არ იხსნება არც ერთი მხრიდან. კაუცკი ამას ვერ ხედავს. იგი მრავალსიტყვიანობით გვიხსნის, რომ დემოკრატიას დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური განვითარებისა და მასების ორგანიზაციულად მომზადებისათვის და რომ მისი მეოხებით პროლეტარიატს შეუძლია მიაღწიოს სრულ განთავისუფლებას (გვ. 72). შეიძლება კაცმა იფიქროს რომ ერფურტის პროგრამის დაწერის შემდეგ ქვეყნად ყურადღების ღირსი მოვლენა აღარ მომხდარა.

ნამდვილად—კი ათეულ წელთა განმავლობაში საფრანგეთის, გერმანიის და სხვა დაწინაურებული ქვეყნების პროლეტარიატი იბრძოდა და ვითარდებოდა; მან ყოველმხრივ გამოიყენა დემოკრატიული დაწესებულებანი და მათს საფუძველზე შეჰქმნა ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციები. მაგრამ ეს გზა პროლეტარიატის აღზრდისა, რომელიც დემოკრატიით სოციალიზმისკენ მიემართებოდა, შეწყვეტილ იქნა არა მცირე-მნიშვნელოვანი მოვლენით—მსოფლიო იმპერიალისტური ომით. კლასობრივმა სახელმწიფომ, მაშინ, როდესაც მისივე მიზნით ომმა იფეთქა, სოციალისტური დემოკრატიის ხელმძღვანელი ორგანიზაციების დახმარებით, მოახერხა პროლეტარიატის მოტყუება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ჩათრევა თავის საქმეებში. ამრიგად, თუმცა დემოკრატიის მეთოდებმა განსაკუთრებულ ეპოქაში უდავო სარგებლობა მოიტანეს, მაგრამ ამ მეთოდების მოქმედება თავისთავად იმდენად სუსტი და შეზღუდული აღმოჩნდა, რომ პროლეტარიატის ორი თაობის აღზრდამ დემოკრატიის პირობებში სრულიად ვერ უზრუნველჰყო საჭირო პოლიტიკური პომზადება ისეთი მოვლენის შეფასებისთვის, როგორიცაა მსოფლიო იმპერიალისტური ომი. ეს გამოცდილება არავითარ საბუთს არ იძლევა იმისას, რომ თუნდაც ომი ათი ან თხუთმეტი წლით უფრო გვიან დაწყებულიყო. პროლეტარიატი პოლიტიკურად უფრო მომზადებული იქნებოდა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფო აბსოლუტიზმთან შედარებით არა მარტო ჰქმნის უკეთეს პირობებს მშრომელთა პოლიტიკური განვითარებისათვის, არამედ საზღვრავს ამავე დრო ამ განვითარებას ბურჟუაზიულ ლეგალობის ფარგლებით და ხელოვნურად აგროვებს და ამაგრებს პროლეტარიატის ზედაფენებში ოპორტუნისტულ ზნეს და ლეგალურ ცრუმორწმუნეობას. იმისთვის, რომ გერმანიის პროლეტარიატი რევოლიუციამდე ამაღლებულიყო მაშინ, როდესაც ომის საშიშროება დაიბადა, დემოკრატიის სკოლა სრულიადაც არ აღმოჩნდა საკმარ. საჭირო შეიქნა ომის ბარბაროსული სკოლა, სოციალ-იმპერიალისტური იმედები, დიდი სამხედრო წარმატებანი და უმაგალითო დამარცხებანი. ამ ამბების შემდეგ, რომელთაც ცოტა რამ მაინც შესცვალეს მსოფლიოში და ერფურტის პროგრამაშიაც-კი, ზოგადი ადგილებით გამოსელა პროლეტარიატის აღზრდისათვის დემოკრატიული პარლამენტარიზმის მნიშვნელობის შესახებ, ნიშნავს პოლიტიკურ ბავშობაში. ჩავარდნას ამაში მდგომარეობს კაუცკის უბედურებაც.

„ღრმა უნდობლობა პროლეტარიატის პოლიტიკური განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი და მისი პოლიტიკაში მონაწილეობისადმი, —სწერს იგი,—ახასიათებდა პრუდონიზმს. ამ ჟამად წარმოიშვა ასეთივე (!!) შეხედულება და გვირჩევენ მას, როგორც უახლოეს აღთქმას სოციალისტური აზროვნებისას, როგორც გამოცდილების ნაყოფს, რომელიც მარქსმა არ იცოდა და არც შეეძლო ცოდნოდა. ნამდვილად კი ეს არის მხოლოდ იმ აზრის ვარიაცია, რომელსაც ნახევარი საუკუნის წინსული აქვს, და, რომელსაც ებრძოდა მარქსი და სძლია კიდეც“ (გვ. 58-59).

ბოლშევიზმი თურმე... შემთბარი პრუდონიზმი ყოფილა. წმინდა თეორეტიულის მხრით ეს არის წიგნაკის ერთ-ერთი ყველაზე ურცხვი მტკიცებათაგანი.

პროუდონისტები უარსჰყოფდენ დემოკრატიას იმავე მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც ისინი საერთოდ უარსჰყოფდენ პოლიტიკურ ბრძოლას. ისინი მომხრენი იყვნენ მუშათა ეკონომიური ორგანიზაციისა სახელმწიფოს ხელისუფლების ჩაურევლად და რევოლიუციონური გადატრიალების გარეშე, — იცავდენ საქონლის მეურნეობის ნიადაგზე მუშათა თვითდახმარების პრინციპს. რამდენადაც მათ გარემოებათა მსვლელობა პოლიტიკურ ბრძოლას უკარნახებდა, ისინი, როგორც წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგები, დემოკრატიას ამჯობინებდენ არა მარტო პლუტოკრატიას, არამედ რევოლიუციონურ დიქტატურასაც. რა არის აქ საერთო ჩვენთან? იმ დროს, როდესაც ჩვენ უარვყავით დემოკრატია პროლეტარიატის თავმოყრილი ხელისუფლებისათვის, პროუდონისტები, პირიქით, მზად იყვნენ შერიგებოდენ ფედერატიულ საფუძველით შეზავებულ დემოკრატიას, ოღონდ კი თავიდან აეცილებინათ მუშათა კლასის რევოლიუციონური ერთხელმწიფება. გაცილებით მეტი საფუძვლიანობით შეეძლო კაუცკის შეედარებინეთ ჩვენ პროუდონისტების მოწინააღმდეგეებთან, **ბლანკისტებთან**, რომელთაც ესმოდათ რევოლიუციონური ხელისუფლების მნიშვნელობა და რომელნიც საკითხს ამ ხელისუფლების დაპყრობის შესახებ არ უკავშირებენ ცრუმორწმუნე დემოკრატიის ფორმალურ ნიშნებს. მაგრამ რათა აზრი მივცეს კომუნისტების შედარებას ბლანკისტებთან, საჭიროა დავუმატოთ, რომ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სახით ჩვენს განკარგულებაში იყო ისეთი ორგანიზაცია გადატრიალებისათვის, რომელზედაც ბლანკისტებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ; ჩვენი პარტიის სახით ჩვენ გვქონდა და გვაქვს პოლიტიკური ხელმძღვანელობის სამაგალითო ორგანიზაცია სოციალური რევოლიუციის დამთავრებული პროგრამით; ბოლოს, საშეურნეო ცვლილებათა ძლიერ აპარატად იყვნენ და დარჩებიან ჩვენი პროფესიონალური კავშირები, რომელნიც სდგანან კომუნიზმის დროშას ქვეშ და მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლებას. ამ პირობებში ლაპარაკი ბოლშევიზმის მიერ პროუდონიზმის პრინციპების განახლების შესახებ შეუძლია მხოლოდ ისეთ კაცს, რომელსაც თეორეტიული კეთილსინდისიანობის და ისტორიული აზრის უკანასკნელი ნიშანწყალიც-კი დაუკარგავს.

დემოკრატიის იმპერიალისტური გადაგვარება.

სიტყვა „დემოკრატია"-ს პოლიტიკურ ლექსიკონში ტყუილად არ აქვს ორგვარი მნიშვნელობა. ერთის მხრით ის ნიშნავს სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო რეჟიმს, რომელიც დაფუძნებულია საყველთაო საარჩევნო უფლებაზე და „ხალხის თვითმპყრობელობის“ სხვა ფორმალურ ატრიბუტებზე. მეორე მხრით დემოკრატიად იწოდებიან თვით ხალხის მასები, რამდენადაც ისინი ჩართულნი არიან პოლიტიკურ ცხოვრებაში; ამასთანავე როგორც პირველის, ისე მეორე მნიშვნელობით ცნება დემოკრატია კლასობრივ განსხვავებებზე მაღლა სდგას.

ტერმინოლოგიის ამ თავისებურობას თავის ღრმა პოლიტიკური საფუძველი აქვს. დემოკრატია, როგორც პოლიტიკური წესწყობილება მით უფრო გამძლე, დასრულებული და შეურყეველია, რაც უფრო მეტი ადგილი უჭირავს ქვეყნის ცხოვრებაში მცხოვრებთა შუათანა, კლასობრივად ნაკლებად დიფერენციაციაქმნილ მასას, ქალაქის და სოფლის წვრილ-ბურჟუაზიას. თავის უმაღლეს აყვავებას მე-XIX-ე საუკუნეში დემოკრატიამ მიაღწია ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებსა და შვეიცარიაში. ამერიკაში ფედერატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დემოკრატია ემყარებოდა ფერმერთა აგრარულ დემოკრატიას. ჰელვეციის პატარა რესპუბლიკაში (შვეიცარიაში) ქალაქების, წვრილი ბურჟუაზია და მაგარი გლეხობა შეადგენდა შეერთებული კანტონების კონსერვატიული დემოკრატიის საფუძველს.

მესამე წოდების ფეოდალიზმთან ბრძოლიდან წარმოშობილი დემოკრატიული სახელმწიფო უკვე ძლიერ ადრე გადაიქცა იმ კლასობრივ ანტაგონიზმის წინააღმდეგ მომქმედ იარაღად, რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოების შიგნით ვითარდებოდა. ბურჟუაზიული დემოკრატია მით უფრო-ახერხებს ამას, რაც უფრო წვრილი ბურჟუაზიის ფართო წრეებს ეყრდნობა იგი, რაც უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ამ უკანასკნელს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში, რაც უფრო ნაკლები ადგილი აქვთ, მაშასადამე, კლასობრივ წინააღმდეგობებს. მაგრამ, რამდენადაც წინ მიდიოდა დრო, იმდენად საშუალო კლასები უიმედოთ რჩებოდენ უკან ისტორიულ განვითარებას და იმდენად მეტად ჭარგავდენ საშუალებას ელაპარაკნათ ერის სახელით. მართალია, წვრილბურჟუაზიული დოქტრინერები (ბერნშტეინი და კომპ.) კმაყოფილებით აბტკიცებდენ, რომ წვრილბურჟუაზიული კლასების გაჭრობა ისე სწრაფად არა ხდება, როგორც ეს წარმოდგენილი ჰქონდა მარქსის სკოლასო. შეიძლება, მართლაც, დავეთანხმოთ იმას, რომ რიცხვობრივ ქალაქისა, და განსაკუთრებით სოფლის წვრილბურჟუაზიულმა ელემენტებმა ჯერ კიდევ ფრიად დიდი ადგილი შეინარჩუნეს, აბგრამ განვითარების მთავარი შინაარსი გამოიხატა იმაში, რომ წვრილმა ბურჟუაზიამ წარმოებითი მნიშვნელობა დაკარგა: ღირებულების ის რაოდენობა, რომელიც ამ კლასს ერის საერთო შემოსა-

ვალში შეჰქონდა, ეცემოდა ბევრად უფრო მეტი სისწრაფით, ვიდრე წვრილი ბურჟუაზიის რიცხვობრივობა. ამის-და გვარად ეცემოდა მისი სოციალური, პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობაც. ისტორიული განვითარება უფრო და უფრო ემყარებოდა არა ამ წარსულის მიერ ნაანდერძევ კონსერვატიულ ფენებს, არამედ საზოგადოების უკიდურეს კლასებს, ე. ი. კაპიტალისტურ ბურჟუაზიას და პროლეტარიატს.

რაც უფრო მეტად ჰკარგავდა წვრილი ბურჟუაზია თავის სოციალურ მნიშვნელობას, მით უფრო ნაკლებად ახერხებდა იგი შრომისა და კაპიტალის ისტორიულ დავაში სამედიატორო მოსამართლის ავტორიტეტულ როლის შესრულებას. ამასთანავე ქალაქის მეშჩანთა და განსაკუთრებით, გლეხობის ძლიერ მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ პოულობდა თავის უშუალო გამოხატულებას პარლამენტარიზმის საარჩევნო სტატისტიკაში. ყველა მოკალაქის, როგორც ამომრჩეველის, ფორმალური თანასწორობა მხოლოდ უფრო აშკარა ხდიდა იმას, რომ „დემოკრატიულ პარლამენტარიზმს" არა აქვს უნარი გადაწყვიტოს ისტორიული განვითარების საკითხები. „თანასწორი" ხმა პროლეტარისა, გლეხისა და ტრესტის ხელმძღვანელისათვის ფორმალურად გლეხს აკისრებდა შუამავალის როლს ორ ანტაგონისტის შორის, საქმით კი სოციალურად და კულტურულად ჩამორჩენილი და პოლიტიკურად უმწეო გლეხობა ყველა ქვეყანაში გადაიქცა უფრო რეაქციონურ, ავანტიურისტულ, უპრინციპო და გამყიდველი პარტიების დასაყრდნობ იარაღად, იმ პარტიების იარაღად, რომელნიც ყოველთვის მხარს უჭერდენ კაპიტალს შრომის წინააღმდეგ.

ბერნშტეინის, ზომბარტის, ტუგან-ბარანოვსკის და სხვათა წინასწარმეტყველობის წინააღმდეგ, საშუალო კლასების ცხოველმყოფელობამ კი არ შეამსუბუქა, უკიდურესად გაამწვავა ბურჟუაზიული საზოგადოების რევოლიუციონური კრიზისი. წვრილი ბურჟუაზიისა და გლეხობის პროლეტარიზაცია რომ წმინდა ქიმიური სახით ხდებოდეს, მაშინ პროლეტარიატის მიერ დემოკრატიული პარლამენტის აპარატის მეოხებით ხელისუფლების მშვიდობიანი გზით დაპყრობა უფრო მოსალოდნელი იქნებოდა, ვიდრე ამას ამ ქამად ვხედავთ. სწორედ ის ფაქტი, რომელსაც წვრილი ბურჟუაზიის მომხრენი ებღაუჭებოდენ—წვრილი ბურჟუაზიის ცხოველმყოფელობა—პოლიტიკური დემოკრატიის გარეგნული ფორმებისათვის საბედისწერო აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც კაპიტალიზმმა მის არსებობას ძირი გამოუთხარა. წვრილმა ბურჟუაზიამ, დაიკავა რა საპარლამენტო პოლიტიკაში ის ადგილი, რომელიც მან წარმოებაში დაჰკარგა, საბო-

ლოვად გაუტეხა სახელი პარლამენტარიზმს, გადააქცია რა იგი გზაკვალ აბნეულ სალაყბოს და საკანონმდებლო ობსტრუქციის დაწესებულებად. მარტო ეს გარემოება საკმაო იყო, რომ პროლეტარიატს მიზნად დაესახა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების აპარატის, როგორც ასეთის, დაპყრობა, დამოუკიდებლად წვრილი ბურჟუაზიისა და მის წინააღმდეგაც-კი,—არა მისი ინტერესების წინააღმდეგ, არამედ მისი ჩლუნგი გონებრივობის, მისი უძლურობით გაურკვეველი პოლიტიკის წინააღმდეგ.

„იმპერიალიზმი,—სწერდა მარქსი ნაპოლეონ მესამის იმპერიის შესახებ,—არის ყველაზე უფრო პროსტიტუციონული და ამასთან ერთად საბოლოვო ფორმა სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისა, რომელიც... ბურჟუაზიამ, როდესაც ამ უკანასკნელმა თავის სრულ განვითარებას მიაღწია, გადააქცია კაპიტალის მიერ შრომის დამონების იარაღად." ეს განმარტება საფრანგეთის იმპერიის რეჟიმზე ეართოა და შეიცავს თანამედროვე იმპერიალიზმს, რომელიც წარმოშვა დიდ სახელმწიფოთა ეროვნული კაპიტალის მსოფლიოს დაპყრობის სურვილით გატაცებამ. ეკონომიურ დარგში იმპერიალიზმის განზრახვა იყო წვრილი ბურჟუაზიის როლის საბოლოოდ დაქვეითება; პოლიტიკის დარგში იგი ნიშნავდა დემოკრატიის სრულ განადგურებას მისი შინაგანი მოლეკულიაოული გარდაქმნით და მის საშუალებათა და დაწესებულებათა თავის მიზნებისათვის დაქვემდებარებით. მოედო რა ყველა ქვეყანას დამოუკიდებლად მათი წინამორბედ პოლიტიკური ბედისა, იმპერიალიზმმა გვიჩვენა, რომ მისთვის უცხოა ყოველგვარი პოლიტიკური ცრუმორწმუნეობა, და რომ იგი ერთნაირად მზად არის და შეუძლია კიდეც სოციალურად გარდაქმნას და დაიქვემდებაროს და ამგვარად გამოიყენოს ნიკოლოზ რომანოვის ან ვილჰელმ ჰოჰენცოლერნის მონარქია, ჩრდილოეთ-ამერიკის შტატების საპრეზიდენტო თვითმპყრობელობა და საფრანგეთის პარლამენტის რამოდენიმე ასი ვითომდა კანონმდებლის უმწეობა. უკანასკნელმა დიდმა ომმა—სისხლიანმა ემბაზმა, რომლის წყალობითაც ბურჟუაზია განახლებას ცდილობდა—თვალწინ გადაგვიშალა ისტორიაში არნახული სურათი ყველა სახელმწიფოებრივი ფორმისა ყოველგვარი მმართველობის სისტემის, პოლიტიკური მიმართულების, სარწმუნოების და ფილოსოფიური სკოლის მობილიზაციისა იმპერიალიზმის სამსახურისათვის. ბევრმა იმ პედანტებიდანაც-კი, რომელთაც გამოეპარათ იმპერიალისტური განვითარების უკანასკნელი ათეული წლების მოსამზადებელი პერიოდი, და რომელნიც ტრადიციულად უყურებდენ დემოკრატიის საყოველთაო ხმის მიცემის და სხვა ამგვარ ცნებებს, ომის დროს იგრძნო, რომ

ჩვეულებრივი ცნებები რალაც ახალი შინაარსით აივსო. აბსოლუტიზმი, პარლამენტური მონარქია, დემოკრატია. იმპერიალიზმის წინაშე—და, მაშასადამე, მისი ადგილის დასაჭერად მომავალი რევოლიუციის წინაშეც—ბურჟუაზიული მფლობელობის ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ფორმა, რუსეთის ცარიზმით დაწყებული და ჩრდილოეთ-ამერიკის კვანძი-დემოკრატიული ფედერალიზმით გათავებული, გათანასწორებულ იქნა უფლებებში და შეკავშირებული ისეთი კომბინაციებით, რომელთა მეოხებითაც ისინი ერთ-ურთს ავსებენ. იმპერიალიზმმა ყველა მის განკარგულებაში მყოფ საშუალებით და, სხვათა შორის, პარლამენტის შემწეობითაც, საარჩევნო ხმების არითმეტიკის დამოუკიდებლად, კრიტიკულ მომენტის დროს შესძლო საესებით დაექვემდებარებია თავის თავისთვის ქალაქების და სოფლების წერილი ბურჟუაზია და და თითქმის პროლეტარიატის ზედაფენებიც. ნაციონალურმა იდეამ, რომლის დროშას ქვეშაც მესამე წოდებამ ხელისუფლებას მიაღწია, იმპერიალისტური ომის დროს ჰპოვა თავისი აღორძინება ნაციონალური თავდაცვის ლოზუნგში. მოულოდნელი ბრწყინვალებით იფეთქა უკანასკნელად ნაციონალურმა იდეოლოგიამ კლასობრივი იდეოლოგიის ხარჯზე. იმპერიალისტური ილუზიების დამსხვრევამ არა მარტო დამარცხებულთა, არამედ—ცოტათი დაგვიანებით—გამარჯვებულთა შორისაც საბოლოოთ მოსცელა ის, რაც ოდესმე ნაციონალურ დემოკრატიას წარმოადგენდა, და მასთან ერთად მოსცელა, მისი მთავარი იარაღი—დემოკრატიული პარლამენტი. ყველგან საოცარი სიცხადით თავი იჩინა წერილი ბურჟუაზიისა და მისი პარტიის გამოფიტულობამ, სისაძაგლემ და უმწეობამ. ყველა ქვეყანაში გადაჭრით დაისვა საკითხი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შესახებ, როგორც საკითხი ორი მოწინააღმდეგის ძალთა აშკარა შეხომებისა: ერთია ცხადათ ან კულისებს უკან გაბატონებული კაპიტალისტთა წრე, რომლის განკარგულებაშიაც ასი ათასი გაწვრთნილი, გამობრძმედილი და არაფრის წინაშე არ დამხვეი ოფიცრობაა, ხოლო მეორე, აჯანყებული რევოლიუციონური პროლეტარიატი. ამ ორი მოწინააღმდეგის შორის სდგას დამფრთხალი, უმწეო და გზა-კვალ აბნეული საშუალო კლასები. ასეთ პირობებში ლაპარაკი პროლეტარიატის მიერ მშვიდობიანი გზით, დემოკრატიული პარლამენტარიზმის შემწეობით, ხელისუფლების დაპყრობის შესახებ საოდავ ტიტინს წარმოადგენს.

სქემა პოლიტიკური მდგომარეობისა მსოფლიო მასშტაბით სრულიად ნათელია. ბურჟუაზიამ და, უპირველესად, გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ, სისხლისაგან დაცლილი და დაუძლურებული

ხალხები მიიყვანა რა დალუპვის კარამდე, გამოააშკარავა, რომ მას სრულიად არ ძალუძს გამოიყვანოს ხალხი საშინელი მდგომარეობიდან და რომ იგი შეუთავსებელია კაცობრიობის შემდგომ განვითარებასთან. ყველა საშუალო პოლიტიკური ჯგუფი, მათს შორის-კი უპირველესად ყველა სოციალ-პატრიოტული პარტია, ცოცხლად ლპება. მათ მიერ მოტყუებული პროლეტარიატი დღითი-დღე პირს იბრუნებს მათგან და მაგრდება თავის რევოლიუციონურ დანიშნულებაში, რ.ოგორც ერთად-ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია იხსნას ხალხი გაველურებისა და დალუპვისაგან. მაგრამ ისტორიამ სრულიადაც არ უბრუნველყო ამ მომენტისათვის პარლამენტის ფორმალური უმრავლესობა სოციალური რევოლიუციის პარტიათა მხარეზე. სხვა სიტყვით—ისტორიამ არ გადააქცია ნაცია სადისკუსიო კლუბად, რომელმაც სოციალურ რევოლიუციაზე გადასვლა წესიერად, ხმის უმრავლესობით, უნდა დაადასტუროს. პირიქით, ნაძალადევი რევოლიუცია აუცილებელი შეიქმნა სწორეთ იმიტომ, რომ ისტორიის გადაუდებელი მოთხოვნილებანი უძლურნი აღმოჩნდენ პარლამენტარული დემოკრატიის აპარატის საშუალებით გზა გაეკაფათ თავიანთთვის. კაპიტალისტური ბურჟუაზია ასეთს ვარაუდს ეწევა: „იმ დროამდე, სანამ ჩემს ხელშია მიწა, ქარხნები, ფაბრიკები, ბანკები, სანამ ჩემს მფლობელობაშია გაზეთები, უნივერსიტეტები, სკოლები, სანამ—და ეს უმთავრესია—ჩემს ხელშია არმიის მართვა-გამგეობა, დემოკრატიის აპარატი ჩემი მონა-მორჩილი იქნება, როგორც უნდა გადააკეთ-გადმოაკეთოთ იგი. მე სულიერად დავიმორჩილებ, ისევე, როგორც ქონებრივად მემორჩილება, დაჩლუნგებულს, კონსერვატიულს, ნებისყოფას მოკლებულს წვრილ ბურჟუაზიას. მისი ოცნება, მისი გულისხრახვა მუდამ ტყვე იქნება ჩემი შენობების, ჩემი ბოგების, ჩემი გეგმების და ჩემი ბოროტმოქმედების სიძლიერისა. მისი უკმაყოფილებისა და დრტვინვის დროს ათობით გამოვძებნი საფრთხისა და შეხის ამცილებელ საშუალებას. როცა საჭირო იქნება, სასიცოცხლოდ გამოვიწვევ ოპოზიციონურ პარტიებს, რომელნიც ხვალ გაქრებიან, დღეს-კი შეასრულებენ თავიანთ მისიას და შეძლებას მისცემენ წვრილ ბურჟუაზიას, გამოააშკარავოს თავისი აღშფოთება ისე, რომ კაპიტალიზმს ვნება არ მიადგეს. საყოველთაო სავალდებულო სწავლების რეჟიმის დროს ხალხის მასა სრული უმეცრების საზღვარზე მეყოლება და ნებას არ მივცემ მას ასცდეს იმ დონეს, რომელსაც ჩემი სულიერი მონობის ექსპერტები ჩემთვის უვნებელად სცნობენ! გარყვნილებას, სიცრუეს და შიშს თვით პროლეტარიატის უფრო პრივილეგიურ ან უფრო ჩამორჩენილ წრეებშიაც შევიტან. და ამ ზომების მეოხებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დრომდე, ვიდრე ხალხის დამორჩილებისა და შიშის აღმძვრელი იარაღი ჩემ ხელთ არის, საშუალებას არ მივცემ მუშათა კლასის ავანგარდს დაიპყროს ხალხის უმრავლესობის შეგნება".

რევოლიუციონური პროლეტარიატის პასუხი ასეთია: „მაშასადამე, ჩვენი ხსნის პირველი პირობა ის არის, რომ ბურჟუაზიას ბატონობის იარაღი ჩამოერთვას. უიმედოა აზრი მშვიდობიანის გზით ხელისუფლებამდე მისვლისა იმ დრომდე, ვიდრე ბურჟუაზიის ხელში დარჩება მეუფეობის ყველა იარაღი. სამჯერ უიმედოა აზრი ხელისუფლებამდე მისვლისა იმ გზით, რომელზედაც ბურჟუაზია თვითონ გვითითებს და იმავე დროს ბარიკადებს ამზადებს,—პარლამენტარული დემოკრატიის გზით. გზა ერთია: ბატონობის მატერიალური აპარატის წართმევით გამოგლეჯა ძალა-უფლებისა ბურჟუაზიის ხელიდან. პარლამენტში ძალთა ზერელე განწყობილების დამოუკიდებლად, მე ავიღებ საზოგადოებრივ განკარგულებაში წარმოების მთავარ ძალებს და საშუალებებს. მეჭგავანთავისუფლებ წვრილ-ბურჟუაზიულ კლასების შეგნებას კაპიტალისტური ჰიპნოზისაგან. მე საქმით დავანახვებ მათ, რას ნიშნავს სოციალისტური წარმოება. მაშინ ხალხის უფრო ჩამორჩენილი, გაუნათლებელი, დაშინებული ნაწილიც-კი მხარს დამიჭერს მე და ნებაყოფლობით და შეგნებულად მიემხრობა სოციალისტური აღმშენებლობის მუშაობას".

როდესაც რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ დამფუძნებელი კრება გარეკა, ეს ფაქტი დასავლეთ ევროპის ხელმძღვანელ სოციალ-დემოკრატებს მეორედ მოსვლად თუ არა, ყოველ შემთხვევაში ისეთ საქციელად მაინც მოეჩვენათ, რომლითაც უხეშად და თვითნებობით სწყდებოდა კავშირი სოციალიზმის მანამდე არსებულ განვითარებასთან. ნამდვილად-კი ეს იყო მხოლოდ აუცილებელი დასკვნა იმ მდგომარეობისა, რომელიც იმპერიალიზმმა და ომმა მოამზადა. რუსეთის კომუნიზმი პირველი დაადგა თეორეტიულ და პრაქტიკულ ჯაჭვთა შედგენის გზას, ეს მოხდა იმავე ისტორიული მიზეზების გამო, რომელთაც რუსეთის პროლეტარიატი პირველი აიძულეს დასდგომოდა ხელისუფლებისათვის ბრძოლის გზას.

ყველაფერი, რაც ამის შემდეგ ევროპაში ხდებოდა, მოწმობს იმას, რომ ჩვენი დასკვნა სწორი იყო. ფიქრი იმის შესახებ, რომ შესაძლებელია აღდგენა დემოკრატიისა მთელი მისი უბიწობით, ნიშნავს თავის გამოკვებას საბრალო რეაქციონური უტოპიებით.

დემოკრატიის მეტაფიზიკა.

კაუცკი, გრძნობს რა დემოკრატიის საკითხში ისტორიული ნიადაგის მეტყველობას, გადადის ნორმატიული ფილოსოფიის ნიადაგზე. იმის მაგიერ, რომ გამოიკვლიოს, რაც არის, იგი მსჯელობს იმის შესახებ, რაც უნდა იყოს.

დემოკრატიის პრინციპები—ხალხის სუვერენიტეტი, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლება, თავისუფლებანი—მისს თვალში ზნეობრივი ვალდებულების შარავანდედით არის შემოსილი. ეს პრინციპები მოლებულია თავისი ისტორიული შინაარსისაგან განყენებულად და მიჩნეულია თავის-თავად ურყევ და წმინდა რამედ. ასეთ მეტაფიზიკურ ცოდვაში ჩავარდნა შემთხვევითი როდია. უაღრესად საყურადღებოა, რომ განსვენებულმა პლეხანოვმაც, რომელიც თავისი შემოქმედების საუკეთესო ხნის განმავლობაში, დაუზოგველი მოწინააღმდეგე იყო კანტიანობისა, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დროს, როდესაც მას პატრიოტიზმის ტალღამ გადაქარა, სცადა ხელი წაეღლო კატეგორიული იმპერატივის ხავსისთვის...

ამ რეალურ დემოკრატიას, რომელსაც ახლა გერმანიის ხალხი პრაქტიკულად ეცნობა, კაუცკი უპირისპირებს რაღაც იდეალურ დემოკრატიას, ისევე, როგორც ეულგარულ მოვლენას—„საგანს თავისში.“ კაუცკი დაბეჯითებით ვერ გვისახელებს ვერც ერთ ქვეყანას, სადაც დემოკრატიას შეეძლოს უზრუნველყოს სოციალიზმზე უმტკივნეულოდ გადასვლა. სამაგიეროდ მან მტკიცედ იცის, რომ ასეთი დემოკრატია უნდა იყოს. გერმანიის ახლანდელ ეროვნულ კრებას, ამ უმწეობის, რეაქციონური ბოროტების და დამამცირებელ მათხოვრობის ორგანოს, კაუცკი უპირისპირებს სხვა, ნამდვილ, ჭეშმარიტ ეროვნულ კრებას, რომელსაც აქვს ყველა უპირატესობა, გარდა, რეალობის უპირატესობისა.

დემოკრატიის ფორმალური დოქტრინა არის არა მეცნიერული სოციალიზმი, არამედ ეგრედწოდებული ბუნებრივი უფლების თეორია. ამ უკანასკნელის არსებას წარმოადგენს აღიარება მუდმივი და უცვლელი უფლებრივი ნორმებისა, რომლებიც სხვადასხვა ხალხს სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა გვარად ჰქონდა გამოხატული, ამასთან მეტად თუ ნაკლებად, განსახღვრული და დამახინჯებული. ახალი ისტორიის ბუნებრივი უფლება, ე. ი. ისეთი, როგორც მოგვცეს საშუალო საუკუნეებმა, შეიცავდა უპირველეს ყოვლისა პროტესტს წოდებრივ პრივილეგიათა, დესპოტიური კანონმდებლობის ბოროტმოქმედებათა და ფეოდალური დადებითი უფლების სხვა „ხელოვნურ“

ნაყოფთა წინააღმდეგ. ჯერეთ ძლიერ სუსტი მესამე წოდების იდეოლოგები ამ წოდების კლასობრივ ინტერესებს გამოხატავდენ ზოგიერთ იდეალურ ნორმებში, რომელნიც შემდეგში გადაიქცევენ დემოკრატიის შესახებ მოძღვრებად და რომელთაც ამასთან ინდივიდუალისტური ხასიათი მიიღეს. პიროვნება არის თვითმიზანი, ყველა ადამიანს აქვს უფლება გამოსთქვას თავისი აზრი წერილობით თუ ზეპირად, ყოველი ადამიანი უნდა სარგებლობდეს თანასწორი საარჩევნო უფლებით. როგორც ფეოდალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ დროშას, დემოკრატიის მოთხოვნებს პროგრესიული ხასიათი ჰქონდა. მაგრამ ბუნებრივი უფლების მეტაფიზიკა (ფორმალური დემოკრატიის თეორია) რაც მეტი დრო გადიოდა, იმდენად უფრო წინ აყენებდა რეაქციონურ მხარეს: იდეალური ნორმების კონტროლის დაწესებას მუშათა მასების და რევოლიუციონური პარტიების რეალურ მოთხოვნილებებზე.

თუ გადავხედავთ მსოფლმხედველობათა ისტორიულ ცვალებადობას, ბუნებრივი უფლების თეორია წარმოგვიდგება უხეშ მისტიკისაგან გაწმენდილი ქრისტიანული სპირიტუალიზმის მოთხრობად. სახარებამ გამოუცხადა მონას, რომ მას ისეთივე სული აქვს, როგორც მონათმფლობელს, და ამგვარად დააწესა ყველა ადამიანის თანასწორობა ზეციური ტრიბუნალის წინაშე. საქმით-კი მონა მონად რჩებოდა, და მორჩილება მის რელიგიურ მოვალეობას შეადგენდა. ქრისტიანობის მოძღვრებაში მონა ჰპოვებდა მისტიურ გამოხატულებას თავისი დამცირებული მდგომარეობის წინააღმდეგ საკუთარი გაუნათლებელი პროტესტისთვის. პროტესტთან ერთად იგი ნუგეშსაც ჰპოვებდა. ქრისტიანობა ეუბნებოდა მას: „შენ უკვდავი სული გაქვს, თუმცა კი დატვირთულ ვირსა ჰგევხარ.“ აქ აღშფოთების ნოტა ისმოდა. მაგრამ იგივე ქრისტიანობა ამბობდა: „დეე, შენ ჰგავდე დატვირთულ ვირს, სამაგიეროდ შენი უკვდავი სულისათვის მომზადებულია საუკუნო ჯილდო.“ აქ-კი ნუგეშის ნოტა ისმოდა. ეს ორი ნოტა ისტორიულ ქრისტიანობაში შეზავებული იყო სხვადასხვა გვარად სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა კლასისთვის. მაგრამ ქრისტიანობა საზოგადოდ, როგორც ყველა სხვა რელიგია გადაიქცა დაბეჩავებული მასების სინიდისის ძილისმომგვრელ იარაღად.

ბუნებრივი უფლება, განვითარდა რა დემოკრატიის თეორიად, ეუბნებოდა მუშას: ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე, მიუხედავად მათი შთამომავლობის, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და იმ როლისა, რომელსაც ისინი ასრულებენ; ხალხის ბედის გადაწყვეტაში ყოველ ადამიანს თანასწორი ხმის უფლება აქვს. ამ იდეალურმა ნორმამ გაარევოლიუციონერა მასების შეგნება იმდენად, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდენადაც იგი შეიქმნა აბსოლუტიზმის, არისტოკრატიული პრივილეგიებისა და ქონებრივი ცენზის გამკიცხავი. მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო მეტად აძინებდა ეს იდეალური ნორმა შეგნებას, აკანონებდა რა გაჭირვებას, მონობას და დამცირებას; განა შეიძლება დამონების წინააღმდეგ აჯანყება, როდესაც ხალხის ბედის გადაწყვეტაში ყოველ ადამიანს თანასწორი ხმის უფლება აქვს?

როტშილდს, რომელმაც ქვეყნის სისხლი და ცრემლი თავის მოგების ნაპოლეონდორებად გადაადნო, ერთი ხმა აქვს საპარლამენტო არჩევნებში. გაუნათლებელი მიწისმთხრელიც, რომელმაც თავისი სახელისა და გვარის მოწერა არ იცის, რომელსაც მთელ თავის სიცოცხლეში ტანგაუხდელად სძინავს და რომელიც საზოგადოებაში დაძვრება, როგორც თხუნელა მიწაში, ხალხის სუვერენიტეტის მატარებელია და როტშილდის თანასწორი სასამართლოს წინაშე და საპარლამენტო არჩევნებში. ცხოვრების რეალურ პირობებში, საშეურნეო პროცესში, სოციალურ ურთიერთობაში, ყოფა-ცხოვრებაში ადამიანები უფროდაუფრო უთანასწორონი ხდებოდენ: ერთ პოლუსზე გროვდებოდა თვალისწარმტაცი ფუფუნება, ხოლო მეორეზე სიღატაკე და უიმედობა. მაგრამ სახელმწიფოებრივ-უფლებრივი ზედნაშენის დარგში ეს პირდაპირენილი წინააღმდეგობა ჰქრებოდა, იქ გზას იკვლევდენ მხოლოდ უსხეულო იურიდიული აჩრდილები. მუშამულე, ბოგანო, კაპიტალისტი, პროლეტარი, მინისტრი, ფეხსაცმელის მწმენდავი,—ყველანი თანასწორი არიან, როგორც „მოქალაქენი", როგორც „კანონმდებელნი". ქრისტიანობის მისტიურმა თანასწორობამ დემოკრატიის ბუნებრივ-უფლებრივი თანასწორობის სახით ერთი ნაბიჯი ჩამოდგა ზეციდან დაბლა, მაგრამ იგი არ დაეშვა მიწაზე საზოგადოების ეკონომიურ საფუძვლამდე. გაუნათლებელ დღიურ მუშისთვის, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ბურჟუაზიის მოსამსახურე დატვირთულ პირუტყვად დარჩა, იდეალური უფლება, რომელიც მას საპარლამენტო არჩევნების მეობებით ხალხის ბედზე გავლენას ანიჭებდა, რჩებოდა ცოტათი მეტ რეალობად, ვიდრე ის ნეტარება, რომელიც მას ზეციურ სამეფოში აღუთქვეს.

მუშათა კლასის განვითარების პრაქტიკული ინტერესების გულისთვის სოციალისტური პარტია განსაზღვრულ ეპოქაში პარლამენტარიზმის გზას დაადგა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ მან პრინციპიალურად მიიღო დემოკრატიის მეტაფიზიკური თეორია, რომელიც ემყარება ზეისტორიულ, ზეკლასიურ უფლების საფუძვლებს. პროლეტარული დოქტრინა დემოკრატიას უყურებდა, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების სასამსახურო იარაღს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც საკუთარ შეეგუა გაბატონებული კლასების მოთხოვნილებებს და მიზნებს. მაგრამ რადგანაც ბურჟუაზიული საზოგადოება ცხოვრობდა პროლეტარიატის შრომით და არ შეეძლო უარეყო მისი კლასობრივი ბრძოლის ნაწილობრივი ლეგალიზაცია, ისე-კი, რომ უკანასკნელს მისი დარღვევა არ შესძლებოდა, ამიტომ სოციალისტური პარტიისთვის შესაძლებელი ხდებოდა ამა თუ იმ პერიოდში და განსაზღვრულ ფარგლებში თავის საარგებლოდ გამოეყენებინა დემოკრატიის მკანიკა, ხოლო მას სრულიადაც არ შეუფიცია მისთვის, როგორც ურყევი პრინციპისთვის.

პარტიის ძირითადი ამოცანა მისი ბრძოლის ყველა ეპოქაში მდგომარეობდა იმაში, რომ შეექმნა რეალური, სამეურნეო, საყოფაცხოვრებო თანასწორობის პირობები ხალხისათვის, როგორც სოლიდარულ საკაცობრიო პანსიონის წევრებისთვის. სწორეთ ამიტომ და ამისათვის პროლეტარიატის თეორეტიკოსების მოვალეობას შეადგენდა გამომეღავნება დემოკრატიის მეტაფიზიკისა, პოლიტიკური მისტიფიკაციის ფილოსოფიური სამოსლით შემოსვისა.

თუ დემოკრატიული პარტია თავისი რევოლიუციონური ამაღლების ეპოქაში, ამეღავნებდა რა საეკლესიო დოგმის დამბეჭავებელ და დამაძინებელ სიცრუეს, უქადაგებდა მასებს: „თქვენ გაძინებენ საიქიოს სამუდამო ნეტარების აღთქმით, აქ კი თქვენ უფლებას მოკლებულნი და თვითნებობის ბორკილებით შებოჭილნი ხართო“, სოციალისტური პარტიაც რამდენიმე ათეული წლების შემდეგ არა ნაკლები უფლებით ეუბნებოდა ამავე მასებს: „თქვენ გაძინებენ მოქალაქობრივი თანასწორობის და პოლიტიკური უფლებების ფიქციით, მაგრამ ამავე დროს წართმეული გაქვთ შესაძლებლობა ამ უფლების რეალიზაციისა; პირობითი და მოჩვენებითი იურიდიული თანასწორობა გადაქცეულია კატორღელის იდეალურ ჯაჭვად, რომლითაც თვითეული თქვენგანი მიჯაჭვულია კაპიტალის ეტლზე“.

თავისი ძირითადი ამოცანისთვის სოციალისტურმა პარტიამ მობილიზაცია უყო მასებს პარლამენტარიზმის საფუძველზედაც, ხოლო არსად და არასოდეს პარტიას, როგორც ასეთს, არ უკისრია მასების მიყვანა სოციალიზმამდე უეცველად და მხოლოდ დემოკრატიის კარებით. მევეგუეთ რა პარლამენტარულ რეჟიმს, წინა ეპოქაში დავკმაყოფილდით დემოკრატიის თეორეტიული მხილებით, ვინაიდან ჯერ კიდევ ძალიან სუსტნი ვიყავით იმისთვის, რომ პრაქტიკულად დაგვეძლია იგი. მაგრამ სოციალიზმის იდეურმა გზამ, რომელიც ყოველგვარ გადახვევისა, დაქვეითებისა და თვით ღალატის მიუხედავად, მაინც მოსჩანდა, წინდაწინვე განსაზღვრა სწორედ ასეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსაყენელი: უკეთდებულ იქნეს დემოკრატია და შეიცვალოს იგი პროლეტარიატის მუშური მექანიზმით იმ მომენტში, როდესაც ეს უკანასკნელი საკმაოდ ლონიერი აღმოჩნდება ასეთი ამოკანის სისრულეში მოსაყვანად.

ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მოწმობას, მაგრამ საკმაოდ ნათელს. „პარლამენტარიზმი,—სწერდა პოლ ლაფარგი რუსულ ქრებულში „სოციალ-დემოკრატი" 1888 წ.,—არის ისეთი მმართველობითი სისტემა, რომლის დროსაც ხალხს ებადება ილიუზია, თითქოს იგი თვითონ განაგებს ქვეყნის საქმეებს. მაშინ როდესაც ნამდვილად ფაქტიური ხელისუფლება ამ დროს ბურჟუაზიის ხელშია, ამასთან არა მთელი ბურჟუაზიის, არამედ მხოლოდ ამ კლასის ზედაფენების ხელში. ბურჟუაზიას თავისი ბატონობის პირველ პერიოდში არ ესმოდა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, იგი არა გრძნობდა ხალხისთვის თვითმმართველობის ილიუზიის შექმნის საჭიროებას, ამიტომ ევროპის ყველა პარლამენტარული ქვეყანა იწყებდა იმით, რომ ხმის მიცემის უფლებას ხლუდავდა: ყველგან დეპუტატების არჩევის შემწეობით ქვეყნის პოლიტიკის ხელმძღვანელობის უფლება პირველხანს ეკუთვნოდათ მხოლოდ ცოტად თუ ბევრად მსხვილ მესაკუთრეებს. ხოლო შემდეგ იგი თანდათან ვრცელდებოდა უფრო მცირე შეძლების მქონე მოქალაქეებზე. სანამ, ზოგიერთ ქვეყანაში, იგი პრიველეგიიდან ყველასი და თვითეულის საყოველთაო უფლებად არ გადაიქცა.

„ბურჟუაზიულ საზოგადოებაში რაც უფრო მეტი საზოგადოებრივი სიმდიდრე გროვდება, მით უფრო მცირე რიცხვი პიროვნებათა ესაკუთრება მას; იგივე ემართება ხელისუფლებას: რაც უფრო იზრდება პოლიტიკური უფლებით აღჭურვილ მოქალაქეთა მასა და ასარჩევ მმართველთა რიცხვი, მით უფროდაუფრო მცირდება იმ პირთა რიცხვი, ვის ხელშიაც თავს იყრის და მონოპოლიად ხდება ეგმმარიტი ხელისუფლება." ასეთია უმრავლესობის საიდუმლოება.

მარქსისტის ლაფარგისათვის პარლამენტარიზმი რჩება მანამდის, სანამ ბურჟუაზიას შენარჩუნებული აქვს ბატონობა. „იმ დღეს, სწერს ლაფარგი,—რა დღესაც ევროპისა და ამერიკის პროლეტარიატი სახელმწიფოს დაიპყრობს, მან უნდა მოაწყოს რევოლიუციონური ხელისუფლება და დიქტატორულად მართოს საზოგადოება, ვიდრე ბურჟუაზია როგორც კლასი არ გაქრება".

კაუცკის თავის დროზე ესმოდა ეს მარქსისტული შეფასება პარლამენტარიზმისა და თითონაც არა ერთხელ გაუმეორებია იგი, თუმცა არა ასეთი გალური სიცხადით და სიმახვილით. თეორეტიუ-

ლი უკანდახევა კაუცკისა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აღიარა რა დემოკრატიის პრინციპი აბსოლუტურად და ურყევად, იგი მატერიალისტური დიალექტიკიდან კვლავ დაუბრუნდა ბუნებრივ უფლებას. ის, რაც გამოამჟღავნა მარქსიზმმა, როგორც ბურჟუაზიის გადამცემი მექანიზმი, და რაც მხოლოდ დროებით უნდა ყოფილიყო პოლიტიკურად გამოყენებული პროლეტარიატის რევოლიუციის მომზადების მიზნებისათვის, კაუცკიმ ბელახლა მონათლა უზენაეს დასაბამად, რომელიც კლასებს ზევით სდგას და აუცილებლად იქვემდებარებს პროლეტარული ბრძოლის მეთოდებს. პარლამენტარიზმის კონტრ-რევოლიუციონურმა გადაგვარებამ თავისი ყველაზე უფრო დასრულებული გამოხატულება ჰპოვა მეორე ინტერნაციონალის დაქვეითებული თეორეტიკოსების მიერ დემოკრატიის გალმერთებაში.

დამფუძნებელი კრება.

საერთოდ თუ ვიტყვით, დემოკრატიულ პარლამენტში პროლეტარიატის პარტიისთვის უმრავლესობის მიღწევა არ არის აუცილებლად შეუძლებელი. მაგრამ ასეთი ფაქტი, კიდევაც რომ განხორციელდეს, მოვლენათა განვითარებაში არაფერს პრინციპიალურად ახალს არ შეიტანს. ინტელიგენციის საშუალო ელემენტებს, პროლეტარიატის პარლამენტარული გამარჯვების გავლენით, შესაძლებელია ნაკლები წინააღმდეგობა გაეწიათ ახალი რეჟიმისათვის. მაგრამ ბურჟუაზიის ძირითადი წინააღმდეგობა განისაზღვრებოდა ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა არმიის განწყობილება, მუშათა შეიარაღება და მეზობელი სახელმწიფოების მდგომარეობა; და საბოქალაქო ომი გაჩაღდებოდა ამ რეალურ გარემოებათა ზედმოქმედებით და არა პარლამენტარიზმის მერყევი არითმეტიკის მიხედვით.

ჩვენ პარტიას უარი არ უთქვამს პროლეტარიატის დიქტატურის გზის გახსნაზე დემოკრატიის კარების საშუალებით, რადგან ცხადად ხედავდა, რომ ასეთს „ლეგალურ" გადასვლას ახალ რეჟიმზე ერთგვარი საგიტაციო და პოლიტიკური უპირატესობა აქვს. სწორედ ამიტომ ვცადეთ ჩვენ დამფუძნებელი კრების მოწვევა. მაგრამ ეს ცდა დამარცხდა. რევოლიუციის წყალობით პოლიტიკური ცხოვრებისათვის ახლად გამოღვიძებული რუსის გლეხი პირისპირ დადგა ათიოდე პარტიის წინაშე, რომელთაგანაც თვითეულმა თითქოს მიზნად დაისახა მისი გზა-კვალის აბნევა. დამფუძნებელი კრება რევოლიუციონურ მოძრაობას გადაეღობა და ამიტომაც გარეკილ იქმნა.

დამფუძნებელი კრების შემთანხმებელი უმრავლესობა წარმოადგენდა ქალაქისა და სოფლის საშუალო კლასების და პროლეტარიატის ჩამორჩენილი ნაწილის მოუმწიფებლობის და გაუბედაობის პოლიტიკურ ანარეკლს. თუ საქმეს განყენებული ისტორიული შესაძლებლობის თვალსაზრისით შევხედავთ, შეიძლება ითქვას, ნაკლებად მტკივნეული იქნებოდა, დამფუძნებელ კრებას რომ ორი-სამი წელიწადი ემუშავნა, ესერებისა და მენშევიკებისთვის მათი კადეტებთან კავშირის გამო საბოლოოდ სახელი გაეტეხა და ამით ბოლშევიკებისთვის ფორმალური უმრავლესობა მოეპოვებინა; დამფუძნებელი კრება დაანახვებდა მასებს, რომ სინამდვილეში არსებობს მხოლოდ ორი ძალა: რევოლიუციონური პროლეტარიატი, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ, და კონტრ-რევოლიუციონური დემოკრატია, რომელსაც გენერლები და ადმირალები მეთაურობენ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ რევოლიუციის შინაგან ურთიერთობათა ტემპის განვითარება სრულიად არ მისდევდა ფეხდაფეხ საერთაშორისო ურთიერთობათ აგანვითარების ტემპს. ჩვენს პარტიას რომ მთელი პასუხისმგებლობა „მოვლენათა მსვლელობის" ობიექტიური პედაგოგიკისთვის მიენდო, მაშინ სამხედრო ამბების განვითარებას შეეძლო გაესწრო ჩვენთვის. გერმანიის იმპერიალიზმს შეეძლო დაეპყრო პეტერბურგი, რომლის ევაკუაციასაც კერენსკის მთავრობა ის იყო უნდა შესდგომოდა, პეტერბურგის დაღუპვა მაშინ ნასიკვდილო ლახვარი იქნებოდა პროლეტარიატისთვის, ვინაიდან რევოლიუციის საუკეთესო ძალები იქ იყვნენ თავმოყრილნი, ბალტიის ფლოტში და წითელ დედაქალაქში.

მაშასადამე, ჩვენ პარტიას შეიძლება ბრალი დაედოს არა იმაში, რომ იგი ისტორიულ განვითარების წინააღმდეგ წავიდა, არამედ იმაში, რომ იგი რამდენსამე პოლიტიკურ საფეხურზე ახტა. მან, გადააბიჯა მენშევიკებს და ეს-ერებს, რათა გერმანეთის მილიტარიზმისთვის შეძლება არ მიეცა გადაებიჯებინა რუსეთის პროლეტარიატისათვის და ანტანტასთან ხავი შეეკრა რევოლიუციის ზურგზე მანამდის, სანამ რევოლიუცია მოასწრებდა მთელს ევროპიერებაზე თავისი ფრთების გაშლას.

ნათქვამიდან ძნელი არ არის პასუხის გამოყვანა იმ ორ კითხვაზე, რომლითაც ეაუცკი მოსვენებას არ გვაძლევს. პირველი, რისთვის მოვიწვიეთ დამფუძნებელი კრება, თუ-კი, მხედველობაში გვქონდა პროლეტარიატის დიქტატურა? მეორე, პირველი დამფუძნებელი კრება, რომლის მოწვევაც საჭიროდ ჩავთვალეთ, ჩამორჩენილი და რევოლიუციის ინტერესებისთვის შეუფერებელი აღმოჩნდა, რატომ

უარვყოფთ ახალი დამფუძნებელი კრების მოწვევას? კაუტკის ფარული აზრი ის არის, ვითომ ჩვენ უარვყავით დემოკრატია არა პრინციპიალური მიზეზებით, არამედ იმისთვის, რომ იგი ჩვენს წინააღმდეგ წავიდა. რათა ამ ინსინუაციის მოკლე ფეხები გამოვაშკარავოთ, საჭიროა აღვადგინოთ ფაქტები.

ლოზუნგი „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს" ჩვენმა პარტიამ წამოაყენა რევოლიუციის დასაწყისშივე, ე. ი. არა თუ დამფუძნებელი კრების დათხოვნამდე, არამედ მიხი მოწვევის დეკრეტამდეც, მართალია, ჩვენ არ ვუპირისპირებდით საბჭოებს მომავალ დამფუძნებელ კრებას, რომლის მოწვევასაც აგვიანებდა ასე კერენსკის მთავრობა და რომელიც ამიტომ უფროდაუფრო პრობლემატიური ხდებოდა, მაგრამ ჩვენ, ყოველშემთხვევაში, დამფუძნებელი კრება, წვრილბურჟუაზიული დემოკრატების მსგავსად, არ მიგვაჩნდა რუსეთის მიწა-წყლის მომავალ პატრონად, რომელიც მოვა და ყველაფერს გადასწყვეტს. ჩვენ ავუხსენით მასებს, რომ ნამდვილ პატრონებად შეუძლიათ იყვნენ და უნდა გახდენ კიდეც თვით მშრომელთა მასების ორგანიზაციები—საბჭოები. ფორმალურად წინასწარვე ჩვენ არ უარვყავით დამფუძნებელი კრება, ჩაეიდინეთ ეს მხოლოდ იმისთვის, რომ მას ვუპირისპირებდით არა საბჭოთა ხელისუფლებას, არამედ ხელისუფლებას თვით კერენსკისას, რომელიც თავის მხრივ მხოლოდ ბურჟუაზიის ნიშანი იყო. ამასთან ჩვენ წინასწარვე გადავწყვიტეთ, რომ იმ შემთხვევაშიაც, თუ დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობა ჩვენ მხარეს იქნებოდა, დამფუძნებელ კრებას თავისი თავი უნდა დაეთხოვა და ძალაუფლება საბჭოებისთვის გადაეცა, როგორც შემდეგში მოიქცა ფრიად დემოკრატიული საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეული პეტერბურგის ქალაქის საბჭო. ჩემს წიგნაკში „ოქტომბრის რევოლიუცია" მე შევეცადე გამომეკვლია ის მიზეზები, რომლის გამოც დამფუძნებელი კრება აღმოჩნდა რევოლიუციის უკვე განვლილი ეპოქის ანარეკლად. რადგან რევოლიუციონური ხელისუფლების ორგანიზაციას ჩვენ ვხედავდით მხოლოდ საბჭოებში და რადგან დამფუძნებელი კრების მოწვევის დროს საბჭოებიც უკვე შეადგენდენ ფაქტიურ ხელისუფლებას, საკითხი აუცილებლად უნდა გადაგვეწყვიტა დამფუძნებელი კრების ძალით დათხოვნის მხრივ. ვინაიდან თვითონ კრებას არ სურდა თავის თავის დათხოვნა, საბჭოების ხელისუფლების სასარგებლოდ.

მაგრამ რატომ არ იწვევთ ახალ დამფუძნებელ კრებასაო, გვეკითხება კაუტკი.

იმიტომ, რომ იგი საჭიროდ არ მიგვაჩნია. თუ პირველ დამფუძნებელ კრებას კიდევ შეეძლო დროებით ეთამაშნა სულ მცირე ხნით პროგრესიული როლი, რათა წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტების თვალში დამარწმუნებელი სანქცია მიეცა საბჭოთა რეჟიმისთვის, რომელიც ის იყო მყარდებოდა,—ეხლა, პროლეტარიატის ორი წლის დიქტატურის ძლევამოსილებასა და ყველა დემოკრატიული ცდის სრული დამარცხების შემდეგ ციმბირში, თეთრი ხლვის ნაპირებზე, უკრაინაში, კავკასიაში, საბჭოთა ხელისუფლება ჭეშმარიტად არ საჭიროებს დამფუძნებელი კრების გახუნებული ავტორიტეტის ლოცვა-კურთხევას. განა უფლება არა გვაქვს დავასკვნათ,—გაიძახის კაუცკი ლოიდ-ჯორჯის ტონით,—რომ საბჭოთა ხელისუფლება განაგებს სახელმწიფოს უმცირესობის სურვილით, რაკი იგი გაურბის თავის ბატონობის შემოწმებას საყოველთაო ხმის მიცემით? აი ლაბვარი, რომელიც მიზანსა სცდება.

საპარლამენტო რეჟიმი "თვით „მშვიდობიან" დროს, როდესაც განვითარება მტკიცე გზით მიდიოდა, ტლანქი მაჩვენებელი იყო ქვეყნის განწყობილებისა, ხოლო რევოლიუციონური ჭარიშხალის ეპოქაში იგი სრულიად ჩამორჩა პოლიტიკური შეგნების, ბრძოლისა და განვითარების მსვლელობას; ამავე დროს საბჭოთა რეჟიმი, რომელიც გაცილებით უფრო მეტად, ორგანიულად და პატიოსნად არის დაკავშირებული ხალხის მშრომელ უმრავლესობასთან, თავის მთავარ დანიშნულებას ხედავს არა იმაში, რომ უმრავლესობა სტატიურად აღრიცხოს, არამედ იმაში, რომ იგი დინამიურად ჩამოაყალიბოს. დაადგა რა რევოლიუციონური დიქტატურის გზას, ამით რუსეთის მუშათა კლასმა სთქვა, რომ გარდამავალ ხანაში იგი თავის პოლიტიკას აშყარებს არა იმაზე, რომ გლეხების ხმების მოპოვებისთვის შეეჯიბროს ჭამელეონურ პარტიებს, არამედ იმაზე, რომ პროლეტარიატთან ხელი-ხელ-ჩაკიდებული გლეხთა მასები ფაქტიურათ ჩაითრიოს ქვეყნის მმართველობის საქმეში მშრომელთა მასების ნამდვილი ინტერესებისათვის. ეს დემოკრატია პარლამენტარიზმზე უფრო ღრმა და მნიშვნელოვანია.

ნუ თუ ჭგონია კაუცკის, რომ ახლა, როდესაც რევოლიუციის მთავარ ამოცანას—სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხს—წარმოადგენს თეთრგვარდიელთა ბანდების თავგამოდებული იერიშების უკუგდება, პარლამენტარული „უმრავლესობა", რანაირიც უნდა ყოფილიყო იგი, შესძლებდა უფრო ენერგიული და თავგანწირული, უფრო ძლევამოსილი ორგანიზაცია მოეწყო რევოლიუციონური თავდაცვისთვის? ბრძოლის პირობები იმდენად ნათელია რევოლიუციონურ ქვეყანაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც ასე აღრჩობს საზიზღარი ბლოკადის რკალი, რომ ყველა საშუალო კლასსა და ჯგუფს დარჩენია არჩევანი მხოლოდ დენიკინსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის. განა საბუთია კიდევ საჭირო, როდესაც პრინციპებით ისეთი საშუალო პარტიებიც კი, როგორიც მენშევიკები და ეს-ერები არიან, დაიყვენ თვით ამავე მიზეზით.

გვაძლევს რა წინადადებას დამფუძნებელი კრების არჩევნებისას, ფიქრობს თუ არა კაუცკი საშოქალაქო ომის შეწყვეტას არჩევნების განმაელობაში? მერე ვისი გადაწყვეტილებით? თუ იგი ფიქრობს ამისათვის მოძრაობაში მოიყვანოს მეორე ინტერნაციონალის ავტორიტეტი, მაშინ უნდა ვაუწყოთ, რომ ამ დაწესებულებას დენიკინის თვალში ცოტათი უფრო მეტი ავტორიტეტი აქვს, ვიდრე ჩვენს თვალში. ხოლო რაკი გრძელდება ომი მუშათა და გლეხთა ჯარსა და იმპერიალიზმის ბანდებს შორის, არჩევნები-კი აუცილებლად საბჭოთა ტერიტორიაზე უნდა მოხდეს, სურს თუ არა კაუცკის მოითხოვოს, რომ ჩვენ ნება დავრთოთ აშკარად გამოვიდენ ის პარტიები, რომელნიც მხარს უჭერენ დენიკინს ჩვენს წინააღმდეგ? ცარიელი და საზიზღარი ლაყბობაა: არც ერთს მთავრობას არასოდეს და არავითარ პირობებში არ შეუძლია მის წინააღმდეგ მებრძოლ მხარეს ნება დართოს თავისი საკუთარი არმიის ზურგს უკან მობილიზაცია უყოს სამტრო ძალებს.

ამ საკითხში უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს იმ ფაქტსაც, რომ მშრომელ მცხოვრებთა საუკეთესო ნაწილი ამჟამად მომქმედ ჯარშია. მოწინავე პროლეტარები და უფრო შეგნებული გლეხები, რომელნიც ყველა არჩევნების დროს, ისევე როგორც ყოველი მასიური პოლიტიკური მოქმედების დროს, პირველ ადგილზე დგანან და მშრომელთა შეხედულებას მიმართულებას აძლევენ,—ყველა ესენი ახლა იბრძვიან და იხოცებიან როგორც წითელი არმიის კომანდირები, კომისრები ან უბრალო ჯარისკაცები.

თუ თვით იმ ბურჟუაზიული სახელმწიფოების უალრესად „დემოკრატიული" მთავრობებიც-კი, რომელთა რეჟიმი პარლამენტარიზმზეა დამყარებული, შეუძლებლად სთვლიდენ საპარლამენტო არჩევნების წარმოებას ომის დროს, მით უმეტეს უაზრობაა, ასეთი არჩევნები მოსთხოვო ომის დროს საბჭოთა რესპუბლიკას, რომლის რეჟიმი ოთხის ოდნადაც არ ემყარება პარლამენტარიზმს. სრულიად საკმაოა ის, რომ **თავის** საარჩევნო დაწესებულებათათვის—ადგილობრივი და ცენტრალური საბჭოებისათვის—რუსეთის რევოლიუციონურ ხელისუფლებას ხელი არ შეუშლია უმძიმეს თვეებსა და დღეებშიც კი განახლებულიყვნენ პერიოდულ ხელახალი არჩევნების გზით.

ბოლოს, უკანასკნელ საბუთად the last and the least—კაუცკის უნდა ვაცნობოთ, რომ რუსეთის კაუცკიანელებიც-კი, ისეთი მენშევიკები, როგორიც მარტოვი და დანია, შესაძლებლად არ სცნობენ ამჟამად დამფუძნებელი კრების მოთხოვნას; მათ ეს საკითხი უკეთესი მომავლისთვის გადასდეს. საჭირო იქნება თუ არა იგი მაშინ? ამაში ნება გვაქვს ეჭვი შევიტანოთ. როდესაც სამოქალაქო ომი დასრულდება, მუშათა კლასის დიქტატურა გაშლის მთელ თავის შემომქმედ ძალას და საქმით უჩვენებს უფრო ჩამორჩენილ მასებს, რის მიცემა შეუძლია მათთვის. შრომის ბეგარის გეგმაშეზომილად გატარების გზით და განაწილების საქმის ცენტრალიზაციის გზით ქვეყნის მთელი მოსახლეობა ჩათრეული იქნება საერთო-საბჭოთა სისტემის მეურნეობასა და თვითმართველობაში. თვით საბჭოები, ახლა ხელისუფლების ორგანოები, თანდათან გაითქვიფებიან წმინდა სამეურნეო ორგანიზაციებში. ასეთ პირობებში საეჭვოა ვინმეს აზრად მოუვიდეს სოციალისტური საზოგადოების რეალურ ქსელს თავზე დაადგას არქაული გვირგვინი,—დამფუძნებელი კრება, რომელიც მხოლოდ დაადასტურებს, რომ რაც საჭირო იყო, უკვე „დაწესდა" მასზე ადრე და უიმისოდ. *)

---

*) რათა მოგვიბილოს დამფუძნებელი კრების სასარგებლოდ, კატეგორიული იმპერატივის საბუთების დასახმარებლად კაუცკის მოჰყავს ვალიუტაზე დამყარებული საბუთი. „რუსეთისთვის აუცილებელია,—სწერს იგი,—უცხოეთის კაპიტალის დახმარება, ხოლო ეს უკანასკნელი არ მიეცემა საბჭოთა რესპუბლიკას, თუ იგი არ მოიწვევს დამფუძნებულ კრებას და არ განახორციელებს პრესის თავისუფლებას, არა იმისათვის, რომ კაპიტალისტები დემოკრატიული იდეალისტები არიან,—ისინი ცარიზმსაც აძლევდენ უყოყმანოდ მილიონებს, არამედ იმისათვისა, რომ მათ არა აქვთ საქმიანი ნდობა რევოლიუციონური მთავრობისადმი" (გვ. 144.

ამ წაკლებში ნაწილობრივი ჭეშმარიტებაა. ბირჟა, მართლაც, ხელს უწყობდა კოლჩაკს, როდესაც იგი დამფუძნებელ კრებას ემყარებოდა, ხოლო ბირჟამ უფრო ენერგიული დახმარება გაუწია კოლჩაკს მაშინ, როდესაც მან დამფუძნებელი კრება გარეკა. კოლჩაკის მაგალითზე ბირჟამ განამტკიცა თავისი რწმენა, რომ ბურჟუაზიული დემოკრატიის მექანიკა შეიძლება გამოიყენო კაპიტალისტური მიზნებისთვის. შემდეგ უკუაგდო იგი როგორც გაცვეთილი ხვარი. საკუთარი შესაძლებელია, რომ ბირჟას ხელახლა მიეცა წინასწარი სესხი დამფუძნებელი კრების გირაოს ქვეშ. წარსულის გამოცდილებაზე დამყარებული იმ რწმენით, რომ დამფუძნებული კრება იქნებოდა კაპიტალისტური დიქტატურისკენ გადამაყალი საფეხური. ბირჟის „საქმიანი ნდობის" შესასყიდათ ასეთი ფასით ჩვენ არ ვემზადებით და ვამჯობინებთ მას იმ „ნდობას", რომელსაც რეალისტურ ბირჟას წითელი არმიის იარაღი შთააგონებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

ტერორიზმი.

კაუცკის წიგნის მთავარ თემას ტერორიზმი შეადგენს. იმ შეხედულებას, თითქოს ტერორიზმი რევოლიუციის არსებით მბარეს ეკუთვნოდეს, კაუცკი ფართოდ გავრცელებულ შეცდომად აცხადებს. ვითომ სწორი არ არის ის აზრი, რომ „ვისაც რევოლიუცია სურს, ის ტერორიზმს უნდა შეურიგდეს". რაც შეეხება თვით კაუცკის, ის საერთოდ მომხრეა რევოლიუციის, ხოლო გადაჭრით წინააღმდეგია ტერორიზმისა. მაგრამ შემდეგში საქმე ძნელდება.

„რევოლიუციას მოაქვს ჩვენთვის,—სჩივის კაუცკი,—სისხლისმღვრელი ტერორიზმი, რომელსაც სოციალისტური მთავრობა ანხორციელებს. რუსეთში პირველად ბოლშევიკები დაადგენ ამ გზას, და ამიტომ მათ მკაცრად ჰგმობდა ყველა სოციალისტი, რომელიც ბოლშევიკების აზრს არ იზიარებდა, მათს, რიცხვში გერმანიის მეუმრაველესეთა სოციალისტებიც. მაგრამ ამ უკანასკნელებმა, როგორც კი იგრძნეს, რომ მათს ბატონობას განსაცდელი მოელის, მიმართეს იმავე ტერორისტული რეჟიმის მეთოდებს, რომელსაც კიცხავდენ აღმოსავლეთში" (გვ. 9). აქედან, ვგონებ, იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება მხოლოდ, რომ ტერორიზმი გაცილებით უფრო ღრმად არის დაკავშირებული რევოლიუციის ბუნებასთან, ვიდრე ამას ზოგიერთნი ბრძენნი ფიქრობდენ, მაგრამ კაუცკის პირდაპირ საწინააღმდეგო დასკვნა გამოჰყავს: საოცარი განვითარება თეთრი და წითელი ტერორიზმისა ყველა უკანასკნელ რევოლიუციაში,—რუსეთისა, გერმანიისა, ავსტრიისა და ჰუნგრეთისაში,—კაუცკის თვალში მოწმობს იმას, რომ ამ რევოლიუციებმა გადაუხვიეს თავიანთ ნამდვილ გზას და გახდენ არა ისეთ რევოლიუციებად, როგორიც უნდა ყოფილიყვნენ კაუცკის თეორეტიული სიზმრების თანახმად. ნუ შევეხებით ღრმად იმ საკითხს, იმპანენტურია თუ არა ტერორიზმი, „როგორც ასეთი," ნუ შევეხებით ნურც რევოლიუციას, „როგორც ასეთს", შევ-

ჩერდეთ მხოლოდ რამდენიმე რევოლიუციის მაგალითზე, როგორც ისინი კაცობრიობის ცოცხალ ისტორიაში ჩვენ თვალწინ მიმდინარეობდენ.

გავიხსენოთ პირველად საერწმუნოებრივი რეფორმაცია, რომლითაც საშუალო ისტორია ახალი ისტორიისაგან იყოფა; რაც უფრო მეტად ეხებოდა იგი ხალხის მასების ღრმა ინტერესებს, მით უფრო ფართოთ იშლებოდა მისი ფრთები, მით უფრო მკაცრ სახეს იღებდა სამოქალაქო ომი საერწმუნოებრივ დროშას ქვეშ, მით უფრო ულმობელი ხდებოდა ორივე მხრის ტერორი.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ინგლისმა ორი რევოლიუცია განიცადა: პირველს, რომელმაც დიდი სოციალური რყევა და ომები გამოიწვია, სხვათა შორის, მოჰყვა მეფე კარლო I-ს სიკვდილით დასჯა, მეორეკი ქეთილად დამთავრდა ტახტზე ახალი დინასტიის ასვლით. ინგლისის ბურჟუაზია და მისი ისტორიკოსები სულ სხვადასხვა თვალით უყურებენ ამ ორ რევოლიუციას: პირველი მათთვის იყო ბრბოს თავხედობა, „დიდი არეულობა", მეორემ-კი „სასახელო რევოლიუციის" სახელი მოიხვეჭა. მიზეზი შეფასების ასეთი სხვადასხვაობისა ჯერ ისევ საფრანგეთის ისტორიკოსმა ოგიუსტ ტიერმა განმარტა. ინგლისის პირველ რევოლიუციაში, „დიდ აჯანყებაში" მოქმედ პირად იყო ხალხი, მეორეში კი იგი თითქმის „სდუმდა". აქედან გამომდინარეობს ის, რომ კლასობრივი მონობის მდგომარეობაში ძნელია დაჩაგრულმა მასებმა კარგი მანერები შეისწავლოს. მოთმინებიდან გამოსულნი, ისინი მოქმედებენ კეტით, ქვით, ცეცხლით და თოკით. ექსპლოატატორთა კარის ისტორიკოსები შეურაცყოფილნი არიან ხოლმე. მაგრამ მაინც, მიუხედავად ამისა, ინგლისის ახალ (ბურჟუაზიულ) ისტორიაში დიად მოვლენად ჩაიწერა არა „სასახელო" რევოლიუცია, არამედ „დიდი არეულობა".

რევოლიუციის და დიდი არეულობის შემდეგ ახალი ისტორიის უდიდეს მოვლენას წარმოადგენს საფრანგეთის მე-18 საუკუნის დიდი რევოლიუცია, რომელიც, თავისი მნიშვნელობით გაკილებით მაღლა სდგას ორ წინა რევოლიუციაზე. ამ კლასიკურ რევოლიუციას თან ახლდა კლასიკური ტერორიზმი. კაუკკი მზად არის აპატიოს იაკობინელებს ტერორი, ვინაიდან მისი აზრით სხვა საშუალებით შეუძლებელი იყო რესპუბლიკის გადარჩენა. მაგრამ ასეთი უკანა რიცხვით გამართლებისაგან საქმეს არაფერი ემატება. მე-18 საუკუნის კაუკკებს (ფრანგ ჟირონდელების ლიდერებს) იაკობინელები უდიდეს ბოროტებად მიაჩნდათ. აი თავისი ბანალობით საკმაოდ დამახასიათებელი დაპირისპირება იაკობინელებისა ჟირონდელებთან, რომელიც ეკუ-

თვნის ერთი ფრანგი მეშჩანური ისტორიკოსის კალამს: „როგორც ერთნი, ისე მეორენი,—სწერს იგი,—რესპუბლიკის მოსურნენი იყვნენ,“ მაგრამ ჟირონდელებს „უნდოდათ რესპუბლიკა თავისუფალი, კანონიერი, მოწყალე. მონტანიარებს-კი სურდათ (!) რესპუბლიკა დესპოტიური და საზარელი. ორივე აღიარებდა ხალხის უზენაეს ხელისუფლებას, მაგრამ ჟირონდელებს ხალხად სამართლიანად მიაჩნდათ ყველა, მონტანიარებისთვის კი... ხალხი იყო მხოლოდ მშრომელი კლასი; ამიტომ, მონტანიარების აზრით, მხოლოდ ამ ხალხის ხელში უნდა ყოფილიყო ბატონობა.“ დამფუძნებელი კრების სულგრძელი რაინდების და რევოლიუციონურ დიქტატურის სისხლისმსმელ გამტარებელთა შორის ანტითეზა აქ საკმაო სისრულით არის დასახული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეპოქის პოლიტიკური ტერმინებია ნახმარი.

რკინისებური დიქტატურა იაკობინელებისა გამოწვეული იყო რევოლიუციონური საფრანგეთის საზარელი მდგომარეობით. აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ ბურჟუაზიული ისტორიკოსი: „უკბოვთის ჯარი ოთხი მხრიდან შეესია საფრანგეთის ტერიტორიას: ჩრდილოეთიდან—ინგლისელები და ავსტრიელები, ელზასს—პრუსიელები, დოფინეს ლიონამდე—პიემონტელები, რუსილიონს—ესპანელები. და ეს იმ დროს, როდესაც სამოქალაქო ომი მძვინვარებდა ოთხ სხვადასხვა ადგილას: ნორმანდიასა, ვანდეასა, ლიონსა და ტულონში“ (176 გვ.). ამას უნდა დავუმატოთ შინაური მტრები, ძველი წესის მრავალრიცხოვანი საიდუმლო მომხრენი, რომელნიც მზად იყვნენ ყველა საშუალებით მიხმარებოდენ მტერს.

პროლეტარული დიქტატურის სიმკაცრე რუსეთში—აღვნიშნაქვე—გამოწვეული იყო არა ნაკლებად ძნელი გარემოებით. ჩრდილოეთით, სამხრეთით, დასავლეთით და აღმოსავლეთით მთლიანი ფრონტი იყო გაბმული. კოლჩაკის, დენიკინის და რუსთა სხვა თეთრგვარდიელ ჯარებს გარდა, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მოქმედობდენ ერთდროულად ცალ-ცალკე: გერმანელები და ავსტრიელები, ჩეხო-სლოვაკები, სერბიელები, პოლონელები, უკრაინელები, რუმინელები, ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები, იაპონელები, ფინები, ესტონელები, ლიტველები... ბლოკადა შემორტყმულ ქვეყანაში, რომელიც სიმშილით იხრჩობოდა, იმართებოდა განუწყვეტელი შეთქმულობანი, აჯანყებანი, ტერორისტული აქტები, ანადგურებდენ საწყობებს, ანგრევდენ გზებსა და ხიდებს.

„მთავრობას, რომელმაც იკისრა უთვალავ შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლა, არა ჰქონდა ფული და არ ჰყავდა საკმაო ჯარი,—არაფერი გააჩნდა, გარდა უსაზღვრო ენერგიისა, რევოლიუციონუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ელემენტების მიერ მხურვალე მხარის დაჭერისა და უდიდესი გამბედაობისა, რათა ქვეყნის გადასარჩენად ყოველგვარი ზომები მიეღო, რაც უნდა თვითნებური, უკანონო და მკაცრი ყოფილიყო ეს ზომები". ასეთი სიტყვებით ახასიათებდა ერთ დროს პლეხანოვი... იაკობინელების მთავრობას („**Социал-Демократ.**") სამთვიური ლიტერატურულ-პოლიტიკური გამოცემა. თებერვალი. ლონდონი. 1890 წ. წერილი: „**დიდი რევოლიუციის ასიწლისთავი,**" (გვერ. 6-7.).

მიემაროოთ რევოლიუციას, რომელიც მოხდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, „დემოკრატიის" ქვეყანაში, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში. თუმცა საქმე შეეხებოდა არა საერთოდ საკუთრების მოსპობას, არამედ მარტო შავკანიანებზე საკუთრების მოსპობას, მაგრამ მაინც კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის საქმეში დემოკრატიული დაწესებულებანი ყოველად უძლურნი აღმოჩნდენ. 1860 წ. პრეზიდენტის არჩევნებში დამარცხებულმა სამხრეთის შტატებმა გადაწყვიტეს, ყოველივე ზომით დაებრუნებინათ ის გავლენა, რომლითაც ისინი მანამდე სარგებლობდენ მონათმფლობელობის ინტერესებისათვის; დაიწყეს რა წარმოთქმა, როგორც წესი და რიგია, მჭეხარე სიტყვებისა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე, ისინი დაადგენ მონათმფლობელთა ამბოხების გზას. აქედან აუცილებლად გამომდინარეობდა სამოქალაქო ომის ყველა შედეგი. ბრძოლის დასაწყისშივე ბალტიმორის სამხედრო ხელისუფლებამ, „habeas corpus"-ის მიუხედავად, ბალტიმორაში მაკ-ჰენრის ფორტში ჩაამწყვდია რამდენიმე მოქალაქე, რომელნიც მონათმფლობელი სამხრეთის მომხრენი იყვნენ. საკითხი ამგვარი მოქმედების კანონიერების თუ უკანონობის შესახებ მხურვალე დავის საგნად გადაიქცა ევრეთწოდებულ „უმაღლეს ავტორიტეტთა" შორის. უზენაესმა მსაჯულმა ტენეიმ დაადგინა, რომ პრეზიდენტს უფლება არა აქვს არც შეაჩეროს მოქმედება „habeas corpus"-ისა და არც მიანდოს მისი შეჩერება სამხედრო ხელისუფლებას. „ასეთია, ალბად სწორი კონსტიტუციონური გადაწყვეტა ამ საკითხისა,—ამბობს ამერიკის ომის ერთ-ერთი პირველი ისტორიკოსთაგანი,—მაგრამ მდგომარეობა იმდენად კრიტიკული იყო და იმდენად აუცილებელი ვახდა გადამწყვეტი ზომების მიღება ბალტიმორის მცხოვრებთა წინააღმდეგ, რომ არა თუ შეერთებული შტატების მთავრობა, არამედ ხალხიც-კი მხარს უჭერდა უაღრესად ენერგიულ ზომებს" („ისტორია ამერიკის ომისა," თხზ. შოტლანდიის გვარდიის მსროლელთა პოდპოლკოვნიკის **ფლეტჩერისა**, თარგმანი ინგლისურიდან, ქ. პეტერბურგი, 1867 წ. გვ. 95).

ზოგიერთი საგნები, რომელიც მეამბოხე სამხრეთს სჭირდებოდა, ფარულად მიჰქონდათ ჩრდილოეთის ვაჭრებს. ჩრდილოელებს, ცხადია, სხვა გზა არა ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ რეპრესიებისათვის მიემართათ. 1861 წ. 6 აგვისტოს პრეზიდენტმა დაამტკიცა კონგრესის დადგენილება „იმ საკუთრების კონფისკაციის შესახებ, რომელიც ხმარდებოდა ამბოხების მიზნებს." ხალხის უფრო დემოკრატიული ნაწილი უკიდურესი ზომების მომხრე იყო. რესპუბლიკანური პარტია ჩრდილოეთში საგრძნობლად სჭარბობდა, ამიტომ ძალადობას ხმარობდენ იმათს წინააღმდეგ, ვისზედაც ეჭვს მიიტანდენ, რომ იგი მხარს უჭერს სამხრეთ შტატებს. ჩრდილოეთის ზოგიერთ ქალაქებში და თვით ახალი ინგლისის შტატებში, რომელიც განთქმული იყო თავისი წესებით, ხალხი ხშირად შევარდებოდა ხოლმე მეამბოხე მონათმფლობელთა მომხრე ჟურნალების კონტორებში და ამსხვრევდა მათს საბეჭდავ მანქანებს. არაერთხელ მომხდარა, რომ რეაქციონერ გამომცემლებს კუპრში ავლებდენ, შემდეგ ფრთებით ამკობდენ და ამრიგად მორთულებს მოედნებზე ატარებდენ იმ დრომდე, ვიდრე კავშირს ერთგულებას არ შეფიცავდენ. კუპრში ამოვლებული პლანტატორის პიროვნება ნაკლებად ჰგავდა „თვითმიზანს," ასე რომ კანტის კატეგორიულ იმპერატივს დიდი ზიანი მიადგა შტატების სამოქალაქო ომის დროს. მაგრამ ესეც ცოტაა. „მთავრობა, თავის მხრივ,—მოგვითხრობს ისტორიკოსი,—ღებულობდა სხვადასხვა დამსჯელ ზომებს იმ გამოცემათა წინააღმდეგ, რომელნიც მის შეხედულებებს არ იზიარებდენ, და მალე მანამდე თავისუფალი ამერიკული პრესა უკეთეს მდგომარეობაში არ იყო, **ვიდრე ავტოკრატიული ევროპის სახელმწიფოების პრესა.**" ასეთი ბედი ეწია სიტყვის თავისუფლებასაც. „ამ სახით,—განაგრძობს პოდპოლკოვნიკი ფლეტჩერი,—ამერიკის ხალხმა იმ დროს უარი განაცხადა თავის თავისუფლების უმეტეს ნაწილზე. უნდა შევნიშნოთ,—დარიგების კილოთი დასძენს იგი,—რომ **ხალხის უმრავლესობა ისე იყო ჩაბმული ომში, იმდენად იყო მზად თავისი მიზნის მისაღწევად გაეღო ყოველივე მსხვერპლი, რომ არა თუ არა სწუხდა დაკარგულ თავისუფლებას, არამედ თითქმის ვერც-კი ამჩნევდა ამას**" („ამერიკის ომის ისტორია," გვ. 162—164).

გაცილებით უფრო უწყალოდ მოქმედებდენ სამხრეთის სისხლისმელი მონათმფლობელნი თავიანთი აღვირწახსნილი მოსამსახურეებით. „ყველგან, სადაც კი მონათმფლობელთა სასარგებლო უმრავლესობა აღმოჩნდებოდა,—მოგვითხრობს პარიზის გრაფი,—საზოგადოების აზრი დესპოტურად ეპყრობოდა უმცირესობას. ყველას,

ვინც კი სწუხდა ნაციონალური დროშისთვის... იძულებით აჩუმებდენ, მაგრამ მალე არც ეს აღმოჩნდა საკმაო; როგორც ყოველი რევოლიუციის დროს, გულგრილნი იძულეს გამოეცხადებინათ ერთგულება ახალი წესებისათვის... ისინი, რომელნიც ამას არ დასთანხმდენ, ბრბოს ზიზღისა და ძალადობის მსხვერპლი გახადეს... ყოველ ცენტრში, სადაც-კი ცივილიზაცია ფეხს იკიდებდა (სამხრეთ-დასავლეთ შტატებში), დაარსდა მეთვალყურე-კომიტეტი იმათგან, რომელნიც საარჩევნო ბრძოლაში თავიანთი უკიდურესობით იყვნენ ცნობილნი... იმათი სხდომის ჩვეულებრივი ადგილი სამიკიტნო იყო. თავაწყვეტილი ორგია და მართლმსაჯულების საზიზღარი პაროდია ერთმანეთში იყო არეული. რამდენიმე ცოფმორეული კაცი, რომელნიც ისხდენ მაგიდას ირგვლივ, სადაც ჯინი და ვისკი იღვრებოდა, ასამართლებდა დამსწრე და არადამსწრე მოქალაქეებს. ბრალდებული დაკითხვამდე უკვე ხედავდა, როგორ უმზადებდენ საშინელ სახრჩობელას. სასამართლოში არ გამოცხადებული მაშინ შეიტყობდა ხოლმე განაჩენს, როდესაც იგი ტყეში მიმალული ჯალათის ტყვიის მსხვერპლი გახდებოდა..." ეს სურათი ძალიან გვაგონებს იმ სცენებს, რომელთაც ყოველდღე ადგილი ჰქონდა დენიკინის, კოლჩაკის, იუდენიჩის და ინგლის-საფრანგეთის და ამერიკის „დემოკრატიის" სხვა გმირთა ბანაკში.

ქვევით დავინახავთ, რა მდგომარეობაში იყო საკითხი ტერორიზმის შესახებ 1871 წლის პარიზის კომუნის დროს. ყოველ შემთხვევაში კაუცკის ცდა, დაგვიპირისპიროს ჩვენ კომუნა, ყოველად უსაფუძვლოა და მიჰყავს ავტორი დაბალი ხარისხის სიტყვიერ თვალთმაქცობამდე.

მძევალთა ინსტიტუტი, როგორც ეტყობა, უნდა ვიცნათ „იმმანენტად" სამოქალაქო ომის ტერორიზმისთვის. კაუცკი წინააღმდეგია ტერორიზმის და მძევალთა ინსტიტუტისა, მაგრამ მოიხრეა პარიზის კომუნისა (NB: კომუნა ცხოვრობდა ორმოცდაათი წლის წინად). კომუნა კი ღებულობდა მძევლებს. აქ პატარა დაბრკოლებაა. მაგრამ რისთვის არსებობს ეგზეგეტიკის ხელოვნება?

კომუნის დეკრეტი მძევალთა შესახებ და მათი დახვრეტა ვერსალელთა მხეცობის საპასუხოდ, წარმოშვა, კაუცკის ღრმაგზროვანი ახსნა-განმარტებით, „ადამიანთა სიცოცხლის შენარჩუნების მისწრაფებამ და არა მათი მოსპობის სურვილმა". საუცხოვო აღმოჩენაა! საჭიროა მხოლოდ მისი გაფართოება. შეიძლება და საჭიროც არის განვმარტოთ, რომ სამოქალაქო ომის დროს ჩვენ ვსპობთ თეთრგვარდიელებს იმისთვის, რომ მათ არ მოსპონ მუშები. მაშასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამე ჩვენი მიზანია, არა სიცოცხლის მოსპობა, არამედ მისი შენარჩუნება. მაგრამ, ვინაიდან სიცოცხლის შესანარჩუნებლად გვიხდება იარაღით ხელში ბრძოლა, ამიტომ მას მივყევართ სიცოცხლის მოსპობამდე,—აი ამოცანა, რომლის დიალექტური საიდუმლოება განმარტა მოხუცმა ჰეგელმა, თუ უფრო ძველი დაოის ბრძენთ არ გაეიხსენეთ.

კომუნას შეეძლო გამაგრებულიყო და დამკვიდრებულიყო მხოლოდ ვერსალელებთან მკაცრი ბრძოლის საშუალებით. ვერსალელებს კი პარიზში მრავალი აგენტი ჰყავდათ. კომუნას, რომელიც ტიერის ბანდებს ებრძოდა, არ შეეძლო არ მოესპო ვერსალელები როგორც ფრონტზე, ისე ზურგში. კომუნის ბატონობა რომ პარიზის საზღვრებს გასცილებოდა, იგი ეროვნული კრების ჯართან სამოქალაქო ომის პროცესში უფრო მეტ მოსისხლე მტერს შეჰხვდებოდა პროვინციის მშვიდობიან მცხოვრებთა შორის. კომუნას, როდესაც იგი მეფეთა მოტრფიალეებს ებრძოდა, არ შეეძლო ზურგს უკან მეფეთა მოტრფიალეთათვის სიტყვის თავისუფლება მიეცა.

კაუცკი, მიუხედავად იმ ამბებისა, რომელიც ახლა დედამიწაზე ხდება, სრულიად ვერ მიმხვდარა, რას ნიშნავს ომი საზოგადოდ და სამოქალაქო ომი—კერძოდ; მას ვერ გაუგია, რომ ტიერის ყოველი, ანუ თითქმის ყოველი მომხრე პარიზში იყო არა უბრალო იდეური „მოწინააღმდეგე" კომუნარებისა, არამედ აგენტი და ჯაშუში ტიერისა, სასტიკი მტერი, რომელიც მზად იყო ესროლა ზურგში. მტერი უნდა გახადო უვნებელი, ხოლო ომის დროს ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა მოსპო იგი...

რევოლიუციის ამოცანა, ისევე, როგორც ომისა, იმაში მდგომარეობს, რომ გასტეხო მტრის ნებისყოფა, აიძულო კაპიტულიაციაზე და მიაღებინო შენი პირობანი. ნებისყოფა, რასაკვირველია, არის ფსიქიური სამყაროს ფაქტი, მაგრამ მიტინგისა, საჯარო დისპუტისა და ყრილობისაგან იმით განსხვავდება რევოლიუცია, რომ იგი სცდილობს განაბორციელოს თავისი მიზნები მატერიალურ საშუალებათა გამოყენების საშუალებით,—თუმცა უფრო ზომიერად, ვიდრე მას ომი იყენებს.

თვით ბურჟუაზიამ ხელისუფლება დაიპყრო აჯანყებებით, ხოლო განამტკიცა იგი სამოქალაქო ომით. მშვიდობიან დროს კი ბურჟუაზია ძალაუფლებას ინარჩუნებს რეპრესიების რთული სისტემით. სანამ არსებობს კლასობრივი საზოგადოება, რომელიც დამყარებულია ღრმა ანტაგონიზმზე, რეპრესიები აუცილებელ პირობას წარმოადგენენ მოწინააღმდეგე მხარის ნებისყოფის დასამორჩილებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევაშიაც-კი, ამა თუ იმ ქვეყანაში დემოკრატიის გარეგან ფარგლებში პროლეტარიატის დიქტატურა რომ დამყარდეს, ამით სრულიად თავიდან აცილებული არ იქნება სამოქალაქო ომი. საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იბატონოს, ე. ი. იარსებოს ბურჟუაზიამ თუ დაიღუპოს იგი, გადაწყდება ორივე მხრით არა კონსტიტუციის მუხლების ძალით, არამედ იმ ძალადობის მეთოდებით, რომელსაც ისინი მიმართავენ. რამდენიც უნდა იკვლიოს კაუცკიმ ანტროპოპიტეკების საზრდო (იხ. მისი წიგნის 85 და შემდეგი გვერდები) და სხვა მახლობელი და შორეული გარემოებანი ადამიანის სიმკაცრის მიზეზის ასახსნელად, იგი ვერ ნახავს ისტორიაში სხვა საშუალებას მტრის კლასობრივი ნებისყოფის მოსატეხად, გარდა ძალადობის მიზანშეწონილად და ენერგიულად გამოყენებისა.

ბრძოლის სიმკაცრე დამოკიდებულია მთელ რიგ შინაგან და საერთაშორისო გარემოებაზე. რაც უფრო მკაცრია და საფრთხეს წარმოადგენს ჩამოგდებული კლასობრივი მტრის წინააღმდეგობა, მით უფრო აუცილებელია რეპრესიების სისტემის ტერორის სისტემად გადაქცევა.

მაგრამ აქ კაუცკი საბჭოთა ტერორიზმთან ბრძოლაში მოულოდნელად ახალ პოზიციაზე სდგება: იგი ხელოვნებით უკუაგდებს რუსეთის ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციონური წინააღმდეგობის სისასტიკეს.

„ასეთი სისასტიკე,—ამბობს იგი,—არ იყო შემჩნეული 1917 წ. ნოემბერში პეტროგრადსა და მოსკოვში და უფრო ნაკლებად ამ ცოტა ხნის წინეთ ბუდაპეშტში“ (გვ. 102). საკითხის ამრიგად დაყენების დროს რევოლიუციონური ტერორიზმი აღმოჩნდება უბრალო ნაყოფად ბოლშევიკების სისხლისმსმელობისა, იმ ბოლშევიკებისა, რომელთაც ერთსა და იმავე დროს გადაუხვიეს ბალახისმძოვნელი ანტროპოპიტეკის ტრადიციებსა და კაუცკიანელობის ზნეობრივ გაკვეთილებს.

საბჭოების მიერ ძალა-უფლების დაპყრობა 1917 წლის ნოემბრის დასაწყისში (ახალი სტილით) მოხდა თავისთავად, სულ მცირე მსხვერპლის გაღებით. რუსეთის ბურჟუაზია იმდენად მოწყვეტილად გრძნობდა თავს ხალხის მასებისაგან, იმდენად უძლური იყო შიგნით, იმდენად სახელგატეხილი ომის მსვლელობით და შედეგით, იმდენად ზნეობრივად გახრწნილი კერენსკის რეჟიმით, რომ მან თითქმის ვერ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა. პეტროგრადში კერენსკის ხელისუფლება დამხობილ იქნა თითქმის უბრძოლველად. მოსკოვში წინააღმდეგობა გაგრძელდა უმთავრესად ჩვენი საკუთარი მოქმედების გაუბედაობის გამო. პროვინციის ქალაქების უმრავლესობაში ხელის-

უფლება საბჭოების ხელში გადაეიდა პეტროგრადიდან გაგზავნილი ტელეგრამების შემდეგ. ამით რომ საქმე გათავებულიყო, წითელ ტერორზე ლაპარაკი სრულიად არ იქნებოდა, მაგრამ უკვე 1917 წლის ნოემბერი შეიქმნა მქონებელთა მიერ წინააღმდეგობის დასაწყისის მოწმედ. საჭირო გახდა, მართალია, დასავლეთის იმპერიალისტური მთავრობების ჩარევა საქმეში იმისთვის, რომ რუსეთის კონტრ-რევოლიუციისათვის საკუთარი თავის რწმენა ჩაენერგათ, ხოლო მისი წინააღმდეგობისთვის—მეტი ძალა მიეცათ. ამის დამტკიცება შეიძლება დიდი და პატარა ფაქტებით, დღითი-დღე, საბჭოთა რევოლიუციის მთელი ხნის განმავლობაში.

კერენსკის ჯარის მთავარსარდლობას კერენსკის დროს არავითარი დასაყრდნობი არა ჰქონდა ჯარისკაცთა მასებში და ფიქრობდა კიდეც წინააღმდეგობის გაუწევლად ეცნო საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც მოლაპარაკება დაიწყო გერმანელებთან დროებითი ზავის დადების შესახებ, მაგრამ ამას მოჰყვა ანტანტის სამხედრო მისიების პროტესტი, რომელსაც თან ახლდა აშკარა მუქარა. მთავარსარდლობა შეშინდა; წაქეზებული „მოკავშირეთა" ოფიცრების მიერ, იგი წინააღმდეგობის გაწევის გზას დაადგა, ამ გარემოებას მოჰყვა შეიარაღებული კონფლიქტი და რევოლიუციონურ მატროსთა ჯგუფის მიერ საველე შტაბის უფროსის გენერალ დუხონინის მოკვლა.

პეტერბურგში ანტანტის ოფიციალური აგენტები, განსაკუთრებით საფრანგეთის სამხედრო მისია, ხელი-ხელ ჩაკიდებული ეს-ერებთან და მენშევიკებთან, აშკარად აწყობდენ საწინააღმდეგო მოქმედებას. საბჭოთა გადატრიალების მეორე დღიდანვე მობილიზაციას ახდენდენ, აიარაღებდენ და აქეზებდენ ჩვენზე იუნკრებს და საერთოდ ბურჟუაზიულ ახალგაზრდობას. იუნკრების აჯანყებას 10 ნოემბერს ასჯერ მეტი მსხვერპლი მოჰყვა, ვიდრე შვიდი ნოემბრის გადატრიალებას. ანტანტის მიერ იმავე დროს გამოწვეულმა კერენსკი-კრასნოვის პეტროგრადზე გალაშქრებამ თავის-თავად შეიტანა ბრძოლაში სიმკაცრის პირველი ელემენტები. მიუხედავათ ამისა, გენერალი კრასნოვი განთავისუფლებულ იქმნა პატიოსანი სიტყვის ჩამორთმევის შემდეგ. იაროსლავის აჯანყება (1918 წლ. ზაფხულზე), რომელმაც ამდენი ხალხი იმსხვერპლა, მოწყობილი იყო სავინკოვის მიერ საფრანგეთის საელჩოს ჩაგონებით და მისივე ხარჯით. არხანგელსკი ხელთ ჩაიგდეს ინგლისის სამხედრო-საზღვაო აგენტების გეგმის თანახმად, ინგლისის სამხედრო გეგმისა და ჰაეროპლანების დახმარებით. ამერიკის ბირეის აგენტის კოლჩაკის მეფობას დასაწყისი მისცა უკვე ძველმა ნისლ,—ჩეხო-სლოვაკიის კორპუსმა,—რომელსაც საფრანგეთი ინახავდა.

ალედინმა და ჩვენ მიერ განთავისუფლებულმა კრასნოვმა, რომელნიც პირველი წინამძღოლნი იყვნენ დონის კონტრ-რევოლიუციისა, ნაწილობრივ გაიმარჯვეს, მხოლოდ გერმანიის აშკარა სამხედრო და ფინანსიური დახმარების წყალობით. უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლება ჩამოგდებულ იქმნა 1918 წლის დასაწყისში გერმანიის მილიტარიზმის მიერ. დენიკინის მოხალისეთა არმია შესდგა ინგლისის და საფრანგეთის ფინანსიურ და ტექნიკურ საღსართა დახმარებით. მხოლოდ ინგლისის ჩარევის იმედით და მისი მატერიალური დახმარებით მოეწყო იუდენიჩის არმია. ანტანტის პოლიტიკოსებს, დიპლომატებს და ჟურნალისტებს ორი წლის განმავლობაში აშკარა კამათი ჰქონდათ იმის შესახებ, ხელსაყრელი საქმეა თუ არა რუსეთის სამოქალაქო ომის ფინანსიურად დახმარება. ასეთ პირობებში ადამიანს საკმარისის შუბლი უნდა ჰქონდეს, რომ რუსეთის სამოქალაქო ომის სისხლისმღვრელი ხასიათი ეძიოს ბოლშევიკების ბოროტ ნებისყოფაში და არა საერთაშორისო მდგომარეობაში.

რუსეთის პროლეტარიატმა პირველმა შესდგა ფეხი სოციალური რევოლიუციის გზაზე და რუსეთის ბურჟუაზიამ, პოლიტიკურად უძლურმა, გაბედა და არ შეურიგდა თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ ექსპროპრიაციას მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველი ქვეყნის ხელისუფლების სათავეში ხედავდა თავის უფროს დას, რომელსაც ჯერ კიდევ ხელთ ეპყრო ეკონომიური, პოლიტიკური და ნაწილობრივ სამხედრო ძლიერება.

ნოემბრის გადატრიალება რომ მომხდარიყო რამდენიმე თვის ან და რამდენიმე კვირის შემდეგ გერმანიასა, საფრანგეთსა და ინგლისში პროლეტარიატის ბატონობის დამყარების დღიდან,—ეჭვი არ არის, ჩვენი რევოლიუცია იქნებოდა მეტად „მშვიდობიანი", მეტად „უსისხლო" ცოდვილ დედამიწაზე შესაძლებელ რევოლიუციათა შორის. მაგრამ ეს ისტორიული რიგი, რომელიც უფრო „ბუნებრივი" იყო პირველი შეხედვით და, ყოველ შემთხვევაში, უფრო ხელსაყრელი რუსეთის მუშათა კლასისთვის, დაირღვა—არა ჩვენი მიზეზით, არამედ გარემოებათა გამო: იმის მაგიერ, რომ რუსეთის პროლეტარიატი უკანასკნელი ყოფილიყო, იგი პირველი აღმოჩნდა. პირველი მერყეობის შემდეგ სწორედ ამ გარემოებამ მისცა თავგანწირული ხასიათი რუსეთში წინეთ გაბატონებულ კლასების წინააღმდეგობას; ამანვე აიძულა რუსეთის პროლეტარიატი, უდიდეს საფრთხის დროს, როდესაც გარედან თავს ესხმოდენ, ხოლო შიგნით შეთქმულობას და აჯანყებებს აწყობდენ, მიემართა სასტიკი სახელმწიფოებრივი ტერორისთვის. ახლა ვეღარავინ იტყვის, რომ ეს ზომები უადგილო და

მიზანშეუწონელი იყო, მაგრამ იქნება სთქვან, რომ ასეთი ზომები „დაუშვებელიაო“?

მუშათა კლასმა დაიპყრო რა ძალა-უფლება, თავის ამოცანად და მოვალეობად დაისახა განემტკიცებინა იგი, უზრუნველეყო თავისი ბატონობა უკილობლად, თავის მტრებისთვის ჩაეკლა საბელმწიფოებრივი გადატრიალების სურვილი და ამით უზრუნველეყო თავის თავისთვის სოციალისტურ რეფორმათა შესაძლებლობა. სხვაფრივ საჭირო არ იყო ძალა-უფლების ხელში ჩაგდება.

რევოლიუცია „ლოლიკურად“ არ მოითხოვს ტერორიზმს, როგორც იგი „ლოლიკურადვე“ არ მოითხოვს შეიარაღებულ აჯანყებას. ეს მხოლოდ მრავალმეტყველი ბანალობაა. სამაგიეროდ რევოლიუციონური კლასისაგან რევოლიუცია მოითხოვს, რომ მან მიაღწიოს თავის მიზანს ყველა იმ საშუალებით, რომელიც მის განკარგულებაშია; თუ საჭირო იქნება—შეიარაღებული აჯანყებით, თუ გარემოებამ მოითხოვა—ტერორიზმით. რევოლიუციონური კლასი, რომელმაც იარაღით ხელში ძალა-უფლება მოიპოვა, მოვალეა და ეცდება კიდეც იარაღით ხელში ამოფხვრას და გაანადგუროს ყოველივე ის ცდა, რომელიც მიმართული იქნება მისი ხელიდან ძალა-უფლების გამოგლეჯისკენ. იქ, სადაც მის წინააღმდეგ მტრული არმია იქნება, იგი მას თავის არმიას დაუპირისპირებს; იქ, სადაც მის წინააღმდეგ ადგილი ექნება შეთქმულობას, თავდასხმას, ამბოხებას—იგი თავის მტერს სასტიკად გაუსწორდება. იქნებ კაუცკიმ სხვა საშუალებანი აღმოაჩინა? ან და იქნებ იგი მხოლოდ რეპრესიების ხარისხზე ლაპარაკობს და წინადადებას იძლევა ყველა შემთხვევაში დამნაშავენი დახვრეტის მაგიერ დაპატიმრებულ იქმნეს.

საკითხი რეპრესიების ფორმისა ან ხარისხის შესახებ, რასაკვირველია, „პრინციპიალური“ არ არის. ეს არის მიზანშეწონილობის საკითხი. რევოლიუციონურ ეპოქაში, ხელისუფლებიდან გარიყული პარტია, რომელიც ვერ ურიგდება მმართველი პარტიის გამძლეობას, რასაც მის წინააღმდეგ გაცოფებულ ბრძოლაში გამოხატავს, არ შეიძლება მოდრიკო დაპატიმრების მუქარით, ვინაიდან მას არა სწამს უკანასკნელის ხანგრძლივობა. სწორედ ამ უბრალო, მაგრამ გადამწყვეტი ფაქტით აიხსნება ის გარემოება, რომ სამოქალაქო ომში დახვრეტას დიდი ადგილი უჭირავს.

ან და იქნება კაუცკის უნდა სთქვას, რომ დახვრეტა საერთოდ მიზანშეწონილი არ არის, რომ „კლასების დაფრთხობა შეუძლებელია“? ეს მართალი არ არის, ტერორი უძლურია—და ისიც მხო-

ლოდ „უკანასკნელ ღამს," მაშინ როდესაც, მას რეაქცია იყენებს ისეთი კლასის წინააღმდეგ, რომელიც ისტორიულად წელში იმართება. მაგრამ ტერორი შეიძლება საუკეთესო საშუალებად გამოდგეს რეაქციონური კლასის წინააღმდეგ, რომელსაც სცენიდან ჩამოსვლა არა სურს. შიშის-ზარის დაცემა უძლიერესი საშუალებაა როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო პოლიტიკისთვის. ომი, ისევე, როგორც რევოლიუცია, დაშინებას ემყარება. გამარჯვებული ჯარი ახადგურებს ჩვეულებრივ დამარცხებული არმიის მხოლოდ მცირე ნაწილს, რითაც შიშსა ჰგვრის დანარჩენებს და იმორჩილებს მათს ნებისყოფას. ასევე მოქმედობს რევოლიუცია: იგი სიცოცხლეს ასალმებს ერთეულებს, ხოლო შიშსა ჰგვრის ათასს. ამ აზრით წითელი ტერორი პრინციპიალურად არ განირჩევა შეიარაღებული აჯანყებისაგან, რომლის პირდაპირ განგრძობასაც იგი წარმოადგენს. „მორალურად" რევოლიუციონური კლასის სახელმწიფოებრივი ტერორის დაგმობა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც პრინციპიალურად უარჰყოფს (სიტყვით) ყოველგვარ ძალადობას—მაშასადამე, ყოველგვარ ომს და ყოველგვარ აჯანყებას. ამისთვის საჭიროა კაცი პირმოთნე კვაკერი იყოს.

„მაგრამ ამ შემთხვევაში რითი განირჩევა თქვენი ტაქტიკა ცარიზმის ტაქტიკისაგან?"—გვეკითხებიან ჩვენ ლიბერალიზმისა და კაუცკიანელობის ხუცები.

განა, თქვენ, წმიდანნო, ეს არ გესმით? მაშ აგიხსნით. ცარიზმის ტერორი მიმართული იყო პროლეტარიატის წინააღმდეგ. მეფის ჟანდარმერია აღორჩობდა მუშებს, რომელნიც სოციალისტური წყობილებისთვის იბრძოდენ. ჩვენი საგანგებო კომისიები-კი ხვრეტენ მემამულეებს, კაპიტალისტებს, გენერლებს, რომელნიც სცდილობენ კაპიტალისტური წყობილების აღდგენას. გესმით თუ არა ეს... განსხვავება? ოო? ჩვენთვის, კომუნისტებისთვის, ეს სრულიად საკმაოა.

„პრესის თავისუფლება".

ყველაზე მეტად კაუცკის, ამ უამრავი წიგნისა და წერილის ავტორს, ერთი მუხლი აწუხებს: ეს არის პრესის თავისუფლება. განა დასაშვებია გაზეთების დახურვა?

ომის დროს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ყველა დაწესებულება და ორგანო და საზოგადოებრივი აზრი, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ომის წარმოების ორგანოებად ხდებიან. უპირველეს ყოვლისა ეს პრესას ეხება. „არცერთი მთავრობა, რომელიც სერიოზულ ომს აწარმოებს, ნებას არ მისცემს, რომ მის ტერიტორიაზე არსე-

ბობდენ ისეთი გამოცემანი, რომელნიც აშკარად ან ნილაბაფარებულნი ხელს უწყობდენ მტერს. მით უმეტეს შეუძლებელია ეს სამოქალაქო ომის დროს. უკანასკნელის ბუნება ისეთია, რომ ყოველ მებრძოლ მხარეს თავისი არმიის ზურგს უკან ჰყავს მცხოვრებთა საგრძნობი წრეები, რომელნიც მტრის მხარეზე დგანან. ომში, სადაც გამარჯვება და დამარცხება სიკვდილით იწონება, ზურგს უკან შეჭრილი მტრის აგენტებს დახვრეტით სჯიან. ასეთი მოქმედება ჰუმანიური არ არის, მაგრამ ომი, მით უმეტეს სამოქალაქო ომი, ჯერ არავის ჩაუთვლია ჰუმანიზმის სკოლად. განა შეიძლება კაცმა სერიოზულად მოსთხოვოს, რომ დენიკინის თეთრგვარდიელებთან ომის დროს პეტერბურგსა და მოსკოვში დაუბრკოლებლივ გამოდიოდენ ისეთი პარტიების გამოცემანი, რომელნიც ხელს უწყობდენ დენიკინს? ამისი მოთხოვნა პრესის თავისუფლების სახელით იგივეა, რაც გამოქვეყნების სახელით სამხედრო საიდუმლოების განცხადების მოთხოვნა.

„გარშემორტყმულ ქალაქს,—სწერდა კომუნარი არტურ არნუ პარიზის შესახებ,—არ შეუძლია ნება მისცეს, რომ მის წრეში აშკარად გამოსთქვამდენ მისი დაცემის სურვილს, რომ მოუწოდებდენ ღალატისთვის იმ მეომრებს, რომლებიც მას იცავენ, და რომ მტერს ატყობინებდენ მისი ჯარის მოძრაობას. ასეთი იყო პარიზის მდგომარეობა კომუნის დროს“. ასეთივეა საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობა მისი არსებობის ორი წლის განმავლობაში.

მაგრამ მოვუსმინოთ მაინც, რას ამბობს ამის შესახებ კაუცკი:

„ამ სისტემის გამართლებას (ე. ი. პრესის მიმართ რეპრესიებისა) ასაბუთებენ გულუბრყვილო წარმოდგენით, ვითომ, არსებობდეს აბსოლუტური ჭეშმარიტება (!) და ამ ჭეშმარიტების მატარებელნი ვითომ მხოლოდ კომუნისტები იყვნენ. ამგვარადვე,—განაგრძობს კაუცკი,—ასაბუთებენ მას სხვა მოსაზრებით, ვითომ ყველა მწერალი მატყუარა იყოს (!) და მხოლოდ კომუნისტები იყვნენ ჭეშმარიტების ფანატიკოსები. ნამდვილად-კი მატყუარები და ფანატიკოსები იმისი, რასაც ისინი ჭეშმარიტებად სთვლიან, ყველა ბანაკში მოიპოვება“. და სხვა და სხვა (გვ. 119).

ამგვარად, კაუცკისათვის რევოლიუცია თავის მწვავე ფაზაში, როდესაც საქმე ეხება კლასების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს, წინანდებურად რჩება ლიტერატურულ დისკუსიად ჭეშმარიტების დამყარების მიზნით. რა ღრმა აზრია!.. ჩვენი „ჭეშმარიტება“, რასაკვირველია, აბსოლუტური არ არის, ხოლო რადგან ჩვენ ამჟამად მისი სახელით ვლვრით სისხლს—არა გვაქვს არც საბუთი, არც შესაძლებ-

ლობა ვაწარმოვოთ ლიტერატურული დისკუსია შედარებითი ჭეშმარიტების შესახებ იმათთან, ვინც ჩვენ „გვაკრიტიკებს" ყოველგვარი იარაღის დახმარებით. ამგვარადვე ჩვენს ამოცანას ის კი არ შეადგენს, რომ დავსაჯოთ მატყუარები და წავაქეზოთ ყველა მიმართულების პრესის მართლმორწმუნენი, არამედ ის, რომ ჩავახრჩოთ ბურჟუაზიის კლასობრივი სიცრუე და უზრუნველვყოთ პროლეტარიატის კლასობრივი სიმართლის გამარჯვება, დამოუკიდებლად იმისა, რომ ორივე ბანაკში მოიპოვებიან ფანატიკოსებიც და მატყუარებიც.

„საბჭოთა ხელისუფლებამ,—მწუხარებით განაგრძობს კაუცკი,—დაარღვია ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც დახმარება შეეძლო გაეწია კორრუპციის წინააღმდეგ: პრესის თავისუფლება. პრესის განუსაზღვრელ თავისუფლების საშუალებით გაწეულ კონტროლს შეუძლია მხოლოდ ალაგმოს ყველა ის ბანდიტი და ავანტიურისტი, რომელნიც ეტმასნებიან განუსაზღვრელ უკონტროლო ხელისუფლებას"... (გვ. 140). ასევე განაგრძობს შემდეგ კაუცკი.

პრესა როგორც ჭეშმარიტი იარაღი კორრუპციასთან საბრძოლველად! ეს ლიბერალური რეცეპტი განსაკუთრებით საოცდავად მოისმის მაშინ, როდესაც გაიხსენებ ჯერ ქვეყანას, სადაც პრესა ყველაზე უფრო თავისუფალია,—ჩრდილოეთ-ამერიკას და საფრანგეთს, რომელნიც ამავე დროს კაპიტალისტური კორრუპციის უმაღლესი აყვავების ქვეყნები არიან.

კაუცკი, იკვებება რა რუსეთის რევოლიუციის პოლიტიკური უკანა ეზოს ჭორებით, ფიქრობს, რომ რაკი კადეტურ-მენშევიკური ხმა დახშულია, საბჭოთა აპარატს „ბანდიტები და ავანტიურისტები" ხრავენ. ამას გაიძახოდენ მენშევიკები წელიწად-ნახევრის წინედ. მაგრამ ახლა ისინი ველარ გაბედავენ ამის გამეორებას. საბჭოთა კონტროლისა და პარტიული ამხ. გადარჩევის საშუალებით, ბრძოლის გართულებულ ატმოსფერაში, საბჭოთა ხელისუფლება გადატრიალების დროს ამოტივტივებულ ბანდიტებს და ავანტიურისტებს ბევრად უკეთესად გაუმკლავდა, ვიდრე მათ ოდესმე რომელიმე ხელისუფლება გამკლავებია.

ჩვენ ვომობთ. ჩვენ ვიბრძვით სამკვდრო-სასიცოცხლოდ. პრესა არის იარაღი არა განყენებული საზოგადოებისა, არამედ ორი შეურიგებელი, შეიარაღებული და მებრძოლი ბანაკებისა. ჩვენ ვანადგურებთ კონტრ-რევოლიუციის პრესას ისევე, როგორც ვანადგურებთ მის გამაგრებულ პოზიციებს, მის საწყობებს, მის კომუნიკაციებს, მის მზვერავებს. ჩვენ არ ვსაჭიროებთ კადეტ-მენშევიკების მიერ მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შათა კლასის კორუფციის გამომჟღავნებას? საბაგიეროთ ჩვენ ძლევა-მოსილებით ვანგრევთ კაპიტალისტური კორუფციის საფუძვლებს.

მაგრამ კაუცკი, ანვითარებს რა თავის თეზას, ბიდის უფრო შორს: იგი სჩივის, რომ ჩვენ ვხედავთ ეს-ერებისა და მენშევიკების გაზეთებს და მათს მეთაურებსაც—ესეცა ხდება—ვაპატიმრებთ. განა აქ საქმე არ ეხება პროლეტარიატის ან სოციალისტური მოძრაობის „სხვადასხვა მიმდინარეობის"? სკოლის პედანტი ჩვეულებრივი სიტყვების იქით ფაქტებს ვერ ხედავს. მისთვის მენშევიკები და ეს-ერები უბრალო მიმდინარეობანი არიან სოციალიზმში. მაშინ როდესაც რევოლიუციის მსვლელობაში ისინი ისეთ ორგანიზაციად გადაიქცევენ, რომელიც განუწყვეტელს კავშირშია კონტრ-რევოლიუციასთან და რომელიც ჩვენს წინააღმდეგ ომს აწარმოებს. კოლჩაკის არმიას ჰქმნიდენ სოციალისტ-რევოლიუციონერები (როგორი შარლატნობით გაისმის ახლა ეს სახელი) და შეელოდენ მენშევიკები. პირველნიც და მეორენიც წელიწად-ნახევრის განმავლობაში აწარმოებდენ და აწარმოებენ ჩვენს წინააღმდეგ ომს ჩრდილოეთის ფრონტზე. კავკასიაში გაბატონებული მენშევიკები, მოკავშირენი ჯერ ბოჰენცოლერნისა, ხოლო ამჟამად ლოიდ-ჯორჯისა, გერმანიისა და ინგლისის ოფიცრებთან ერთად ატუსაღებდენ და ხვრეტდენ ბოლშევიკებს. ყუბანის რადას მენშევიკები და ეს-ერები ჰქმნიდენ არმიას დენიკინისათვის. ესტონეთის მთავრობის წევრი მენშევიკები პირდაპირ მონაწილეობას იღებდენ იუდენიჩის უკანასკნელ შეტევაში პეტერბურგზე. ასეთია ეს „მიმდინარეობანი" სოციალიზმში. კაუცკი ფიქრობს, რომ შესაძლებელია აწარმოებდე მენშევიკებთან და ეს-ერებთან, რომელნიც მათივე წყალობით შექმნილ იუდენიჩის, კოლჩაკის და დენიკინის ჯარების დახმარებით, იბრძვიან თავიანთი „მიმდინარეობისთვის" სოციალიზმში, და ამავე დროს ბეჭედის თავისუფლების ნება მისცე ამ უმანკო „მიმდინარეობებს". რომ შესაძლებელი იყოს ეს-ერებთან და მენშევიკებთან დავის გადაწყვეტა დამარწმუნებელი საუბრით და კენჭისყრით, ესე იგი, ზურგს უკან რომ რუსეთისა და უცხოეთის იმპერიალისტები არ იდგნენ, მაშინ არც სამოქალაქო ომი იქნებოდა.

კაუცკი, რასაკვირველია, მზად არის „დაჰგმოს" (მელნის ხედმეტი წვეთია) ბლოკადაც, ანტანტის მიერ დენიკინისათვის ხელის შეწყობაც და თეთრი ტერორიც. მაგრამ თავისი მაღალი მიუდგომლობით მას არ შეუძლია ამ უკანასკნელს შესამსუბუქებელი გარემოებანიც არ გამოუძებნოს. თეთრი ტერორი, თუმცა ნუ იტყვით, თავის პრინციპებს არ არღვევს, მაშინ, როდესაც ბოლშევიკები, იყენე-

ბენ რა წითელ ტერორს, ღალატობენ პრინციპს „ადამიანის სიცოცხლის სიწმიდისას, რომელიც თვითონვე აღიარეს“ (გვ. 139).

კაუცკი არ გვიხსნის, რას ნიშნავს ადამიანის სიცოცხლის სიწმიდე პრაქტიკაში და რით განსხვავდება იგი მენშევიკებისაგან „არა კაც ჰკლა“. როდესაც ყაჩაღი დანას მოუქნევს ბავშვს, შეიძლება თუ არა ყაჩაღის მოკვლა ბავშვის გადასარჩენად? დაირღვევა თუ არა ამით „ადამიანის სიცოცხლის სიწმიდის“ პრინციპი? შეიძლება თუ არა ყაჩაღის მოკვლა თავის გადასარჩენად? დასაშვებია თუ არა დაჩაგრული მონების აჯანყება თავიანთი ბატონების წინააღმდეგ? დასაშვებია თუ არა იყიდოს კაცმა თავისუფლება საპყრობილის ზედამხედველის სიკვდილის ფასით? თუ ადამიანის სიცოცხლე საერთოდ წმიდა და ხელშეუხებელია, მაშინ უნდა უარვყოთ არა მარტო ტერორი, არა მარტო ომი, არამედ რევოლიუციაც. კაუცკი თავის თავს ანგარიშს არ აძლევს იმ „პრინციპის“ კონტრ-რევოლიუციონურ მნიშვნელობაში, რომელსაც იგი ჩვენ გვახვევს თავზე. როგორც სხვა ადგილას დავინახავთ, კაუცკი ბრალსა გვდებს ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შეკვრაში. მისი აზრით, ჩვენ უნდა განგვეგრძო ომი. მერე, ადამიანის სიცოცხლის სიწმიდე? ან იქნება სიცოცხლე აღარ იყოს წმიდა მაშინ, როდესაც ვეხებით სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხს? ან და შეიძლება კაუცკი ფიქრობს, რომ ნასიური მკვლელობა, რომელიც სტრატეგიისა და ტაქტიკის თანახმად ხდება, მკვლელობა არ არის? ჭეშმარიტად ძნელია წამოაყენოს კაცმა ჩვენს დროში „პრინციპი“ უფრო პირმოთნე და უფრო სულელური ერთსა და იმავე დროს: იმ დრომდე ვიდრე ადამიანის სამუშაო ძალა და, მაშასადამე, სიცოცხლეც წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის, ექსპლოატაციის და მტაცებლობის საგანს, საზიზღარი სიცრუეა იქნება პრინციპი „ადამიანის სიცოცხლის სიწმიდის“ შესახებ, რომელსაც მიზნად აქვს ის, რომ დაბეჩავებული მონები მორჩილებაში იყოლიოს.

ჩვენ ვიბრძოდით სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, რომელიც შემოიღო კერენსკიმ იმისათვის, რომ ძველი არმიის სამხედრო-საველე სასამართლოებს დაესაჯათ ის ჯარისკაცნი, რომელნიც უარს ამბობდენ იმპერიალისტური ომის განგრძობაზე. ჩვენ ეს იარაღი ხელიდან გამოვგლიჯეთ ძველ სამხედრო სასამართლოებს, დავანგრიეთ თვით სასამართლოები და დავშალეთ ძველი არმია, რომელმაც შექმნა ეს სასამართლოები. ვანადგურებთ რა წითელ არმიაში და საერთოდ ჩვენს ქვეყანაში კონტრ-რევოლიუციონურ შეთქმულობებს, რომელნიც სცდილობენ აჯანყებების, მკვლელობისა და დეზორგანიზაციის საშუალებით ძველი რეჟიმის აღდგენას, ჩვენ ვმოქმედობთ ომის რეჟი-

ნის კანონების მიხედვით, რითაც გვსურს უზრუნველვყოთ ჩვენი გამარჯვება.

თუ საჭიროა ფორმალურ წინააღმდეგობათა ძებნა, თავისთავად აშკარაა, იგი უნდა ვეძებოთ თეთრი ტერორის ბანაკში, რადგან იგი იმ კლასების იარაღია, რომელნიც თავიანთ თავს ქრისტიანებად სთვლიან, მფარველობას უწევენ იდეალურ ფილოსოფიას და მტკიცედ დარწმუნებული არიან, რომ პიროვნება (მათი საკუთარი) თვითმიზანია. ჩვენ-კი არასოდეს არ მივდევდით კანტიანურ-ხუცურ, ვეგეტარიანულ-კვაკერულ ლაყბობას „ადამიანის სიცოცხლის სიწმიდის" შესახებ. ჩვენ რევოლიუციონერები ვიყავით ოპოზიციაში და ასეთივე დავრჩით ხელისუფლებაში, იმისთვის, რომ პიროვნება წმიდა იყოს, უნდა მოისპოს ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც მას ჯვარს აცვამს. ამის სისრულეში მოყვანა-კი შესაძლებელია მხოლოდ ცეცხლითა და მახვილით.

თეთრსა და წითელ ტეროროს შორის არის კიდევ განსხვავება, რომელსაც არ სცნობს ახლანდელი კაუცკი, ხოლო მარქსისტის თვალში მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თეთრი ტეროორი იარაღია ისტორიულად რეაქციონური კლასისა. როდესაც ჩვენ ვამბობდით, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს რეპრესიები უძლურნი არიან პროლეტარიატის მიმართო, ჩვენ არასოდეს არ უარვყოფდით იმას, რომ დაპატიმრებითა და დასჯით მმართველი კლასები ზოგიერთ პირობებში შესძლებენ სოციალური რევოლიუციის დროებით შეჩერებას. მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ მათ არ ძალუძთ მისი საბოლოოდ შეჩერება. ჩვენ ვემყარებოდით იმას, რომ პროლეტარიატი ისტორიულად ამომავალი კლასია და ბურჟუაზიულ საზოგადოებას არ შეუძლია განვითარდეს ისე, თუ პროლეტარიატის ძალა არ გაიზარდა. ბურჟუაზია თანამედროვე ეპოქაში წარმავალი კლასია. იგი წარმოებაში არა თუ აღარ თამაშობს აუცილებელ როლს, არამედ თავისი მითვისების იმპერიალისტური მეთოდებით ანგრევს მსოფლიო მეურნეობას და საკაცობრიო კულტურას. მაგრამ ისტორიულად ბურჟუაზიას ღრმად აქვს ფესვები გადგმული და ამ მხრივ მისი სიძლიერე კოლოსალურია, იგი ჯერ კიდევ სდგას და წასვლას არ ფიქრობს. ამით იგი იმუქრება თან ჩაითრიოს უფსკრულში მთელი საზოგადოება. საჭიროა მისი ნიადაგიდან მოწყვეტა, მოკვეთა. წითელი ტეროორი იმ კლასის წინააღმდეგ მიმართული იარაღია, რომელიც უკვე განწირულია, მაგრამ რომელიც არ ფიქრობს წასვლას. თუ თეთრ ტეროროს შეუძლია შეაფერხოს პროლეტარიატის ისტორიული აღმოცენება, სამაგიეროდ წითელი ტეროორი აჩქარებს ბურ-

ეუაზიის აღსასრულს. დაჩქარებას—ბოგების ტემპს—ზოგიერთ ეპოქაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუ არა წითელი ტერორი, რუსეთის ბურჟუაზია მსოფლიო ბურჟუაზიასთან ერთად ჩაგვახრჩობდა დიდი ხნით, ევროპაში რევოლიუციის დამდეგამდის. ადამიანი ბრმა უნდა იყოს, რომ ეს ვერ დაინახოს, ან და ფალსიფიკატორი, რომ უარყოს იგი.

ვინც თვით საბჭოთა სისტემის არსებობის ფაქტში რევოლიუციონერ-ისტორიულ მნიშვნელობას ხედავს, მან უნდა დაადასტუროს წითელი ტერორიც. კაუცკი კი, რომელმაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კომუნიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ წერაში აუარებელი ქაღალდი დახარჯა, იძულებულია თავის ბროშურის დასასრულში თავი დახაროს ფაქტის წინაშე და მოულოდნელად აღიაროს, რომ რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება ამ ჟამად მსოფლიო რევოლიუციის უდიდესი ფაქტორია. „რა თვალითაც უნდა შეხედო ბოლშევიკურ მეთოდებს,—სწერს იგი,—ის ფაქტი, რომ პროლეტარული მთავრობა დიდ ქვეყანაში არა თუ მივიდა ხელისუფლებამდე, არამედ უდიდეს დაბრკოლებათა მიუხედავად შეინარჩუნა მან კიდეც იგი დღემდე ორი წლის განმავლობაში,—ეს ფაქტი არაჩვეულებრივად ამაღლებს ყველა ქვეყნის პროლეტარიატში სიძლიერის გრძნობას. ნამდვილი რევოლიუციისათვის ბოლშევიკებმა ამით დიდი საქმე გააკეთეს (Grosses geleistet)"... (გვ. 153). ეს განცხადება გვაოცებს როგორც უდიდესი მოულოდნელობა,—როგორც ისტორიული ჭეშმარიტების ცნობა იმ მხრიდან, საიდანაც ამას აღარ მოველოდით. ბოლშევიკებმა შეასრულეს უდიდესი ისტორიული საქმე, რომელმაც ორი წლის განმავლობაში გაერთიანებული კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგობას გაუძლო მაგრამ ბოლშევიკებმა გასძლეს არა მარტო იდეით, არამედ მახვილითაც. კაუცკის აღსარება არის წითელი ტერორის მეთოდების უნებლიეთი სანქცია და მასთან ერთად მისი საკუთარი კრიტიკული ნაჯღაბნის უსასტიკესი დაგმობა.

ომის გავლენა

ერთ-ერთ მიზეზს იმისას, რომ რევოლიუციონური ბრძოლა უკიდურესად სისხლის მღვრელი ხასიათისაა, კაუცკი ხედავს ომში, მის გამაშწვავებელ გავლენაში ზნე-ჩვეულებაზე. ეს საესებით უდაოა. ამ გავლენის და ყველა აქედან გამომდინარე შედეგების გათვალისწინება შეიძლებოდა უფრო ადრე, დაახლოვებით იმ დროს, როდესაც კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომ არ იცოდა, მხარი დაეჭირა საშუალო კრედიტებისათვის, თუ მათს **წინააღმდეგ** წასულიყო.

„იმპერიალიზმმა ძალით გამოგლიჯა საზოგადოება მერყეული წონასწორობის მდგომარეობიდან,—ვწერდით ჩვენ ხუთი წლის წინეთ გერმანულ წიგნში „ომი და ინტერნაციონალი",—მან ააფეთქა ის ჯებირი, რომლითაც სოციალ-დემოკრატია იკავებდა პროლეტარიატის ენერგიის რევოლიუციონურ ნაკადს და ჩაუშვა იგი თავის კალაპოტში. ეს სასწაულისებური ისტორიული ექსპერიმენტი, რომელმაც ერთი დაკვრით დაამსხვრია სოციალისტური ინტერნაციონალის ხერხემალი, ამავე დროს შეიცავს სასიკვდილო საფრთხეს თვით ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის. ჩაქუჩი გამოეცალა მუშას ხელიდან და მის ნაცვლად მიეცა მახვილი. მუშა, რომელიც ხელ-ფეხით შებოჭილია კაპიტალისტური მეურნეობის მექანიზმით, უეცრად თავს აღწევს მის წრეს და ეჩვევა კოლექტივის მიზნების შინაურ კეთილდღეობასა და თვით სიცოცხლეზე მაღლა დაყენებას.

„მის მიერვე შექმნილ იარაღით ხელში, მუშა დგება ისეთ მდგომარეობაში, როდესაც სახელმწიფოს პოლიტიკური ბედ-იღბალი უშუალოდ დამოკიდებულია მასზე. ის, ვინც ჩვეულებრივ სჩაგრავდა და ზიზღით უყურებდა მას, ახლა პირმოთნეობს მის წინაშე და მისი გულის მოგებას სცდილობს. ამავე დროს იგი შედის ინტიმურ დამოკიდებულებაში თვით იმ ხარბაზნებთან, რომლებიც, ლასალის სიტყვით, შეადგენენ კონსტიტუციის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. იგი სცილდება სახელმწიფო საზღვრებს, მონაწილეობას იღებს ნაძალადევ რეკვიზიციებში; მისი მარჯვენის წყალობით ქალაქები ხელიდან-ხელში გადადიან. ხდება ისეთი ცვლილებები, როგორიც არ უნახავს უკანასკნელ ოთობას.

„თუ მოწინავე მუშებმა თეორეტიულად იცოდნენ, რომ ძალა უფლების წარმომშობია, მათი პოლიტიკური აზროვნება მაინც რჩებოდა გამსჭვალული პოსიბილიზმის სულით და შეგუებული ბურჟუაზიულ ლეგალობასთან ეხლა მუშათა კლასი საქმეზე სწავლობს, როგორ უნდა შეიზიზღოს ლეგალობა და ძალით დაანგრიოს იგი. სტატიური მომენტები მის ფსიქოლოგიაში ადგილს უთმობენ დინამიურს. ძმიმე ხარბაზნები ჩასჩიჩინებენ იმ აზრს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია გვერდი აუარო დაბრკოლებას, რჩება მხოლოდ რევოლუციის შესაძლებლობა. თითქმის მთელი მამრობითი სქესის მოსახლეობა ებმება ომის ამ თავისი სოციალური რეალიზმით საშინელ სკოლაში, რომელიც ქმნის ადამიანის ახალ ტიპს.

„რკინის აუცილებლობის კანონი დღეს მაღლა სდგას ბურჟუაზიული საზოგადოების ყველა ნორმაზე—მის სამართალზე, ზნეობაზე და სარწმუნოებაზე. „გაჭირვებამ კანონები არ იცის", განაცხადა „გერმანიის კანცლერმა (4 აგვისტ. 1914 წ.). მეფეები მოედანზე გამოდიან, რათა ქუჩის მოვაჭრე დედაკაცების ენით დასწამონ ერთმანეთს მატყუარობა; მთავრობები ფეხქვეშ სთელავენ დიდი ამბით ნაკისრ ვალდებულებებს, ხოლო ეროვნული ეკლესია თავის ბატონ-ღმერთს, როგორც კატორღელს, ჯაჭვით აბამს ეროვნულ ხარბაზანზე. განა აშკარა არ არის, რომ ამ გარემოებებმა ულრმესი ცვლილება უნდა მოახდინონ მუშათა კლასის ფსიქიკაში და რადიკალურად განკურნონ იგი ლეგალობის ჰიპნოზისაგან, რომელიც შეჰქმნა პოლიტიკური მოდუნების ეპოქამ? შეძლებული კლასები, თავიანთ საუბედუროდ, მალე დარწმუნდებიან ამაში. პროლეტარიატს, რომელმაც ომის სკოლა განვლო, პირველსავე დაბრკოლების დროს საკუთარ ქვეყანაში, დაებადება სურვილი იმ ენით დაილაპარაკოს, რომლითაც ძალის მქონე ლაპარაკობს. „გაჭირვებამ კანონები არ იცის" პირში მიახლის იმას, ვინც შეეცდება შეაჩეროს იგი ბურჟუაზიული ლეგალობის კანონებით, ხოლო საშინელი ეკონომიური გაჭირვება, რომელიც გამეფდება ამ ომის განმავლობაში და, განსაკუთრებით, მისი დასრულების შემდეგ, აიძულებს მასებს ფეხქვეშ გასთელონ ძალიან ბევრი კანონი". (გვ. 56-57).

ყოველივე ეს უდავოა, მაგრამ ნათქვამს უნდა დავუმატოთ, რომ ომმა არა ნაკლები გავლენა იქონია გაბატონებული კლასების ფსიქოლოგიაზე: რამდენადაც მასები მეტის მომთხოვნელნი გახდენ, იმდენად ბურჟუაზია ნაკლების დამთმობია.

მშვიდობიან დროს კაპიტალისტები თავიანთ ინტერესებს უზრუნველყოფდენ დაქირავებული შრომის „მშვიდობიანი" ძარცვით; ომის დროს ისინი ემსახურებოდენ ამავე ინტერესებს უთვალავი ადამიანის დალუპვით. ამ გარემოებამ მათს თვითშეგნებას შეძენის საქმეში ახალი, „ნაპალეონისებური" თვისება შესძენა. კაპიტალისტები ომის განმავლობაში შეეჩვევნენ როგორც თანამემამულე, ისე კოლონიელ მონების მილიონობით გზავნას სასიკვდილოდ ნაბშირის, რკინისგზის და სხვა საქმეში მოგების შესაძენად.

ომის განმავლობაში ბურჟუაზიის მსხვილი, საშუალო და დაბალი წრეებიდან ასიათასობით გამოვიდენ ოფიცრები, პროფესიონალური მეომრები, ხალხი, რომელთა ხასიათიც ბრძოლაში გაკაჟდა და განთავისუფლდა ყოველგვარ გარეგან არტახებისაგან,—კვალიფიციური ჯარისკაცები, რომელნიც მზათ არიან და შეუძლიათ კიდეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირისებური გაშმაგებით დაიცვან პრივილეგიური მდგომარეობა მათი გამწვრთნელი ბურჟუაზიისა.

რევოლიუცია ალბათ უფრო ჰუმანური იქნებოდა, პროლეტარიატს რომ შეეძლოს „თავი დაიხსნას ამ ბანდებისაგან", როგორც სთქვა ოდესლაც მარქსმა. მაგრამ კაპიტალიზმმა ომის დროს დიდი ვალი დააგო ტვირთად მშრომელთ და ისე ღრმად გამოუთხარა ნიადაგი წარმოებას, რომ შეუძლებელი გახდა სერიოზული ლაპარაკი ისეთ თავის დასხნაზე, რომლის დროსაც ბურჟუაზია დუმილით შეურიგდებოდა გადატრიალებას. მასებმა მეტად ბევრი სისხლი დაღვარეს, მეტად დიდი ტანჯვა გამოიარეს, მეტად გასასტიკდენ, რომ შეეძლოთ მიიღონ ასეთი გადაწყვეტილება,—იგი მათ ეკონომიურ ძალ-ღონეს აღემატება.

ამას დაერთო სხვა გარემოებანიც, რომელნიც იმავე მიმართულებით მოქმედობენ. დამარცხებული ქვეყნების ბურჟუაზია გაშმაგებულია დამარცხებით, რომლის პასუხისმგებლობაც მზათ არის დააკისროს ქვედა წრეებს, მუშებს და გლეხებს, რომელთაც ვერ გამოიჩინეს უნარი „დიდი ეროვნული ომი" ძლევამოსილ ბოლომდე მიეყვანათ. ამ თვალსაზრისით დიდი ჭკუის მასწავლებელია ის უმაგალითო თავხედური განმარტება, რომელიც ლიუდენდორფმა ეროვნული კრების კომისიას მისცა. ლიუდენდორფის ბანდებს გულით სურთ ის სირცხვილი, რომელიც მათ გარეთ სჭამეს, საკუთარი პროლეტარიატის სისხლით გადიბანონ. რაც შეეხება ძლევა-მოსილი ქვეყნების ბურჟუაზიას, იგი აღსავსეა ზვიადობით და ყველაზე მეტად ახლაა მზად, დაიცვას თავისი სოციალური მდგომარეობა იმ მხეცური ზომების საშუალებით, რომლებმაც უზრუნველჰყვეს მისი გამარჯვება.

ჩვენ დავინახეთ, რომ საერთაშორისო ბურჟაზიას უნარი არ აღმოაჩნდა ნადაგელი უომრად და აწიოკების გარეშე გაეყო. თუ ასეა, განა დათანხმდება იგი, რომ უომრად უარი სთქვას ნადაგელზე? უკანასკნელი ხუთი წლის გამოცდილება საეჭვოდ აღარა ხდის ამას: თუ წინეთაც წმიდაწყლის უტოპიზმი იყო მოლოდინი იმისა, რომ მქონებელთა კლასების ექსპროპრიაცია—„დემოკრატიის" წყალობით—ჩაივლიდა შეუმჩნევლად და უმტკივნეულოდ, აჯანყების, შეიარაღებული შეტაკების, კონტრ-რევოლიუციონერთა გამოსვლის და მკაცრი ზომების გარეშე, ახლა ყოველივე ის, რაც იმპერიალისტურმა ომმა გვიანდერძა, აორკეცებს და ასამკეცებს სამოქალაქო ომის და პროლეტარიატის დიქტატურის სიმკაცრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V.

პარიზის კომუნა და საბჭოთა რუსეთი.

> მოკლე ეპიზოდი პირველი რევოლიუციისა, რომელიც მოახდინა პროლეტარიატმა პროლეტარიატისთვის, დასრულდა მისი მოწინააღმდეგის ხელშით. ეს ეპიზოდი—მარტის 18-დან მაისის 28-დე—გაგრძელდა 72 დღეს.
>
> „პარიზის კომუნა, 1871 წ. 18 მარტი.“ პ. ლ. ლავროვის პეტერ. გამოცემა ამხ-ბა „Колос“-ისა 1919 წ., გვ. 160

კომუნის სოციალისტურ პარტიათა მოუმზადებლობა.

პარიზის 1871 წლის კომუნა იყო პირველი, ჯერ კიდევ სუსტი ისტორიული ცდა მუშათა კლასის ბატონობისა. ჩვენთვის ძვირფასია კომუნის მოგონება, მისი ცდის ხან-მოკლე გამოცდილებისა და ყველა ამ ნაკლის მიუხედავად, რომელიც მას ახლდა. ნაკლი-კი ბევრი იყო: მონაწილეთა მოუმზადებლობა, პროგრამის ბუნდოვანობა, ხელმძღვანელთა წრეში ერთსულოვნობის უქონლობა, საქმის ასრულებაში უიმედო დაბნეულობა და აქედან ფატალურად გამომდინარე საშინელი განადგურება. ჩვენ ვიფასებთ კომუნაში „პროლეტარიატის რესპუბლიკის პირველს, თუმცა მეტად მკრთალს განთიადს,“ როგორც ლავროვმა სთქვა. სულ სხვა საქმეა კაუცკი. უძღვნა რა თავისი წიგნაკის უდიდესი ნაწილი ეხეშ ტენდენციურ დაპირისპირებას კომუნისა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, იგი კომუნის მთავარ უპირატესობას იმაში ხედავს, რაშიაც ჩვენ მის უბედურებას და დანაშაულს ვხედავთ.

კაუცკი თავგამოდებით ამტკიცებს, რომ 1870—1871 წ. წ. პარიზის კომუნა არ იყო „ხელოვნურად“ მომზადებული, იგი გაჩნდა მოულოდნელად, უცბად დაატყდათ თავს რევოლიუციონერებს, წინააღმდეგ ნოემბრის რევოლიუციისა, რომელსაც ჩვენი პარტია გულდასმით ამზადებდა; ეს უდაოა. კაუცკი ვერ ბედავს ნათლად ჩამოა-

ყალიბოს თავისი ლრმად რევოლუციონური აზრები. და პირდაპირ არ ამბობს, დაეთანხმოს თუ არა მოწონება პარიზის 1871 წლის რევოლიუციონერებმა იმისათვის, რომ ვერ გაითვალისწინეს პროლეტარული აჯანყება და ვერ მოასწრეს ამ აჯანყებისთვის მომზადება; არ ამბობს არც იმას, გაეიცხვის ლირსნი ვართ თუ არა ჩვენ იმისთვის, რომ გავითვალისწინეთ ის, რაც აუცილებელი იყო, და შეგნებულად მივდიოდით მის შესახებ ლრმად? მაგრამ კაუცკის მთელი ახსნა-განმარტება ამენებულია ისე, რომ დაუბადოს მკითხველს სწორედ აბგვარი წარმოდგენა: კომუნარებს თავზე დაატყდათ უბედურება (ბავარიის ფილისტერმა ფოლმარმა ოდესლაც მწუხარებაც გამოსთქვა, რომ კომუნარები ძალა-ფულების ხელში ჩავდების მაგივრად დასაძინებლად არ წავიდენო), ამიტომ მათ ლმობიერად უნდა მოეექცეთო. ბოლშევიკები-კი შეგნებულად მიდიოდნენ უბედურობისაკენ (ხელისუფლების დასაპყრობად), ამიტომ ეს ცოდვა მათ არ მიუტევებათ არც საიქიოს და არც საიგიოსო. საკითხის ასე დაყენება შეიძლება არაჩვეულებრივად მოგვეჩვენოს, იმდენად შეუსაბამოა იგი. მიუხედავად ამისა იგი აუცილებლად გამომდინარეობს იმ „დაზოუკიდებელ" კაუცკიანელების პოზიციიდან, რომელნიც იღლიაში თავს იმალავენ, რათა ვერაფერი დაინახონ და ვერაფერი გაითვალისწინონ, და თუ ადგამენ ნაბიჯს წინ, სჩადიან ამას მხოლოდ მას შემდეგ, როცა ხურგში ზორბა მუჯლუგუნს მიიღებენ.

„პარიზის დამცირება, — სწერს კაუცკი, — მისი უთვითმართველობად დატოვება, მისთვის სატახტო ქალაქის მნიშვნელობის ჩამორთმევა, მისი განიარაღება, რათა შემდეგ ადვილად განხორციელებულიყო სახელმწიფო გადატრიალება მონარქიის სასარგებლოდ, — ასეთი იყო ეროვნული კრების და მის მიერ არჩეული აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის — ტიერის — ამოცანა. ამ მდგომარეობამ დაბადა კონფლიქტი, რომელმაც საქმე პარიზის აჯანყებამდე მიიყვანა.

„ცხადია, რამდენად განსხვავდებოდა ამისაგან ხასიათი იმ სახელმწიფო გადატრიალებისა, რომელიც ბოლშევიზმმა მოახდინა, ბოლშევიზმმა, რომლის ძალ-ლონეც მშვიდობიანობისადმი მისწრაფებას ემყარებოდა, რომლის ზურგს უკანაც გლეხები იდგნენ, რომელსაც ეროვნულ კრებაში თავის წინააღმდეგ ჰყავდა არა მონარქისტები, არამედ ეს-ერები და მენშევიკი სოციალ-დემოკრატები.

„ბოლშევიკებმა ხელისუფლებას მიაღწიეს კარგად მომზადებული სახელმწიფო გადატრიალების წყალობით, რამაც ერთი დაკვრით გადასცა მათ მთელი სახელმწიფოებრივი მექანიზმი, რომელიც მათ მა-

შინვე გამოიყენეს მოწინააღმდეგეთა, მათს შორის პროლეტარულ მოწინააღმდეგეთა, შესამუსრავად.

„კომუნის აჯანყებით-კი, პირიქით, არავინ იყო ისე გაკვირვებული, ვიდრე თვით რევოლიუციონერები, და მათი წრიდან ბევრისათვის კონფლიქტი დიდად არ იყო სასურველი" (გვ. 44).

რომ უკეთ წარმოვიდგინოთ ნამდვილი აზრი იმისა, რასაც აქ კაუცკი კომუნარებზე ამბობს, მოვიყვანთ შემდეგს საინტერესო მოწმობას:

„. . . 1871 წ. 1 მარტი,—სწერს ლავროვი თავის მეტად საყურადღებო წიგნაკში კომუნის შესახებ, —იმპერიის დაცემიდან ნახევარი წლის შემდეგ, რამდენიმე დღის წინეთ კომუნის აფეთქებამდის პარიზის ინტერნაციონალის ხელმძღვანელებს მაინც არ ჰქონდათ განსაზღვრული პოლიტიკური პროგრამა.*)

„18 მარტის შემდეგ,—სწერს იგივე ავტორი,—პარიზი პროლეტარიატის ხელში იყო, მაგრამ მისი მეთაურნი, გონება-დაფანტულნი თავისი მოულოდნელი ძლიერებით, სულ უბრალო ელემენტარულ ზომებსაც არ ღებულობდენ**).

„ თქვენი როლი თქვენს სიმაღლეს არ შეეფერება და ერთადერთ თქვენს საზრუნავს უნდა შეადგენდეს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებაო,—სთქვა ერთმა წევრმა (ნაციონალური გვარდიის ცენტრალური კომიტეტის). ამაში ბევრი სიმართლე იყო,—სწერს კომუნის მონაწილე და ისტორიკოსი ლისსაგარე,—მაგრამ წინასწარი ორგანიზაციის და მომზადების უქონლობას იმ დროს, როდესაც მოქმედება იყო საჭირო, ძლიერ ხშირად მოსდევს ხოლმე, ის, რომ ადამიანებს ჰხვდებათ არა თავიანთი ძალის შესაფერისი როლები"***).

აქედან უკვე სჩანს (შემდეგ ეს უფრო ცხადი გახდება), თუ პარიზის სოციალისტები რატომ არ აწარმოებდენ პირდაპირ ბრძოლას ხელისუფლებისათვის: ეს აიხსნება მათი თეორეტიული ჩამოუყალიბებლობით და პოლიტიკური დაბნეულობით, და არა მაღალი ტაქტიკური მოსაზრებით.

შეიძლება ეჭვი არ შეეიტანოთ, რომ თვით კაუცკის ერთგულობა კომუნის ტრადიციებისადმი გამოიხატება უმთავრესად იმ გან-

*) „პარიზის 1871 წლის 18 მარტის კომუნა" პ. ლ. ლავროვი. ამხ. „Колос"-ის გამოც. პეტროგრადი 1919 წ., გვ. 64—65.

**) იქვე, გვ. 71.

***) „Histoire de la Commune de 1871, ლისსაგარე, ბროუსელი. 1876 გვ. 106.

საკუთრებულ გაკვირვებაში, რომლითაც იგი შეჰხვდება პროლეტარიატის გადატრიალებას გერმანიაში, როგორც „კონფლიქტს, უალრესად არასასურველს“. ჩვენ მაინც ეჭვი გვეპარება, რომ მომავალმა თაობამ კაუცკის ეს დამსახურებად ჩაუთვალოს. უნდა ვსთქვათ, რომ არსებითად მისი ისტორიული ანალოგია წარმოადგენს დაბნეულობის, წარმოუთქმელობის და ხელოვნური სიყალბის ერთმანეთში არევას.

ის განზრახვა, რაც ტიერს პარიზის მიმართ ჰქონდა, მილიუკოვს, რომელსაც წერეთელი და ჩერნოვი ხელს უწყობდენ, ჰქონდა პეტერბურგის მიმართ: ყველა ისინი — კორნილოვიდან პოტრესოვამდე — დღითი-დღე ამტკიცებდენ, რომ პეტერბურგი მოსწყდა დანარჩენ ქვეყანას, საერთო მასთან აღარაფერი აქვს, რომ იგი საბოლოოდ გაირყვნა და სცდილობს თავისი ნებისყოფა მოახვიოს მას. პეტროგრადის **დაქვეითება და დამდაბლება მილიუკოვისა და** მის თანაშემწეთა უპირველეს მიზანს შეადგენდა. და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც პეტერბურგი ნამდვილი ცენტრი იყო რევოლიუციისა, რომელიც ქვეყნის დანარჩენ ნაწილებში ჯერ კიდევ ვერ მომაგრებულიყო. სათათბიროს ყოფილი თავმჯდომარე როძიანკო აშკარად ამბობდა, რომ პეტერბურგი გერმანელებს უნდა გადაეცეს გასაწვრთნელადაო, ისე, როგორც რიგა გადაეცათ მათ. როძიანკო მხოლოდ აშკარად ამბობდა იმას, რაც შეადგენდა მილიუკოვის სურვილს და რასაც მთელი თავისი პოლიტიკით ხელს უწყობდა კერენსკი.

მილიუკოვს, როგორც ტიერს, სურდა პროლეტარიატის განიარაღება. მეტიც: კერენსკისა, ჩერნოვისა და წერეთლის მეოხებით პეტერბურგის პროლეტარიატი საგრძნობლად განიარაღებულ იქნა 1917 წ. ივლისში. ნაწილობრივ იგი კვლავ შეიარაღდა აგვისტოში, როდესაც კორნილოვმა პეტერბურგზე გაილაშქრა. და ეს ახალი შეიარაღება სერიოზულ ელემენტს წარმოადგენდა ნოემბრის (ოქტომბრის) აჯანყების მოსამზადებლად. ამრიგად, სწორედ ის მუხლები, სადაც კაუცკი, პარიზის მუშების მარტის აჯანყებას ჩვენს ნოემბრის რევოლიუციას უპირისპირებს, საგრძნობლად უახლოვდებიან ერთმანეთს.

მაგრამ რა განსხვავებაა მათს შორის? უპირველეს ყოვლისა ის, რომ ტიერმა თავისი საზიზღარი განზრახვა განახორციელა: ჩაახრჩო პარიზი, მრავალი ათასი მუშა ამოქლიტა. ხოლო მილიუკოვმა საძარცვინოდ კისერი მოიტეხა: პეტერბურგი პროლეტარიატის მიუვალ ციხედ? დარჩა და ბურჟუაზიის ლიდერი უკრაინაში გაიგზავნა, რათა ეშუამდგომლა — კაიზერის ჯარს ოკუპაცია გაეწია რუსეთისთვის. ამ განს-

ხვევებაში შესამჩნევი დანაშაული ჩვენც მიგვიძღვის და მზადა ვართ. პასუხი ვაგოთ ამისათვის. უდიდესი განსხვავება მდგომარეობს აგრეთვე იმაში და ეს არა-ერთხელ დამტკიცდა მოვლენათა შემდგომს განვითარებაში,—რომ იმ დროს, როდესაც კომუნარები უმთავრესად პატრიოტული მოსაზრებიდან გამოდიოდენ, ჩვენ უცვლელად ხელმძღვანელობდით საერთაშორისო რევოლიუციის ინტერესებით. კომუნის განადგურებას მოჰყვა პირველი ინტერნაციონალის ფაქტიური შემუსვრა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას-კი—მესამე ინტერნაციონალის შექმნა. გადატრიალების წინ მარქსი ურჩევდა კომუნარებს არა აჯანყებას, არამედ ორგანიზაციის შექმნას! კაუცკის რომ ეს მოწმობა მოეყვანა იმისთვის, რათა დაემტკიცებინა, რომ მარქსი საკმაოდ აფასებდა პარიზის მდგომარეობის სიმწვავეს, შეიძლება დასაჯერი ყოფილიყო. მაგრამ კაუცკი მარქსის რჩევას იყენებს იმისთვის, რომ დაამტკიცოს—აჯანყება საზოგადოდ გასაკიცხიაო. როგორც გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყველა მანდარინი, კაუცკი ორგანიზაციაში უპირველეს ყოვლისა ხედავს რევოლიუციონური მოქმედების ხელშემშლელ საშუალებას.

მაგრამ მარტო ორგანიზაციის საკითხებსაც რომ შევეხოთ, არ უნდა დავიიწყოთ რომ ნოემბრის რევოლიუციის წინ უძლოდა კერენსკის მთავრობის ცხრა თვის არსებობა, რომლის განმავლობაშიაც ჩვენი პარტია ნაყოფიერად მოქმედობდა არა მარტო აგიტაციით, არამედ ორგანიზაციითაც. ნოემბრის რევოლიუცია მოხდა მას შემდეგ, როცა ჩვენ პეტერბურგის, მოსკოვის და საერთოდ ყველა სამრეწველო ცენტრის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებში მოვიპოვეთ დიდი უმრავლესობა და როცა საბჭოები გადავაქციეთ უძლიერეს ორგანიზაციებად, რომელთაც ხელმძღვანელობდა ჩვენი პარტია. არასფერი ამისთანა არა ჰქონიათ კომუნარებს. ბოლოს, ჩვენ წინ გვედგა მაგალითი პარიზის ეგირული კომუნისა, რომლის დამარცხებიდანაც ის დასკვნა გამოვიტანეთ, რომ რევოლიუციონერებმა უნდა გაითვალისწინონ მოვლენები და ემზადონ მისთვის. ესეც ჩვენი დანაშაულია.

პარიზის კომუნა და ტეროროიზმი.

კომუნის და საბჭოთა რუსეთის დაწვრილებითი შედარება კაუცკის მხოლოდ იმისთვის სჭირია, რომ ცილი დასწამოს და დაამციროს პროლეტარიატის ცოცხალი და ძლევამოსილი დიქტატურა იმ დიქტატურის სასარგებლოდ, რომელიც ძალიან შორეულ წარსულს ეკუთვნის და რომელიც მხოლოდ ცდა იყო დიქტატურის დამყარებისა.

კაუცკის განსაკუთრებული კმაყოფილებით მოჰყავს ნაციონალური გვარდიის ცენტრალური კომიტეტის 19 მარტის განცხადება ჯარისკაცთა მიერ ორი გენერლის მოკვლის შესახებ: „ჩვენ გულისწყრომით ვამბობთ: გასისხლიანებული ტლაპო, რომლითაც სურთ ჩირქი მოსცხონ ჩვენს სახელს, არის საბრალო ცილისწამება. არასოდეს მკვლელობა ჩვენ არ დაგვიდგენია, არასოდეს ნაციონალურ გვარდიის დანაშაულობის აღსრულებაში მონაწილეობა არ მიუღია".

რა თქმა უნდა, ცენტრალურ კომიტეტს არავითარი საბუთი არა ჰქონდა თავისედო პასუხისმგებლობა იმ მკვლელობისათვის, რომელთანაც მას კავშირი არა ჰქონია. მაგრამ განცხადების სანტიმენტალურ-პათეტიური ტონი ნათლად ახასიათებს ამ ხალხის პოლიტიკურ გაუბედაობას ბურჟუაზიული საზოგადოების აზრის წინაშე. ეს არც გასაკვირველია: ნაციონალური გვარდიის წარმომადგენელთა უმრავლესობას მეტწილად შეადგენდა ისეთი ხალხი, რომელსაც ნაკლები პოლიტიკური სტაჟი ჰქონდა." არც ერთი ცნობილი სახელი არ იყო მათს შორის,— სწერს ლისსაგარე—ესენი იყვნენ წვრილი ბურჟუები, შედუქნეები, რომელნიც იდგენ ფარული წრეების გარეშე, მეტწილად პოლიტიკის გარეშეც" (გვ. 70).

„მშვიდი და რამდენადმე მოშიშარი გრძნობა მრისხანე ისტორიული პასუხისმგებლობისა და სურვილი რაც შეიძლება ადრე მისგან განთავისუფლებისა,—სწერს მათს შესახებ ლავროვი,—სჩანს იმ ცენტრალური კომიტეტის ყველა პროკლამაციაში, რომელსაც ხელში ჩაუვარდა პარიზის სვე-ბედი" (გვ. 77).

მოიყვანა რა ჩვენდა შესარცხვენად დეკლამაცია სისხლის შესახებ, კაუცკი მარქსისა და ენგელსის შემდეგ აკრიტიკებს კომუნის გაუბედაობას:

„პარიზელები (ე. ი. კომუნარები) რომ მტკიცეთ დასდევნებოდენ ტიერს, მათ შეიძლება დაეპყროთ მთავრობა. პარიზიდან უკანდახეული ჯარი არ გაუწევდა მათ მცირე წინააღმდეგობასაც კი... მაგრამ ტიერმა დაუბრკოლებლივ დაიხია. მას ა

მანობა სარჩული იყო მხოლოდ მათი რევოლიუციონური პასიეობისა. ხალხს, რომელმაც ბედის წყალობით მიიღო ხელისუფლება პარიზში და ვერ შეიგნო აუცილებლობა ამ ხელისუფლების სასწრაფო გამოყენებისა ბოლომდე, რომელიც კვალდაკვალ უნდა დასდევნებოდა ტიერს და, ვიდრე იგი, გონს მოვიდოდა, თავზარი დაეცა მისთვის, შემოეკრიბა ჯარი, მოეხდინა საკომანდო შემადგენლობის აუცილებელი გაწმენდა, ხელთ ჩაეგდო პროვინცია,—ასეთ ხალხს, რასაკვირველია, არ ექნებოდა სურვილი კონტრ-რევოლიუციონური ელემენტებისადმი სასტიკი ზომების მიღებისა. ყველაფერი მჭიდროდ არის დაკავშირებული. არ შეიძლება სდევნო ტიერი და ამავე დროს არ დაატყვევო პარიზში ტიერის აგენტები და არ დახვრიტო შეთქმულობის მომწყობნი და ჯაშუშნი. თუ კონტრ-რევოლიუციონური გენერლების მკვლელობა დაუშვებელ „დანაშაულობად" ჩაითვლება, შეუძლებელი გახდება ენერგიის განვითარება ჯარის დევნაში, რომელსაც ხელმძღვანელობენ კონტრ-რევოლიუციონური გენერლები.

რევოლიუციაში უმაღლესი ენერგია—უმაღლესი ჰუმანობაა. „სწორედ ის ხალხი,—სამართლიანად ამბობს ლავროვი,—რომლისათვისაც ძვირფასია ადამიანის სიცოცხლე, ადამიანის სისხლი, უნდა სცდილობდეს მიაღწიოს სწრაფ და გადამწყვეტ გამარჯვებას და შემდეგ შეეცადოს რაც შეიძლება სწრაფად და ენერგიულად მტრის გასრესას, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება მიაღწიოს კაცმა აუცილებელი მსხვერპლის მინიმუმს, დაღვრილი სისხლის მინიმუმს (გვ. 225).

19 მარტის განცხადება მაინც შეიძლება უფრო სწორედ იქნეს შეფასებული, თუ მას განვიხილავთ არა როგორც აუცილებელ აღსარებას სარწმუნოებისა, არამედ როგორც აზრთა წარმავალ გამოხატულებას მოულოდნელ და უსისხლო გამარჯვების მეორე დღეს. რევოლიუციის დინამიკისა და მის სწრაფად აღმოცენებულ სულიერ განწყობილებათა შინაგანი საფუძვლიანობის გაგების გარეშე, კაუცკი აზროვნობს უსიცოცხლო სქემებით და თავისუფლად შერჩეულ ანალოგიებით ამახინჯებს მოვლენათა პერსპექტივებს. მას არ ესმის, რომ ღმობიერი გაუბედაობა ახასიათებს მასებს რევოლიუციის პირველ ხანაში, მუშები შეტევაზე გადადიან მხოლოდ რკინის აუცილებლობის ზეგავლენით, ისევე, როგორც წითელ ტერორზე გადადიან ისინი მხოლოდ მაშინ, როდესაც თეთრგვარდიელები განადგურებას ემუქრებიან. ის, რასაც კაუცკი 1871 წ. პარიზის პროლეტარიატის განსაკუთრებულად მალალი ზნეობის შედეგად გვიხატავს, ნამდვილად სამოქალაქო ომის პირველ-დაწყებითი ეტაპია მხოლოდ. ასეთ მოვლენებს ჩვენშიაც ჰქონდა ადგილი.

პეტერბურგში 1917 წლის ნოემბერში ხელისუფლება დავიპყარით თითქმის სისხლის დაუღვრელად და დუპატიმრებლადაც-კი. კერენსკის მთავრობის მინისტრები გადატრიალების შემდეგ მალე იქნენ განთავისუფლებულნი. მეტიც: ყაზახთა გენერალი კრასნოვი, რომელმაც კერენსკისთან ერთად პეტერბურგზე გაილაშქრა მაშინ, როდესაც ხელისუფლება უკვე საბჭოების ხელში გადავიდა, და რომელიც ტყვედ ჩაგვივარდა გატჩინოში, გავანთავისუფლეთ მეორე დღესვე პატიოსანი სიტყვის ჩამორთმევის შემდეგ. ეს იყო კომუნის პირველი ნაბიჯისებური „დიდსულოვნება". მაგრამ ეს შეცდომა იყო. ამას წინად გენერალმა კრასნოვმა, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ სამხრეთის ფრონტზე თითქმის ერთი წლის განმავლობაში იბრძოდა და რომელმაც მრავალი ათასი კომუნისტი გაგვიწყვიტა, კვლავ გამოილაშქრა პეტერბურგზე, ამ შემთხვევაში იუდენიჩის არმიის რიგებში. პროლეტარულმა რევოლიუციამ უფრო სასტიკი ხასიათი მიიღო მას შემდეგ, როდესაც პეტერბურგში იუნკრებმა აჯანყება მოაწყვეს და განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც კადეტებმა, ეს-ერებმა და მენშევიკებმა ეოლგაზე მოამზადეს ჩეხო-სლოვაკების აჯანყება, მრავლად ამოგლიტეს კომუნისტები, განიზრახეს ლენინის მოკვლა, მოჰკლეს ურიცკი და სხვადასხვა.

ამგვარ ტენდენციებს, მხოლოდ პირველ სტადიაში, ვხედავთ კომუნის ისტორიაშიც. ბრძოლის ლოლიკამ აიძულა იგი პრინციპიალურად დასდგომოდა დაშინების გზას. საზოგადოებრივი დაცვის კომიტეტის დაარსება ბევრი მისი მომხრესთვის ნაკარნახევი იყო წითელი ტერორის იდეით. კომიტეტი დაინიშნა იმისათვის, „რომ თავები მოეკვეთა მოღალატეთათვის" (Journal Officiel № 123), რომ „დაემხო ღალატი" (იქვე № 124). „დამაშინებელ" დეკრეტებს ეკუთვნის განკარგულება (3 აპრილის) ტიერის ქონების და მისი მინისტრების დატყვევების, ტიერის სახლის და ვანდომის ბოძის დანგრევის შესახებ, და განსაკუთრებით, დეკრეტი მძევალთა შესახებ. ვერსალელების მიერ ყოველი დახვრეტილი ტყვე ანუ კომუნის მომხრის სანაცვალოდ უნდა დაეხვრიტათ სამი მძევალი. ღონის-ძიებებს პოლიციის პრეფექტურისას, რომელსაც რაულ რიგო ხელმძღვანელობდა, ჰქონდა წმინდა თეორეტიული, თუმცა ყოველთვის არამიზანშეწონილი ხასიათი.

ამ ზომებმა, რომელთაც აზრად ჰქონდათ მოწინააღმდეგეთა დაშინება, ნაყოფი ვერ გამოიღეს. ამისი მიზეზი იმ კომუნის ხელმძღვანელი ელემენტების ჩამოუყალიბებელი შემთანხმებლობაა, მათი ცდა საბრალო ფრაზებით შეერიგებინათ ბურჟუაზია მომხდარ ფაქტ-

თან, მათი ქანაობით დემოკრატიის ფიქციისა და დიქტატურის სინამდვილის შორის. უკანასკნელ აზრს საუკეთოდ გადმოგვცემს განსვენებული ლავროვი თავის წიგნაკში კომუნის შესახებ.

„მდიდარ ბურჟუათა და ღარიბ პროლეტართა პარიზი, როგორც მრავალ-წოდებიანი პოლიტიკური თემი, ლიბერალურ საფუძველთა ძალით, მოითხოვდა სიტყვის, კრების, მთავრობის გაკრიტიკების და სხვ. სრულ თავისუფლებას. პარიზი, რომელმაც რევოლიუცია მოახდინა პროლეტარიატის სასარგებლოდ და მიზნად დაისახა ყველა დაწესებულებაში ამ რევოლიუციის განხორციელება, პარიზი როგორც განთავისუფლებული მშრომელი პროლეტარიატის თემი, მოითხოვდა რევოლიუციონურ, ე. ი. დიქტატორულ, ხიმებს ახალი წესწყობილების მტერთა მიმართ" (გვ. 143-144).

პარიზის კომუნა რომ არ დაცემულიყო და განუწყვეტელ ბრძოლაში გამაგრებულიყო, ეჭვი არ არის, იგი იძულებული გახდებოდა კონტრ-რევოლიუციის აღმოსაფხვრელად უფრო სასტიკ ზომებისათვის მიემართა. მართალია, კაუცკი ამ შემთხვევაში ველარ შესძლებდა კომუნარების ბუმანობა კაც-მოძულე ბოლშევიკებისათვის დაებირისპირებინა, მაგრამ სამაგიეროდ უთუოდ ვერც ტიერი მოახერხებდა პარიზის პროლეტარიატის გულშემზარავი სისხლის-ღვრის ყოველ შემთხვევაში ისტორია ამით არაფერს წააგებდა.

თვითნებური ცენტრალური კომიტეტი და „დემოკრატიული" კომუნა.

„19 მარტს,—გადმოგვცემს კაუცკი,—ნაციონალური გვარდიის ცენტრალურ კომიტეტში ერთნი მოითხოვდენ ვერსალზე გალაშქრებას, მეორენი—ამრჩეველთადმი მიმართვას, მესამენი—უპირველეს ყოვლისა რევოლიუციონური ზომების მიღებას, თითქო თვითეული ამ ნაბიჯთაგანი, ღრმა აზროვნებით გვასწავლის ავტორი,—ერთნაირად აუცილებელი არ ყოფილიყო და თითქო ისინი უარყოფდენ ერთურთს" (გვ. 54). შემდეგს სტრიქონებში კაუცკი, კომუნაში არსებულ უთანხმოებათა გამო, გვთავაზობს შემთბარ ბანალობას რეფორმისა და რევოლიუციის ურთიერთობის შესახებ. ნამდვილად კი საკითხი იდგა ამგვარად: თუ აუცილებელი იყო ვერსალზე გალაშქრება, ამასთან ისე, რომ არც ერთი საათი არ უნდა დაკარგულიყო, საჭირო იყო ნაციონალური გვარდიის რეორგანიზაცია, მის საფუძველში პარიზის პროლეტარიატის ყველაზე უფრო მეომარი ელემენტების დაყენება და მით, რევოლიუციონურის თვალსაზრისით, პარი-

ზის დროებით დასუსტება. მაგრამ პარიზში არჩევნების მოწყობა და ამავე დროს მისი კედლებიდან მუშათა კლასის გაყვანა იქნებოდა უაზრობა რევოლიუციონური პარტიისათვის. თეორეტიულად ვერსალზე გალაშქრება და კომუნის არჩევნები, რასაკვირველია, არ ეწინააღმდეგებოდენ ერთმანეთს. მაგრამ პრაქტიკულად ისინი უარჰყოფდენ ერთი-მეორეს: არჩევნების წარმატებისთვის უნდა გადაედოთ გალაშქრება, ხოლო შეტევის წარმატებისთვის არჩევნები სხვა დროსთვის უნდა დაენიშნათ. ბოლოს, თუ პროლეტარიატს საბრძოლველად გაიყვანდენ და ამით დროებით პარიზს შეასუსტებდენ, საჭირო იყო უზრუნველეყოთ სატახტო ქალაქი კონტრ-რევოლიუციონერთა თავდასხმის შესაძლებლობისაგან, რადგან ტიერი არავითარი ზომების წინაშე არ შეჩერდებოდა, რათა კომუნარების ზურგში (პარიზში) თეთრი ცეცხლი დაენთო. საჭირო იყო პარიზში უფრო სამხედრო, ე. ი. უფრო მკაცრი რეჟიმის დამყარება. „იძულებული იყვნენ,— სწერს ლავროვი,—ებრძოლათ მრავალრიცხოვან შინაურ მტრებთან, რომლებითაც სავსე იყო პარიზი და რომელნიც ჯერ კიდევ გუშინ აჯანყებებს აწყობდენ ბირჟის მახლობლად და ვანდომის მოედანზე, რომელთაც ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენელნი საამმართველოში და ნაციონალურ გვარდიაში, ჰქონდათ თავიანთი პრესა, შეეძლოთ თავიანთი კრებების გამართვა, ჰქონდათ თითქმის აშკარა ურთიერთობა ვერსალელებთან და რომელნიც კომუნის ყოველი გაუფრთხილებელი ნაბიჯის და მარცხის დროს უფრო გაბედულად და თავხედათ მოქმედებდენ“ (გვ. 87). ყველა ამასთან ერთად საჭირო იყო რევოლიუციონური გზით ფინანსიური და საერთოდ ეკონომიური ხასიათის ზომების მიღება, უპირველეს ყოვლისა, რევოლიუციონური არმიის უზრუნველსაყოფად. ძნელი იყო რევოლიუციონური დიქტატურის ყველა ამ აუცილებელ ზომის შერიგება ფართო საარჩევნო კამპანიასთან. მაგრამ კაუცკის წარმოდგენა არა აქვს იმისა, თუ რა არის რევოლიუცია სინამდვილეში. ის ფიქრობს, რომ თეორეტიულად შერიგება ნიშნავს პრაქტიკულად განხორციელებას.

ცენტრალურმა კომიტეტმა კომუნის არჩევნები დანიშნა 22 მარტისთვის, მაგრამ, რაკი მას თავის იმედი არა ჰქონდა და თავისი არალეგალობისა ეშინოდა, სცდილობდა ემოქმედნა უფრო „კანონიერ“ დაწესებულებასთან შეთანხმებით; მან უაზრო და დაუსრულებელი მოლაპარაკება გამართა პარიზის მერებისა და დეპუტატების სრულიად ულიბნო კრებასთან, იგი მზად იყო გაენაწილებინა მათთვის ძალაუფლება, ოღონდ კი შეთანხმებისთვის მიეღწია. ამასობაში ძვირფასი დრო გადიოდა.

მარქსს, რომელსაც, ძველი ჩვეულებისამებრ, სცდილობს დაემყაროს კაუცკი, არავითარ შემთხვევაში არ მიუცია წინადადება ერთსა და იმავე დროს აერჩიათ კომუნა და გაეყვანათ მუშები საბრძოლველად. კუგელმანს 1871 წ. 12 აპრილს მარქსი სწერდა, რომ ნაციონალური გვარდიის ცენტრალურმა კომიტეტმა ძალიან ადრე აიღო ხელი ძალა-უფლებაზე, რომ კომუნისთვის დაეცალა ადგილი. კაუცკის, როგორც თითონ ამბობს, „არ ესმის" მარქსის ეს აზრი. გაუგებარი-კი არაფერია. მარქსს, ყოველ შემთხვევაში, ესმოდა, რომ საქმე იყო არალეგალობის მოპოებაში, არამედ მტრისთვის სასიკვდილო ლახვარის ჩაცემაში. „ცენტრალური კომიტეტი რომ ნამდვილი რევოლიუციონერებისაგან ყოფილიყო შემდგარი,—სრულიად სამართლიანად ამბობს ლავროვი,—მას სხვანაირად უნდა ემოქმედნა. მას არ ეპატიებოდა კომუნის არჩევამდე და მის მოწვევამდე მტრისთვის 10 დღის ვადა მიეცა ძალ-ღონის აღსადგენად მაშინ, როდესაც პროლეტარიატის ხელმძღვანელნი მოვალეობაზე ხელს იღებდენ და თავიანთ უფლებად არ სთვლიდენ დაუყოვნებლივ **ხელმძღვანელობის** გაწევას პროლეტარიატისთვის. სახალხო პარტიათა ფატალურმა მოუმზადებლობამ შექმნა კომიტეტი, რომელიც ამ 10 დღის უმოქმედობას თავისთვის სავალდებულოდ რაცხდა". (გვ. 78).

ცენტრალური კომიტეტის სურვილი, რაც შეიძლება მალე გადაეცა ძალა-უფლება „კანონიერი" მთავრობისთვის, ნაკარნახევი იყო არა იმდენად ფორმალური დემოკრატიზმის ცრუმორწმუნეობით, რასაც, სხვათა შორის, მცირე ადგილი არ ეჭირა, რამდენადაც შიშით პასუხისმგებლობის წინაშე. იმის გამო, რომ იგი დროებითი დაწესებულება იყო, ცენტრალურმა კომიტეტმა არ მოისურვა ყოველად აუცილებელ და სრულიად გადაუდებელი ზომების მიღება, თუმცა. მთელი ძალა-უფლების მატერიალური აპარატი მის ხელში იყო. მაგრამ არც კომუნამ ჩამოართვა სავსებით პოლიტიკური ძალა-უფლება ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც დაურიდებლად ერეოდა ყველა საქმეში. ეს ჰქმნიდა ომის პირობებში მეტად საშიშ ორხელმწიფობას.

3 მაისს ცენტრალურმა კომიტეტმა დეპუტაცია გაგზავნა კომუნაში და მოითხოვა გადასცემოდა მას სამხედრო სამინისტრო. ხელახლა წარმოიჭრა, როგორც ამბობს ლისსაგარე, საკითხი იმის შესახებ, „საჭიროა თუ არა ცენტრალური კომიტეტის დათხოვნა, ან მისი დაპატიმრება ან კიდევ ის, რომ სამხედრო სამინისტრო მას გადასცემოდა".

აქ საქმე დემოკრატიულ პრინციპებში კი არ იყო, არამედ იმაში, რომ არცერთს მხარეს არ ჰქონდა გარკვეული სამოქმედო პროგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამა. ორივე ორგანიზაცია, ერთის მხრით, ცენტრალური კომიტეტი, როგორც თვითნებური რევოლიუციონური ორგანიზაცია, მეორე მხრით, კომუნა, როგორც „დემოკრატიული" ორგანიზაცია, მზად იყო მეორესთვის მოეხვია პასუხისმგებლობა, მაგრამ იმავე დროს ძალაუფლებაზე ხელს სავსებით არცერთი არ იღებდა.' ასეთი პოლიტიკური ურთი-ერთობა არ შეიძლება მიბაძვის ღირსად იქნას ცნობილი.

„მაგრამ ცენტრალური კომიტეტი,—ინუგეშებს თავს კაუცკი,—არასდროს არ ცდილა დაერღვია ის პრინციპი, რომლის ძალითაც უმაღლესი ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს საყოველთაო ხმის მიცემით არჩეულებს. ამ პუნქტში პარიზის კომუნა საბჭოთა რესპუბლიკის პირდაპირ წინააღმდეგობას წარმოადგენდა (გვ. 55). არ იყო მთავრობის ნების ერთობა, არ იყო რევოლიუციონური სიმტკიცე, იყო ორხელმწიფობა. ყველა ამას შედეგად მოჰყვა ჩქარი და საშინელი განადგურება. მაგრამ სამაგიეროთ დემოკრატიის „პრინციპი" არ შებღალულა, და განა ეს დამამშვიდებელი არ არის?

დემოკრატიული კომუნა და რევოლიუციონური დიქტატურა.

ამბ. ლენინმა უკვე მიუთითა კაუცკის, რომ კომუნის დახატვის ცდა, როგორც ფორმალური დემოკრატიის გამოსახულებისა, არის პირდაპირი თეორეტიული შარლატნობა. კომუნა ტრადიციით და თავისი ხელმძღვანელი პოლიტიკური პარტიის, ბლანკისტების, განზრახვით იყო გამოხატულება **რევოლიუციონური ქალაქის დიქტატურისა მთელ სახელმწიფოზე**. ასევე მოხდა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროსაც; ასევე მოხდებოდა 1871 წ. რევოლიუციის დროსაც, კომუნა რომ თავშივე არ დამარცხებულიყო. ის ფაქტი, რომ თვით პარიზში ხელისუფლება არჩეული იყო საყოველთაო ხმის მიცემის საფუძველზე, ვერა სპობს მეორე, უფრო მნიშვნელოვან ფაქტს: ერთი ქალაქის კომუნის სამხედრო მოქმედებას გლეხთა საფრანგეთის წინააღმდეგ, ე. ი. მთელი სახელმწიფოს წინააღმდეგ. დიდი დემოკრატის კაუცკის დასაკმაყოფილებლად, კომუნის რევოლიუციონერები, საყოველთაო ხმის მიცემის გზით, წინასწარ უნდა შეჰკითხებოდენ მთელი საფრანგეთის ხალხს, აძლევს თუ არა იგი მათ ნებას იბრძოლონ ტიერის ბრბოების წინააღმდეგ.

ბოლოს, თვით პარიზში არჩევნები მოხდა ტიერის ბურჟუაზიის გაქცევას შემდეგ, ყოველ შემთხვევაში, მისი უაქტივესი ელემენტების

გაქცევასა და ტიერის ჯარის გაყვანას შემდეგ. პარიზში დარჩენილ ბურჟუაზიას, მიუხედავად თავისი თავხედობისა, მაინც ეშინოდა რევოლიუციონური ბატალიონებისა და არჩევნებმა ჩაიარა ამ შიშს ქვეშ. ეს შიში წინაგრძნობა იყო აუცილებელი წითელი ტერორისა მომავალში. დაიმედება იმით, რომ ეროვნული გვარდიის ცენტრალურ კომიტეტს, რომლის, საუბედუროთ, უილაჯო და უსახო დიქტატურის დროს მოხდა კომუნის არჩევნები, არ შეუბღალავს საყოველთაო საარჩევნო პრინციპი, ნამდვილათ იმასა ჰგავს, რომ ცოცხის ჩრდილით სწმინდო ეტლის ჩრდილი.

მსჯელობს რა უნაყოფო შედარებებით, კაუცკი სარგებლობს იმით, რომ მისმა მკითხველმა ფაქტები არ იცის. პეტერბურგში 1917 წ. ნოემბერს ჩვენც ამოვირჩიეთ კომუნა (ქალაქის საბჭო) ნამდვილი „დემოკრატიული" ხმის მიცემის საფუძველზე ბურჟუაზიის შეუხლუდველათ. ამ არჩევნებმა, მიუხედავათ ბურჟუაზიული პარტიების ბოიკოტისა, გადამწყვეტი უმრავლესობა მოგვცეს*). „დემოკრატიულად" არჩეული სათათბირო ნებაყოფლობით დაემორჩილა პეტერბურგის საბჭოს, ესე იგი პროლეტარიატის დიქტატურის ფაქტი მან საყოველთაო ხმის მიცემის „პრინციპზე" მაღლა დააყენა. ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ, საკუთარი დადგენილების ძალით, მან სრულებით დაითხოვა თავის-თავი პეტერბურგის მუშათა და გლეხთა საბჭოს ერთ-ერთი განყოფილების სასარგებლოთ. ამრიგად, პეტერბურგის მუშათა და გლეხთა საბჭოს—საბჭოთა ძალა-უფლების ამ ნამდვილ მამას—არ აკლდა ფორმალური „დემოკრატიის" ლოცვა-კურთხევა და ამ მხრივ იგი სრულიადაც არ ჩამოუვარდებოდა პარიზის კომუნას.

„26 მარტის არჩევნების დროს კომუნაში არჩეულ იქნა 90 წევრი. აქედან 15 წევრი ეკუთვნოდა მთავრობის პარტიას (ტიერისა) და 6—ც ბურჟუაზიული რადიკალი იყო, რომელნიც მთავრობას

*) ინტერესს მოკლებული არ იქნება აღენიშნოთ, რომ პარიზში 1871 წ. კომუნის არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 230.000 ამომრჩეველი. 1917 წ. ქალაქის ნოემბრის არჩევნებში პეტერბურგში, მიუხედავათ იმისა, რომ მას ბოიკოტი გამოუცხადა ყველა პარტიამ, გარდა ჩვენი და მემარცხენე ეს-ერებისა, რომელთაც სატახტო ქალაქში არავითარი გავლენა არა ჰქონდათ, მონაწილეობას იღებდა 390.000 ამომრჩეველი. პარიზში 1871 წ. იყო 2.000.000 მცხოვრები, პეტერბურგში ნოემბერს—არა უმეტეს ორი მილიონისა. მხედველობაში უნდა მიეიღოთ ისიც, რომ ჩვენი ამომრჩეველობითი წესი გაცილებით უფრო დემოკრატიული იყო; ნაციონალური გვარდიის ცენტრალურმა კომიტეტმა არჩევნები პარიზში მოახდინა, იმპერიის საარჩევნო კანონის საფუძველზე.

ოპოზიციაში ედგნენ, მაგრამ აჯანყებას (პარიზის მუშებისას) მაინც ჰკიცხავდენ.

„საბჭოთა რესპუბლიკა,—გვასწავლის კაუცკი,—არასდროს არ მისცემდა ნებას, რომ ასეთი კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები დაშვებულნი ყოფილიყვნენ კანდიდატებად, არა თუ არჩევნებზე. კომუნა კი, დემოკრატიის პატივისცემის გამო, არაფრით არ აბრკოლებდა ბურჟუაზიულ მოწინააღმდეგეთა არჩევას“ გვ. (55—56). ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ კაუცკის ყოველი აზრი აქ შემცდარია. ჯერ ერთი, რუსეთის რევოლიუციის განვითარების ანალოგიურ საფეხურზე მოხდა პეტერბურგის კომუნის დემოკრატიული არჩევნები, რომლის დროსაც საბჭოთა ხელისუფლებას არაფრით არ შეუშლია ხელი ბურჟუაზიული პარტიებისთვის, და თუ კადეტებმა, ეს-ერებმა, მენშევიკებმა, რომელთაც თავიანთი პრესა ჰქონდათ და რომელნიც აშკარად მოუწოდებდენ საბჭოთა ძალა-უფლების ჩამოგდებისაკენ, ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს, ეს ჩაიდინეს მხოლოდ იმიტომ, რომ იმ დროს ჯერ კიდევ იმედი ჰქონდათ, სამხედრო ძალის წყალობით გაგვისწორდებოდენ. მეორე,—პარიზის კომუნაში არ აღმოჩნდა ადგილი ბურჟუაზიის დეპუტატებისათვის—კონსერვატორებისა, ლიბერალებისა და გამბეტისტებისათვის.

„თითქმის ყველა ესენი,—ამბობს ლავროვი,—ან მაშინვე, ან სულ მალე გამოვიდენ კომუნის საბჭოდან: მათ შეეძლოთ ყოფილიყვნენ წარმომადგენლებად პარიზისა—ბურჟუაზიული მმართველობის ქვეშ მყოფ თავისუფალი ქალაქისა, მაგრამ ისინი სრულიად ზედმეტი იყვნენ კომუნის საბჭოში, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ, შეგნებით თუ შეუგნებლათ, სავსებით თუ ნაწილობრივ წარმოადგენდა პროლეტარიატის რევოლიუციას და რომელიც თუმცა მკრთალად, მაგრამ მაინც სცდილობდა შეექმნა საზოგადოების ისეთი ფორმები, რომელიც ამ რევოლიუციას შეეფერებოდა“ (გვ. 111—112). პეტერბურგის ბურჟუაზიას რომ ბოიკოტი არ გამოეცხადებინა კომუნისტური არჩევნებისათვის, მის წარმომადგენლებს შეეძლოთ შესულიყვნენ პეტერბურგის ქალაქის საბჭოში. ისინი დარჩებოდენ იქ ეს-ერ-კადეტების პირველ აჯანყებამდე, რის შემდეგაც მათ—კაუცკის ნებართვით თუ მის ნებადაურთველად—ალბათ დააპატიმრებდენ, თუ კი, რა თქმა უნდა, ისინი წინდაწინვე არ მიატოვებდენ ქალაქის საბჭოს, ისევე როგორც პარიზის კომუნის ბურჟუაზიული წრეები მოიქცენ. მოვლენათა მსვლელობა არ შეიცვლებოდა, მხოლოდ მის ზედაპირზე ზოგიერთი ეპიზოდი სხვაგვარად დაეწყობოდა.

ეაუკკი ადიდებს კომუნის დემოკრატიას და იმავე დროს ამტყუნებს მას არასაკმაო გამბედაობაში ვერსალის მიმართ. მაგრამ მას არ ესმის, რომ კომუნის არჩევნებში, რომელიც ხდებოდა „ეანონიერ“ მერების და დეპუტატების ორაზროვანი მონაწილეობით, გამოკრთოდა იმედი ვერსალთან მშვიდობიანი შეთანხმებისა. ამაშია საქმის ვითარება. ხელმძღვანელებს შეთანხმება უნდოდათ და არა ბრძოლა. მასები ჯერ კიდევ ილიუზებით იყვნენ გამსჭვალულნი. რევოლიუციის ყალბ ავტორიტეტებს ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ თავის შერცხვენა. ყოველსაეე ამას დემოკრატია ერქვა.

„ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიბატონოთ მტრებზე ზნეობრივი ძალ-ღონით...—ქადაგობდა ვერმორელი.—არ უნდა შევეხოთ პიროვნების თავისუფლებას და სიცოცხლეს....“ სცდილობდა რა აეშორიბინა „სამოქალაქო ომი“, ვერმორელი მოუწოდებდა ლიბერალურ ბურეუაზიას, რომელსაც წინეთ იგი უწყალოდ კიცხავდა, შეექმნა „ნამდვილი ძალა-უფლება, რომელსაც პატივით მოეპყრობოდა პარიზის მთელი მოსახლეობა“. „Journal officiel“, რომელიც ინტერნაციონალისტ ლონგეს ხელმძღვანელობით გამოდიოდა, სწერდა: „არ შეიძლება კვლავ განმეორდეს სამწუხარო გაუგებრობა, რომელმაც ივნისის დღეებში (1848 წ.) შეაიარაღა ერთი მეორის საწინააღმდეგოთ ორი საზოგადოებრივი კლასი... კლასობრივმა ანტაგონიზმმა შესწყვიტა არსებობა...“ (30 მარტს). და შემდეგ: „ეხლა ყოველივე უთანხმოება გასწორდება, იმიტომ რომ ყველა სოლიდარულად მოქმედობს, იმიტომ რომ არასდროს არა ჰქონია ასეთი მცირე ადგილი სოციალურ სიძულვილს, სოციალურ ანტაგონიზმს“ (3 აპრილს). კომუნის სხდომაზე 25 აპრილს ეურდს შეეძლო დაეტრაბახა, რომ კომუნას ჯერ არასოდეს არ დაურღვევია საკუთრების უფლებებიო. იმედი ჰქონდათ, რომ ამით მოინადირებდენ ბურეუაზიულ საზოგადოებრივ აზრს და მონახავდენ შეთანხმების გზას.

"ასეთი ქადაგება,—სამართლიანად ამბობს ლავროვი,—სრულიადაც არ აყრევინებდა იარაღს პროლეტარიატის მტრებს, რომელთაც მშვენიერად ესმოდათ, რას მოუტანდა მათ პროლეტარიატის გამარჯვება, ხოლო თვით პროლეტარიატს ართმევდა ბრძოლის ენერგიას და თითქოს განგებ აბრმავებდა მას შეურიგებელი მტრების წინაშე“ (გვერ. 137). მაგრამ ამგვარი დამასუსტებელი ქადაგება განუწყვეტლივ იყო გადამბული დემოკრატიის ფიქციასთან. ლეგალობის მოჩვენებითი ფორმა ნებას იძლეოდა ეფიქრათ, რომ საკითხი უბრძოლველად გადაწყდებოდა. „რაც შეეხება მცხოვრებთა მასებს,—სწერს კომუნის წევრი ორტურ ორნუ,—მათ ზოგიერთი უფლება ჰქონდათ დაეჯერათ,

რომ არსებობს მთავრობასთან სულ ცოტა ფარული შეთანხმება მაინც.“ შემთანხმებლები ვერ ახერხებდენ ბურჟუაზიის მომხრობას და ამავე დროს, როგორც ყოველთვის, შეცდომაში შეჰყავდათ პროლეტარიატი.

იმას, რომ აუცილებელ და უკვე დაწყებულ სამოქალაქო ომის პირობებში დემოკრატიული პარლამენტარიზმი ხელმძღვანელ ჯგუფთა მხოლოდ შემარიგებელ ულონობას გამოხატავდა, ყველაზე მკაფიოდ ამოწმებს უაზრო გაჭიანურება დამატებითი არჩევნებისა კომუნაში 16 აპრილს. ამ დროს „ხმის მიცემისთვის აღარა სცხელოდათ,—სწერს არტურ არნუ,—მდგომარეობა ისეთი ტრაგიკული გახდა, რომ არ იყო არც საჭირო მოცლა და არც აუცილებელი გულის სიმშვიდე იმისთვის, რომ ხმის მიცემას საერთოდ თავისი საქმე გაეკეთებინა: ყველა, ვინც—კი კომუნას ემხრობოდა იყო სიმაგრეებზე, ფორტებზე, მოწინავე რაზმებში. ხალხი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა ამ დამატებითს არჩევნებს. ნამდვილი თუ გნებავთ, არჩევნები მხოლოდ პარლამენტარიზმი იყო. საჭირო კი იყო არა ამომრჩეველთა დათვლა, არამედ ჯარისკაცთა ყოლა; არა იმის გაგება, წავაგეთ თუ მოვიგეთ პარიზის თვალში, არამედ პარიზის დაცვა ვერსალელებისგან“. ამ სიტყვებიდან კაუცკის შეეძლო გაეგო, რად ხდება, რომ კლასობრივი ომი პრაქტიკაში ასე ადვილად ვერ ეგუება საკლასთაშორისო დემოკრატიას.

„დამფუძნებელი კრება კომუნა არ არის,—სწერდა თავის გამოცემაში მილიერი, რომელიც კომუნის ერთ-ერთი ჭკვიანი წევრი იყო,—იგი არის სამხედრო საბჭო. მას ერთი მიზანი უნდა ჰქონდეს: გამარჯვება; ერთი იარაღი: ძალა; ერთი კანონი: საზოგადოებრივი დაცვის კანონი“.

„მათ ვერასდროს ვერ შეიგნეს,—ბრალსა სდებს წინამძღოლებს ლისსაგარე,—რომ კომუნა იყო ბარიკადა და არა სამმართველო“...

ეს შეიგნეს მათ ბოლოს, როდესაც უკვე გვიან იყო. კაუცკის დღემდე ვერ შეუგნია ეს. არც საბუთი გვაქვს ვიფიქროთ რომ, იგი ოდესმე შეიგნებს.

* * *

კომუნა იყო ფორმალური დემოკრატიის ცოცხალი უარყოფა, რადგანაც იგი თავის განეითარებაში ნიშნავდა პარიზის მუშათა დიქტატურას გლეხთა ქვეყანაზე. ეს ფაქტი სჭარბობს ყველა დანარჩენს. რამდენიც უნდა ებღაუჭონ თვით კომუნაში პოლიტიკური რუტინერები დემოკრატიული ლეგალობის მოჩვენებას, თვითეული მოქმედება კომუნისა, რომელიც საკმაო არ იყო გამარჯვებისთვის, საკმაო იყო მისი არალეგალური ბუნების გამოსამჟღავნებლად.

კომუნა, ესე იგი პარიზის ქალაქის საბჭო, აუქმებდა საერთო სახელმწიფოებრივ კანონს საყოველთაო სამხედრო ბეგარის შესახებ. იგი თავის ოფიციალურ გამოცემას „საფრანგეთის რესპუბლიკის ოფიციალურ ჟურნალს“ უწოდებდა. კომუნა, თუმცა გაუბედავად, მაგრამ მაინც შეეხო სახელმწიფო ბანკს. მან გამოაცხადა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა და გააუქმა სარწმუნოების ბიუჯეტი. მას ურთიერთობა ჰქონდა უცხოეთის საელჩოებთან. და სხვა და სხვა. ყველაფერს ამას კომუნა სჩადიოდა რევოლიუციონური დიქტატურის უფლებით. მაგრამ ამ უფლების ცნობა არა სურდა მაშინ ჯერ ახალგაზრდა დემოკრატს კლემანსოს.

ცენტრალურ კომიტეტთან თათბირის დროს კლემანსომ განაცხადა: „აჯანყებას სარჩულად უკანონო საბაბი დაედო... მალე კომიტეტი სასაცილო გახდება, მისი დეკრეტები სიძულვილს გამოიწვევენ. გარდა ამისა, პარიზს უფლება არა აქვს აუჯანყდეს საფრანგეთს და მან აუცილებლად უნდა იცნოს ეროვნული კრების ავტორიტეტი“.

კომუნის მიზანი იყო ეროვნული კრება გაერეკა. საუბედუროდ მან ვერ შესძლო ეს. კაუცკი ახლა ეძებს მისი ბოროტი განზრახვის შემამსუბუქებელ გარემოებას.

იგი აღნიშნავს, რომ კომუნარებს მოწინააღმდეგებად ეროვნულ კრებაში ჰყავდათ მონარქისტები, მაშინ როდესაც ჩვენს წინააღმდეგ დამფუძნებელ კრებაში იყვნენ სოციალისტები—ეს-ერები და მენშევიკები. გონების სრული დაბნელებაა! კაუცკი ეს-ერებსა და მენშევიკებზე ლაპარაკობს, მაგრამ იციწყებს ერთად-ერთ სერიოზულ მტერს—კადეტებს. სწორედ ისინი წარმოადგენენ ტიერის რუსულ პარტიას, ე. ი. მესაკუთრეთა ბლოკს საკუთრებისათვის, და პროფესორი მილიუკოვი ყოველ ღონეს ხმარობდა მიებაძა პატარა დიად კაცისთვის. მილიუკოვმა ძალიან ადრე—ჯერ კიდევ ნოემბრის გადატრიალებამდე—დაუწყო ძებნა თავის გალიფეს; ასედ კაცად მიაჩნდა მას ჯერ კორნილოვი, ალექსეევი, შემდეგ კალედინი, კრასნოვი, ხოლო მას შემდეგ, როცა კოლჩაკმა უკუაგდო ყველა პოლიტიკური პარტია და ვარეკა დამფუძნებელი კრება, კადეტების პარტიამ, ერთად-ერთმა სერიოზულმა ბურჟუაზიულმა პარტიამ, არსებითად თითქმის მონარქიულმა, არა თუ ხელი აიღო მის დახმარებაზე, არამედ პირიქით, მეტის თანაგრძნობით მოეკიდა მას.

მენშევიკები და ეს-ერები არ თამაშობდენ ჩვენში არავითარ დამოუკიდებელ როლს, სწორედ ისევე, როგორც კაუცკის პარტია არ თამაშობს არავითარ როლს გერმანიის რევოლიუციონურ ამბებში. თავის პოლიტიკას ისინი აგებდენ მთლად კადეტებთან კოალიციაზე

და ამით აძლევდენ კადეტებს გადამწყვეტ მნიშვნელობას სრულიად დამოუკიდებლად პოლიტიკურ ძალთა განწყობილებისა. ეს-ერების და მენშევიკების პარტიები მხოლოდ გადამცემი აპარატი იყო: ისინი მიტინგებსა და არჩევნებზე ჰკრებდენ რევოლიუციით გამოღვიძებულ მასების პოლიტიკურ ნდობას იმისთვის, რომ შემდეგ ეს ნდობა, არჩევნების შედეგის დამოუკიდებლად, გადაეცათ კადეტების კონტრ-რევოლიუციონური იმპერიალისტური პარტიის განკარგულებაში. ეს-ერ-მენშევიკური **უმრავლესობის** წმინდა ვასალური დამოკიდებულება კადეტების **უმცირესობისაგან** თავისთავად „დემოკრატიის" იდეის ცუდათ დაფარული დაცინვა იყო. მაგრამ ეს ცოტაა: ჩვენი ქვეყნის ყველა იმ ოლქში, სადაც „დემოკრატიის" რეჟიმი ძალიან დიდხანს გაგრძელდა, იგი აუცილებლად კონტრ-რევოლიუციის აშკარა სახელმწიფოებრივი გადატრიალებით დამთავრდა. ასე მოხდა უკრაინაში, სადაც დემოკრატიული რადა, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლება გერმანიის იმპერიალიზმს გადასცა, მონარქისტმა სკოროპადსკიმ ჩამოავდო. ასე მოხდა ყუბანში, სადაც დემოკრატიული რადა დენიკინს მოეჭცა ფეხქვეშ. ასე მოხდა—და ეს უმშვენიერესი ექსპერიმენტია ჩვენი „დემოკრატიისა" —ციმბირში, სადაც დამფუძნებელმა კრებამ, ეს-ერებისა და მენშევიკების ფორმალური ბატონობის დროს, ბოლშევიკების უკანდახევისას, კადეტების ფაქტიური ხელმძღვანელობით საქმე მეფის ადმირალის კოლჩაკის დიქტატურამდე მიიყვანა. ასე მოხდა, ბოლოს, ჩვენს ჩრდილოეთში, სადაც „დამფუძნებელნი", ეს-ერის ჩაიკოვსკის მთავრობის სახით გადაიქცენ რუსისა და ინგლისის კონტრ-რევოლიუციონური გენერლების ბატონობის ბინძურ დეკორაციად. ასე ხდებოდა და ხდება ყველა განაპირა წერილ სახელმწიფოში: ფინლიანდიაში, ესტონიაში, ლატვიაში, ლიტვაში, პოლონეთში, საქართველოში და სომხეთში, სადაც დემოკრატიის ფორმალური დროშას ქვეშ ხდება განმტკიცება მემამულეების, კაპიტალისტების და უცხო ქვეყნის მილიტარიზმისა.

პარიზელი მუშა 1871 წელს.—პეტროგრადის პროლეტარი 1917 წელს.

ყველაზე უხეში, დაუსაბუთებელი და პოლიტიკურად სამარცხვინო დაპირისპირება, რომელსაც კაუცკი იბდენს კომუნისა და საბჭოთა რუსეთს შორის, ეხება პარიზის 1871 წლის მუშისა და რუსეთის 1917-1919 წლების პროლეტარის ხასიათს. პირველს კაუცკი გვიხატავს რევოლიუციონურ ენტუზიასტად, რომელსაც უდიდესი თვითგან-

წირვა შეუძლია, ხოლო მეორეს—ეგოისტად, საკუთარი ჯიბის მოყვარულად, სტიქიურ ანარქისტად.

პარიზის მუშას იმდენად დიდი და გარკვეული წარსული აქვს, რომ მას არ სჭირია რეეოლიუციონური რეკომენდაცია ან დაცვა ახლანდელი კაუცკის ქებისაგან. პეტროგრადის პროლეტარიატს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე მოტივი მოერიდოს გმირულ უფროს ძმასთან დაპირისპირებას. პეტერბურგელი მუშების სამი წლის განუწყვეტელი ბრძოლა პირველად ძალა-უფლების მოსაპოებლად, ხოლო შემდეგ მის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად თავის-თავად წარმოადგენს კოლექტიური გმირობისა და თავგანწირვის იშვიათ მატიანეს, და ეს მაშინ, როდესაც გარეშემო გაბატონებული იყო აუტანელი შიმშილი, სიცივე და მუდმივი განსაცდელი. კაუცკი, როგორც ეს სხვა ადგილას განვმარტეთ, კომუნარების საუკეთესო ნაწილთან შესადარებლად იღებს რუსის პროლეტარიატის უფრო ბნელ ელემენტებს. იგი ამ შემთხვევაში არ განსხვავდება იმ ბურჟუაზიული სიკოფანტებისაგან, რომელთა თვალშიაც მკვდარი კომუნარები ყოველთვის უფრო მიმზიდველნი არიან, ვიდრე ცოცხლები.

პეტროგრადის პროლეტარიატმა ძალა-უფლება ხელთ ჩაიგდო 46 წლით უფრო გვიან პარიზის პროლეტარიატზე. დრომ უდიდესი უპირატესობა მოგვანიჭა. ხელოსნური წვრილ-ბურჟუაზიული ხასიათი ძველისა და ნაწილობრივ ახალი პარიზისა თითქმის უცხოა პეტროგრადისთვის, რომელიც წარმოადგენს თავმოყრილ წარმოების უდიდეს ცენტრს დედამიწაზე. ამ გარემოებამ ძალზე გაგვიადვილა როგორც აგიტაციისა და ორგანიზაციის ამოცანები, ისე საბჭოთა სისტემის დამყარება.

ჩვენს პროლეტარიატს მცირედაც-კი არ ჰქონდა ის მდიდარი რევოლიუციონური ტრადიციები, რომელიც ჰქონდა საფრანგეთის პროლეტარიატს. მაგრამ ჩვენი მუშების უფროსი თაობის მეხსიერებაში თანამედროვე რევოლიუციის დაწყებისას ჯერ კიდევ ცოცხალი იყო 1905 წლის რევოლიუცია, მისი მარცხი და მის მიერ ნაანდერძევი შურისძიების მოვალეობა.

რუს მუშებს ფრანგებივით არ გაუვლიათ დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის გრძელი სკოლა, რომელიც ზოგიერთ ეპოქაში პროლეტარიატის პოლიტიკური კულტურის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. მაგრამ, მეორე მხრით, რუსეთის მუშათა კლასის სულში ფეხი ვერ მოიკიდა უიმედობის ნალველმა და სკეპტიციზმის შხამმა, რომელთაც განსაზღვრულ, ვფიქრობთ, უკვე არა-შორეულ მომენტამდე, შეაჩერეს საფრანგეთის პროლეტარიატის რევოლიუციონური ნებისყოფა.

პარიზის კომუნამ სამხედრო დამარცხება იგემა ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მის წინაშე მთელი თავისი სილრმე-სიგანით გამოიჭიმებოდა ეკონომიური საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ პარიზელი მუშები საუკეთესო მებრძოლნი იყვნენ, კომუნის სამხედრო ბედი ერთბაშად უიმედო აღმოჩნდა: გაუბედაობამ და შეუთანხმებლობამ ზევით დაბადეს დაშლა ქვევით.

ნაციონალურ გვარდიას ჯამაგირი ეძლეოდა 162.000 ჯარისკაცის და 6.500 ოფიცრის ანგარიშით; მაგრამ იმათი რიცხვი, ვინც ნამდვილათ ბრძოლაში მიდიოდა მეტადრე იმ მარცხის შემდეგ, რომელიც 3 აპრილის გამოსვლას მოჰყვა, 20—30 ათას არ ასცილებია.

ყოველივე ეს სრულიადაც არ ამცირებს პარიზის მუშებს და უფლებას არ გვაძლევს ჩავთვალოთ ისინი ლაჩრებად და დეზერტირებად, თუმცა, რასაკვირველია, არც დეზერტირობას ჰქონია ნაკლები ადგილი. ბრძოლისუნარიან ჯარისთვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა მმართველობის აპარატის ცენტრალიზაცია და წესიერი მოქმედება. კომუნას-კი ამისთანა არაფერი გააჩნდა.

კომუნის სამხედრო უწყება, ერთი ავტორის სიტყვით, წარმოადგენდა ბნელ ოთახს, სადაც ყველანი ირეოდენ. სამინისტროს კანცელარია სავსე იყო ოფიცრებით, უბრალო გვარდიელებით, რომელნიც თხოულობდენ სამხედრო მასალას, სურსათს, ჩიოდენ, რომ მათ არა სცვლიან, მათ საკომენდატოში ჰგზავნიდენ. „ზოგი ბატალიონი სანგრებში რჩებოდა 20 და 30 დღე მაშინ, როდესაც სხვები მუდამ სათადარიგო ჯარში იყვნენ... ამ დაუდევრობამ მალე ჩაკლა ყოველივე დისციპლინა. მამაცებმა მალე მოინდომეს თავიანთვის სრული დამოუკიდებლობა; სხვები სამსახურს გაურბოდენ. ასევე იქცეოდენ ოფიცრები. ერთნი სტოვებდენ სადარაჯოს, რომ დახმარებოდენ მეზობელს, რომელიც მტრის ცეცხლს უმკლავდებოდა, მეორენი ქალაქში მიდიოდენ“ („პარიზის 1871 წლის კომუნა.“ პ. ლ. ლავროვი, 1919 წ. გვ. 100.)

ასეთი რეჟიმი არ შეიძლებოდა დაუსჯელი დარჩენილიყო: კომუნა სისხლში იქნა ჩახრჩობილი. მაგრამ ამ შემთხვევისთვის კაუცკის შეუდარებელი ნუგეში აქვს: „ომის წარმოება,—ამბობს იგი თავის ქნევით,—საერთოდ ხომ პროლეტარიატის ძლიერ მხარეს არ წარმოადგენს“ (გვ. 76). ეს პანგლოსის ღირსი აფორიზმი კაუცკის მეორე დიდი აზრის დონეზე სდგას, სახელდობრ, იმ აზრისა, რომ ინტერნაციონალი უვარგისი იარაღია ომის დროს, რადგან არსებითად იგი „მშვიდობიანობის ინსტრუმენტიაო.“ ამ ორ აფორიზმში დახატულია ახლანდელი კაუცკი—სულ მთლად ე. ი. მრგვალ ნულზე ცოტათი

მეტად. თურმე ნუ იტყვით, ომის წარმოება საერთოდ პროლეტარიატის ძლიერ მხარეს არ წარმოადგენს, მით უმეტეს, ინტერნაციონალიც დაარსდა არა ომის ეპოქისთვის. კაუცკის გემი შენდებოდა ჭაობისა და წყნარი ნავთსადგურებისთვის და არა გაშლილ ზღვისა და ქარიშხლიან ეპოქისთვის. თუ ამ გემს ზიანი მიადგა, წყალი შესდის და ამ ეამად მშვიდობიანად იძირება, დამნაშავეა ამაში ქარიშხალი, მოჭარბებული წყალი, ტალღის სიდიდე და სხვა გაუთვალისწინებელი გარემოება, რომელთათვისაც კაუცკის საუცხოო ინსტრუმენტი არ ყოფილა დანიშნული.

საერთაშორისო პროლეტარიატი მიზნად ისახავდა ძალა-უფლების ბრძოლით მოპოვებას. დამოუკიდებლად იმისა, ეკუთვნის თუ არა სამოქალაქო ომი „საზოგადოდ" აუცილებელ ატრიბუტებს რევოლიუციისას „საზოგადოდ", უდავოდ რჩება ის ფაქტი, რომ პროლეტარიატის წინსვლამ, რუსეთსა, გერმანიასა, ყოფილ ავსტრო-ჰუნგრეთის ნაწილებში მაინც, მიიღო მწვავე სამოქალაქო ომის ხასიათი, ამასთან არა მარტო შინაურ, არამედ გარეშე ფრონტებზედაც. თუ ომის წარმოება პროლეტარიატის ძლიერ მხარეს არ წარმოადგენს, ხოლო მუშათა ინტერნაციონალი გამოდგება მარტო მშვიდობიანი ეპოქისათვის, მაშინ ჯერარი უნდა დაესვას რევოლიუციას და სოციალიზმს, რადგან ომის წარმოება შეადგენს საკმაოდ **ძლიერ** მხარეს კაპიტალისტური სახელმწიფოსი, რომელიც **უომრად** მუშებს ახლო არ მიუშვებს მართვა-გამგებლობასთან. ერთიღა დაგვრჩება მაშინ: გამოვაცხადოთ ეგრედწოდებული „სოციალისტური" დემოკრატია კაპიტალისტური საზოგადოების და ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის მაჩანჩალად ე. ი. აშკარად დავადასტუროთ ის, რაცაც პოლიტიკაში სჩადიან ებერტები, შეიდემანები, რენოდელები და რაცაც სიტყვით თითქოს ჯერ კიდევ ეწინააღმდეგება კაუცკი.

ომის წარმოება კომუნის ძლიერი მხარე არ იყო. სწორედ ამიტომ იგი განადგურებულ იქნა. მერე როგორ შეუბრალებლად!

„უნდა მივმართოთ,—სწერდა თავის დროზე ზომიერი ლიბერალი ფიო,—სულას, ანტონიუსის და ოქტავიუსის პროსკრიპციებს, რომ შეეხვდეთ განათლებულ ხალხთა ისტორიაში ასეთ მკვლელობებს; რელიგიური ომები უკანასკნელი ვალუების დროს, ბართლომეს ღამე და ტერორის ეპოქა მათთან შედარებით უბრალო საათამაშო იყო. მაისის მარტო ერთ უკანასკნელ კვირაში პარიზში აკრიფეს 17.000 ფედერალური ინსურგენტის გვამი... ხოცავდენ კიდევ დაახლოებით 15 ივნისამდე."

„საერთოდ ომის წარმოება ხომ არ არის ძლიერი მხარე პროლეტარიატისა".

მართალი არ არის! რუსის მუშებმა გვიჩვენეს, რომ შესწევთ უნარი ხელთ იგდონ აგრეთვე „ომის ინსტრუმენტიც". კომუნასთან შედარებით ჩვენ აქ ვხედავთ წინ გადადგმულ ბუმბერაზულ ნაბიჯს. ეს კომუნის უარყოფა კი არ არის,—ვინაიდან კომუნის ტრადიციებს მისი უმწეობა არ შეადგენს,—არამედ მისი საქმის გაგრძელება. სუსტი იყო კომუნა. მისი საქმის დასამთავრებლად ჩვენ ძლიერნი გავხდით. გაანადგურეს კომუნა. ჩვენ ზედიზედ ვამარცხებთ კომუნის ჯალათებს. ჩვენ შურს ვიძიებთ კომუნისათვის და გადავუხდით კიდეც სამაგიეროს...

* * *

167.000 ეროვნული გვარდიელიდან, რომელიც ჯამაგირს იღებდა, ომში მიდიოდა ორი-სამი ათეული ათასი. ეს ციფრები საყურადღებო მასალაა იმ დასკვნისთვის, თუ რა როლს თამაშობდა ფორმალური დემოკრატია რევოლიუციონურ ეპოქაში. პარიზის კომუნის ბედი გადასწყდა არა ხმის მიცემით, არამედ ტიერის ჯართან ბრძოლით. 176,000 ნაციონალური გვარდიელი წარმოადგენდა ამომრჩეველთა მასას, ხოლო ფაქტიურად ბრძოლებში კომუნის ბედს სწყვეტდა 20—30 ათასი კაცი, ესე იგი მებრძოლთა უფრო თავგანწირული უმცირესობა. ეს უმცირესობა არ იდგა განცალკევებულად, იგი მხოლოდ უფრო მამაცურად და თავგანწირულად გამოხატავდა უმრავლესობის ნებისყოფას. მაგრამ იგი მაინც უმცირესობა იყო. დანარჩენები, რომელნიც კრიტიკული მომენტის დროს იმალებოდენ, მტრულის თვალით არ უყურებდენ კომუნას. პირიქით, ისინი აქტიურად თუ პასიურად მხარს უჭერდენ უმცირესობას, მაგრამ ისინი ნაკლებად შეგნებული და გამბედავნი იყვნენ. პოლიტიკური დემოკრატიის ასპარეზზე მათი შეგნების დაბალი დონის გამო შესაძლებელი ხდებოდა მათი მოტყუება ავანტიურისტების, ავარების, მეშჩანური შარლატანების და პატიოსანი გამოტვინებულების მიერ, რომელნიც თვითონაც თავს იტყუებდენ. მაგრამ აშკარა კლასობრივი ომის დროს ისინი ცოტად თუ ბევრად მაინც მისდევდენ თავგანწირულ უმცირესობას. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა ნაციონალური გვარდიის ორგანიზაციაში. კომუნის არსებობა რომ გაგრძელებულიყო, უფრო და უფრო განმტკიცდებოდა ავანგარდის და პროლეტარიატის უმრავლესობის ურთიერთობა. ის, ორგანიზაცია, რომელიც შეიქნებოდა და განმტკიცდებოდა აშკარა ომის პროცესში, როგორც ორგანიზაცია მშრომელი მასისა, გადაიქცეოდა მათი დიქტატურის ორგანიზაციადაც—შეიარაღებული პროლეტარიატის დეპუტატთა საბჭოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI

მარქსი და კაუცკი.

კაუცკი დიდის რიხით უარჰყოფს მარქსის მიერ „რეინის ახალ გაზეთში“ გამოთქმულ შეხედულობას ტერორზე, რადგან იმ ჟამად მარქსი, თურმე ნუ იტყვით, ჯერ კიდევ ძალიან „ახალგაზრდა“ იყო და, მაშასადამე, მის მსოფლმხედველობას ჯერ არ მიეღწია ყოველ-მხრივი მოქანცულობის იმ მდგომარეობამდე, რაც ასე აშკარად ემ-ჩნევა ზოგ თეორეტიკოსს სამოცდამეათე წლებამდე მიღწევის დროს. 1848—1849 წლების მოუმწიფებელი მარქსის (კომუნისტური მანი-ფესტის ავტორის!) საწინააღმდეგოთ კაუცკის მოჰყავს სიტყვები პა-რიზის კომუნის დროსთვის მომწიფებული მარქსისა,—და ეს უკანას-კნელი, კაუკკის კალამს ქვეშ, ჰკარგავს თავის ჭეშარა, ლომისებურ ფაფარს და ჩვენს წინაშე გამოდის ფრიად პატიეცემულ რეზონერად, რომელიც ქედს იხრის დემოკრატიის წმიდათა-წმიდის წინაშე, ენა-მეტყველობს ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობაზე და ვამსჭვა-ლულია უდიდესი პატივისცემით შეიდემანისა, ვანდერველდესი და, განსაკუთრებით, თავისი ფიზიკური შვილიშვილის, ჟან ლონგეს, პოლი-ტიკური მომჯადოებლობისადმი. ერთი სიტყვით, ცხოვრების გამო-ცდილებით დაბრძენებული მარქსი კეთილგონიერ კაუცკიანელად ხდება.

უკვდავ „სამოქალაქო ომი“-დან, რომლის ფურცლებიც ჩვენს ეპოქაში ივსება ახალი დაჭიმული ცხოვრებით, კაუცკიმ თავისთვის გამოიყენა არა მარტო ის სტრიქონები, სადაც სოციალური რევო-ლიუციის უძლიერესი თეორეტიკოსი კომუნარების სულგრძელობას უპირისპირებს ვერსალელების ბურჟუაზიულ სიმხეცეს. კაუცკიმ ეს სტრიქონები დაიტაცა და გაასაზოგადოვა. და მარქსი გამოიყვანა განყენებული ჰუმანობის მქადაგებლად საყოველთაო კაცთმოყვარეო-ბის მოკიჭულად. თითქოს ბუდდაზე ანუ ლევ ტოლსტოიზე იყოს ლა-პარაკი... სრულიად გასაგებია, რომ მარქსმა, წინააღმდეგ საერთაშო-რისო დევნისა, რომელიც კომუნარებს სუტენერებად, ხოლო კომუ-ნარ ქალებს —როსკიპებად გვიხატავდა, წინააღმდეგ უშველი ცილის-

წამებისა, რომელიც დამარცხებულ მებრძოლებს სიმხეცის თვისებებით ახასიათებდა ძლევამოსილი ბურჟუაზიის ბიწიერი წარმოდგენა,— წინააღმდეგ ყველა ამისა წამოაყენა და ხაზი გაუსვა ლმობიერების და კეთილშობილების იმ თვისებებს, რომლებიც არა იშვიათად მხოლოდ გაუბედაობის შედეგი იყო; მარქსი მუდამ მარქსი იყო. იგი არ იყო არც უგვანო პედანტი, არც, მით უმეტეს, რევოლიუციის პროკურორი: კომუნის მეცნიერული ანალიზი მან შეუზავა მის რევოლიუციონურ აპოლოგიას. იგი არა მარტო განმარტავდა და აკრიტიკებდა, არამედ იცავდა და იბრძოდა კიდეც. მაგრამ, როდესაც მარქსი ხაზს უსვამდა კომუნის ლმობიერებას, იმ კომუნისა, რომელიც დაეცა, იგი ცხადად აჩვენებდა იმ ზომებსაც, რომელნიც აუცილებლად უნდა მიეღო კომუნას, იმისათვის რომ არ დაცემულიყო.

„სამოქალაქო ომი"-ს ავტორი ცენტრალურ კომიტეტს, ე. ი. მაშინდელ ნაციონალური გვარდიელების დეპუტატთა საბჭოს, ბრალსა სდებს იმაში, რომ მან ძალიან ადრე დაუთმო თავისი ადგილი არჩეულ კომუნას. კაუცკის „ვერ გაუგია" მიზეზები ასეთი საყვედურისა. ეს კეთილსინდისიერი გაუგებრობა არის კერძო გამოაშკარავება კაუცკის დაჩლუნგებისა ისეთ საკითხებში, რომელიც საზოგადოდ რევოლიუციას შეეხება. პირველი ადგილი, მარქსის აზრით, უნდა დაეჭირა წმიდა საომარ ორგანოს, აჯანყებისა და სამხედრო ოპერაციების იმ ცენტრს, რომელიც ვერსალელების წინააღმდეგ მოქმედობდა, და არა მუშათა დემოკრატიის თვითმმართველობის ორგანიზაციას. ამ უკანასკნელის რიგი შემდეგში დადგებოდა.

მარქსი კომუნას ბრალსა სდებს იმაში, რომ იგი ერთბაშად კი არ გადავიდა შეტევაზე ვერსალელების წინააღმდეგ, არამედ დაადგა მოგერიების გზას, რომელიც, მართალია, ყოველთვის უფრო „ჰუმანიურია" და მეტ შესაძლებლობას იძლევა მიჰმართო მორალურ უფლებას და ადამიანის სიცოცხლის სიწმიდეს, მაგრამ სამოქალაქო ომის პირობებში არასოდეს არ იძლევა გამარჯვებას. უპირველეს ყოვლისა მარქსს უნდოდა რევოლიუციონური გამარჯვება. არსად არც ერთი სიტყვით არ გამოჰყავს მას დემოკრატიის პრინციპი, როგორც დასაბამი, რომელიც კლასობრივ ბრძოლაზე მაღლა იდგეს. პირიქით, მარქსი, რევოლიუციონერისა და კომუნისტის თავმოყრილი ზიზღით,— არა ახალგაზრდა რედაქტორი „რეინის გაზეთისა", არამედ მომწიფებული ავტორი „კაპიტალისა", ჩვენი ნამდვილი მარქსი, ლომის ძლიერი ფაფარით, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩაეარდნოდათ ხელში კაუცკის სკოლის პარიკმახერებს,—ეს მარქსი დაგუბებული ზიზღით იხსენიებს „პარლამენტარიზმის ხელოვნურ ატმოსფერას", რომელშიაც

ტიერისებური ფიზიკური და სულიერი ჯუჯა-კაცები ბუმბერაზებად გვევლინებიან. „სამოქალაქო ომი", კაუცკის უნაყოფო და მშრალი, ცილისწამებით სავსე პედანტური წიგნაკის შემდეგ, მოქმედობს როგორც განმაახლებელი ქარიშხალი.

წინააღმდეგ კაუცკის ცილისწამებისა, მარქსს საერთო არა აქვს რა ისეთ შეხედულობასთან დემოკრატიაზე, რომელსაც იგი (დემოკრატია) მიაჩნია ისტორიის უკანასკნელ, აუცილებელ, უზენაეს სიტყვად. განვითარება თვით ბურჟუაზიული საზოგადოებისა, რომლიდანაც აღმოცენდა თანამედროვე დემოკრატია, სრულიადაც არ წარმოადგენს იმ თანდათანობითი დემოკრატიზაციის პროცესს, რომელზედაც ომამდე ოცნებობდა დემოკრატიის უდიდესი სოციალისტური ილუზიონისტი ჟან ჟორესი,' ხოლო ახლა ოცნებობს პედანტთა შორის ყველაზე უფრო განსწავლილი კარლ კაუცკი. ნაპოლეონ მესამის იმპერია მარქსს მიაჩნია „მმართველობის ერთად-ერთ შესაძლებელ ფორმად იმ ეპოქაში, როდესაც ბურჟუაზიამ უკვე დაკარგა უნარი ხალხის მმართველობისა, ხოლო მუშათა კლასმა ჯერ ვერ მოიპოვა იგი".

ამოიგად, არა დემოკრატია, არამედ ბონაპარტიზმი მიაჩნია მარქსს ბურჟუაზიის ხელისუფლების უკანასკნელ ფორმად. სჭოლასტიკოსებს შეუძლიათ სთქვან, რომ მარქსი სცდებოდა, რადგან ბონაპარტიულ იმპერიას ნახევარი საუკუნით მოჰყვა „დემოკრატიული რესპუბლიკა". მაგრამ მარქსი არა სცდებოდა: არსებითად იგი მართალი იყო. მესამე რესპუბლიკა იყო ეპოქა დემოკრატიის სრული გათახსირებისა. ბონაპარტიზმმა უფრო დასრულებული გამოხატულება ჰპოვა პუანკარე-კლემანსოს საბირჟო რესპუბლიკაში, ვიდრე მეორე იმპერიაში. მართალია, მესამე იმპერია არ დაგვირგვინებულა საიმპერატორო გვირგვინით, მაგრამ სამაგიეროდ მას თავს ევლებოდა რუსეთის მეფის აჩრდილი.

კომუნის შეფასების დროს მარქსი ძალზე გაურბის გაცვეთილ დემოკრატიულ ტერმინოლოგიას, „კომუნა იყო,—სწერს ის,—არა პარლამენტარული, არამედ მუშური დაწესებულება, იგი შეიცავდა როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებას". პირველ ადგილზე მარქსი აყენებს კომუნის არა პირობითს დემოკრატიულ ფორმას, არამედ მის კლასობრივ არსებას. კომუნამ, როგორც ცნობილია, გააუქმა რეგულიარული ჯარი, პოლიცია და კანონმდებლობით დაადასტურა საეკლესიო ქონების ჩამორთმევა. მან ეს ჩაიდინა პარიზის რევოლიუციონური დიქტატურის უფლებით, იმ საერთო სახელმწიფოებრივი დემოკრატიის ნება-დაურთველად, რომელიც იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს ფორმალურად უფრო მეტ „კანონიერ“ გამოხატულებას ჰპოულობდა ტიერის ეროვნულ კრებაში. მაგრამ რევოლიუცია ხმის მიცემით არა სწყდება. „ეროვნული კრება,—ამბობს მარქსი,—არც მეტი არც ნაკლები იყო ამ რევოლიუციის ერთი ეპოზიდთაგანი, რომლის ჭეშმარიტ გამოხატულობას მაინც შეიარაღებული პარიზი წარმოადგენდა“ რა შორსაა ეს ფორმალური დემოკრატიზმისაგან!

„საკმაო იყო,—სწერს მარქსი,—კომუნალური წესწყობილება, პარიზსა და მეორე-ხარისხოვან ცენტრებში დამყარებულიყო, რომ ძველ ცენტრალურ მთავრობას პროვინციებშიაც დაეთმო ადგილი მწარმოებელთა თვითმმართველობისთვის“. რევოლიუციონური პარიზის ამოცანას მარქსი ხედავს, მაშასადამე, არა იმაში, რომ თავისი გამარჯვებას შემდეგ მან მიმართოს დამფუძნებელი კრების მერყეე ნებისყოფას, არამედ იმაში, რომ მთელ საფრანგეთს მოჰფინოს ცენტრში გაერთიანებული იმ კომუნათა ორგანიზაციები, რომელნიც აგებული უნდა ყოფილიყვნენ არა დემოკრატიის გარეგან პრინციპებზე, არამედ მწარმოებელთა ნამდვილ თვითმმართველობაზე.

კაუცკის საბჭოთა კონსტიტუციის დანაშაულად მიაჩნდა არჩევნების მრავალსაფეხურიანობა, რაც ბურჟუაზიული დემოკრატიის საანბანო ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება. მარქსის აზრით მუშური საფრანგეთის სტრუქტურა ასეთი უნდა ყოფილიყო: „ყოველი ოლქის სასოფლო თემთა საერთო საქმეების გამგებლობა დაკისრებული უნდა ჰქონოდა რწმუნებულთა კრებას, რომელიც უნდა მომხდარიყო ოლქის მთავარ ქალაქში; საოლქო კრებებს კი თავიანთი რწმუნებულნი უნდა გაეგზავნათ ეროვნულ კრებაზე, რომლის სხდომებიც პარიზში უნდა მომხდარიყო“.

მარქსს, როგორც ეხედავთ, სრულიადაც არ აწუხებდა არჩევნების მრავალსაფეხურიანობა მაშინ, როდესაც საქმე ეხებოდა თვით პროლეტარიატის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას. არჩევნების მრავალსაფეხურიანობა ბურჟუაზიული დემოკრატიის ჩარჩოებში ჰფარავს პარტიებისა და კლასების მსაზღვრელ ხაზებს. მაგრამ „მწარმოებელთა თვითმმართველობაში“, ე. ი. პროლეტარულ კლასობრივ სახელმწიფოში, არჩევნების მრავალსაფეხურიანობა არის საკითხი არა პოლიტიკისა, არამედ თვითმმართველობის ტეხნიკისა, და განსაზღვრულ ფარგლებში მას შეიძლება ისეთივე უპირატესობა ჰქონდეს, როგორც პროფესიონალური ორგანიზაციის დარგში.

დემოკრატიის ფილისტერები აღშფოთებულნი არიან მუშათა და გლეხთა წარმომადგენლობის იმ უთანასწორობით, რომელიც საბჭოთა კონსტიტუციაში გამოხატავს რევოლიუციონური როლის სხვადა-

სხეულობას ქალაქსა და სოფელს შორის. მარქსი სწერს: „კომუნას უნდოდა დაემორჩილებინა სოფლის მწარმოებლები საოლქო ქალაქების გონებრივი ხელმძღვანელობისათვის და უზრუნველეყოთ მათთვის მუშების სახით მათივე ინტერესების ბუნებრივი წარმომადგენელნი.' საქმე ის კი არ არის, რომ ქალაქზე გლეხი გაუთანასწორდეს მუშას, არამედ ის, რომ გლეხი სრულიად ამაღლდეს მუშამდე. პროლეტარულ სახელმწიფოს ყველა საკითხს მარქსი იღებს ცოცხალ ძალთა რევოლიუციონურ დინამიკაში და არა პარლამენტარიზმის საბაზრო ეკრანზე ჩრდილთა თამაშში.

კაუცკი, რათა იგი გონებრივი დაცემის უკანასკნელ საზღვრამდე მიეიდეს, უარჰყოფს მუშათა საბჭოების სახელმწიფოებრივ უფლებამოსილობას იმ საბუთით, რომ არ არსებობს იურიუდიული გამიჯვნა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორისო. კაუცკი ხედავს საბჭოთა დიქტატურის თვითნებობის წყაროს სოციალური გამიჯვნის ჩამოუყალიბლობაში. მარქსი კი წინააღმდეგს ამბობს: „კომუნა ძლიერ ფართო სახელმწიფოებრივი ფორმა იყო, მაშინ, როდესაც ყოველი წინა სახელმწიფოებრივ ფორმას სივიწროვე ახასიათებდა. მისი საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ იგი მთელი თავისი არსებით მუშათა კლასის მთავრობა იყო, შედეგი ბრძოლისა მწარმოებელ და მიმთვისებელ კლასთა შორის, ისეთი ფორმა, რომელსაც დიდხანს ეძებდენ და რომლის წიაღშიც უნდა მომხდარიყო შრომის ეკონომიური განთავისუფლება." კომუნის საიდუმლოება იმაში მდგომარეობდა, რომ ის არსებითად მუშათა კლასის მთავრობა იყო. ეს მარქსის მიერ გამოაშკარავებული საიდუმლოება კაუცკისთვის დღესაც ცხრა კლიტულში დამწყვდეულ საიდუმლოებას წარმოადგენს.

დემოკრატიის ფარისევლები ხიზღით ლაპარაკობენ საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიებზე, გაზეთების დახურვაზე, დატუსაღებაზე და დახვრეტაზე. „გაზეთის ლაქიების უგვანო ლანძღვაზე" და „კეთილ საიმედო ბურჟუა-დოქტრინერების" საყვედურზე კომუნის რეპრესიების გამო მარქსი უპასუხებს: „არ კმაყოფილდებოდენ რა იმით, რომ ცხადად აწარმოებდენ სისხლისმსმელ ომს პარიზის წინააღმდეგ, ვერსალელები სცდილობდენ მოსყიდვისა და შეთქმულობის წყალობით ფარულად შეჭრილიყვნენ პარიზში. განა შეეძლო ასეთ პირობებში კომუნას, თუ კი იგი თავის დანიშნულებას სამარცხვინოდ არ ულალატებდა, დაეცვა ლიბერალიზმის პირობითი ფორმები, თითქოს ირგვლივ მშვიდობიანობა ყოფილიყო? კომუნის მთავრობა რომ სულით მონათესავე ყოფილიყო ტიერის მთავრობისა, არავითარი საფუძველი არ იქნებოდა აეკრძალათ პარიზში წესიერების პარტიის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთები, ხოლო ვერსალში—კომუნის გაზეთები". ამრიგად, იმას, რასაც კაუცკი დემოკრატიის წმიდათა-წმიდას სახელით თხოულობს, მარქსი კიცხავს როგორც სამარცხვინო ღალატს თავისი დანიშნულების წინაშე.

ნგრევას, რომელსაც კომუნას უსაყვედურებდენ, ისევე, როგორც ამჟამად საბჭოთა ხელისუფლებას უსაყვედურებენ, მარქსი იხსენიებს „როგორც აუცილებელ და შედარებით უმნიშვნელო მომენტს იმ გოლიათურ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებს ახლად წარმოშობილი საზოგადოებისა და ლეველის პროცესში მყოფ ძველი საზოგადოების შორის". ნგრევა და სიმკაცრე აუცილებელია ყოველი ომის დროს. მხოლოდ სიკოფანტებს შეუძლიათ მისი ჩათვლა დანაშაულად „მჩაგვრელთა წინააღმდეგ დამონებულთა ომის დროს, **ისტორიაში ერთად-ერთი სამართლიანი ომის დროს**" (მარქსი). ამავე დროს ჩვენი მრისხანე ბრალმდებელი კაუცკი მთელ თავის წიგნაკში კრინტსაც კი არა სძრავს იმის შესახებ, რომ ჩვენ შეუწყვეტელ რევოლიუციონურ თავდაცვის მდგომარეობაში ვიმყოფებით, მსოფლიო მჩაგვრელთა წინააღმდეგ ვაწარმოებთ გააფთრებულ ომს, ამ „ერთად-ერთ სამართლიან ომს ისტორიაში".

კაუცკი გულისტკივილით ამბობს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას სამოქალაქო ომის დროს მძევლები მიჰყავს, რომ იგი ამ სასტიკი საშუალებით სარგებლობსო. მას კვლავ მოჰყავს უაზრო და არაკეთილსინდისიერი შედარებები საბჭოთა ხელისუფლების სიმკაცრის და კომუნის ჰუმანობის დასამტკიცებლად. ცხადი და გარკვეულია ამის შესახებ ნარქსის მოწოდება: „როდესაც ტიერმა ომის დაწყებისათანავე ძალაში მოიყვანა ტყვე კომუნარების დახვრეტის ჰუმანური ჩვეულება, ამ ტყვეთათვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად კომუნას არაფერი, დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ მიემართა პრუსიის ჩვეულებისათვის, და წაეყვანა მძევლები. ვერსალელებმა ტყვეთა დახვრეტა არ შეაჩერეს და ამით თვითონ გასწირეს სამსხვერპლოდ მძევლები. **როგორ შეიძლებოდა კიდევ უფრო მეტხანს მათი სიცოცხლის შენყალება** იმ სისხლისღვრის შემდეგ, რომლითაც მაკ-მაგონის პრეტორიანებმა პარიზში შესვლა იდღესასწაულეს". როგორ შეიძლება, ვიკითხავთ ჩვენც მარქსთან ერთად, სხვაგვარი მოქმედება სამოქალაქო ომის პირობებში, როდესაც კონტრ-რევოლიუცია, რომელსაც ეროვნული ტერიტორიის საგრძნობი ნაწილი უკავია, იჭერს, სადაც შესძლებს, უიარაღო მუშებს, მათს ცოლებს, მათს დედებს, ხვრეტავს და ახრჩობს, როგორ შეიძლება სხვაგვარი მოქმედება, თუ მძევლებად არ წავიყვანთ ბურჟუაზიის მიერ შეყვარებულ ხალხს ან მის რწმუნებულებს და ამით ბურ-

ეუაზიის მთელ კლასს ურთიერთ პასუხისმგებლობას არ მოვთხოვთ? ძნელი არ იქნება დავანახოთ სამოქალაქო ომის ისტორიიდან, რომ საბჭოთა ხელისუფლების ყოველი სიმკაცრე რევოლიუციონური თავდაცვის იძულებით ზომას წარმოადგენდა. აქ არ გამოვუდგებით წვრილმანებს. მაგრამ იმისთვის რომ მცირედი წარმოდგენა მაინც იქონიონ ბრძოლის პირობებზე, გავიხსენოთ რომ იმ დროს, როდესაც თეთრგვარდიელები ინგლისელ და ფრანგ მოკავშირეებთან ერთად ხვრეტდენ განურჩევლად ყველა კომუნისტს, რომელიც—კი მათ ხელში ჩაუვარდებოდათ, წითელი ჯარი წყალობას ანიჭებდა განურჩევლად ყველა ტყვეს, მათს შორის უმაღლეს ოფიცრებსაც.

„ბუშათა კლასმა საესებით შეიგნო თავისი ისტორიული დანიშნულება,—სწერს მარქსი,—იგი აღსავსეა გმირულის გადაწყვეტილებით დარჩეს ამ დანიშნულების სიმაღლეზე: ამიტომ მას დამშვიდებული ხიზლით შეუძლია გასცეს პასუხი გაზეთის ლაქიების უგვანო ლანძღვას და კეთილი განზრახვებით აღჭურვილ ბურჟუა-დოქტრინერების სწაელულ მფარველობას, იმ ბურჟუა-დოქტრინერების, რომელნიც თავიანთ უვიც სტერეოტიპულ ზოგად ადგილებს და კასტიურ სისულელეებს გამოსთქვამენ ორაკულთა სამეცნიერო უცოდველობის ტონით".

თუ კეთილსაიმედო ბურჟუა-დოქტრინერები ხანდისხან მეორე ინტერნაციონალის სამსახურიდან გადამდგარ თეორეტიკოსებად გამოდიან, ეს გარემოება სრულიადაც არ ართმევს მათს კასტიურ სისულელეს უფლებას სისულელედვე დარჩეს..

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII

მუშათა კლასი და მისი საგარეოთა პოლიტიკა.

რუსეთის პროლეტარიატი.

სოციალისტური რევოლიუციის ინიციატივა, მოვლენათა მსვლელობის ძალით, დაეკისრა არა ძლიერი პოლიტიკური და პროფესიონალური ორგანიზაციებითა და პარლამენტარიზმისა და ტრედუნიონიზმის დიდი ტრადიციებით აღჭურვილ დასავლეთ-ევროპის ძველ პროლეტარიატს, არამედ ჩამორჩენილი ქვეყნის ახალგაზრდა მუშათა კლასს. ისტორია, როგორც ყოველთვის, გაჰყვა ნაკლები წინააღმდეგობის ხაზს. რევოლიუციონური ეპოქა შეიჭრა უფრო ნაკლებად გამაგრებულ კარებში. იმ საგანგებო, მართლაც ზეკაციურმა სიძნელემ, რომელიც თავს დაატყდა რუსეთის პროლეტარიატს, მოამზადა, დააჩქარა და შედარებით გააადვილა დასავლეთ-ევროპის პროლეტარიატის რევოლიუციონური მუშაობა, რომელიც ჯერ კიდევ მომავალშია. იმის მაგიერ, რომ კაუცკიმ რუსეთის რევოლიუცია განიხილოს მთელ მსოფლიოში დამდგარ რევოლიუციონური ეპოქის პერსპექტივით, იგი მსჯელობს იმ თემაზე, რომ რუსეთის პროლეტარიატმა ნაადრევად აიღო ხელში ძალა-უფლება.

„სოციალიზმისთვის,—განმარტავს იგი,—საჭიროა ხალხის მაღალი განვითარება, მასის მაღალი ზნეობა, ძლიერად განვითარებული სოციალური ინსტინქტები, სოლიდარობის გრძნობა და სხვ. ამგვარი მორალი,—გვასწავლის კაუცკი,—უკვე ძალიან განვითარებული ჰქონდა პარიზის კომუნას. იგი არა აქვს იმ მასას, რომელიც ამჟამად ტონს იძლევა ბოლშევიკურ პროლეტარიატში“ (გვ. 120).

კაუცკის მიზნებისათვის ცოტაა თავისი მკითხველების თვალში ჩირქი მოსცხოს კომუნისტებს, როგორც პოლიტიკურ პარტიას. იცის რა, რომ კომუნიზმი შეეთვისა რუსეთის პროლეტარიატს, კაუცკი სცდილობს ჩირქი მოსცხოს მთლიანად რუსეთის პროლეტარიატს, დაგვიხატოს იგი, როგორც ბნელი, უიდეო, ხარბი მასა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ხელმძღვანელობს მომენტის ინსტინქტით და შთაგონებით. წიგნაკის მთელ სიგრძე-სიგანეზე კაუცკი ბევრჯელ უბრუნდება საკითხს რუსეთის მუშების გონებრივი და ზნეობრივი დონის შესახებ, და ყოველთვის მხოლოდ იმისათვის, რომ გააზვიადოს მათი უმეცრებისა, მათი გონების სიჩლუნგისა და ველურობის, დახასიათება. განსაკუთრებული კონტრასტის მისაღწევად, კაუცკის მოჰყავს მაგალითი კომუნის დროიდან, როდესაც **ერთ** სამხედრო-სამრეწველო წარმოების წარმომადგენელმა მუშებმა დააწესეს წარმოებაში **ერთი** მუშის საავალდებულო მორიგეობა ღამ-ღამობით, რათა შესაძლებელი ყოფილიყო შეკეთებული იარაღის ღამე გაცემა. „რადგან დღევანდელ გარემოებაში აუცილებლად საჭიროა სრული ეკონომია კომუნის ქონების ხარჯვაში,—ამბობს რეგლამენტი,—ამიტომ მორიგეობა ღამე უსასყიდლო უნდა იყოს". „ჭეშმარიტად—დაასკვნის კაუცკი,—ეს მუშები თავიანთ დიქტატურას ეყურებდენ არა როგორც კეთილსასიამოვნო კონიუნქტურას პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად" (გვ. 65). სულ სხვა საქმეა რუსეთის მუშათა კლასი. იგი მოკლებულია შეგნებას, იდეურ სიმტკიცეს, თავშეკავებას, მზადყოფნას თავგანწირვისათვის და სხვ. მას ისევე ნაკლებად შეუძლია შესაფერი ხელმძღვანელების არჩევა,—დაიკინება კაუცკი,—როგორც ნაკლებად შეუძლია მიუნჰაუზენს თავისი თავი ჭაობიდან თმით ამოათრიოს. ეს შედარება რუსეთის პროლეტარიატისა ცოუპენტელა მიუნჰაუზენთან, რომელსაც თავისი თავი ჭაობიდან გამოჰყავს, საუკეთესო ნიმუშია იმ თაებედი ტონისა, რომლითაც კაუცკი ლაპარაკობს რუსეთის მუშათა კლასის შესახებ.

მას მოჰყავს ციტატები ჩვენი ცალკე სიტყვებიდან და მოკლე წერილებიდან, სადაც ვამხილებდით მუშათა წრეების უარყოფითს მოვლენებს, და სცდილობს წარმოგვიდგინოს საქმე იმრიგად, თითქო პასივობით, სიბნელით და ეგოიზმით ამოიწურება ცხოვრება რუსის პროლეტარიატისა 1917—1920 წ. წ. განმავლობაში, ე. ი. უდიდეს რევოლიუციონურ ხანაში.

კაუცკიმ ეითომ არ იცის, არ გაუგონია, ვერ მიმხვდარა, ვერ მოუსაზრებია, რომ სამოქალაქო ომის განმავლობაში რუსის პროლეტარიატს არაერთხელ შეუწირია უანგაროთ თავისი შრომა და არაერთხელ დაუწესებია კიდეც „უსასყიდლო" მორიგეობა არა ერთი მუშისა არა ერთი ღამის განმავლობაში, არამედ ათი ათასი მუშისა შიშითა და ძრწოლით სავსე მთელი რიგი ღამეების განმავლობაში. პეტროგრადზე იუდენიჩის გამოლაშქრების დღეებსა და კვირებში საკმაო იყო საბჭოს ერთი ტელეფონოგრამა, რომ მრავალი ათასი მუ-

ში ფხიზლად მდგარიყო თავის სადარაჯოებზე ყველა ქარხანასა და ქალაქის უბანში და ასე ხდებოდა არა მარტო პეტროგრადის კომუნის პირველ დღეებში, არამედ ორი წლის ბრძოლის შემდეგაც, სიცოცხლისა და შიმშილობის დროს.

ჩვენი პარტია წელიწადში ორჯელ სამჯერ იწვევდა ფრონტზე თავისი წევრების დიდ პროცენტს. 8 ათასი ვერსის მანძილზე ისინი კვდებოდენ და სხვებსაც ასწავლიდენ სიკვდილს. და როდესაც მშიერსა და ცივ მოსკოვში, რომელმაც თავისი მუშების საუკეთესო ნაწილი ფრონტს მისცა, ცხადდებოდა პარტიული კვირა, პროლეტარული მასიდან ჩვენს რიგებს 7 დღის განმავლობაში 15 ათასი კაცი უერთდებოდა. მერე როგორ მომენტში? როდესაც საბჭოთა ხელისუფლების დალუპვის საშიშროება უმაღლეს წერტილს აღწევდა, იმ დროს, როდესაც აღებული იყო ორიოლი, დენიკინი ტულას და მოსკოვს უახლოვდებოდა, ხოლო იუდენიჩი პეტროგრადს ემუქრებოდა,—ამ ყოვლად მძიმე დროს მოსკოვის პროლეტარიატმა ერთი კვირის განმავლობაში ჩვენი პარტიის რიგებს მისცა 15 ათასი კაცი, რომელთაც უკვდიდათ ახალი მობილიზაციები ფრონტისთვის. და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არასოდეს, გარდა იქნებ 1917 წ. ნოემბრის აჯანყების ერთი კვირისა, მოსკოვის პროლეტარიატი არ ყოფილა ისე ერთსულოვანი თავის რევოლიუციონურ აღტყინებაში და თავგანწირულ ბრძოლისათვის, როგორც ამ საშიშროებისა და შეხვერპლის უმძიმეს დღეებში.

როდესაც ჩვენმა პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი შაბათობისა და კვირაობისა, პროლეტარიატის რევოლიუციონურმა იდეალიზმმა ცხადი გამოხატულება ნახა შრომის ნებაყოფლობითს ფორმაში. პირველ ხანს ათობით და ასობით, შემდეგ ათასობით ხოლო ახლა ათი და ასი ათასობით მუშა სწირავს უსასყიდლოდ ყოველკვირა თავის შრომის რამდენსამე საათს ქვეყნის სამეურნეო აღორძინებას. ამას სჩადის ნახევრად მშიერი ხალხი, დაგლეჯილ ფეხსაცმელში, ჭუჭყიან საცვალში, იმიტომ რომ აქ არ მოიპოვება არც ფეხსაცმელი, არც საპონი. ასეთია ნამდვილად ის ბოლშევიკური პროლეტარიატი, რომელსაც კაუცკი თავგანწირვას ასწავლის. ფაქტები და მათი ურთიერთობანი უფრო ცხადი გახდებიან, თუ გავიხსენებთ, რომ პროლეტარიატის ეგოისტური, მეშჩანური, უბეშ-ანგაროული ელემენტები,—ყველა ის, ვინც გაურბოდა ფრონტს და შაბათობას, ვინც თითო ტომრობით, მალულად მოტანილი პურით ვაჭრობდა, მოუწოდებდა მუშებს მშიერ კვირებში გაფიცვისაკენ,—ყველა ისინი საბჭოთა არჩევნებზე ხმას აძლევენ მენშევიკებს, ე. ი. რუსეთის კაუცკიანელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაუცკის მოყავს ჩვენი სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩვენ ნოემბრის რევოლიუციამდეც ანგარიშს ვუწევდით რუსეთის პროლეტარიატის აღზრდის ნაკლულოვანებას, მაგრამ, აღვიარებდით რა ძალაუფლების მუშათა კლასისათვის გადაცემის აუცილებლობას, ვიმედოვნებდით, რომ თვით ბრძოლაში, გამოცდილებაში, სხვა ქვეყნის პროლეტარიატის დახმარებით, თანდათან დაეძლევდით დაბრკოლებებს და უზრუნველვყოფდით რუსეთის გადასვლას სოციალისტურ აღშენებლობაზე. ამის გამო კაუცკი კითხულობს: „გაბედავს თუ არა ტროცკი ჩაჯდეს ორთქლმავალში და მოიყვანოს იგი მოძრაობაში, დარწმუნებული, რომ გზაში ყველაფერს შეისწავლის და მოაწყობს? ორთქლმავლის მოძრაობაში მოყვანამდე, აუცილებლად უნდა მოიპოვო ის თვისებები, რომელიც საჭიროა მის მოძრაობაში მოსაყვანად. ასევე პროლეტარიატმა ადრევე უნდა მოიპოვოს აუცილებელი თვისებები, რომელთა წყალობითაც იგი შესძლებს მრეწველობის ხელმძღვანელობას, თუ კი მან უნდა იკისროს ეს ხელმძღვანელობა“ (გვ. 117).

ასეთი ჭკუის დამრიგებელი შედარება სახელს გაუკეთებდა ყოველ პასტორს. მიუხედავად ამისა, იგი მაინც სისულელეა. ეჭვი არ არის, უფრო მეტი საბუთიანობით შეიძლება ვიკითხოთ: გაბედავს თუ არა კაუცკი შეჯდეს ცხენზე, იმ დრომდე, ვიდრე არ ისწავლის მაგრა უნაგირზე ჯდომას და ცხენის მართვას ყოველგვარი ალიურის დროს? ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კაუცკი ვერ გაბედავდა ასეთ საშიშ, წმინდა ბოლშევიკურ ექსპერიმენტს. მეორე მხრივ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ კაუცკი ვერ გაბედავდა ცხენზე შეჯდომას, იგი ვერასოდეს ვერ შეისწავლიდა ცხენოსნობის საიდუმლოებას, ვინაიდან ბოლშევიკების ცოდნორწმუნეობა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ ცხენოსნობის შესწავლა შეიძლება მხოლოდ ცხენზე ჯდომით.

რაც შეეხება ორთქლმავლის მოძრაობაში მოყვანას, იგი ერთი შებედვით ისე ცხადი არ არის, მაგრამ მართალი კი არის. ჯერ არავის შეუსწავლია ორთქმავლის მოძრაობაში მოყვანა კაბინეტში ჯდომით. საჭიროა ორთქლმავალზე ასვლა, მემანქანის ადგილზე დადგომა, რეგულიატორის ხელში აღება და მისი მობრუნება. მართალია ძველი მემანქანის ხელმძღვანელობით სხვების სასწავლებლად შეიძლება ორთქლმავლის მოძრაობაში მოყვანა. გამოცდილი ცხენოსნის ხელმძღვანელობით შეიძლება ცხენზე ჯდომის შესწავლაც სავარჯიშო მოედანზე. მაგრამ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში ასეთი ხელოვნური პირობების შექმნა არ შეიძლება. ბურჟუაზია არ აარსებს პროლეტარიატისთვის სახელმწიფოებრივი მმართველობის აკადემიას და არ აძლევს მას სავარჯიშოდ სახელმწიფო საქმეს. თვით ცხენზე ჯდო-

მასაც მუშები და გლეხები საკარჯიშო მოედანზე და ბერეიტორის დახმარებით არ სწავლობენ.

ამას უნდა დავუმატოთ ერთი მოსაზრებაც, ვგონებ ყველაზე უფრო საყურადღებო: პროლეტარიატს არავინ არ აძლევს არჩევანს შეჯდეს თუ არ შეჯდეს ცხენზე, ახლავე აიღოს ძალა-უფლება თუ შემდეგისთვის გადასდოს. ზოგიერთ პირობებში მუშათა კლასი იძულებულია აიღოს ძალა-უფლება პოლიტიკური თვითგაუქმების შიშს ქვეშ მთელი ისტორიული ეპოქის განმავლობაში. ხოლო როდესაც ძალა-უფლებას აიღებ, არ შეიძლება შენი სურვილით ერთი შედეგი მიიღო, მეორეზე კი უარი განაცხადო. თუ კაპიტალისტური ბურჟუაზია შეგნებით და ბოროტი განზრახვით წარმოების დეზორგანიზაციას გადააქცევს პოლიტიკური ბრძოლის საშუალებად სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების დაპრუნებისთვის, მაშინ პროლეტარიატი იძულებულია გადავიდეს სოციალიზაციაზე, დამოუკიდებლად იმისა, ხელსაყრელია **იმ ჟამად** ეს თუ არა. ხოლო როდესაც პროლეტარიატი წარმოებას შეუდგება, იგი რკინის აუცილებლობის ზეგავლენით იძულებულია თვით პრაქტიკაზე შეისწავლოს ძნელი საქმე — სოციალისტური მეურნეობის მოწყობა. მხედარი, რომელიც ცხენზე შეჯდება, თუ არ უნდა გადმოვარდეს და თავი გაიტეხოს, იძულებული გახდება აღვირს წააველოს ხელი და ცხენს გზა უჩვენოს.

* * *

კაუცკის, იმისთვის, რომ მისმა მართლმორწმუნე მომხრეებმა ნამდვილი წარმოდგენა იქონიონ რუსეთის პროლეტარიატის ზნეობრივ დონეზე, თავისი წიგნაკის მე-116 გვერდზე მოჰყავს შემდეგი მანდატი ვითომ და გაცემული მურზილოვკის მუშათა საბჭოს მიერ: „საბჭო ამით ავალებს ამხ. გრიგორ სარეევს თავისი არჩევით და ბრძანებით რეკვიზიცია უყოს ბურჟუაზიისა და სპეკულიანტთა კლასიდან 60 დედაკაცსა და ქალიშვილს და მოიყვანოს ყაზარმაში ბრიანსკის მაზრის სოფელ მურზილოვკაში დაბანაკებულ საარტილერიო დივიზიონის საჭიროებათათვის. 16 ენკენისთვე 1918 წელი" (გამოქვეყნებულია დოქტორის Nath. Wintch-Malejeff-ის მიერ, „What are the Bolshewists doing"-ში ლოზანა 1919, S. 10).

თუმცა წინდაწინვე დარწმუნებული ვიყავი ამ დოკუმენტის სიყალბეში, საერთოდ მთელი ცნობის სიცრუეში, მე მაინც ძივანდე მოეხდინათ ყოველმხრივი გამოძიება იმის გამოსარკვევად, თუ რა ფაქტი ან ეპიზოდი დაედო საჩრდილად ამ გამოგონებას. დაწვრილებითმა და ყოველმხრივმა გამოძიებამ დაგვანახვა შემდეგი:

1) ბრიანსკის მაზრაში სრულიად არ არის დაბა ან სოფელი მურზილოვკის სახელწოდებით. არ არის ასეთი დაბა აგრეთვე არც მეზობელ მაზრებში. სახელწოდებით ყველაზე უფრო მიმსგავსებული ბრიანსკის მაზრაში არის მურავიოვკა, მაგრამ იქ არ აღმოჩნდა არავითარი არტილერიის დივიზიონი და საერთოდ არ მომხდარა ისეთი რამ, რასაც რაიმე კავშირი ჰქონდეს ზემოდმოყვანილ „დოკუმენტთან".

2) გამოძიება სწარმოებდა აგრეთვე საარტილერიო ნაწილებში. არსად არ აღმოჩნდა ოდნავადაც კი მსგავსი რამ იმისა, რაც კაუცკის მოჰყავს სხეისი ჩაგონებით.

3) ბოლოს, გამოძიება შეეხო იმას, იყო თუ არა სადმე ამგვარი ხმები. ამ შემთხვევაშიაც არაფერი გამოაშკარავებულა. არც გასაკვირია: შინაარსი ყალბი დოკუმენტისა ძალზე ეწინააღმდეგება თვით ჩამორჩენილი ადგილების იმ მოწინავე მუშებისა და გლეხების აზრებს, რომელნიც მიმართულებას აძლევენ საბჭოებს.

ამრიგად დოკუმენტი აღიარებულ უნდა იქნეს დაბალი ხარისხის სიყალბედ, რომლის გავრცელება შეუძლიათ მხოლოდ უყვითლესი გაზეთების უბოროტეს სიკოფანტებს.

იმ დროს, როდესაც სწარმოებდა აქ აღნიშნული გამოძიება, ამხ. ზინოვიევმა 1919 წ. 9 ნოემბერს გადმომცა შვედური გაზეთის ნომერი, სადაც მოყვანილია ფაქსიმილე მანდატისა, შემდეგი შინაარსით:

„მანდატი"

ამის წარმომდგენს, ამხ. კარასეევს, უფლება ეძლევა სოციალიზაცია უყოს ქალაქ ეკატერინ ოდ (წაშლილია) ქალიშვილს 16-დან 36 წლამდე, რომლებზედაც ამხ. კარასეევი მიუთითებს.

გლავკომი ივაშჩენი.

ეს დოკუმენტი უფრო სულელური და თაეზედურია, ვიდრე ის, რომელიც კაუცკის მიერ არის მოყვანილი. ქალაქი ეკატერინოდარი — ყუბანის ცენტრი,—როგორც ვიცით, ძლიერ მცირე ხნის განმავლობაში იყო საბჭოთა ხელში. ცხადია, ფალსიფიკაციის ავტორმა, რომელსაც რევოლიუციის ქრონოლოგია მტკიცედ არა სცოდნია, წაშალა თავის დოკუმენტზე თარიღი, რათა უკაბედად ის არ გამოსულიყო, რომ ეკატერინოდარელი ქალების სოციალიზაცია მოახდინა „გლავკომმა ივაშჩენმა" დენიკინის ჯარისკაცთა იქ ბატონობის დროს. დოკუმენტს შეეძლო შეცდომაში შეეყვანა შვედელი ბურჟუა, ამაში გა-

საკვირველი არაფერია. მაგრამ რუსი მკითხველისთვის მეტად ცხადია, რომ დოკუმენტი უბრალო სიყალბე კი არაა, იგი **შეთითხნილია უცხოელის მიერ ლექსიკონით ხელში.**

ფრიად საყურადღებოა, რომ ქალების ორივე სოციალიზატორის გვარს—„გრიგორ სარეევს" და „ამბ. კარასეევს" რუსული გამოთქმა არა აქვთ. დაბოლოებები „ეევ" რუსულ გვარებში გვხვდება ძალიან იშვიათად. მაგრამ თვით ბოლშევიკების მამხილებელის, ინგლისის ბროშურის (რომელსაც კაუცკი ეყრდნობა) ავტორის გვარი სწორედ „ეევ"-ზე თავდება (Wintch Malejeff). ცხადია, რომ ეს ოლზანაში მჯდომი ინგლისელ-ბოლგარელი პოლიციელი სუბიექტი ქალების სოციალიზატორებს ჰქმნის თავის ხატად და მსგავსად.

კაუცკის, ყოველ შემთხვევაში, თავისებური შთამაგონებელნი და თანამზლებელნი ჰყავს.

საბჭოები, პროფესიონალური კავშირები და პარტია.

საბჭოები, როგორც ფორმა მუშათა კლასის ორგანიზაციისა, „განვითარებული სახელმწიფოების პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების მიმართ კაუცკისთვის წარმოადგენენ არა უმაღლეს ფორმას ორგანიზაციისას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სუროგატს (Notbehelf), აღმოცენებულს პოლიტიკური ორგანიზაციების უქონლობისაგან" (გვ. 51). დავუშვათ, რომ ეს მართალია რუსეთის მიმართ. მაგრამ მაშინ რათ გაჩნდენ საბჭოები გერმანიაში? საჭიროა თუ არა მათზე სრულებით უარის თქმა ებერტის რესპუბლიკაში? ჩვენ ვიცით, რომ ჰილფერდინგი, კაუცკის მახლობელი თანამოაზრე, წინადადებას იძლეოდა, რომ საბჭოები კონსტიტუციაში შეეტანათ. კაუცკი სდუმს.

საბჭოების შეფასება, როგორც „პრიმიტიულ" ორგანიზაციისა, სწორია იმდენად, რამდენადაც აშკარა რევოლიუციონური ბრძოლა „პრიმიტიულია" პარლამენტარიზმზე. მაგრამ ხელოვნური სირთულე უკანასკნელისა საქმეში აბამს მხოლოდ მცირე ნაწილს ზედაფენებისას, რევოლიუცია კი შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც მასის სიცოცხლეა შელახული. ნოემბრის რევოლიუციამ ფეხზე დააყენა ხალხის ისეთი წრეები, რომლებზე ოცნებაც კი რევოლიუციამდე არ შეეძლო სოციალ-დემოკრატიას. რაც უნდა ფართო ყოფილიყო პარტიებისა და პროფესიონალური კავშირების ორგანიზაციები გერმანიაში, მაინც რევოლიუცია ერთბაშად გაცილებით მათზე უფრო ფართო აღმოჩნდა. თავისი უშუალო წარმომადგენლობა რევოლიუციონურმა მასებმა ჰპოვეს უბრალო და ყველასათვის მისაწვდომ დელეგატთა ორგა-

ნიზაციაში —საბჭოებში. შეიძლება აღვიაროთ, რომ დეპუტატთა საბჭო, პროგრამის სიცხადის ან ორგანიზაციის ფორმის მხრით, დაბლა სდგას როგორც პარტიაზე, ისე პროფესიონალურ კავშირზე. ხოლო ის ბრძოლის ორგანიზაციაში ჩათრეული მასების რიცხვით ბევრად აღემატება პარტიასაც და კავშირსაც, და ეს რიცხვობრივი სიმრავლე საბჭოებს უდავო რევოლიუციონურ უპირატესობას ანიჭებს. საბჭო აერთებს ყველა წარმოების, ყველა პროფესიის, კულტურული განვითარების და პოლიტიკური შეგნების ყველა საფეხურის და ყველა დონის მუშებს—და მით ობიექტიურად იძულებული ხდება ჩამოაყალიბოს პროლეტარიატის **საერთო** ინტერესები.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი" კომუნისტების ამოცანას ხედავდა სწორედ იმაში, რომ ჩამოეყალიბებია მთლიანად მუშათა კლასის საერთო ისტორიული ინტერესები.

„კომუნისტები, მანიფესტის სიტყვით, სხვა პროლეტარული პარტიებისაგან განსხვავდებიან მხოლოდ იმით, რომ ერთის მხრით. სხვადასხვა ერთა პროლეტარების ბრძოლაში წინ აყენებენ და იცავენ, ეროვნების დამოუკიდებლად, პროლეტარიატის მთლიან ინტერესებს; მეორე მხრით იმით, რომ ისინი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, რომელსაც გაივლის ხოლმე ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, მუდამ გამოდიან მთლიანად აღებული მოძრაობის ინტერესის წარმომადგენელად". თვით მოძრაობა ყველას გამაერთიანებელ საბჭოთა კლასობრივი ორგანიზაციის სახით, იღებს თავის თავს „მთლიანად". აქედან ცხადია, კომუნისტებმა როგორ შესძლეს და როგორ გახდენ ისინი საბჭოების ხელმძღვანელ პარტიად.

მაგრამ აქედანვე სჩანს მთელი სიყალბე საბჭოების, როგორც პარტიის სუროგატის შეფასებისა, და სრული უაზრობა საბჭოების, როგორც დამხმარე ბერკეტის შეტანისა ბურჟუაზიული დემოკრატიის მექანიზმში (ჰილფერდინგი). საბჭო პროლეტარული რევოლიუციის ორგანიზაციაა და მის არსებობას აზრი აქვს როგორც ბრძოლის ორგანოს ხელისუფლებისთვის, ან როგორც მუშათა კლასის ხელისუფლების აპარატს.

ვერ მიმხვდარა რა საბჭოების რევოლიუციონურ როლს, კაუცკი მათ ძირითად ნაკლს ხედავს იმაში, რაც შეადგენს მათ უმთავრეს ღირსებას. „ბურჟუისა და მუშების გამიჯვნა,—სწერს იგი,—არსად არ შეიძლება სავსებით, ამ გამიჯვნაში ყოველთვის არის რაღაც თვითნებური, რაც საბჭოთა იდეისაგან ჰქმნის დიქტატორული თვითნებური ბატონობისთვის ფრიად ხელსაყრელ ნიადაგს, მაგრამ უვარგისად ხდის ამ იდეას ნათელ და სისტემატიურად აგებულ სახელმწიფოებრივი რეჟიმის შესაქმნელად" (გვ. 115).

კლასობრივ დიქტატურას არ შეუძლია შექმნას, კაუცკის აზრით, მის ბუნებასთან შეგუებული დაწესებულებანი იმ მიზეზით, რომ არ არსებობს უნაკლულო გამმიჯვნელი ხაზები კლასთა შორის. მაგრამ, რა ვუყოთ საზოგადოდ ამ შემთხვევაში კლასთა ბრძოლას? წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგები ხომ სწორედ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არსებული გარდამავალი საფეხურების სიმრავლეში ხედავენ თვით კლასთა ბრძოლის „პრინციპის" მთავარ საწინააღმდეგო არგუმენტს. კაუცკისათვის კი პრინციპიალური რყევა იწყება სწორედ იქ, სადაც პროლეტარიატმა, სძლია რა საშუალო კლასების უფორმობასა და უწონასწორობას, გაიყოლია მათი ერთი ნაწილი, ხოლო მეორე ბურჟუაზიულ ბანაკში ვადისროლა, ფაქტიურად მოაწყო თავისი დიქტატურა საბჭოების სახელმწიფოებრივ წყობილებაში. საბჭოები სწორედ იმიტომ გამოდიან პროლეტარული ბატონობის უცილობელ აპარატად, რომ მათი ჩარჩოები ელასტიური და მოქნილია, ასე რომ კლასთა და წრეთა ურთიერთობაში მომხდარი არა თუ სოციალური, არამედ პოლიტიკური ცვლილებებიც საბჭოთა აპარატში დაუყოვნებლივ ჰპოვებენ გამოხატულებას. დაწყებული ვეებერთელა ფაბრიკებითა და ქარხნებით, საბჭოები ითრევენ თავიანთ ორგანიზაციაში სახელოსნოების მუშებს და სავაჭროების ნოქრებს, გადადიან ქალაქსოფელში, აკავშირებენ გლეხებს მემამულეების წინააღმდეგ შემდეგ—დაბალ და საშუალო გლეხებს სოფლის წურბელა-ჩარჩების წინააღმდეგ. მუშათა სახელმწიფო ჰქმნის თავისთვის მრავალრიცხოვან შტატს მოსამსახურეებისას, უმთავრესად ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის წრიდან. იმისდა მიხედვით, თუ როგორ იწრთვნებიან ისინი საბჭოთა რეჟიმით, პოულობენ თავიანთ წარმომადგენლობას საბჭოთა სისტემაში. საბჭოთა სისტემა, რომელიც ფართოვდება და ხან მცირდება კიდეც იმისდა მიხედვით, ფართოვდება თუ მცირდება პროლეტარიატის მიერ დაპყრობილი სოციალური პოზიციები, თავის შინაგან დინამიკაში, თავის ტალღათა მიმოქცევაში, შეცდომებსა და მიღწევებში რჩება სოციალური რევოლიუციის სახელმწიფოებრივ აპარატად. სოციალური რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებასთან ერთად საბჭოთა სისტემა ვრცელდება მ.ილს მოსახლეობაზე, რომ მით დაჰკარგოს სახელმწიფოს თვისება და გაითქვიფოს ძლევამოსილ მწარმოებელ და მომხმარებელ კოოპერაციაში.

თუ პარტია და პროფესიონალური კავშირები რევოლიუციის მოსამზადებელი ორგანიზაციები იყვნენ, მაშინ საბჭოები წარმოადგენენ თვით რევოლიუციის იარაღს. რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოები ხდებიან ძალა-უფლების ორგანოებად. პარტიისა და კავშირების როლი არ მცირდება, მაგრამ არსებითად-კი იცვლება.

პარტიის ხელში თავს იყრის საერთო ხელმძღვანელობა. ის უშუალოდ არ განაგებს, რადგან მისი აპარატი ამისთვის არ არის მოწყობილი. მაგრამ ყველა მთავარ საკითხში მას ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა. მეტიც: ჩვენმა პრაქტიკამ მიგვიყვანა იქამდის, რომ უკანასკნელი სიტყვა საერთოდ ყველა სადავო საკითხის უწყებათა შორის და უწყების შიგნით ჩამოვარდნილ ყველა კონფლიქტის გადაწყვეტის დროს ეკუთვნის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ეს გვაძლევს დროსა და ძალის დიდ ეკონომიას და მეტად მძიმე და დახლართულ მდგომარეობაში უზრუნველჰყოფს მოქმედების აუცილებელ მთლიანობას. ასეთი რეჟიმი შესაძლებელია მხოლოდ პარტიის შეულახველ ავტორიტეტის და მისი უნაკლო დისციპლინის დროს. რევოლიუციის საბედნიეროდ ჩვენს პარტიას თანასწორად ახასიათებს როგორც პირველი, ისე მეორე. ძნელი სათქმელია, სხვა ქვეყანაში, რომელსაც წარსულისაგან არ მიუღია ბრძოლაში გაკაჟებული მაგარი რევოლიუციონური ორგანიზაცია, პროლეტარული გადატრიალების დროს გაჩნდება თუ არა ასეთივე ავტორიტეტული კომუნისტური პარტია. მაგრამ ის კი სავსებით ცხადია, რომ ყველა ქვეყანაში ამ საკითხზეა ცოტად და ბევრად დამოკიდებული სოციალისტური რევოლიუციის მსვლელობა.

კომუნისტური პარტიის განსაკუთრებული როლი ძლევამოსილი პროლეტარული რევოლიუციის პირობებში სრულებით გასაგებია. ლაპარაკია კლასის დიქტატურაზე. კლასის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა წრეები, სხვადასხვა გვარი ზედნაშენები, განვითარების სხვადასხვა დონეები. დიქტატურა კი გულისხმობს ნებისყოფის, მიმართულების და მოქმედების მთლიანობას. სხვა რა გზით შეიძლება ამისი განხორციელება? პროლეტარიატის რევოლიუციონური ბატონობა გულისხმობს თვით პროლეტარიატში პარტიის პოლიტიკურ ბატონობას, პარტიისა, რომელსაც უნდა ჰქონდეს მოქმედების ნათელი პროგრამა და ურყევი შინაგანი დისციპლინა.

ბლოკების პოლიტიკა არსებითად ეწინააღმდეგება რევოლიუციონური დიქტატურის რეჟიმს. ჩვენ გვაქვს მხედველობაში ბლოკი არა ბურჟუაზიულ პარტიებთან, რომელზედაც საერთოდ ლაპარაკიც არ შეიძლება, არამედ ბლოკი კომუნისტებისა სხვა „სოციალისტურ“ ორგანიზაციებთან, რომელნიც წარმოადგენენ მშრომელი მასის დაქვეითების და წინასჯების სხვადასხვა საფეხურებს.

რევოლიუცია სწრაფათ ძირს უთხრის ყოველსავე მერყეს, სცვეთს ყოველსავე ხელოვნურს; ბლოკით ნიღაბ-აფარებული წინააღმდეგობანი სწრაფად აშკარავდებიან რევოლიუციონური ამბების ზეგავლენით.

ამისი მაგალითი მოგვცა ჰუნგრეთმა, სადაც პროლეტარიატის დიქტატურამ მიიღო პოლიტიკური ფორმა კომუნისტების კოალიციისა ფერცვლილ შემთანხმებლებთან. კოალიცია მალე ჩაიშალა. კომუნისტურ პარტიას ძვირად დაუჯდა თავის თანამგზავრთა რევოლიუციონური სიკოტრე და პოლიტიკური გამცემლობა. საესებით ცხადია, რომ ჰუნგრეთის კომუნისტებისთვის ბევრად ხელსაყრელი იქნებოდა, ძალა-უფლება ჩაეგდოთ უფრო გვიან, მაშინ, როცა მემარცხენე შემთანხმებლებს საშუალებას მისცემდენ საბოლოოდ შეერცხვინათ თავიანთი თავი. სხვა საქმეა, რამდენად შესაძლებელი იყო ეს. ყოველ შემთხვევაში ბლოკი შემთანხმებლებთან, რომელიც მხოლოდ დროებით ფარავდა ჰუნგრეთის კომუნისტების შედარებითს სისუსტეს, ხელს უშლიდა მათ გაძლიერებას შემთანხმებლების ხარჯზე; ამან მიიყვანა ისინი კატასტროფამდე.

იმავე აზრის საკმაო ილიუსტრაციას გვაძლევს რუსეთის რევოლიუციის მაგალითი. ბლოკი ბოლშევიკებისა მემარცხენე ესერებთან, რომელიც გაგრძელდა რამდენიმე თვე, დასრულდა სისხლისმღვრელი განხეთქილებით. მართალია, ბლოკის ანგარიშების განაღდება ჩვენ კომუნისტებს, ისე ძვირად არ დაგვჯდომია, როგორც დაუჯდათ ჩვენ ორგულ თანამგზავრებს. ცხადია, ასეთი ბლოკი, რომელშიც ჩვენ ძლიერი მხარე ვიყავით და ამიტომ ასე სახიფათო არ იყო განსაზღვრულ ისტორიულ მანძილზე გვეცადნა მეშჩანური დემოკრატიის უკიდურესი მემარცხენე ფრთის გამოყენება, ტაქტიკურად საესებით უნდა გამართლდეს. მაგრამ მაინც მემარცხენე ესერების ეპიზოდი ცხადჰყოფს, რომ რეჟიმი მორიგებისა, შეთანხმებისა, ურთიერთ დათმობისა,—ხოლო ბლოკის რეჟიმი ეს არის,—არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს იმ გვარ ეპოქაში, როდესაც სიტუაციები არაჩვეულებრივი სისწრაფით იცვლება და როდესაც საჭიროა უაღრესი მთლიანობა თვალსაზრისის იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს მთლიანობა მოქმედებისა.

ჩვენ არა ერთხელ გვდებდენ ბრალს იმაში, რომ პროლეტარიატის დიქტატურა პარტიის დიქტატურად ვაქციეთ. შეიძლება სრული უფლებით ითქვას, რომ საბჭოების დიქტატურა შესაძლებელი გახდა მხოლოდ პარტიის დიქტატურის საშუალებით: თავისი ნათელი თეორეტიული შეგნებისა და თავისი მტკიცე რევოლიუციონური ორგანიზაციის მეოხებით, პარტიამ უზრუნველჰყო საბჭოების გადაქცევა შრომის უფორმო პარლამენტებიდან შრომის ბატონობის აპარატად. ამ „შეცველაში“ მუშათა კლასის უფლებისა პარტიის უფლებით არ არის არაფერი შემთხვევითი და არსებითად არ არის არა-

ვითარი შეცვლა. კომუნისტები გამოხატავენ მუშათა კლასის ძირითად ინტერესებს. სრულებით ბუნებრივია, რომ იმ პერიოდში, როცა ისტორია ამ ინტერესებს მთელი თავისი სიგრძით და სიგანით დღის წესრიგში აყენებს, კომუნისტები მთლიანი მუშათა კლასის წარმომადგენლებად გახდენ.

მაგრამ სად არის გარანტია, —გვეკითხებიან ზოგიერთი ბრძენნი, —რომ სწორედ თქვენი პარტია გამოხატავს ისტორიული განვითარების ინტერესებს? სხვა პარტიების განადგურებით, იმით, რომ მათ აშკარა მოქმედების გზა მოუსპეთ, შეუძლებელი გახდა მათი თქვენთან პოლიტიკური შეჯიბრება, მაშასადამე, შეუძლებელი გახდა თქვენი გეზის შემოწმებაც.

ეს მოსაზრება ნაკარნახევია წმიდა ლიბერალური წარმოდგენით რევოლიუციის მსვლელობაზე. ისეთ ეპოქაში, როცა ყველა ანტაგონიზმი აშკარა ხასიათს ღებულობს, პოლიტიკურ ბრძოლას სწრაფად სცვლის სამოქალაქო ომი, გაბატონებულ პარტიას თავისი ხაზის შესამოწმებლად აქვს საკმაო მატერიალური კრიტერიები, გარდა მენშევიკური გაზეთების შესაძლებელი ტირაჟისა. ნოსკე ანადგურებს კომუნისტებს, მაგრამ ისინი იზრდებიან. ჩვენ ვდევნიდით მენშევიკებს და ეს-ერებს—და ისინი არარაობად გადაიქცენ. ჩვენთვის ეს კრიტერიუმიც საკმაოა. ყოველ შემთხვევაში ჩვენს მიზანს ის კი არ შეადგენს, რომ ყოველ მომენტში სტატისტიკურად გავზომოთ მიმართულებათა შეჯგუფება, არამედ ის, რომ უზრუნველვყოთ გამარჯვება ჩვენი მიმართულებისა, რომელიც არის მიმართულება რევოლიუციონური დიქტატურისა, და ამ უკანასკნელის მსვლელობაში, მის შინაგან შეხლა-შემოხლაში ვპოვოთ საკმაო კრიტერიუმი თვითშემოწმებისა.

ხანგრძლივი „დამოუკიდებლობა" პროფესიონალური მოძრაობისა პროლეტარიატის რევოლიუციის ეპოქაში—ისეთივე შეუძლებლობაა, როგორც პოლიტიკა ბლოკებისა. პროფესიონალური კავშირები უმთავრეს ეკონომიურ ორგანოებად ხდებიან მაშინ, როდესაც ძალა-უფლება პროლეტარიატის ხელშია. სწორედ ამიტომ ისინი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას ვერ ასცდებიან. არა მარტო პრინციპიალური საკითხები პროფესიონალურ მოძრაობისა, არამედ სერიოზული ორგანიზაციული კონფლიქტებიც მის შიგნით სწყდება ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ.

კაუკციანელები ბრალს სდებენ საბჭოთა ხელისუფლებას: იგი მუშათა კლასის ერთი „ნაწილის" დიქტატურაა. „**მთელი** კლასი მაინც ანხორციელებდეს დიქტატურასო," ამბობენ ისინი. ადვილი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგები არ არის, რას გულისხმობენ, როცა ამას ამბობენ. პროლეტარიატის დიქტატურა თავისი არსებით ნიშნავს უშუალო ბატონობას რევოლიუციონური ავანგარდისას, რომელიც ეყრდნობა მძიმე მასებს და რომელიც, სადაც საჭიროა, აიძულებს ჩამორჩენილებს გაუსწორდენ მეთაურებს. ეს შეეხება პროფესიონალურ კავშირებსაც. პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების მოპოების შემდეგ ისინი იძულებითს ხასიათს ღებულობენ. მათ უნდა გააერთიანონ მთლად სამრეწველო მუშები. პარტია წინანდებულად თავის რიგებში იღებს მხოლოდ უფრო შეგნებულთ და თავდადებულთ. მხოლოდ დიდი სიფრთხილით აფართოვებს იგი თავის რიგებს. აქედან გამომდინარეობს ის, რომ პროფესიონალურ კავშირებში კომუნისტური უმცირესობა თამაშობს ხელმძღვანელ როლს, რომელიც მოითხოვს კომუნისტური პარტიის ბატონობას საბჭოებში და რომელიც პოლიტიკური გამოხატულებაა პროლეტარიატის დიქტატურისა.

პროფესიონალური კავშირები ხდებიან საზოგადოებრივი წარმოების უშუალო მატარებლებად. ისინი გამოხატავენ არა მარტო სამრეწველო მუშების ინტერესებს, არამედ თვით მრეწველობის ინტერესებსაც. პირველ ხანს ტრედ-უნიონისტურ ტენდენციებს კიდევ აქვთ ადგილი კავშირებში, აიძულებენ რა კავშირებს ეეაჭრონ საბჭოთა სახელმწიფოს, წარუდგინონ მას პირობები და მოსთხოვონ გარანტიები. რაც უფრო შორს მივდიეართ, კავშირები მით უფრო მეტად გრძნობენ თავს საბჭოთა სახელმწიფოს წარმოებითი ორგანოებად და ასრულებენ მისი ბედის პასუხისმგებლობას, ამასთან კი არ ტპირისპირებენ მას თავიანთ თავს, არამედ აიგივეებენ მასთან თავს. კავშირები ხდებიან შრომის დისციპლინის გამტარებლებად. ისინი თხოულობენ მუშებისაგან გადაჭარბებულ მუშაობას მძიმე პირობებშიაც, რამდენადაც მუშათა სახელმწიფოს არ ძალუძს ამ პირობების შეცვლა. კავშირები ანხორციელებენ რევოლიუციონურ რეპრესიებს მუშათა კლასის უდისციპლინო, აღვირახსნილ და პარაზიტულ ელემენტების მიმართ. ტრედ-უნიონისტული პოლიტიკიდან, რომელიც რამდენიმედ განუყოფელია კაპიტალისტური საზოგადოების ჩარჩოებში არსებულ პროფესიონალურ მოძრაობისაგან, კავშირები ყოველ მხრივ გადადიან რევოლიუციონური კომუნიზმის პოლიტიკაზე.

საგლეხო პოლიტიკა.

ბოლშევიკებს „სურდათ,—გვაამხელს კაუტსკი,—სოფლად შეძლებული გლეხობა დაემარცხებინათ იმით, რომ პოლიტიკური უფლებე-

ბი მხოლოდ უუღარიბეს გლეხებს მიანიჭეს. შემდეგ მათ შეძლებულ გლეხებს კვლავ უბოძეს წარმომადგენლობა" (გვ. 142).

კაუტსკის ჩამოთვლილი აქვს ჩვენი საგლეხო პოლიტიკის გარეგანი „წინააღმდეგობანი"; იგი სრულებით არ ეხება ამ პოლიტიკის საერთო მიმართულებას და იმ შინაგან წინააღმდეგობებს, რომელიც ჩაქსოვილია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და სამეურნეო მდგომარეობაში.

რუსეთის გლეხობა საბჭოთა წყობილების შემოღების დროს სამი ნაწილისაგან შესდგებოდა. ესენი იყვნენ: ღარიბი გლეხობა, რომელიც მეტ წილად სცხოვრობდა თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით და იძენდა პირველ მოთხოვნილების საგნებს; საშუალო გლეხობა, რომელიც საკუთარი მეურნეობის შემოსავლით ფარავდა თავის მოთხოვნილებებს, ხოლო მცირე ნაწილს ჰყიდდა; მდიდარი გლეხობა, სოფლის წურბელები, რომელნიც სისტემატიურად ყიდულობდენ სამუშაო ძალას და მრავლად ჰყიდდენ სოფლის მეურნეობის ნაწარმოებებს. მეტია იმისი თქმა, რომ ეს ჯგუფები მთელი რუსეთის მანძილზე არ განირჩევიან არც განსაზღვრული ნიშნებით, არც ერთგვაროობით. მაინც საერთოდ უღარიბესი გლეხობა წარმოადგენდა ქალაქის პროლეტარიატის ბუნებრივ ნამდვილ მოკავშირეს, ხოლო სოფლის წურბელა-გლეხობა—მის ბუნებრივსა და შეურიგებელს მტერს. ყველაზე მეტი რყევა ემჩნეოდა **საშუალო** გლეხობას, რომელიც უმრავლესობას შეადგენდა.

რუსეთი რომ ასე გამოფიტული არ ყოფილიყო და პროლეტარიატს რომ შეძლება ჰქონოდა მიეწოდებინა გლეხთა მასებისთვის საჭირო საქონელი და კულტურული საზრდო, მშრომელი გლეხობის უმეტესი ნაწილი უფრო უმტკივნეულოდ ეზიარებოდა ახალ რეჟიმს. მაგრამ რუსეთის სამეურნეო ცხოვრების დარღვევამ, რომელიც შედეგად მოჰყვა არა ჩვენს საადგილ-მამულო თუ სასურსათო პოლიტიკას, არამედ იმ მიზეზებს, რომლებიც წინ უძღოდენ ხსენებულ პოლიტიკას, დიდი ხნით წაართვა ქალაქს ყოველგვარი შესაძლებლობა მიეწოდებინა სოფლისათვის საქსოვი და სალითონო მრეწველობის პროდუქტები, სოკოლონიო საქონელი და სხვ. ამავე დროს მრეწველობას არ შეეძლო უარი ეთქვა სოფლიდან მინიმალურ სასურსათო სახსარზე აღებაზე. პროლეტარიატი სთხოვდა გლეხობას სასურსათო ავანსს. სამეურნეო სესხს იმ ღირებულების გირაოს ქვეშ, რომლის შესაქმნელადაც იგი მხოლოდ ემზადება. ამ მომავალი ღირებულების სიმბოლოს წარმოადგენს საკრედიტო ნიშნების ფასის საბოლოო დაცემა. მაგრამ გლეხთა მასები ნაკლებად ერკვევიან განყენებულ ის-

ტორიულ საკითხებში. გლეხობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებასთან შეკავშირებული იყო საბატონო მიწების ლიკვიდაციით, რაშიაც იგი ხედავდა გარანტიას ცარიზმის რესტავრაციის წინააღმდეგ, —ეს გლეხობა არა იშვიათად ეწინააღმდეგებოდა პურის აკრეფას და ამ საქმეს ხელსაყრელად არა სთვლიდა იმ დრომდე, ვიდრე სამაგიეროდ ჩაის, ლურსმანს და ნავთს არ მიიღებდა.

საბჭოთა ხელისუფლება, აშკარაა, სცდილობდა, სასურსათო გადასახადის მთავარი სიმძიმე სოფლის ზედაფენებისთვის დაედო. მაგრამ სოფლის ჩამოყალიბებულ სოციალურ პირობებში—გავლენიანი წურბელები, რომელთაც საშუალო გლეხობა ხელში ეჭირათ, ათასი ხრიკით აპირებდენ სასურსათო გადასახადის აცილებას და გლეხთა ფართო მასებზე მის გადატანას და ამით ისინი გლეხობას საბჭოთა ძალა-უფლების წინააღმდეგ ამხედრებდენ. საჭირო-კი იყო გლეხთა ძირითადი მასების ამხედრება სოფლის წურბელების წინააღმდეგ. ამ მიზანს ემსახურებოდნენ ღარიბთა კომიტეტები. ისინი სდგებოდენ იმ დაბალ ელემენტებისაგან, რომელნიც წარსულში შეიწროებულნი, უფლება-აყრილნი და უკუგდებულნი იყვნენ. რა თქმა უნდა, მათს წრეშიც აღმოჩნდა ნაწილი ნახევრათ პარაზიტული ელემენტებისა, სწორეთ ეს დაედო საარჩულად იმ ხალხოსნური მიმართულების „სოციალისტების" დემაგოგიას, რომელთა სიტყვებსაც „კულაკობა" სიხარულით ეგებებოდა. მიგრამ თვით ამ ფაქტს, რომ სოფლის ულარიბესი გლეხობა უფლებით იყო აღჭურვილი, უდიდესი რევოლიუციონური მნიშვნელობა ჰქონდა. სოფლის ნახევრად პროლეტარების სახელმძღვანელოდ პარტია ქალაქებიდან გზავნიდა მოწინავე მუშებს, რომელთაც სოფლად დაუფასებელი საქმე გააკეთეს. ღარიბთა კომიტეტები გადაიქცნენ დამკვრელ ორგანოდ „კულაკთა" წინააღმდეგ. ამ კომიტეტებმა, რომელნიც სახელმწიფო ხელისუფლების დახმარებით სარგებლობდენ, აიძულეს საშუალო გლეხობა მოეხდინათ არჩევანი არა მარტო საბჭოთა ხელისუფლებასა და მემამულეთა შორის, არამედ პროლეტარიატის და სოფლის ნახევრად-პროლეტარულ ელემენტების დიქტატურისა, ერთის მხრით, და „კულაკთა" ძალადობის შორის მეორე მხრით. მრავალმა გაკვეთილმა, რომელთა შორის ზოგი მეტად მკაცრი იყო, დააარწმუნა საშუალო გლეხობა, რომ საბჭოთა რეჟიმი, რომელმაც განდევნა მემამულეები და მაზრის უფროსები, თავის მხრით აკისრებს გლეხობას ახალ ვალდებულებებს და მოითხოვს მისგან მსხვერპლს. პოლიტიკურ პედაგოგიკას მრავალ-მილიონიან საშუალო გლეხობისთვის არ ჩაუვლია ადვილად და იოლად, როგორც სასკოლო ოთახში ხდება ხოლმე, და არ მოუცია დაუყოვნებლივი უდაო

შედეგები. იყო აჯანყებები საშუალო გლეხობისა, რომელიც „კულაკებს“ უერთდებოდა და რომელიც ასეთ შემთხვევაში ყოველთვის თეთრ-გვარდიელ შემამულეთ უვარდებოდენ ხელში; იყო ბოროტმოქმედებანი საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი აგენტების მხრით, კერძოდ—ღარიბთა კომიტეტების მხრით. მაგრამ მთავარი პოლიტიკური მიზანი მაინც მიღწეულ იქნა. ძლიერი „კულაკობა“ თუმცა მთლად ვერ მოისპო, მაგრამ მისი მდგომარეობა ღრმად შეირყა, ხოლო მის თვითშეგნებას ფრთები შეეკვეცა. საშუალო გლეხობა, რომელიც პოლიტიკურად ისევე ჩამოყალიბებული დარჩა, როგორც იგი ჩამოყალიბებულია პოლიტიკურად, თანდათან ეჩვეოდა იმას, რომ თავის წარმომადგენლებად მოწინავე მუშები ეცნო, ისევე, როგორც წინად იგი ასეთად მყვირალა „კულაკსა“ სცნობდა. მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა ეს ძირითადი შედეგი, ღარიბთა კომიტეტი, როგორც დროებითი დაწესებულება, როგორც სოფლის მასაში შეჭრილი წვეტიანი სოლი, იძულებული გახდა თავისი ადგილი დაეთმო საბჭოსთვის, რომელშიაც წარმოდგენილია უღარიბესი გლეხობა საშუალოსთან ერთად.

ღარიბთა კომიტეტებმა იარსებეს დაახლოვებით ექვს თვეს, 1918 წლ. ივნისიდან—დეკემბრამდე. როგორც მათს დაარსებაში, ისე გაუქმებაში კაუცკი საბჭოთა პოლიტიკის „მერყეობის“ მეტს ვერაფერს ხედავს. მაგრამ, მიუხედავათ ამისა თვითონ იგი არავითარ პრაქტიკულ გზას არ გვიჩვენებს. და ან კი საიდან უნდა გვიჩვენოს? გამოცდილებას, რომელსაც ჩვენ ამ შემთხვევაში ვიძენთ, პრეცედენტი არა აქვს და იმ საკითხების რეცეპტი, რომელსაც პრაქტიკულად საბჭოთა ხელისუფლება სჭრის, წიგნებში არ მოიპოვება. ის, რასაც კაუცკი პოლიტიკის წინააღმდეგობას უწოდებს, ნაშდვილად პროლეტარიატის **აქტიური მანევრებია** ფხვიერ და დაუნაწილებელ გლეხობის სქელ ნიადაგში. იალქნიანი ხომალდი ქარის დროს მანევრებს აკეთებს, მაგრამ ვერავინ ვერ დაინახავს წინააღმდეგობას ისეთ მანევრებში, რომელთა წყალობითაც ხომალდი დანიშნულ მიზნისკენ მიდის.

სასოფლო-სამეურნეო კომუნებისა ტ საბჭოთა მეურნეობის საკითხებშიაც შეიძლება დანახვა არა ერთი ტ ორი „წინააღმდეგობისა“, რომლებშიაც ცალკე შეცდომებთან ერთად რევოლიუციის სხვადასხვა ეტაპი ისახება. რამდენი მიწა დაინარჩუნოს თავისთვის საბჭოთა სახელმწიფომ უკრაინაში, რამდენი გასცეს გლეხობაზე, რა მიმართულება მისცეს სასოფლო-სამეურნეო კომუნებს; რა სახის დახმარება აღმოუჩინოს მათ, რომ პარაზიტებად არ გადაიქცნენ; რა სახის კონტროლი უნდა დაწესდეს მასზე,—ყველა ეს სოციალისტური მეურნეობის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედებისთვის სრულიად ახალი საკითხებია, რომელნიც არც თეორეტიულად და არც პრაქტიკულად არ გადაჭრილან და რომელთა გადაჭრის დროსაც ფაქტიურად უნდა გამოირკვეს და პრაქტიკაზე შემოწმდეს პრინციპიალური პროგრამული გეზი; ასეთ ვითარების დროს-კი აუცილებელია დროებითი გადახრა როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ.

მაგრამ თვით იმ ფაქტს, რომ რუსეთის პროლეტარიატმა დასაყრდნობი ჰპოვა გლეხობაში, კაუცკი ჩვენს წინააღმდეგ იყენებს. „ამან საბჭოთა რეჟიმში შეიტანა ეკონომიური რეაქციონური ელემენტი, რომელსაც პარიზის კომუნა ასცდა (!), რადგანაც მისი დიქტატურა გლეხთა საბჭოებს არ ეყრდნობოდა".

თითქოს მართლაც შეგვეძლო ჩვენ მიგვეღო ფეოდალურ-ბურჟუაზიული წყობილების მემკვიდრეობა და იქიდან თვითნებურად გაგვედევნა ეკონომიურად რეაქციონური ელემენტები. მაგრამ ესეც ცოტაა. გლეხობამ, მოწამლა რა საბჭოთა ხელისუფლება რეაქციონური ელემენტით, მოგვისპო დასაყრდნობი. ამჟამად მას „სძულს ბოლშევიკები. ყველაფერი ეს კაუცკიმ დანამდვილებით იცის კლემანსოს რადიოსა და მენშევიკების შპარგალკების საშუალებით.

ნამდვილად-კი მართალია ის, რომ გლეხობის ფართო მასები იტანჯებიან მრეწველობის აუცილებელი პროდუქტების უქონლობით: მაგრამ ასევე მართალია ისიც, რომ ყოველი სხვა რეჟიმი, რომელსაც სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა რუსეთის სხვადასხვა ნაწილებში, გლეხობისთვის გაცილებით უფრო მძიმე იყო. ვერც მონარქიულმა, ვერც დემოკრატიულმა მთავრობებმა ვერ შესძლეს გაედიდებიათ საქონლის ფონდი. ერთიც და მეორეც საჭიროებდა გლეხობის პურს და გლეხობის ცხენს. თავიანთი პოლიტიკის განსაბორკილებლად ბურჟუაზიული მთავრობები, მათ შორის მენშევიკ-კაუცკიანელებიც, საოგებლობდენ წმინდა ბიუროკრატიული აპარატით, რომელიც გაცილებით უფრო ნაკლებ ანგარიშს უწევს გლეხობის მეურნეობის მოთხოვნილებას, ვიდრე საბჭოთა აპარატი, რომელიც მუშებისა და გლეხებისაგან შესდგება. ბოლოს და ბოლოს საშუალო გლეხობა, მიუხედავათ ყოყმანისა, უკმაყოფილებისა და ავკანყებებისაც კი, იმ დასკვნამდე მიდის, რომ, თუმცა მისთვის ძალიან ძნელია ცხოვრება ახლა, ბოლშევიკობის დროს, მაგრამ ყველა სხვა რეჟიმის დროს მას გაცილებით უფრო გაუძნელდებოდა ცხოვრება. სავსებით მართალია, რომ კომუნა „ასცდა" გლეხობის დასაყრდნობს. სამაგიეროდ კომუნა ვერ ასცდა ტიერის გლეხთა არმიასაგან აწიოკებას. ჩვენი არმია კი, რომლის ოთხ შეხუთედს გლეხობა შეადგენს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალფრთოვანებით და წარმატებით იბრძვის საბჭოთა რესპუბლიკისთვის. მარტო ეს ფაქტი, აბათილებს რა კაუცკის და მის სულის ჩამდგმელებს, იძლევა საბჭოთა ხელისუფლების საგლეხო პოლიტიკის საუკეთესო შეფასებას.

საბჭოთა ხელისუფლება და სპეციალისტები.

„ბოლშევიკები პირველხანს ფიქრობდენ, რომ შესძლებდენ იოლად წასვლას უინტელიგენტებოდ და „უსპეციალისტებოდ", — მოგვითხრობს კაუცკი (გვ. 128). მაგრამ შემდეგ, როდესაც დარწმუნდენ, რომ ინტელიგენცია აუცილებელია, სასტიკ რეპრესიებს თავი მიანებეს და მიმართეს ინტელიგენციის მუშაობაში ჩაბმას ყოველი ზომით, სხვათა შორის, შრომის დიდი სასყიდლის დაწესებით. ამ რიგად, — ირონიულად ამბობს კაუცკი, — სწორი გზა სპეციალისტების მისაზიდავად არის ის, „რომ პირველ ხანს მათ კარგად გვერდები დაუზილო" (გვ. 129). ნამდვილად ასეა. ბატონ ფილისტერების საწყენად უნდა განვაცხადოთ, რომ პროლეტარიატის დიქტატურა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ „გვერდები დაუზილო" წინათ გაბატონებულ კლასებს და მერე აიძულო ისინი აღიარონ ახალი წყობილება და დაემორჩილონ მას. პროფესიონალურ ინტელიგენციას, რომელსაც იმთავითვე ჩანერგილი ჰქონდა ბურჟუაზიის მძლეთა-მძლეობა, დიდხანს არა სწამდა, არა სურდა და არც შეეძლო ერწმუნებინა, რომ მუშათა კლასს მართლაც შეუძლიან განაგოს ქვეყანა, რომ მან ძალა-უფლება შემთხვევით არ ჩაიგდო ხელთ, რომ პროლეტარიატის დიქტატურა გარდაუვალი ფაქტია. ბურჟუაზიული ინტელიგენცია ამისგამო ძალიან ადვილად აღვევდა თავის მოვალეობას მუშათა სახელმწიფოს მიმართ, მაშინაც კი, როდესაც მასთან სამსახურში შედიოდა. მისი აზრით ვილსონისა, კლემანსოსა და მირბახისაგან ფულის მიღება ანტი-საბჭოთა აგიტაციისთვის ან და სამხედრო საიდუმლოების და ტექნიკურ საშუალებათა გაცემა თეთრგვარდიელებისა და უკბოეთის იმპერიალისტებისთვის სრულიად ბუნებრივი და უბრალო საქმეა პროლეტარიატის რეჟიმის დროს. საჭირო იყო გვერჩვენებინა მისთვის საქმით და მაგრადაც გვერჩვენებინა, რომ პროლეტარიატმა უფლება დაიპყრო არა იმისთვის, რომ ვინმეს ასეთი ოინბაზობის ჩადენის ნება მისცეს.

ინტელიგენციის მიმართ მიღებულ მკაცრ ზომებში ჩვენი მეშჩანელი იდეალისტი ჰხედავს „იმ პოლიტიკის შედეგს, რომელსაც აზრად ჰქონდა ინტელიგენტების საქმეში ჩაბმა არა დაჯერებით, არა დარწმუნებით, არამედ წინ და უკან ხიშტების ცემით" (გვ. 129). ამრიგად

კაუცკი სერიოზულად ფიქრობს, რომ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ჩათრევა სოციალიზმის აღმშენებლობაში შეიძლება მარტოოდენ დარწმუნებით, და ეს იმდროს, როდესაც ყველა სხვა ქვეყანაში ჯერ კიდევ ბატონობს ბურჟუაზია, რომელიც არ დაიხევს არავითარი საშუალების წინაშე, რათა დააფრთხოს, შეაცდინოს ან მოისყიდოს რუსეთის ინტელიგენცია და გადააქციოს იგი რუსეთის კოლონიალურად დამორჩილების იარაღად.

იმის მაგიერ, რომ ანალიზი გაუკეთოს ბრძოლის მსვლელობას, კაუცკი ინტელიგენციის მიმართაც სასკოლო რეცეპტებს იძლევა. მტკნარი სიცრუეა, ვითომ ჩვენი პარტია ფიქრობდა უინტელიგენციოდ ოლად წასვლას, ვითომ იგი თავის თავს ანგარიშს არ აძლევდა იმაში, თუ რა მნიშვნელობა ექმნება ინტელიგენციას მომავალ სამეურნეო და საკულტურო მუშაობაში. პირიქით, როდესაც ჩვენ ბრძოლას ვაწარმოებდით ხელისუფლების დასაპყრობად და გასამტკიცებლად და როდესაც ინტელიგენციის უმრავლესობა თამაშობდა ბურჟუაზიის დამრტყმელი რაზმის როლს, იბრძოდა რა ჩვენს წინააღმდეგ აშკარად ან და საბოტაჟს აწარმოებდა ჩვენს დაწესებულებებში, საბჭოთა ხელისუფლება დაუზოგველად ებრძოდა სპეციალისტებს სწორედ იმიტომ, რომ იცოდა, თუ რა დიდი ორგანიზაციული მნიშვნელობა აქვთ მათ მაშინ, როდესაც ისინი არ ცდილობენ დამოუკიდებელ „დემოკრატიულ" პოლიტიკის წარმოებას და ასრულებენ ერთ-ერთ ძირითადი კლასის ამოცანებს. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ინტელიგენციის წინააღმდეგობა მოტეხილ იქნა სასტიკი ბრძოლით, შესაძლებელი გახდა სპეციალისტების მოწვევა სამუშაოდ. ჩვენ დაუყონებლივ დავადექით ამ გზას. მაგრამ ეს საქმე არც ისე უბრალო აღმოჩნდა. იმ ურთიერთობამ, რომელიც არსებობდა კაპიტალისტურ პირობებში მუშასა და დირექტორს, გადამწერსა და მმართველს, ჯარისკაცსა და ოფიცერს შორის, გვიანდერძა სპეციალისტებისადმი ღრმა კლასობრივი უნდობლობა, რომელიც უფრო გამწვავდა სამოქალაქო ომის პირველ პერიოდში, როდესაც სპეციალისტები სცდილობდენ შიმშილითა და სიცივით დაემარცხებინათ მუშათა რევოლიუცია. ადვილი არ იყო, ასეთ განწყობილებათა თავიდან აცილება, გაშმაგებულ მდგომარეობიდან მშვიდობიან თანამშრომლობაზე გადასვლა. მუშათა მასები თანდათან უნდა შესჩვეოდენ იმას, რომ ინჟენერში, აგრონომში, ოფიცერში დაენახათ არა გუშინდელი მჩაგვრელი, არამედ დღევანდელი სასარგებლო მომუშაე, აუცილებელი სპეციალისტი მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისთვის. როგორც უკვე ვთქვით, კაუცკი მართალი არ არის, როდესაც აცხადებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება

პრინციპიალურად სცდილობდა შეეცვალა სპეციალისტები პროლეტარებით. მაგრამ ასეთ ტენდენციას რომ ადგილი უნდა ჰქონოდა პროლეტართა ფართო მასაში, ეს-კი უდაოა. ახალგაზრდა კლასი, რომელმაც თავის თავს დაუმტკიცა, რომ შეუძლია თავის გზაზე სძლიოს უდიდესი დაბრკოლებანი, რომელმაც ნაფლეთებად აქცია მისტიკის ის შარავანდედი, რაც შეძლებულია ხელისუფლებას ეხვია და რომელიც დარწმუნდა, რომ ღმერთები ქოთნებს არ წვავენ,—ეს რევოლიუციონური კლასი თავისი ნაკლებად მომწიფებული ელემენტების სახით, აშკარაა, პირველ ხანებში გადაჭარბებულად შეაფასებდა თავის ძალ-ღონეს და იფიქრებდა ყოველგვარი ამოცანის გადაწყვეტას ბურჟუაზიის მიერ აღზრდილი სპეციალისტების დაუხმარებლად.

ასეთ ტენდენციებთან ბრძოლა, რამდენადაც ისინი გარკვეულ ხასიათს ღებულობდენ, ჩვენ გუშინ და გუშინწინ არ დაიწყეთ.

„ამ ჟამად, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება უზრუნველყოფილია,—ეამბობდით ჩვენ მოსკოვის ქალაქის კონფერენციაზე 1918 წ. 28 მარტს,—საბოტაჟთან ბრძოლა უნდა გამოიხატოს იმაში, რომ ისინი, ვინც გუშინ საბოტაჟს ეწეოდენ, გადავაქციოთ მოსამსახურეებად, აღმასრულებლად, ტექნიკურ ხელმძღვანელებად იქ, სადაც საჭიროა ეს ახალი რეჟიმისთვის. ჩვენ ამას ვერ მოვახერხებთ, ვერ მოვიზიდავთ ყველა იმ ძალას, რომელიც ჩვენთვის საჭიროა, და ვერ ჩავაყენებთ მათ საბჭოთა სამსახურში, მაშინ ჩვენი გუშინდელი ბრძოლა საბოტაჟთან, ბრძოლა სამხედრო—რევოლიუციონური, ამით დაგმობილი იქნება, როგორც სრულიად ამაო და უნაყოფო ბრძოლა.

„როგორც უსულო მანქანაზე, ისე ყველა ამ ტექნიკოსზე, ინჟენერზე, მასწავლებელზე, გუშინდელ ოფიცერზე დახარჯულია ჩვენი სახალხო ნაციონალური კაპიტალი, რომელსაც ჩვენ ვალდებულნი ვართ ექსპლოატაცია უყოთ, გამოვიყენოთ, თუ-კი საზოგადოდ გვსურს გადავწყვეტოთ ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე სდგანან.

„დემოკრატიზაცია სრულიადაც არ მდგომარეობს იმაში,—და ეს ანბანია ყველა მარქსისტისთვის,—რომ გავაუქმოთ კვალიფიციური ძალების მნიშვნელობა, მნიშვნელობა იმ პირებისა, რომელთაც სპეციალური ცოდნა აქვთ, და არც იმაში, რომ შევცვალოთ ისინი ყველგან არჩეული კოლეგიებით.

„არჩეულ კოლეგიებს, რომელნიც მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენელთაგან შესდგებიან და რომელთაც საჭირო ტექნიკური ცოდნა არა აქვთ, არ შეუძლიათ შესცვალონ ერთი ტექნიკოსიც-

კი, რომელმაც სპეციალური სკოლა გაიარა და იცის, როგორც უნდა აკეთოს ესა თუ ის სპეციალური საქმე. კოლეგიალობის ის მოჭარბებულობა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენში ყველა დარგში, სრულიად ბუნებრივი რეაქციაა ახალგაზრდა, რევოლიუციონური, ჯერ კიდევ გუშინ დაჩაგრული კლასისა, რომელიც სცდილობს უკუაგდოს ერთპიროვნული ბრძანებლობა გუშინდელი ბატონებისა, მეპატრონეებისა, კომანდირებისა, და ყველგან დააყენოს თავისი არჩეული წარმომადგენელნი. ეს, ვამბობ, სრულიად ბუნებრივი და თავისი საფუძვლებით სრულიად ჯანსაღი რევოლიუციონური რეაქციაა. მაგრამ იგი პროლეტარული კლასის სამეურნეო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უკანასკნელი სიტყვა არ არის.

„შემდეგი ნაბიჯი უნდა მდგომარეობდეს კოლეგიალური დასაწყისის თვით-შეზღუდვაში, ჯანსაღ და მხსნელ თვით-შეზღუდვაში მუშათა კლასისა, რომელმაც იცის, სად შეუძლია მუშათა ამორჩეულ წარმომადგენელს სთქვას გადამწყვეტი სიტყვა, და სად არის საჭირო, რომ ამ წარმომადგენელმა ადგილი დაუთმოს ტექნიკოსს, სპეციალისტს, რომელიც შეიარაღებული აზა თუ იმ ცოდნით, რომელსაც უნდა დაეკისროს დიდი პასუხისმგებლობა და რომელიც უნდა დაყენებულ იქნეს ფხიზელ პოლიტიკურ კონტროლს ქვეშ. მაგრამ ამასთანავე საჭიროა სპეციალისტს მიენიჭოს შესაძლებლობა თავისუფალი მოქმედებისა, თავისუფალი შემოქმედებისა, რადგან არც ერთს ცოტად თუ ბევრად უნარის მქონე, ნიჭიერ სპეციალისტს თავის დარგში არ შეუძლია იმუშაოს, თუ თავის სპეციალურ სამუშაოში მორჩილი უნდა იყოს ისეთი ხალხის კოლეგიისა, რომელიც საქმეს არ იცნობს. პოლიტიკურ კოლეგიალური საბჭოთა კონტროლი უნდა იყოს ყველგან, აღმასრულებელი ფუნქციებისთვის-კი აუცილებლად საჭიროა დანიშვნა სპეციალისტ-ტექნიკოსებისა, მათი დაყენება პასუხისმგებელ თანამდებობაზე და დაკისრება მათთვის პასუხისმგებლობისა.

„ის, ვისაც ამისი ეშინია, შეუგნებლათ და შინაგანი უნდობლობით ეპყრობა საბჭოთა რეჟიმს ის, ვინც ფიქრობს, რომ ხელმძღვანელებად მოზიდვა ტექნიკურ სპეციალურ თანამდებობებზე გუშინდელი საბოტაჟნიკებისა ემუქრება თვით საბჭოთა რეჟიმის საფუძველს, თავის თავს ანგარიშს არ აძლევს, იმაში, რომ არა რომელიმე ინჟენერი, არა რომელიმე გუშინდელი გენერალი შეიძლება იყოს საბჭოთა რეჟიმის დამაბრკოლებელი, —პოლიტიკურად, რევოლიუციონურად და სამხედრო საქმის მხრივ საბჭოთა რეჟიმი დაუმარცხებელია, —არამედ მას დააბრკოლებს საკუთარი უუნარობა შემოქმედებითი

ორგანიზაციონული ამოცანების გადაწყვეტაში. საბჭოთა რეჟიმისთვის საჭიროა ამოსწეროს ძველი დაწესებულებიდან ყოველივე ის, რაც იქ ცხოველმყოფელი და ღირებული იყო, და ყოველივე ეს ჩააბას ახალ მუშაობაში.

„ჩვენ, ამხანაგებო, ამას, არ ვიზამთ, ჩვენ ჩვენს ძირითად ამოცანებს ვერ მოვერევით, ვინაიდან შეუძლებელია მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენი წიაღიდან, ჩვენი წრიდან ყველა საჭირო სპეციალისტის წამოყენება, რაკი უკუვაგდებთ იმას, რაც დაგროვილ იქმნა წარსულში.

„არსებითად ეს იქნებოდა ივივე, რომ ვთქვათ—უკუვაგდოთ ყველა ის მანქანა, რაც დღემდე მუშათა ექსპლოატაციას ემსახურებოდა ეს ფეოდალობა იქნებოდა. ბოხიდეა ნასწავლი სპეციალისტებისა ჩვენთვის ისევე აუცილებელია, როგორც აღრიცხვაზე აღება წარმოების და ტრანსპორტის ყველა საშუალებისა და საზოგადოდ ქვეყნის ყველა სიმდიდრისა. ჩვენ გვინდა და მასთან აუცილებელიც არის ანგარიშზე აყვანა ტექნიკის სპეციალისტებისა, რომელნიც ჩვენ გყვანან, და მათთვის შრომის ბეგარის შემოღება; იმავე დროს მათ უნდა მიეცეთ მოქმედების ფართო ასპარეზი და გაეწიოთ პოლიტიკური კონტროლი". *)

საკითხი სპეციალისტების შესახებ თავიდანვე—ყველაზე მწვავედ იდგა სამხედრო უწყებაში. აქ, რკინის აუცილებლობის გავლენით, იგი ყველაზე ადრე გადიკრა. მრეწველობისა და ტრანსპორტის მმართველობის სფეროში საჭირო ორგანიზაციული ფორმები დღემდესაც არ არის მიღწეული. მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ ფაქტში, რომ პირველი ორი წლის განმავლობაში ჩვენ იძულებული ვიყავით მრეწველობისა და ტრანსპორტის ინტერესები შეგვეწირნა სამხედრო თავდაცვის საჭიროებისთვის. სამოქალაქო ომის ცეცხლებადი მსვლელობა თავის მხრით ხელს უშლიდა სპეციალისტებთან წესიერ ურთიერთობის განმტკიცებას. ინდუსტრიისა და ტრანსპორტის კვალიფიციური ტექნიკოსები, ექიმები, მასწავლებლები, პროფესორები ან მიჰყვებოდნენ კოლჩაკის და დენიკინის უკან დახეულ ჯარს ან ძალით მიჰყავდათ ისინი. მხოლოდ ახლა, როდესაც სამოქალაქო ომს ბოლო ელება, ინტელიგენცია თავის მასაში ურიგდება საბჭოთა ხელისუფლებას ან ქედს იხრის მის წინაშე. სამეურნეო ამოცანები პირველ რიგში იკრე-

*) „შრომა, დისციპლინა, წესრიგი გადაარჩენენ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას." მოსკოვი 1918 წ. კუტაკი იცნობს ამ წიგნაკს, რადგან იქიდან ადგილები მოჰყავს. მიუხედავად ამისა, იგი ვერდს უხვევს ხვეით-ნაჩვენებ ადგილს, რომელიც ეკუთვნის საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას ინტელიგენციასთან.

ბიან. ერთი მთავართაგანი მათს შორის არის წარმოების მეცნიერული ორგანიზაცია. სპეციალისტების წინაშე იშლება მუშაობის ფალეუწვდენელი ასპარეზი, მათ ეძლევათ შემოქმედებითი მუშაობისთვის საჭირო დამოუკიდებლობა. მრეწველობის საზოგადო სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა პროლეტარიატის პარტიის ხელშია მოქცეული.

საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო პოლიტიკა

„ბოლშევიკებმა,—მსჯელობდა კაუცკი,—პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება შესძლეს იმით, რომ რუსეთის პოლიტიკურ პარტიათა შორის ისინი წარმოადგენდენ იმ პარტიას, რომელიც ყველაზე უფრო მტნეთ თხოულობდა ზავს,—ზავს, ყოველნაირი ფასით, სეპარატიულ ზავს, ამასთან არა ზრუნავდენ იმისა ვის, თუ რა გავლენა ექნებოდა ამას საერთაშორისო სიტუაციაზე, შეუწყობდა თუ არა იგი ხელს გერმანიის სამხედრო მონარქიის მსოფლიოზე ბატონობას, იმ გერმანიისა, რომლის მფარველობის ქვეშ დიდიხნის განმავლობაში იყვნენ ბოლშევიკები ისევე, როგორც ინდოეთის ან ირლანდიის ეჯანყებულები ან იტალიის ანარქისტები“ (გვ. 42).

ჩვენი გამარჯვების მიზეზების შესახებ კაუცკიმ იცის მხოლოდ ის, რომ ჩვენ ზავს ვუჭერდით მხარს. იგი არა ხსნის, როგორ გასძლო საბჭოთა ხელისუფლებამ, როდესაც მობილიზაცია მოახდინა და ხელ-მეორედ გამოიწვია იმპერიალისტური ჯარის საგრძნობი ნაწილი, რათა ორი წლის განმავლობაში წარმატებით მოეგერებინა თავისი პოლიტიკური მტრები.

ზავის ლოზუნგმა, თქმა არ უნდა დიდი როლი ითამაშა ჩვენს ბრძოლაში; მაგრამ მოხდა ეს სწორედ იმიტომ, რომ იგი მიმართული იყო **იმპერიალისტური** ომის წინააღმდეგ. ყველაზე მეტად ზავის ლოზუნგს მხარს უჭერდენ არა მოქანცული ჯარისკაცები, არამედ მოწინავე მუშები, რომელთათვისაც ეს ლოზუნგი ნიშნავდა არა დასვენებას, არამედ შეურიგებელ ბრძოლას ექსპლოატატორთა წინააღმდეგ. იგივე მუშები ზავის ლოზუნგით შემდეგში სიცოცხლეს სწირავდენ საბჭოთა ფრონტზე.

ამის მტკიცება, თითქოს ჩვენ მოვითხოვდით ზავს და სრულიად არა ვზრუნავდით იმისთვის, თუ რა გავლენას იქონიებს იგი საერთაშორისო მდგომარეობაზე, ჯადეტ-მენშევიკთა ტილისწამების დაგეგმილი განმეორებაა. ჩვენს შედარებას ინდოეთისა და ირლანდიის ეროვნულ ნაციონალისტებთან საფუძველად დაედო ის, რომ გერმანეთის იმპერიალიზმი მართლაც **სცდილობდა** ჩვენს გამოყენებას ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოელებთან და ირლანდიელებთან ერთად. მაგრამ განა საფრანგეთის შოვინისტებმა ცოტა იშრომეს, რომ თავიანთი ინტერესებისთვის გამოეყენებინათ არა თუ მარტო ლიბკნეხტი და ლუქსემბურგი, თვით კაუცკი და ბერნშტეინიც კი. მთელი საკითხი იმაშია, მივეცით თუ არა ნება, რომ ჩვენი თავი გამოეყენებინათ? მივეკვეთ თუ არა ევროპის მუშებს ჩვენი ყოფა-ქცევით თუ გინდ აჩრდილი საბაბისა იმისთვის, რომ შეეერთებინეთ გერმანიის იმპერიალიზმთან? საკმაოა გავიხსენოთ ბრესტის მოლაპარაკების მსვლელობა, მისი შეწყვეტა და გერმანიის შემოტევა 1918 წლის თებერვალში, რომ ციმბიზმი კაუცკის ბრალდებისა გამოაშკარავდეს ბოლომდე. ნამდვილი თუ გნებავთ, ზავი ჩვენსა და გერმანეთის იმპერიალიზმს შორის არ ყოფილა არც ერთ დღეს. უკრაინისა და კავკასიის ფრონტებზე ჩვენი უკიდურესად სუსტი ძალებით განვაგრძობდით ომის წარმოებას, თუმცა არა აშკარად. ჩვენ ძალიან სუსტნი ვიყავით იმისათვის, რომ დაგვეწყო ომი რუსეთ-გერმანიის მთელს ფრონტზე. ჩვენ დრომდე ვიცავდით ზავის ფიქციას, ესარგებლობდით რა იმით, რომ გერმანეთის მთავარი ძალები მაშინ დასავლეთის ფრონტზე იყვნენ. თუ 1917—1918 წლებში გერმანიის იმპერიალიზმი საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჩვენთვის თავზე მოეხვია ბრესტის ზავი, თუმცა ჩვენ ყოველი ღონით ვეწინააღმდეგებოდით, ამისი უმთავრესი მიზეზი იგი სამარცხვინო საქციელი გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა, რომლის შემადგენელ და აუცილებელ ნაწილსაც კაუცკი წარმოადგენდა. 1919 წლის 4 აგვისტოს წინასწარეე გადაწყვეტილი იყო ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, იმ ხანად კაუცკიმ არა თუ გერმანიის იმპერიალიზმს არ გამოუცხადა ომი, რასაც ის შემდეგში თხოულობდა საბჭოთა ხელისუფლებისაგან, რომელიც 1918 წ. ჯერ კიდევ სუსტი იყო სამხედრო საქმეებისთვის, არამედ იგი წინადადებას იძლევა სამხედრო კრედიტისთვის ხმა მიეცათ „განსაზღვრული პირობებით“ და საზოგადოდ, ისე ეჭირა თავი, რომ მთელი თვეები იყო საჭირო ომის გამოსარკვევად, იცავდა იგი ომს თუ ომის წინააღმდეგი იყო. და ეს პოლიტიკური ლაჩარი, რომელმაც გადამწყვეტ მომენტში სოციალიზმის ძირითადი პოზიციები დასთმო, ჰბედავს და ბრალს გვდებს ჩვენ იმაში, რომ იძულებული გავხდით გაჭირვების დროს უკან დაგვეხია. — არა იდეურად, არამედ მატერიალურად — და ისიც, რატომ? — იმიტომ, რომ ჩვენ გაგვცა კაუცკიანელობით, ე. ი. თეორეტიულად ნილაბ-აფარებული პოლიტიკური პროსტრაციით გახრწნილმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ.

კაუცკი გვისაყვედურებს, თითქო ჩვენ არ ვზრუნავდით საერთაშორისო მდგომარეობაზე! ნამდვილად-კი საერთაშორისო მდგომარეობაზე ჩვენ გაცილებით უფრო ღრმა კრიტერიუმი გვქონდა, — და არც მოვტყუვდით. თებერვლის რევოლიუციამდე რუსეთის ჯარი, როგორც სომარი ძალა უკვე აღარ არსებობდა. მისი საბოლოო დაშლა წინასწარვე გადაწყვეტილი იყო. თებერვლის რევოლიუცია რომ არ მომხდარიყო, ცარიზმი გერმანიის მონარქიას მოურიგდებოდა. მაგრამ თებერვლის რევოლიუციამ, რომელმაც ეს მორიგება ჩაფუშა იმიტომ, რომ იგი რევოლიუცია იყო, საბოლოოდ ძირი გამოუთხარა მონარქიულ პრინციპზე აგებულ ჯარს. ერთი თვით ადრე თუ გვიან ჯარი უნდა დარღვეულიყო. კერენსკის სამხედრო პოლიტიკა სირაქლემას პოლიტიკა იყო. იგი თვალებს ხუჭავდა, რომ არ დაენახა ჯარის დაშლა, ამბობდა მყვირალა ფრაზებს და სიტყვით ემუქრებოდა გერმანიის იმპერიალიზმს.

ამ პირობებში ჩვენ ერთად-ერთი გამოსავალი გვქონდა: დადგომა ზავის ნიადაგზე, როგორც რევოლიუციის სამხედრო უძლურობიდან აუცილებელ გამოსავალზე, და გადაჭცევა მისი იარალად რევოლიუციონური ზეგავლენისა ევროპის ყველა ხალხზე: ე. ი., იმის მაგიერ, რომ კერენსკისთან ერთად მივსულიყავით პასიურად საბოლოო სამხედრო კატასტროფამდე, რომელიც დაასამარებდა თავის ნანგრევებს ქვეშ რევოლიუციას, ხელთ უნდა გვეგდო ზავის ლოზუნგი და მის უკან გაგვეყოლა ევროპის პროლეტარიატი, ხოლო პირველ რიგში ავსტრია-გერმანიის მუშები. ამ თვალსაზრისით ვაწარმოებდით საზავო მოლაპარაკებას ცენტრალურ იმპერიებთან და ამგვარადვე ვუდგენდით ნოტებს ანტანტის სახელმწიფოებს. ჩვენ რამდენადაც შეგვეძლო ვაჭიანურებდით მოლაპარაკებას, რათა შეძლება მიგვეცა ევროპის მუშათა მასებისათვის გარკვეულიყვენ საბჭოთა ხელისუფლების შნიშვნელობასა და მის პოლიტიკაში. 1918 წლის იანვრის გაფიცვამ გერმანიასა და ავსტრიაში დაგვანახა, რომ ჩვენს ცდას უნაყოფოთ არ ჩაევლო. ეს გაფიცვა პირველი სერიოზული წინამორბედი იყო გერმანიის რევოლიუციისა. გერმანელი იმპერიალისტები მიხვდენ, რომ სწორედ ჩვენ წარმოვადგენთ მათთვის საშინელ საშიშროებას. ეს ძალიან მკერმეტყველურად არის დასაბუთებული ლიუდენდორფის წიგნში. მართალია, ისინი �elar ბედავდენ ჩვენს წინააღმდეგ ცხადი ჯვაროსნული ომით გამოსვლას, მაგრამ იქ, სადაც შეეძლოთ ჩვენს წინააღმდეგ ფარულად ბრძოლა, ატყუებდენ რა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის დახმარებით გერმანელ მუშებს, ისინი ამას ჩადიოდენ: უკრაინაში, დონზე, კავკასიაში, ცენტრალურ რუსეთ-

ში. მოსკოვში, ჩამოსვლის პირველი დღიდანვე გრაფი მირბახი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებულ კონტრ-რევოლიუციონურ შეთქმულებათა ფოკუსში იყო მოქცეული, ისევე, როგორც ამხ. იოფფეს ბერლინში მჭიდრო კავშირი ჰქონდა რევოლიუციასთან. გერმანიის რევოლიუციის უკიდურესი მემარცხენე ფრთა, კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის პარტია, ყოველთვის ჩვენთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიოდა. გერმანიის რევოლიუციამ ერთბაშად მიიღო საბჭოთა ფორმა, და გერმანიის პროლეტარიატს, მიუხედავათ ბრესტის ზავისა, ერთი წამითაც ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ ჩვენ ლიბკნეხტთან ვიყავით და არა ლიუდენდორფთან. თავის ჩვენებაში რეიხსტაგის კომისიის წინაშე 1919 წლ. ნოემბერში ლიუდენდორფი ამბობდა, თუ როგორ „თხოულობდა უმაღლესი სარდლობა ისეთ დაწესებულების შექმნას, რომელსაც უნდა გამოეაშკარავებინა გერმანიის რევოლიუციონურ მიმართულებათა კავშირი რუსეთთან. იოფფე ბერლინში ჩავიდა და სხვადასხვა ქალაქში დაწესებულ იქმნა რუსეთის საკონსულოები. ამას ჯარისა და ფლოტისათვის მძიმე შედეგები ჰქონდა“. კაუცკის კი შესწევს სამწუხარო მამაცობა დასწეროს, რომ „თუ საქმე გერმანიის რევოლიუციამდე მიიდა, ამაში ჭეშმარიტად ისინი (ბოლშევიკები) არ არიან დამნაშავენი“ ო (გვ. 110—111).

1917—1918 წლებში ჩვენ რომ გექონოდა კიდეც საშუალება, რევოლიუციონური თავშეკავების მეოხებით, მხარი დაგვეჭირა მეფის ძველი ჯარისთვის, იმის მაგიერ, რომ დაგვეჩქარებინა მისი დაშლა, ჩვენ ამით ხელს შევუწყობდით მხოლოდ ანტანტას და ჩვენი თანაგრძნობით დავფარავდით იმ ყაჩაღობას, რომელსაც იგი ჩაიდენდა გერმანიის, ავსტრიის და საზოგადოდ დედამიწის დანარჩენი ქვეყნების წინააღმდეგ. ამგვარი პოლიტიკის მეოხებით გადამწყვეტი მომენტის დროს ჩვენ ანტანტის წინაშე სრულიად უიარაღონი ვიქნებოდით, კიდევ უფრო უიარაღონი, ვიდრე ამჟამად გერმანიაა. ახლა კი, ნოემბრის რევოლიუციის და ბრესტის ზავის მეოხებით, რუსეთი ერთად-ერთი ქვეყანაა, რომელიც თოფით ხელში წინ ეღობება ანტანტას. ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკით ჩვენ არა თუ არ დავხმარებივართ ჰოჰენცოლერნს მოეპოვებინა გაბატონებული მდგომარეობა დედამიწაზე, არამედ, პირიქით, ნოემბრის გადატრიალებით ჩვენ სხვებზე მეტად მოვამზადეთ მისი დაცემა. ამავე დროს ჩვენ მოვიპოვეთ სამხედრო პაუზა, რომლის განმავლობაშიაც შევქმენით მრავალრიცხოვანი ტ ძლიერი ჯარი, ისტორიაში პროლეტარიატის პირველი ჯარი, რომელთან გამკლავებასაც დღეს ვერ ახერხებენ ანტანტის ქოფაკი ძაღლები.

ყველაზე უფრო კრიტიკული მომენტი ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობაში დადგა 1918 წლის შემოდგომაზე, გერმანიის ჯარის განადგურების შემდეგ. იმ ორი უძლიერესი ბანაკის ნაცვლად, რომელნიც ცოტად თუ ბევრად ერთმანეთს ხელ-ფეხს უბორკავდენ, ჩვენს წინაშე დადგა ძლევა-მოსილი, მთელ დედამიწაზე გაბატონებული ანტანტა და ეგდო ფეხქვეშ გათელილი გერმანია, რომლის იუნკრული არამზადები ბედნიერებად და პატიოსნებად ჩათვლიდენ ჩასჭიდებოდენ კისერში რუსეთის პროლეტარიატს, ოღონდ კლემანსოს სამზარეულოდან ძვალი მიეღოთ. ჩვენ შევთავაზეთ ანტანტას ზავი და მზად ვიყავით ხელმეორედ, რადგანაც იძულებულნი ვიყავით ხელი მოგვეწერა უმძიმესს პირობებზე. მაგრამ კლემანსომ, რომლის იმპერიალისტურ მტაცებლობაში დარჩენ მთელი თავისი ძალით წერილ-ბურჟუაზიული გონებადახშულობის ნაშთები, უარი უთხრა იუნკრებს ძვლის მიცემაზე და იმავე დროს გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, დაემშვენებინა ინვალიდების სასახლე საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელთა თავებით ამ პოლიტიკით კლემანსომ ბევრი დახმარება არ გაგვიწია. ჩვენ შეეძელით გამკლავება და ჩვენს ადგილზე გამაგრება.

რაში გამოიხატებოდა ჩვენი პოლიტიკის ხემძღვანელი იდეა მას შემდეგ, როცა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველმა თვეებმა გამოააშკარავეს ევროპის კაპიტალისტური მთავრობების საგრძნობი სიმტკიცე? სწორედ იმაში, რაც გაოცებულ კაუცკის ეხლა შემთხვევით შედეგად მიაჩნია: დროებით გამაგრებაში. ჩვენ ძალიან ცხადად ვგრძნობდით, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობა არის უდიდესი რევოლიუციონური მნიშვნელობის მოვლენა. და ეს შეგნება გვიკარნახებდა წავსულიყავით დათმობაზე და დროებით უკანდახევაზე,— არა პრინციპებში, არამედ ჩვენი საკუთარი ძალის საღი შეფასების პრაქტიკულ შედეგებში. ჩვენ უკან ვიხევდით, როგორც ის ჯარი, რომელიც უთმობს მტერს ქალაქს და სიმაგრესაც კი იმისთვის, რომ გავიდეს განზე და მოემზადოს არა მარტო თავდასაცველად, არამედ მტერზე იერიშის მისატანადაც. ჩვენ დავიხიეთ, როგორც იხევენ უკან გაფიცულნი, რომელთაც გამოელიათ ძალა და საღსარი, მაგრამ რომელნიც, ილესავენ რა კბილებს, ახალი ბრძოლისთვის ემზადებიან. ჩვენ რომ შეურყეველი რწმენა არა გექონოდა იმისა, რომ საბჭოთა დიქტატურას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, ბრესტ-ლიტოვსკში საგრძნობ მსხვერპლს არ გავიღებდით. ჩვენს რწმენას რომ ყოვნირი არა ჰქონოდა სინამდვილესთან, მაშინ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება ისტორიაში შევიდოდა, როგორც დასალუპავად გამზადებული რეჟიმის უსარგებლო კაპიტულიაცია. ასე **აფასებდენ** მაშინ მდგომარეო-

ბას არა მარტო კიულმანები, არამედ ყველა ქვეყნის კაუცკეებიც. მაგრამ ჩვენ მართალნი გამოვდექით როგორც ჩვენი მაშინდელი სისუსტის, ისე ჩვენი სიძლიერის შეფასებაში. ებერტის რესპუბლიკის არსებობა საყოველთაო საარჩევნო უფლებით, პარლამენტარული შულეიმანით, ბეჭდვის „თავისუფლებით" და მუშათა ლიდერების მკვლელობით, არის მონებისა და ფლიდობის ისტორიული ჯაჭვის უბრალო მორიგი რგოლი. საბჭოთა ხელისუფლების არსებობა უდიდესი რევოლიუციონური მნიშვნელობის ფაქტია. საჭირო იყო მისი შენარჩუნება, ამისთვის-კი უნდა გვესარგებლნა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შეხლა-შეტაკებით, ჯერ დაუმთავრებელ იმპერიალისტური ომით, ჰოჰენცოლერნის ბანდების თავ-აშვებული კადნიერებით, მსოფლიო ბურჟუაზიის გონება-სიჩლუნგით რევოლიუციის ძირითად საკითხებში, ამერიკისა და ევროპის ანტაგონიზმით, თვით ანტანტის შიგნით ურთიერთობათა არევ-დარევით, — ჯერ კიდევ საჭირო იყო დაუმთავრებელი საბჭოთა გემის გატარება მშფოთვარე ტალღებში, კლდესა და საშიშ ადგილებს შორის და გზა-და-გზა მისი დამთავრება და ჯავშნით შემოჭედვა.

კაუცკი ჰბედავს იმ ბრალდების განმეორებას, რომ ჩვენ 1918 წლის დასაწყისში უიარაღოთ არ ვეკვეთეთ ძლიერს მტერს. ჩვენ რომ ეს გვექნა, დავმარცხდებოდით *). პირველი უდიდესი ცდა პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისა ჩაიფუშებოდა, ევროპის პროლეტარიატის რევოლიუციონური ფრთა დიდად დაზარალდებოდა. ანტანტა შეურიგდებოდა ჰოჰენცოლერნს რუსეთის რევოლიუციის გვამზე. მსოფლიო კაპიტალისტური რეაქციის გამარჯვება რამდენიმე წლით უზრუნველყოფილი იქნებოდა. უსირცხვილოდ გვწამებს ცილს კაუცკი, როდესაც ამბობს, რომ ბრესტის საბავო ხელშეკრულების დადების დროს ჩვენ არ დავფიქრებულვართ იმაზე, თუ

*) ვენის „Arbeiter Zeitung"-ი ავსტრიელ კომუნისტებს უპირისპირებს რუს კომუნისტებს, როგორც გონიერ ხალხს. განა ტროცკიმ, — სწერს გაზეთი, — სწორედ განჭვრეტით და შესაძლებელის გაგებით არ მოაწერა ხელი ბრესტის ნაძალადევ ზავს, მიუხედავად იმისა რომ ამ ზავმა ხელი შეუწყო გერმანიის იმპერიალიზმის განმტკიცებას? ბრესტის ზავი იყო ისევე მკაცრი და სამარცხვინო, როგორც ვერსალის ზავი. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ტროცკის თავი უნდა გამოვდგა და ომი განეგრძო გერმანიასთან? განა რუსეთის რევოლიუციის ბედი დამთავრებული არ იქნებოდა? ტროცკიმ ჯერ მოიხარა გარდაუვალ აუცილებლობის წინაშე და ხელი მოაწერა სამარცხვინო ხელშეკრულებას იმიტომ, რომ გერმანიის რევოლიუცია გათვალისწინებული ჰქონდა.

ბრესტის ზავის ყველა შედეგის გათვალისწინება ლენინს ეკუთვნის. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არადერს არა სცვლის იმ არგუმენტების შინაარსში, რომელიც ვენის კაუცკიანელთა გაზეთს მოჰყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გავლენას მოახდენს ეს ხელშეკრულება გერმანიის რევოლიუციის ბედზე. ჩვენ ყოველ მხრიდან განვიხილეთ საკითხი და ერთად-ერთი ჩვენი საზრუნავი იყო საერთაშორისო რევოლიუციის ინტერესი. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეს ინტერესი მოითხოვდა იმ საბჭოთა ხელისუფლების გადარჩენას, რომელიც ერთად-ერთი იყო მთელ მსოფლიოში. და ჩვენ მარიალნი აღმოვჩნდით. მაგრამ თუ კაუცკი მოუთმენლად არ ელოდა ჩვენს დაცემას, იგი დარწმუნებული მაინც იყო ამაში, და ამ მოსალოდნელ დაცემაზე აშენებდა მთელს თავის საერთაშორისო პოლიტიკას.

აი რას გვეუბნება ბაუერის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული გერმანიის კოალიციონური მთავრობის 1918 წლის 19 ნოემბრის სხდომის ოქმი: „მსჯელობის გაგრძელება საბჭოთა რესპუბლიკასთან დამოკიდებულების შესახებ. ჰაახე რჩევას იძლევა წარმოებულ იქნეს გაჭიანურების პოლიტიკა. კაუცკი უერთდება ჰაახეს: **უნდა გადაიდოს გადაწყვეტილების გამოტანა, საბჭოთა ხელისუფლება დიდხანს ვერ იარსებებს, იგი აუცილებლად დაეცემა რამდენიმე კვირის განმავლობაში**"... ამრიგად, იმ ხანებში, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა მართლა უკიდურესად მძიმე იყო,—გერმანიის მილიტარიზმის განადგურება ანტანტისთვის ჰქმნიდა სრულს შესაძლებლობას ბოლო მოეღო ჩვენთვის „რამდენიმე კვირის განმავლობაში",—ამ მომენტში კაუცკი არა თუ არ ჩქარობს დახმარებას და უბრალო ხელის დაბანითაც-კი არ ქმაყოფილდება, არამედ მონაწილეობას იღებს რევოლიუციონური რუსეთის აქტიურ გამცემლობაში, რათა შეუმსუბუქოს შეიდემანს როლი,—როლი ბურჟუაზიის **დარაჯისა**, მისი **მესაფლავის** „პროგრამული" როლის ნაცვლად,—კაუცკი თვით იჩქარის გახდეს საბჭოთა ხელისუფლების მესაფლავე. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ცოცხალია. იგი ყველა თავის მესაფლაველებს ამოიჭამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII

შრომის ორგანიზაციის საკითხები.

საბჭოთა ხელისუფლება და მრეწველობა.

თუ საბჭოთა რევოლიუციის პირველ ხანებში ბურჟუაზიული მსოფლიოს ბრალდებები მომართული იყო ჩვენი ულმობელობისა და სისხლისმწოველობის წინააღმდეგ, შემდეგში, როდესაც ეს საბუთი ხშირი ხმარებისაგან საკმაოდ დაჩლუნგდა, როდესაც ამ საბუთმა ძალა დაჰკარგა, ჩვენ პასუხისმგებელნი გაგვხადეს უმთავრესად რუსეთის მეურნეობის დაშლისთვის. კაუცკი, სრულის თანხმობით იმ მისიასთან, რომელიც მას აქვს დაკისრებული, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წამოყენებულ ყველა ბურჟუაზიულ ბრალდებას რუსეთის სამრეწველო ცხოვრების დანგრევის შესახებ, სთარგმნის ცრუმარქსიზმის ენით: ბოლშევიკები უგეგმოთ შეუდგნენ სოციალიზაციას, გაასაზოგადოებრივეს ის, რაც არ იყო მომწიფებული სოციალიზაციისთვის; დასასრულ, რუსეთის მუშათა კლასი ჯერ არ არის მომზადებული იმისათვის, რომ განაგოს მრეწველობა და სხვა და სხვა.

ათასნაირად იმეორებს რა ამ ბრალდებებს, კაუცკი ჩლუნგი ჯიუტობით ხმას არ იღებს ჩვენი მეურნეობის მოშლილობის ძირითად მიზეზების შესახებ: იმპერიალისტური ხოცვა-ყლეტის, სამოქალაქო ომის და ბლოკადის შესახებ.

საბჭოთა რუსეთი არსებობის პირველ თვეებიდანვე ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ მას არ მოეპოვებოდა ნახშირი, ნავთი, ლითონი და ბამბა. ჯერ ავსტრო-გერმანიის, შემდეგ ანტანტის იმპერიალიზმმა, რუსეთის თეთრგვარდიელთა დახმარებით, მოსწყვიტა საბჭოთა რუსეთს დონის ქვანახშირის და მეტალურგიის აუზი, კავკასიის სანავთე რაიონი, თურქესტანი თავისი ბამბით, ურალი თავისი უმდიდრესი ლითონის მადნებით, ციმბირი თავის პურითა და ხორცით. დონის აუზი, ჩვეულებრივ, ჩვენს მრეწველობას აძლევდა სა-

ჭიროო ნახშირის 94%, და შავი ლითონის 74%-ს, ურალი იძლეოდა ლითონის დანარჩენ 20%-ს და ნახშირის 4%-ს. ორივე ეს ოლქი ჩამოგვშორდა სამოქალაქო ომის დროს. მოგვაკლდა ნახევარი მილიარდი ფუთი ნახშირი, რომელიც საბლვარგარეთიდან შემოდიოდა. ამავე დროს დავრჩით უნავთოთ: ყველა სარეწავი სულერთიანად ჩვენი მტრების ხელში გადავიდა. მართლა სპილენძის შუბლი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამ ფაქტების წინაშე ილაპარაკოს „ნაადრევი", „ბარბაროსული" სოციალიზაციის განმანადგურებელ გავლენის შესახებ მრეწველობაზე, რომელიც სრულიად მოკლებული იყო სათბობსა და ნედლ მასალას. კაპიტალისტთა ტრესტს ეკუთვნის წარმოება, თუ მუშათა სახელმწიფოს, სოციალიზაცია ქმნილია ქარხანა თუ არა, მისი საკვამლე მილი, სულერთია, ვერ იბოლებს უნახშიროთ და უნავთოთ. ამის შესახებ ცოტა რამის გაგება შეიძლება თუნდაც ავსტრიაში ან, თუ გნებავთ, თვით გერმანიაშიც. საქსოვი ქარხანა, რომელსაც განაგებენ კაუცკის საუკეთესო მეთოდებით,—თუ კი დავუშვებთ, რომ კაუცკის მეთოდებით საზოგადოდ შეიძლება რისამე გამგებლობა საკუთარი სამელნის გარდა,—ჩითს ვერ დაამზადებს, თუ ბამბას არ მიაწოდებთ. ჩვენ კი ერთსა და იმავე დროს მოგვაკლდა როგორც თურქესტანის, ისე ამერიკული ძაფი. გარდა ამისა, როგორც ვთქვით, არა გვქონდა სათბობი მასალა.

რასაკვირველია, ბლოკადა და სამოქალაქო ომი რუსეთში შედეგი იყო პროლეტარული გადატრიალებისა. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ის საოცარი აკლება-ოხრება, რომელიც ინგლის-ამერიკა-საფრანგეთის ბლოკადამ და კოლჩაკისა და დენიკინის ყაჩაღურმა ომებმა რუსეთს მიაყენა, უნდა მიეწეროს საბჭოთა სამეურნეო მეთოდების უვარგისობას.

რევოლიუციამდე ამტყდარი იმპერიალისტური ომი, თავისი გაუმაძღარი ნივთიერი და ტეხნიკური მოთხოვნილებებით, გაცილებით მეტის სიმძიმით დააწვა ჩვენს ახალგაზრდა მრეწველობას, ვიდრე უფრო მძლავრი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობას. ყველაზე უფრო უმოწყალოდ დაზარალდა ჩვენი ტრანსპორტი. ექსპლოატაციის მეტის-მეტად გაძლიერების გამო რკინის გზაზე ყველაფერი გაცვდა, რემონტი კი დაყვანილ იქნა უკიდურეს მინიმუმამდე. უკიდურესი გაჭირვება დაგვიახლოვა სათბობი მასალის კრიზისმა. დონისა და საზღვარგარეთის ნახშირის და კავკასიის ნავთის თითქმის ერთსა და იმავე დროს დაკარგვამ გვაიძულა ტრანსპორტის დარგში შეშაზე გადავსულიყავით. ხოლო რადგან არსებული შეშის მარაგი სრულიად არ იყო ნავარაუდევი ამ საქმისთვის, იძულებული გავხდით ორთქლმა-

ვალები გვეთბო ახლად დამზადებული ნედლი შეშით, რომელიც მეტის-მეტად აზიანებდა ორთქლმავლის ისედაც გაცვეთილს მექანიზმს. ამნაირად, როგორც ჰხედავთ, ტრანსპორტის მოშლის მთავარი მიზეზები წინ უძღოდენ 1917 წლის ნოემბერს. მაგრამ ის მიზეზებიც, რომელიც პირდაპირ თუ არა პირდაპირ დაკავშირებული იყო ნოემბრის რევოლიუციასთან, მიეწერება რევოლიუციის პოლიტიკურ შედეგებს და არავითარ შემთხვევაში არ ეხება მეურნეობის სოციალურ მეთოდებს.

პოლიტიკურ შერყევათა გავლენა მეურნეობის დარგში, რა თქმა უნდა, არ თავდება ტრანსპორტისა და სათბობი მასალის საკითხებით. თუ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში სწარმოებდა მსოფლიო მრეწველობის მთლიან ორგანიზმად შედუღება, ასეთი ცვლილება ყველაზე მეტად ეროვნულ მრეწველობას ეტყობოდა. მაგრამ ომი და რევოლიუცია მექანიკურად ანაწილებდა და აქუცმაცებდა ყველა მიმართულებით რუსეთის მრეწველობას. პოლონეთის, ბალტიის მხრის და შემდეგ პეტერბურგის მრეწველობის დაცემა-დაქვეითება დაიწყო ცარიზმის ხანაში და გაგრძელდა კერენსკის დროს, და ეს დაცემა-დაქვეითება ახალ-ახალ ოლქს ედებოდა. დაუსრულებელი ევაკუაციები მრეწველობის დანგრევასთან ერთად ნიშნავდა ტრანსპორტის დანგრევასაც. ევაკუაციებმა სამოქალაქო ომის დროს, მისი მოძრავი ფრონტების წყალობით, უფრო მწვავე და, მაშასადამე, უფრო განმანადგურებელი ხასიათი მიიღეს. თვითეული მოწინააღმდეგე, რომელიც დროებით ან სამუდამოთ სტოვებდა ამა თუ იმ სამრეწველო ცენტრს, ყოველგვარ ზომებს ხმარობდა, რომ უმნიშვნელოვანესი სამრეწველო წარმოებანი გამოუსადეგარი გაეხადა მოპირდაპირისთვის: თან მიჰქონდა ძვირფასი მანქანები ან მათი უფრო მნიშვნელოვანი ნაწილები, თან მიჰყავდა ტექნიკოსები და საუკეთესო მუშები. ევაკუაციას მოსდევდა რეევაკუაცია, რომელიც ხშირად ამთავრებდა როგორც გადასაზიდი ქონების, ისე რკინის გზის ნგრევას. ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი სამრეწველო რაიონი, განსაკუთრებით უკრაინისა და ურალში, რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში.

ამას უნდა დაემატოს ის გარემოება, რომ იმ დროს, როდესაც ტექნიკურ მოწყობათა ნგრევამ ჯერ უნახავ ზომას მიაღწია, სრულიად შეწყდა საზღვარ-გარეთიდან მანქანების შემოტანა, რაც უწინ ჩვენს მრეწველობაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა.

მაგრამ ომისა და რევოლიუციის შეერთებული გავლენისაგან საშინელი ხარალი განიცადეს არა მარტო წარმოების მკვდარმა ელემენტმა: შენობებმა, მანქანებმა, რელსებმა, სათბობმა და ნედლმა მა-

სალამ; თუ არ მეტად, ნაკლებად არ დაზარალდა მრეწველობის მთავარი ფაქტორი—მისი ცოცხალი შემომქმედი ძალა, პროლეტარიატი. მან მოახდინა ნოემბრის გადატრიალება, იგი აშენებდა და იცავდა საბჭოთა ხელისუფლების აპარატს და განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდა თეთრგვარდიელებთან. კვალიფიციური მუშები ამავე დროს, საზოგადო წესით, ყველაზე უფრო მოწინავე ელემენტიც არის. სამოქალაქო ომმა დიდის ხნით მოსწყვიტა მრავალი ათი-ათასი საუკეთესო მუშა მწარმოებელ შრომას და ამათგან მრავალი ათასი სამუდამოდ შთანთქა. სოციალისტური რევოლიუცია თავის მსხვერპლთა მთელის სიმძიმით დააწვა პროლეტარულ ავანგარდს და, მაშასადამე, მრეწველობასაც.

საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ყურადღება მისი არსებობის ორ წელიწად ნახევარში მიქცეული იყო სამხედრო გამკლავებაზე: ფრონტს ვაძლევდით საუკეთესო ძალებს და ვახმარდით მთავარ სახსარს.

კლასთა ბრძოლას, საზოგადოდ, ზარალი მოაქვს მრეწველობისთვის. ამაში კლასთა ბრძოლას კაუკაზე ბევრად ადრე ბრალსა სდებდა სოციალური ჰარმონიის ყველა ფილოსოფოსი. უბრალო ეკონომიური გაფიცვების დროს მუშები მომხმარებლის როლს ასრულებენ და არაფერს აწარმოებენ. მით უმეტეს უალრეს ზიანს აყენებს მეურნეობას კლასთა ბრძოლის ყველაზე უფრო დაუნდობელი ფორმა—შეიარაღებული ბრძოლა. მაგრამ სამოქალაქო ომი, ცხადია, არას გზით არ შეიძლება ჩაითვალოს მეურნეობის სოციალისტურ მეთოდად.

ზემოაღნიშნული მიზეზები სრულიად საკმარისია საბჭოთა რუსეთის უმძიმესი სამეურნეო მდგომარეობის ასახსნელად. არ არის საბობი მასალა, ლითონი, ბამბა, მოშლილია ტრანსპორტი, დანგრეულია ყველა ტეხნიკური მოწყობილობა, მუშა ხელი გაფანტულია რუსეთის სხვადასხვა კუთხეში, ამასთან დიდი ნაწილი ამ მუშა ხელისა ფრონტებზე იღუპება,—ყველა ამის შემდეგ ჩვენი მრეწველობის დაცემის ასახსნელად განა საჭიროა კიდევ დამატებითი მიზეზების ძებნა ბოლშევიკების უტოპიზმში? პირიქით, თვითეული მოყვანილი მიზეზი, ცალკე აღებული, სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ წარმოშვას კითხვა: საზოგადოდ ასეთ პირობებში როგორ შეუძლიათ იარსებონ და იმოქმედონ ფაბრიკა-ქარხნებმა?

მიუხედავათ ამისა, ფაბრიკა-ქარხნები მოქმედებენ,—უმთავრესად სამხედრო მრეწველობის სახით, რომელიც სცოცხლობს ამჟამად მთელი დანარჩენი მრეწველობის ხარჯზე. საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო ნამსხვრევებიდან აღედგინა იგი, ისევე როგორც წითელი ლაშქარი აღადგინა. ამ გაუგონარ მძიმე პირობებში სამხედრო

მრეწველობა ასრულებდა და ასრულებს თავის დანიშნულებას: წითელ არმიას ტანთ და ფეხთ აცვია, აქვს თოფი, ტყვიისმფრქვეველი, ზარბაზანი, ყუმბარა, ჰაეროპლანი და ყველაფერი, რაც საჭიროა მისთვის.

გამოანათა თუ არა ზავმა,—კოლჩაკის, იუდენიჩის და დენიკინის დამარცხების შემდეგ,—ჩვენ მთელი სიგრძე-სიგანით დაესვით მეურნეობის ორგანიზაციის საკითხი, და ამ დარგში ორი-სამი თვის თავდადებული მუშაობის შემდეგ, უკვე ცხადად გამოაშკარავდა, რომ ხალხის მასებთან მჭიდრო კავშირის, სახელმწიფო აპარატის მოქნილობის და რევოლიუციონური ინიციატივის წყალობით, საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში არის ისეთი რესურსები და მეურნეობის აღორძინების ისეთი მეთოდები, როგორიც არა ჰქონია და არა აქვს არც ერთ სხვა სახელმწიფოს.

მართალია, ამასთან ჩვენ წინაშე წამოიჭრა სრულიად ახალი საკითხები და ახალი სიძნელე შრომის ორგანიზაციის სფეროში. სოციალისტურ თეორიას ამ საკითხებზე მზამზარეული პასუხი არა ჰქონია და არც შეეძლო ჰქონოდა. იძულებული ვართ საკითხების გადასაწყვეტად ცდას მივმართოთ და ცდითვე შეეამოწმოთ ისინი. ბუმბერაზულ სამეურნეო ამოცანებს, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლება სწყვეტს, კაუცკიანობა მთელი ეპოქით ჩამორჩა. მენშევიზმის სახით იგი იბნევა, უპირისპირებს რა ჩვენს სამეურნეო აღმშენებლობას მეშჩანურ წინასწყებს და ინტელიგენტურ-ბიუროკრატიულს სკეპტიციზმს.

რათა მკითხველი არსებითად გაეცნოს შრომის ორგანიზაციის საკითხებს, იმ სახით, რა სახითაც ეს კითხვები ჩვენს წინაშე სდგას, მოგვყავს ამ წიგნის ავტორის მოხსენება სრულიად რუსეთის პროფესიონალური კავშირების მეორე ყრილობაზე. საკითხის ყოველმხრივ გასაშუქებლად წარმოთქმული სიტყვის ტექსტს ვუმატებთ მნიშვნელოვან ადგილებს იმ მოხსენებებიდან, რომელიც ავტორმა წაიკითხა სახალხო მეურნეობის საბჭოთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე და კომუნისტური პარტიის მეცხრე ყრილობაზე.

მოხსენება შრომის ორგანიზაციის შესახებ.

—ამხანაგებო! შინაური საშოქალაქო ომი თავდება. დასავლეთ ფრონტზე მდგომარეობა გამოურკვეველი რჩება. შესაძლოა, რომ პოლონეთის ბურჟუაზიამ თავისი ბედი განსაცდელში ჩააგდოს... მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ჩვენ ომს არ ვეძებთ—ომი აღარ მოითხოვს ჩვენგან

იმ ყველაფრის შთანმთქმელ ძალთა დაჭიმვას, რომელსაც ითხოვდა ერთსა და იმავე დროს ოთხ ფრონტზე ბრძოლა. საშინელი გაელენა ომისა თანდათან სუსტდება. სულ უფრო და უფრო წინ სდგება სამეურნეო საჭიროებანი და მიზნები. ისტორიამ სულ დაგვიახლოვა ჩვენი ძირითადი ამოცანა—შრომის ორგანიზაცია ახალ სოციალურ საფუძვლებზე. შრომის ორგანიზაცია არსებითად ახალი საზოგადოების ორგანიზაციაა: ყოველი ისტორიული საზოგადოება თავის საფუძველში არის შრომის ორგანიზაცია. თუ ყოველი წარსული საზოგადოება იყო შრომის ორგანიზაცია უმცირესობის სასარგებლოდ, ამასთან თუ ამ უმცირესობამ მოაწყო თავისი სახელმწიფოებრივი იძულება მშრომელთა დიდ უმრავლესობაზე, ჩვენ გვსურს მოვახდინოთ მსოფლიო ისტორიაში პირველი ცდა შრომის ორგანიზაციისა თვით მშრომელთა უმრავლესობის სასარგებლოდ. ეს, რა თქმა უნდა, არ უარყოფს იძულების ელემენტს მთელი თავისი სახეობით, როგორც ყველაზე ლმობიერს, ისე უკიდურესად მკაცრს. ელემენტი ვალდებულობისა, სახელმწიფოებრივი იძულებისა არა თუ სტოვებს ისტორიის სცენას, არამედ ჯერ კიდევ მრავალი ხნის განმავლობაში ითამაშებს მეტად დიდ როლს.

საზოგადო წესით, ადამიანი სცდილობს თავი აარიდოს შრომას. შრომისმოყვარეობა სრულებითაც არ არის ადამიანის თანდაყოლილი თვისება: მას ჰქმნის ეკონომიური ზეგავლენა და საზოგადოებრივი აღზრდა. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი საკმაოდ ზარმაცი ცხოველია. თუ გნებავთ რამდენადმე ამ თვისებაზეა დამყარებული კაცობრიობის პროგრესი: ადამიანი რომ არ სცდილობდეს თავისი ძალლონის ეკონომიურად დახარჯვას, არ ისწრაფოდეს ენერგიის მცირე რაოდენობით მიიღოს რაც შეიძლება მეტი ნაყოფი, არ მოხდებოდა ტექნიკისა და საზოგადოებრივი კულტურის განვითარება. მაშასადამე, ამ თვალსაზრისით ადამიანის სიზარმაცე პროგრესიული ძალაა. იტალიელი მარქსისტი, მოხუცი ანტონიო ლაბრიოლა, მომავალ ადამიანს „ბედნიერ და გენიალურ ზარმაცად“ ხატავდა. აქედან, რასაკვირველია, ის დასკვნა არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ პარტიამ და პროფესიონალურმა კავშირებმა აგიტაციის დროს აამაღლონ ეს თვისება და დასაბონ იგი ხნოვრივ მოვალეობად. არამც და არამც. ჩვენ ისედაც ჭარბადა გვაქვს ეს თვისება. საზოგადოებრივი ორგანიზაციის ამოცანას სწორედ ის შეადგენს, რომ „სიზარმაცე“ განსაზღვრულ ჩარჩოებში ჩავაყენოთ, რომ იგი დავუმორჩილოთ დისციპლინას, რომ გავსწვრთნათ ადამიანი იმ საშუალებათა და ზომების დახმარებით, რომელნიც თვითონ გამოიგონა.

შრომის ბეგარა.

მეურნეობის გასაღები არის მუშა ხელი, კვალიფიციური, ელემენტარულად ნასწავლი, ნახევრად ნასწავლი, უსწავლელი ან შავი მომუშავე. შემუშავება იმ საშუალებების, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი იქნება მუშა ხელის სისწორით აღრიცხვა, მობილიზაცია, განაწილება და გამოყენება წარმოებაში, ნიშნავს სამეურნეო აღმშენებლობის პრაქტიკულად გადაწყვეტას. ეს არის ამოცანა მთელი ეპოქისა, ამოცანა გრანდიოზული. საქმეს აძნელებს ის, რომ შრომის გარდაქმნა სოციალისტურ საფუძვლებზე გვიხდება საოცარი სიღატაკის, საშინელი სიღარიბის პირობებში.

რაც უფრო გაცვდა ჩვენი მანქანები, რაც უფრო მეტად დაირღვა რკინისგზის ნაშენობა, რაც უფრო ნაკლები იმედი გვაქვს ახლო მომავალში მანქანათა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი რაოდენობის მიღებისა საზღვარგარეთიდან, მით უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა საკითხს მუშათა ცოცხალი ძალის შესახებ. თითქო ეს ძალა ბლომათ არის. მაგრამ რა გზით უნდა მიეუდგეთ მას? როგორ უნდა ჩავაბათ იგი საქმეში? როგორ უნდა მოვაწყოთ იგი მწარმოებლურად? უკვე რკინისგზის ლიანდაგის თოვლისაგან გაწმენდის დროს დიდი დაბრკოლება გადაგვეღობა წინ. ყველა ამის გადაწყვეტა მუშა ხელის ბაზარზე შეძენით ყოვლად შეუძლებელია ფულის ახლანდელი უმნიშვნელო მყიდველობითი ძალისა და დამმუშავებელი მრეწველობის ნაწარმოებთა თითქმის სრული უქონლობის დროს. არ შეიძლება სათბობი მასალის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ნაწილობრივ მაინც, თუ მუშა ხელი მასიურად არ იქნება გამოყენებული შეშისა, ტორფისა და ფიქალის სამუშაოებზე. სამოქალაქო ომმა უწყალოდ გაანადგურა რკინისგზის ლიანდაგი, ხიდები, სადგურის შენობები. ათი და ასი ათასობით მუშა ხელია საჭირო ყველა ამის წესრიგში მოსაყვანად. ფართო მასშტაბით ხე-ტყისა, ტორფისა და სხვა წარმოების მოსაწყობად საჭიროა მუშებისთვის შენობები, დროებითი ბარაკები მაინც. შენობების აგება თავის მხრივ მოითხოვს მრავალ მუშა ხელს. საჭიროა მრავალრიცხოვანი მუშა ხელი მდინარით ხე-ტყის ზიდვის ორგანიზაციისთვის, და სხვა და სხვა...

კაპიტალისტური მრეწველობა ფართოდ საზრდოობდა დამხმარე მუშა ხელით, რომელსაც დროებით სამუშაოდ გასული გლეხობა იძლეოდა. მიწის ნაკლებობით შეწუხებული სოფელი მუდამ ისტუმრებდა ბაზარზე მოჭარბებულ მუშა ხელს. გადასახადების წყალობით სახელმწიფო იძულებულს ხდიდა მას ასე მოქცეულიყო, ბა-

ხარი გლეხს საქონელს აწვდიდა. დღეს ეს აღარ არის. სოფელს მიწა მიემატა, სასოფლო-სამეურნეო მანქანები არა ჰყოფნის, მუშა ხელი მიწისთვის არის საჭირო, მრეწველობას ამჟამად არ შეუძლია მისცეს რამე სოფელს, ბაზარი მუშა ხელს ვეღარ იზიდავს.

მუშა ხელი-კი ამჟამად უფრო საჭიროა, ვიდრე ოდესმე. არა მარტო მუშამ, არამედ გლეხმაც უნდა მისცეს თავისი ძალა საბჭოთა სახელმწიფოს, რათა მშრომელი რუსეთი და მასთან ერთად თვით მშრომელნი არ გაისრისონ. ერთად-ერთი საშუალება საჭირო მუშა ხელის მისაზიდად სამეურნეო მიზნებისთვის არის **შრომის ბეგარის** ცხოვრებაში გატარება.

თვით პრინციპი შრომის ბეგარისა კომუნისტისთვის საესებით უდავოა. „ვინც არ მუშაობს, მან არც უნდა სჭამოს". და რადგან ყველამ უნდა სჭამოს, ყველა ვალდებულია იმუშაოს. შრომის ბეგარა შეტანილია ჩვენს კონსტიტუციასა და შრომის კოდექსში. მაგრამ აქამდე იგი მხოლოდ პრინციპად რჩებოდა. მის გამოყენებას ჰქონდა შემთხვევითი, ნაწილობრივი, ეპიზოდური ხასიათი. მხოლოდ ახლა, როდესაც ჩვენ სულ ახლო მივუდექით ქვეყნის სამეურნეო აღორძინების საკითხებს, შრომის ბეგარის საკითხები ჩვენს წინაშე ისმება სრულიად კონკრეტულად. ერთად-ერთი პრინციპიალურადა და პრაქტიკულადაც სწორი გადაჭრა სამეურნეო სიძნელეთა არის ის, რომ ქვეყნის მთელი მოსახლეობა ჩათვლილ იქნას მუშა ხელის სათადარიგო აუზად,—ეს იქნება თითქმის დაუშრეტელი წყარო—და მისი აღრიცხვის, მობილიზაციის და გამოყენების საქმეში შეტანილ იქნას სასტიკი წესრიგი.

როგორ უნდა მივუდგეთ პრაქტიკულად მუშა ხელის მიღებას შრომის ბეგარის საფუძველზე?

აქამდე მხოლოდ სამხედრო უწყებას ჰქონდა გამოცდილება დიდი მასების აღრიცხვის, მობილიზაციის და გადაყვან-გადმოყვანის საქმეში. ეს ტექნიკური ხერხი და დახელოვნება ჩვენმა სამხედრო უწყებამ რამდენადმე მემკვიდრეობით მიიღო წარსულისაგან. მეურნეობის საქმეში კი ასეთ მემკვიდრეობას ადგილი არა აქვს, რადგან იქ მოქმედობდა „ერძო—უფლებრივი პრინციპი, და მუშა ხელს სხვადასხვა საწარმოვო დაწესებულება ბაზარზე იძენდა. სრულიად ბუნებრივია თუ ჩვენ, იძულებული გავხდით, პირველ ხანებში მაინც, შრომის მობილიზაციის საქმისთვის ფარიოდ გამოგვეყენებინა სამხედრო უწყების აპარატი.

შრომის ბეგარის ცხოვრებაში გასატარებლად ჩვენ საგანგებო ორგანოები შევქმნით ცენტრსა და ადგილობრივ. გუბერნიებსა, მაზრე-

ბსა და ვოლოსტებში უკვე მოქმედობენ შრომის ბეგარის კომიტეტები. ისინი ეყრდნობიან უმთავრესად სამხედრო უწყების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს. ჩვენი სამეურნეო ცენტრები: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, გზათა სახალხო კომისარიატი, სასურსათო სახალხო კომისარიატი იმუშავებენ მათთვის საჭირო მუშა ხელის მოთხოვნილებას. შრომის ბეგარის მთავარი კომიტეტი იღებს ამ მოთხოვნილებებს, ათანხმებს მათ, უფარდებს მუშა ხელის ადგილობრივ წყაროებს, სათანადო განკარგულებებს აძლევს თავის ადგილობრივ ორგანოებს და მათი საშუალებით ანხორციელებს შრომის მობილიზაციას. ადგილობრივ სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ამ საქმეს ასრულებენ დამოუკიდებლად ოლქების, გუბერნიებისა და მაზრების ფარგლებში ადგილობრივი ორგანოები.

მთელი ეს ორგანიზაცია ჩვენში მხოლოდ შავად არის შექმნილი. მას ჯერჯერობით ძალიან ბევრი ნაკლი აქვს. მაგრამ გვაბი უეჭველად სწორედ არის აღებული.

თუ ახალი საზოგადოების ორგანიზაცია თავის საფუძველში შრომის ახალს ორგანიზაციას უდრის, მაშინ თავის მხრივ შრომის ორგანიზაცია ნიშნავს საყოველთაო შრომის ბეგარის სისწორით გატარებას. ეს ამოცანა ორივითარ შემთხვევაში არ ამოიწურება საორგანიზაციო და ადმინისტრატიულ ზომებით. იგი ეხება მეურნეობისა და ყოფა-ცხოვრების თვით საფუძვლებს. იგი ეჯახება ძლიერს ფსიქოლოგიურს მიჩვევებსა და წინასჯებს. შრომის ბეგარის გატარება გულისხმობს, ერთის მხრივ, უდიდეს აღმზრდელობითს მუშაობას, მეორეს მხრივ, უდიდეს წინდახედულობას პრაქტიკულად მიდგომის დროს.

მუშა ხელის გამოყენება რაც შეიძლება ეკონომიით უნდა სწარმოებდეს. შრომის მობილიზაციის დროს აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს ყოველი რაიონის სამეურნეო და ყოფა-ცხოვრების პირობებს, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საქმიანობის, ე. ი. სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებებს. საჭიროა შეძლებისდაგვარად დავემყაროთ ადგილობრივი მოსახლეობის უწინდელ გარეშე საქმიანობას და ზედმეტ საშოვარს. საჭიროა, რომ მობილიზაცია ქმნილი მუშა ხელის გადაყვან-გადმოყვანა ხდებოდეს უმოკლეს მანძილებზე, ე. ი. შრომის ფრონტის უახლოეს რაიონებში. საჭიროა, რომ მობილიზაციით გაწვეული მუშათა რიცხვი შეესაბამებოდეს სამეურნეო ამოცანის ზომას. აუცილებელია მობილიზაციით გამოყვანილების დროზე უზრუნველყოფა საჭირო სამუშაო იარაღით და სურსათსანოვაგით. საჭიროა მათ სათავეში გამოცდილი და გაგებული ინსტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუქტორების დაყენება. საჭიროა, მობილიზაციით გაყვანილნი ადგილობრივ დარწმუნდენ, რომ მათი სამუშაო ძალა წინდახედულად, მომჭირნეობით იქნება გამოყენებული და არა ამაოდ დახარჯული. სადაც კი შესაძლებელია, პირდაპირი მობილიზაცია უნდა შეიცვალოს შრომის გაკვეთილით, ე. ი. დაევალოს ვოლოსტს, მაგალითად, ამა და ამ ვადაზე ამდენი და ამდენი კუბიკური საჟენი შეშის დამზადება, ან და ამდენი და ამდენი ფუთი თუჯის ურმით ან მარხილით მიტანა ამა და ამ სადგურზე და სხვა. აუცილებელია ამ საქმეში განსაკუთრებულის გულმოდგინეობით შესწავლა დაგროვილი გამოცდილებისა. სამეურნეო აპარატისთვის მოქნილობის მიცემა, ადგილობრივი ინტერესებისა და ყოფა-ცხოვრების განსაკუთრებულ თვისებისადმი მეტი ყურადღების მიქცევა. ერთის სიტყვით, უნდა გასწორდეს, გაუმჯობესდეს, განვითარდეს მუშა ძალის მობილიზაციის გატარების ხერხი, მეთოდი და ორგანოები. მაგრამ ამავე დროს ერთხელ და სამუდამოთ უნდა შევითვისოთ ის, რომ შრომის ბეგარის პრინციპმა ისევე რადიკალურად და დაუბრუნებლივ შესცვალეს ნებაყოფლობითი დაქირავების პრინციპი, როგორც წარმოების საშუალებათა სოციალიზაციამ შესცვალა კაპიტალისტური საკუთრება.

შრომის მილიტარიზაცია.

შრომის ბეგარის გატარება წარმოუდგენელია შრომის მილიტარიზაციის მეთოდების ცოტად თუ ბევრად გამოუყენებლად. ამ ტერმინს უეცრად შევეყევართ ჩვენ უდიდეს ცრუმორწმუნეობათა და ოპოზიციონურ მოთქმათა სფეროში.

იმის გასაგებად, თუ რას ნიშნავს მუშათა სახელმწიფოში შრომის მილიტარიზაცია, და როგორია მისი მეთოდები, უნდა გამოვარკვიოთ, როგორი გზით მიდიოდა მილიტარიზაცია არმიისა, რომელიც, როგორც ყველას გვახსოვს, თავის პირველს პერიოდში სრულებითაც არ იყო აღჭურვილი მისთვის საჭირო „მილიტარულ" თვისებებით. წითელი არმიისთვის ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ გავიწვიეთ ცოტა იმაზე ნაკლები ჯარისკაცი, რამდენი წევრიც ყავს ჩვენს პროფესიონალურ კავშირებს. მაგრამ პროფესიონალურ კავშირთა წევრები—მუშები არიან, არმიაში—კი მუშები შეადგენენ დაახლოვებით 15 %-ს; დანარჩენი გლეხკაცობაა. ამისდა მიუხედავად ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ წითელი არმიის ნამდვილი მაშენებელი და „მილიტარიზატორი" არის მოწინავე მუშა, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციის მიერ წამოყენებული. როდესაც ფრონტებ-

ხე საქმე ცუდათ იყო, როდესაც ახლად მობილიზაცია ქმნილი გლეხთა მასა საკმაო სიმტკიცეს ვერ იჩენდა, ჩვენ მივმართავდით ხოლმე, ერთის მხრივ, კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ხოლო მეორეს მხრივ,—პროფესიონალურ კავშირთა სრულიად რუსეთის საბჭოს. ამ ორ წყაროდან იგზავნებოდენ ფრონტზე მოწინავე მუშები, რომელნიც თავიანთ მსგავსად და ხატად აშენებდენ იქ წითელ არმიას,—ზრდიდენ, აწრთობდენ და სამხედრო სულს უდგამდენ გლეხთა მასას.

საჭიროა ახლა ეს ფაქტი სრულის გარკვევით გავიხსენოთ, იმიტომ რომ იგი ერთბაშად და სათანადოდ ნათელს ჰფენს თვით მილიტარიზაციის ცნებას მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს პირობებში. შრომის მილიტარიზაცია არა ერთხელ ყოფილა გამოცხადებული, როგორც ლოზუნგი, და განხორციელებული მეურნეობის ცალკე დარგებში ბურჟუაზიულ ქვეყნებში, როგორც დასავლეთში, ისე ჩვენში ცარიზმის დროს. მაგრამ ჩვენი მილიტარიზაცია ყოველი ასეთი ცდისაგან განსხვავდება თავისი მიზნებით და მეთოდებით ისევე, როგორც შეგნებული, თავისუფლების მოსაპოვებლად შეკავშირებული პროლეტარიატი განსხვავდება შეგნებული და საექსპლოატაციოთ შეკავშირებული ბურჟუაზიისაგან.

პროლეტარულ-სოციალისტური მილიტარიზაციისა და ბურჟუაზიის მილიტარიზაციის ისტორიული ფორმების ერთმანეთში არევისაგან (ასეთი არევა კი ხდება სანახევროდ შეუგნებლად და სანახევროდ ბოროტი განზრახვით) გამომდინარეობს იმ შეცდომების, პროტესტების და უკმაყოფილების დიდი ნაწილი, რომელსაც ადგილი აქვს ამ საკითხის გარშემო. ცნებათა ამგვარ გაგებაზეა დამყარებული მენშევიკების—ჩვენი რუსი კაუცკიანელების—მთელი პოზიცია, როგორც იგი გამოიხატა ამ ყრილობაზე წარმოდგენილ მათს პრინციპიალურ რეზოლიუციაში.

მენშევიკები წინააღმდეგნი არიან არა მარტო შრომის მილიტარიზაციისა, არამედ შრომის ბეგარისაც. ისინი უარყოფენ ამ მეთოდებს, როგორც „იძულებით" მეთოდებს. ისინი ჭადაგობენ, რომ შრომის ბეგარა უდრის შრომის დაბალ ნაყოფიერებას, ხოლო მილიტარიზაცია ნიშნავს მუშა ხელის უმიზნო გაფლანგვას.

„იძულებითი შრომა არის ისეთი შრომა, რომელიც ყოველთვის ნაკლებად ნაყოფიერია,"—ასეა ნათქვამი მენშევიკების რეზოლიუციაში. ამ აზრს მივყევართ თვით საკითხის არსებითს მხარესთან. ვინაიდან საქმე, როგორც ვხედავთ, იმაში კი არ არის, გონივრულია თუ არა ამა თუ იმ ქარხნის სამხედრო წესებზე გამოცხადება; მიზანშე-

წონილია თუ არა სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალს უფლება მიეცეს დასაჯოს გარყვნილი მუშები, რომელნიც ჩვენთვის ესოდენ ძვირფას მასალას და იარაღს იპარავენ, ან საბოტაჟს მართავენ,—არა, საკითხი მენშევიკების მიერ გაცილებით უფრო ღრმად არის დასმული. როდესაც ამტკიცებენ, რომ იძულებითი შრომა **ყოველთვის** ნაკლებ ნაყოფიერია, ისინი ამით სცდილობენ დღევანდელ გარდამავალ ხანაში ნიადაგი გამოაცალონ მთელ ჩვენს სამეურნეო აღმშენებლობას, ვინაიდან რევოლიუციონური დიქტატურის და მეურნეობის ორგანიზაციის იძულებითი ფორმების გარეშე ლაპარაკიც-კი არ შეიძლება ბურჟუაზიული ანარქიიდან სოციალისტურ მეურნეობაში გადასვლაზე.

მენშევიკების რეზოლიუციის პირველ მუხლში ლაპარაკია იმაზე, რომ ჩვენ ეცხოვრობთ წარმოების კაპიტალისტური საშუალებიდან სოციალისტურზე გადასვლის ხანაში. რას ნიშნავს ეს? და, პირველ ყოვლისა, საიდან გაჩნდა ეს? რიდის აქეთ აღიარეს ეს ჩვენმა კაუტკიანელებმა? ისინი ჩვენ ბრალს გვდებენ სოციალისტურ უტოპიზმში და ეს შეადგენდა ჩვენი უთანხმოების საფუძველს; ისინი ამტკიცებდენ—და ეს შეადგენდა მათი პოლიტიკური მოძღვრების არსებას,—რომ სოციალიზმზე გადასვლის შესახებ ჩვენს ხანაში ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რომ ჩვენი რევოლიუცია ბურჟუაზიულია, და რომ ჩვენ, კომუნისტები, კაპიტალისტურ მეურნეობას მხოლოდ ვანგრევთ, ქვეყანას, წინ წაყვანის მაგივრ, უკან ვაბრუნებთ. ეს არის ძირითადი უთანხმოება, აზრთა ულრმესი, შეურიგებელი სხვადასხვაობა, საიდანაც გამომდინარეობს ყველა დანარჩენი უთანხმოება. ახლა მენშევიკები გაკვრით, თავიანთი რეზოლიუციის შესავალში, გვეუბნებიან, რომ ჩვენ ვიმყოფებით ისეთ პირობებში, როდესაც ხდება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, და ეს მოჰყავთ, როგორც ისეთი დებულება, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს. ეს სრულიად მოულოდნელი აღსარება, რომელიც მეტად მიაგავს სრულს იდეურს კაპitულიაციას, მით უფრო აღვილად და ანაზდეულად ხდება, რომ იგი, როგორც გვიჩვენებს მთელი რეზოლიუცია, არ ა�sრებს მენშევიკებს არავითარ რევოლიუციონურ ვალდებულებას. ისინი საესებით ბურჟუაზიული იდეოლოგიის ტყვეობაში რჩებიან. აღიაოეს რა, რომ ჩვენ სოციალიზმისკენ მიმავალ გზაზე ვდგევართ, მენშევიკები მით უფრო მეტის მძვინვარებით ესხმიან თავს იმ მეთოდებს, რომელთა გარეშეც დღევანდელ მკაცრსა და მძიმე პირობებში სოციალიზმზე გადასვლა შეუძლებელია.

იძულებითი შრომა,—გვეუბნებიან,—ყოველთვის არანაყოფიერიაო. ჩვენ ვკითხულობთ: რას ნიშნავს ამ შემთხვევაში იძულებითი

შრომა, ე. ი. რომელ შრომას უპირისპირდება იგი? ეჭველია, თავისუფალს. რა უნდა ვიგულისხმოთ ამ შემთხვევაში თავისუფალ შრომად? ეს ცნება ჩამოაყალიბეს ბურჟუაზიის პროგრესიულმა იდეოლოგებმა მაშინ, როდესაც ისინი ებრძოდენ არათავისუფალ შრომას, ე. ი. გლეხთა ბატონყმურ შრომასა და ნორმებითა და რეგლამენტებით შებოჭილს ამქრის ხელოსანთა შრომას. თავისუფალი შრომა ნიშნავდა ისეთ შრომას, რომელიც „თავისუფლად" იყიდებოდა ბაზარზე,—თავისუფლება წარმოადგენდა იურიდიულ ფიქციას ნებით დაქირავებული მონობის სახით. ისტორიამ არ უწყის სხვა სახე თავისუფალი შრომისა. დაე, იმ ყრილობაზე მენშევიკების ესოდენ მცირერიცხოვანმა წარმომადგენლებმა გაგვიმარტონ, რა არის მათი თავისუფალი, ძალდაუტანებელი შრომა, თუ არა ბაზარი მუშა ხელისა?

ისტორიას ახსოვს მონური შრომა. ისტორიამ უწყის ბატონყმური შრომა. ისტორიამ იცის რეგლამენტებით განსაზღვრული შრომა საშუალო საუკუნეების ამქრისა. ამჟამად მთელს დედამიწაზე გაბატონებულია დაქირავებული შრომა, რომელსაც, როგორც უმაღლეს თავისუფლებას, ყველა ქვეყნის ყვითელი მეგაზეთები უპირისპირებენ საბჭოთა „მონობას". ჩვენ კი, პირიქით, კაპიტალისტურს მონობას ვუპირისპირებთ შრომას, განსაზღვრულს საზოგადოებრივი ნორმებით და დამყარებულს სამეურნეო გეგმაზე, რომელიც საყალდებულოა მთელი ხალხისთვის და, მაშასადამე, იძულებითია თვითეული მუშაკისთვის. უამისოდ ფიქრიც-კი არ შეიძლება სოციალიზმზე გადასვლის შესახებ. ელემენტი მატერიალური, ფიზიკური იძულებისა შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მდიდარი ან გაღარიბებულია ქვეყანა, როგორია წარსულის მემკვიდრეობა, კულტურული დონე. ტრანსპორტისა და მმართველობის აპარატის მდგომარეობა და სხვა პირობები,—მაგრამ ისე რომ შრომა საყალდებულოა—და, მაშასადამე, იძულებითი, წარმოადგენს აუცილებელ პირობას ბურჟუაზიული ანარქიის ასალაგმავად, წარმოებისა და შრომის საშუალებათა გასაზოგადოებლად და მთლიანი გეგმის საფუძველზე მეურნეობის გადასაქმნელად.

თავისუფლება ლიბერალისთვის ბოლოსა და ბოლოს ბაზარს მოასწავებს. შეუძლია თუ არა კაპიტალისტს ხელსაყრელ ფასებში შრომის ყიდვა,—აი ერთად-ერთი მისი საზომი თავისუფალი შრომისთვის. ეს საზომი ყალბია არა მარტო მომავლისთვის, არამედ წარსულისთვისაც.

უაზრობაა ისე წარმოვიდგინოთ საქმე, თითქოს ბატონყმური უფლების დროს შრომა მთლად ფიზიკური იძულების, ჯოხს ქვეშ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარეობდა, თითქოს ყოველ გლეხკაცს თავს ადგა ზედამხედველი შოლტით. მეურნეობის საშუალო საუკუნეების ფორმები აღმოცენდენ განსაზღვრული წარმოებითი პირობების ნიადაგზე და მათ წარმოშვეს ყოფა-ცხოვრების ერთგვარი ფორმები, რომელთაც გლეხკაცი ეჩვეოდა, რომელნიც მას განსაზღვრულ ეპოქებში სამართლიანად ან, უკიდურეს შემთხვევაში, უცვლელ ფორმებად მიაჩნდა. როდესაც გლეხკაცი, მატერიალურ პირობებში მომხდარ ცვლილებათა გავლენით, სამტროდ გამოდიოდა, სახელმწიფო ილაშქრებდა მის წინააღმდეგ ნივთიერი ძალის საშუალებით და მით ააშკარავებდა შრომის ორგანიზაციის იძულებითს ხასიათს.

შრომის მილიტარიზაციის საფუძველს შეადგენს სახელმწიფო იძულების ის ფორმები, ფრომლისოდაც კაპიტალისტური მეურნეობის სოციალისტურით შეცვლა ცარიელ სიტყვად დარჩება. რათ ვლაპარაკობთ ჩვენ **მილიტარიზაციის** შესახებ? ცხადია, ეს არის მხოლოდ ანალოგია მეტად მდიდარი შინაარსით. არავითარ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, გარდა არმიისა, არ უფიქრია ისე დაიმორჩილოს მოქალაქენი და ისე მოახვიოს ყოველმხრივ მათ თვისი ნებისყოფა, როგორადაც პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფო სთვლის თავის თავს უფლების მქონედ მოიქცეს ასე და ასედაც იქცევა. მხოლოდ არმია, - სწორედ იმიტომ, რომ იგი თავისებურად სწყვეტდა ეროვნებათა, სახელმწიფოთა და მმართველ კლასთა ყოფნა-არყოფნის საკითხებს, — იყო აღჭურვილი უფლებით მოეთხოვა თითოეულისა და ყველასაგან მისი ამოცანების, მიზნების, წესდების და ბრძანებისთვის სრული დამორჩილება. და იგი ამას მით უკრო აღწევდა, რაც უფრო სამხედრო ორგანიზაციის მიზნები შეფარდებული იყო საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებებთან.

საბჭოთა რუსეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი ამ ჟამად შრომის ფრონტზე სწყდება. ჩვენს სამეურნეო და მათთან ერთად პროფესიონალურ წარმოებითს ორგანიზაციებს უფლება აქვთ მოსთხოვონ თავიანთ წევრებს მთელი ის თავგანწირულება, დისციპლინა და შემსრულებლობა, რასაც აქამდე ითხოვდა მხოლოდ არმია.

მეორეს მხრით, კაპიტალისტის დამოკიდებულება მუშასთან სრულიადაც არ ემყარება მარტოოდენ „თავისუფალ" ხელშეკრულებას, იგი შეიცავს სახელმწიფო რეგლამენტაციის და მატერიალური იძულების ძლიერს ელემენტებსაც.

შრომის თავისუფლების ფიქციას ერთგვარ, ფრიად ნაწილობრივ რეალობას აძლევდა კაპიტალისტის კონკურენცია კაპიტალისტთან, მაგრამ ეს კონკურენცია, სინდიკატებისა და ტრესტების მიერ მინი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშამდე დაყვანილი, ჩვენ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობით საბოლოოდ გავაუქმეთ. სოციალიზმზე გადასვლა, მენშევიკების მიერ აღიარებული მხოლოდ სიტყვით, ნიშნავს გადასვლას მუშა ხელის სტიქიური განაწილებიდან მაზრის, გუბერნიის და მთელი ქვეყნის საშეურნეო ორგანოების მიერ მუშების გეგმაშეწონილ განაწილებაზე. ამგვარი გეგმაშეწონილი განაწილება გულისხმობს იმას, რომ ისინი, ვინც განაწილებულ უნდა იქნენ, დაემორჩილონ სახელმწიფოს საშეურნეო გეგმას. სწორედ ეს არის არსებითი მხარე **შრომის ბეგარისა**, რომელიც აუცილებლად შედის შრომის სოციალისტური ორგანიზაციის პროგრამაში, როგორც მისი მთავარი ელემენტი.

თუ გეგმიანი მეურნეობა წარმოუდგენელია შრომის ბეგარის გარეშე, ამ უკანასკნელის განხორციელება შეუძლებელია უიმისოდ, თუ შრომის თავისუფლების ფიქცია არ იქნა თავიდან მოშორებული, თუ იგი არ იქნა შეცვლილი ვალდებულობის პრინციპით, რომელიც შევსებულ უნდა იქნას იძულების რეალობით.

რომ თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია იძულებით შრომაზე—ეს სრული სიმართლეა იმ დროსთვის, როდესაც ფეოდალური საზოგადოების ბურჟუაზიულზე გადასვლა ხდებოდა. მაგრამ ლიბერალი ან ჩვენი დროის კაუკიანელი უნდა იყო, რომ ამ ჭეშმარიტებას მარადიული მნიშვნელობა მისცე და გადაიტანო იგი ბურჟუაზიულიდან სოციალისტურ წყობილებაზე გადასვლის ხანაზე. თუ მართალია, რომ იძულებითი შრომა არ არის ნაყოფიერი ყოველთვის და ყოველ პირობებში, როგორც მენშევიკების რეზოლიუცია ამბობს, მაშინ მთელს ჩვენს აღმშენებლობას დაღუპვა მოელის, ვინაიდან, თუ არ ქვეყნის საშეურნეო ძალთა და საშუალებათა ბატონ-პატრონულად გამგებლობა, და საერთო სახელმწიფოებრივი გეგმის მიხედვით მუშა ხელის განაწილების ცენტრალიზაცია, სხვა გზა სოციალიზმისაკენ ჩვენ არ მოგვეპოვება. მუშათა სახელმწიფო ფიქრობს, რომ მას უფლება აქვს გაგზავნოს ყოველი მუშა იმ ადგილას, სადაც საჭიროა მისი მუშაობა. და ვერცერთი სერიოზული სოციალისტი ვერ უარჰყოფს მუშათა სახელმწიფოს უფლებას ამხედრდეს იმ მუშის წინააღმდეგ, რომელიც უარს ამბობს მისთვის დანიშნული შრომის შესრულებაზე. საქმეც ის არის, რომ მენშევიკური გზა „სოციალიზმზე" გადასვლისა არის საეჭვო გზა—პურის მონოპოლიის შემოულებლად, მაზრის დატოვებით, რევოლიუციონური დიქტატურისა და შრომის მილიტარიზაციის გარეშე.

თუ შრომის ბეგარა არ იქნება, თუ პროფესიონალურ კავშირებს უფლება არ ექნებათ ბრძანება გასცენ და აღსრულება მოითხოვონ, ეს

კავშირები გადაიქცევა უბრალო უშინაარსო ფორმად, ვინაიდან ალმშენებლობის გზაზე დამდგარ სოციალისტურ სახელმწიფოს პროფესიონალური კავშირები სჭირდება არა ბრძოლისთვის შრომის უკეთესი პირობების მოსაპოვებლად,—ეს არის მთლიანი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ამოცანა,—არამედ იმისთვის, რომ წარმოებითი მიზნით ორგანიზაციულად შეაკავშიროს მუშათა კლასი, აზარდოს იგი, დისციპლინას შეაჩვიოს, გაანაწილოს, შეაჯგუფოს, ცალკე კატეგორიები და ცალკე მუშები მიამაგროს თავიანთ პოსტებზე განსაზღვრული ვადით, ერთი სიტყვით, სახელმწიფოსთან ხელ-ჩაკიდებულმა პროფესიონალურმა კავშირებმა მბრძანებლურად უნდა ჩააყენოს მშრომელნი ერთიანი სამეურნეო გეგმის ჩარჩოებში. ასეთ პირობებში შრომის „თავისუფლების" დაცვა ნიშნავს უკეთესი პირობების უნაყოფო და უმწეო ძიების და მშიერ ქვეყანაში ქარხნიდან—ქარხანაში უსისტემო გადასვლის დაცვას სატრანსპორტო და სასურსათო აპარატის საშინელი მოშლილობის დროს... ან-კი რა შედეგი უნდა მოყვეს შრომის ბურჟუაზიული თავისუფლების და წარმოების საშუალებათა პროლეტარული სოციალიზაციის შეუღლების უაზრო ცდას, თუ არა მუშათა კლასის სრული დაშლა და სრული სამეურნეო ანარქია?

მაშასადამე, ამხანაგებო, შრომის მილიტარიზაცია ჩემს მიერ აღნიშნული ძირითადი აზრით ცალკე პოლიტიკოსების ან ჩვენი სამხედრო უწყების გამოგონება როდია, იგი აუცილებელი მეთოდია მუშა ხელის ორგანიზაციისა და დისციპლინარულად გაწაფვისა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ხანაში. და თუ მუშა ხელის იძულებითს განაწილებას, მის ხან-მოკლე ან დიდისხნობით მიმაგრებას ცალკე დარგებზე და წარმოებებზე, მის რეგლამენტაციას საერთო სახელმწიფოებრივ სამეურნეო გეგმის თვალსაზრისით, თუ იძულების ყველა ამ ფორმას ყველგან და ყოველთვის, როგორც მენშევიკების რეზოლიუცია ამბობს, მოსდევს შრომის ნაყოფიერების დაქვეითება, მაშინ ჯვარი დაუსვით სოციალიზმს, რადგან შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების დაცემაზე სოციალიზმის აგება. ყოველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია თავის საფუძველში არის შრომის ორგანიზაცია. და თუ შრომის ახალ ორგანიზაციას მოსდევს მისი ნაყოფიერების დაქვეითება, მაშინ სოციალისტური საზოგადოება, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ, დალუპვის გზაზე ყოფილა. მას ვერ დავიხსნით ვერც ვერავითარი ხერხით და ვერც მის დასახსნელად გამოგონილ სხვადასხვა ზომებით.

ამიტომაც თავიდანვე ვსთქვი, რომ მენშევიკების საბუთებს მილიტარიზაციის წინააღმდეგ მივყევართ ძირითად საკითხამდე შრომის ბეგარის შესახებ და აგრეთვე შრომის ნაყოფიერებაზე ამ ბეგარის გავლენის შესახებ. მართალია თუ არა, რომ იძულებითი შრომა ყოველთვის არანაყოფიერია? უნდა ვუპასუხოთ, რომ ეს ყოველად უბადრუკი და გაცვეთილი ლიბერალური წინასწარ არის. მთელი საქმე იმაშია, ვინ ვისზე და ვისთვის ხმარობს იძულებას? როგორი სახელმწიფო, რომელი კლასი, როგორ პირობებში და რა მეთოდებით? ბატონყმური ორგანიზაციაც უწყებულ პირობებში წინ გადადგმული ნაბიჯი იყო და გამოიწვია შრომის ნაყოფიერების გადიდება. ნაყოფიერება მეტის-მეტად გაიზარდა კაპიტალიზმის დროს, ე. ი. ბაზარზე მუშა ხელის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის ხანაში. მაგრამ თავისუფალი შრომა კაპიტალიზმთან ერთად, შეიდა თუ არა იმპერიალიზმის სტადიაში, აფეთქდა იმპერიალისტურ ომში. მთელი დედამიწის მეურნეობამ ფეხი შესდგა სისხლიანი ანარქიისა, შესაზარავ შერყევათა, გალატაკების, გადაგვარების და ხალხთა მასების დაღუპვის ხანაში. განა შეიძლება ასეთს პირობებში ლაპარაკი თავისუფალი შრომის ნაყოფიერებაზე, როდესაც ამ შრომის შედეგი ათჯერ სწრაფად ინგრევა, ვიდრე იქმნება? იმპერიალისტურმა ომმა და მისმა შედეგებმა გამოააშკარავეს საზოგადოების მომავალი არსებობის შეუძლებლობა თავისუფალი შრომის საფუძველზე. ან, იქნებ ვინმემ იცოდეს საიდუმლოება იმისა, თუ როგორ შეიძლება თავისუფალი შრომის გამოყოფა იმპერიალიზმის ციებ-ცხელებისაგან, ე. ი. საზოგადოებრივი განვითარების ნახევარი საუკუნით ან მთელი საუკუნით უკან შებრუნება? რომ გამართლდებოდეს ის აზრი, რომელიც ამტკიცებს, რომ შრომის იმ გეგმიან, მაშასადამე, იძულებითს ორგანიზაციას, რომელმაც კაპიტალიზმის ადგილი უნდა დაიჭიროს, მოსდევს მეურნეობის დაქვეითება,—ეს მომასწავებელი იქნებოდა მთელი ჩვენი კულტურის დაღუპვისა, კაცობრიობის დახევისა უკან, ბარბაროსობისა და ველურობისაკენ.

არა მარტო საბჭოთა რუსეთის, არამედ მთელი კაცობრიობის საბედნიეროდ ის ფილოსოფია, რომელი ქადაგობს იძულებითი შრომის „ყოველთვის და ყოველ პირობებში" დაბალ ნაყოფიერებას, არის მხოლოდ ძველი ლიბერალური ჰანგების დაგვიანებული გადამღერება. შრომის ნაყოფიერება წარმადი სიდიდეა საზოგადოებრივი პირობების ურთულეს ერთობლობისა და იგი სრულებითაც არ განიზომება და წინასწარ არ განისაზღვრება შრომის იურიდიული ფორმით.

კაცობრიობის მთელი ისტორია არის ისტორია კოლექტიური ადამიანის ორგანიზაციისა და აღზრდისა შრომისათვის რაც შეიძლება მეტი ნაყოფიერების მისაღწევად. ადამიანი, როგორც უკვე ვსთქვი, ზარმაცია, ესე იგი ინსტინქტიურად ისწრაფვის ძალღონის რაც შეიძლება ნაკლებათ დახარჯვით მიიღოს რაც შეიძლება მეტი ნაყოფი. ამ მისწრაფების გარეშე არც ეკონომიური განვითარება იქნებოდა. ცივილიზაციის ზრდა იზომება ადამიანის შრომის ნაყოფიერებით და საზოგადოებრივი ურთიერთობის ყოველმა ახალმა ფორმამ ამ საქმეში უნდა დაიჭიროს გამოცდა.

„თავისუფალი" შრომა, ე. ი. ნებაყოფლობით დაქირავებული შრომა სრულებითაც არ გაჩნდა ქვეყანაზე ერთბაშად სრული ნაყოფიერებით აღჭურვილი. იგი უმაღლესად ნაყოფიერი გახდა მხოლოდ თანდათან, როგორც შედეგი შრომის ორგანიზაციის და შრომის აღზრდის მეთოდების ხანგრძლივი გამოყენებისა. ეს აღზრდა შეიცავდა, სრულიად სხვადასხვა გვარს საშუალებებსა და ხერხს, რომელნიც ამასთანავე იცვლებოდენ ერთი ეპოქიდან მეორეში გადასვლის დროს. ბურჟუაზია ჯერ ართმევდა გლეხს მიწას და ყეტით ერეკებოდა სოფლიდან შარა-გზაზე, ხოლო მერე, როდესაც გლეხს არა სურდა ფაბრიკაში მუშაობა, ბურჟუაზია მას შუბლს უწვავდა გახურებულ შანთით, სახრჩობელაზე აჰყავდა, კატორღაში გზავნიდა; ამნაირად, ბოლოს და ბოლოს, სოფლიდან გამოძევებული მაწანწალა შეეჩვია მანუფაქტურის დაზგას. ამ სტადიაში, როგორც ვხედავთ, „თავისუფალი" შრომა ჯერ კიდევ ნაკლებად განსხვავდება საკატორღო შრომისაგან, როგორც მატერიალური, ისე იურიდიული პირობებით.

ბურჟუაზია სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა პროპორციით აზავებდა გახურებული რკინით წარმოებულ რეპრესიებს იდეური ზეგმოქმედების მეთოდებთან და, პირველ ყოვლისა, ხუცესთა ქადაგებასთან. მან ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში შეიტანა რეფორმა კათოლიციზმის ძველს სარწმუნოებაში, რომელსაც ფეოდალური წყობილება იცავდა. რეფორმაციის სახით მან შეიფერა ახალი რელიგია, რომელიც თავისუფალ სულს აერთებდა თავისუფალ ვაჭრობასთან და თავისუფალ შრომასთან. მან მოიპოვა ახალი ხუცები, რომელნიც გადაიქცევენ ბურჟუაზიის სულიერ ნოქრებად, კეთილმსახურ მნუსხავებად. სკოლა, ბეჭდვითი საქმე, ქალაქის თვითმმართველობა და პარლამენტი ბურჟუაზიამ გამოიყენა მუშათა კლასის იდეურად დასამუშავებლად. ხელფასის სხვადასხვა ფორმა,—დღიური, ნაჭრობლივი, ნარდი, კოლექტიური ხელშეკრულება,—ყოველივე ეს ცვალებადი საშუალებაა ბურჟუაზიის ხელში პროლეტარიატის შრომის გასაწვრთნე-

ლად. ამას ერთვის ყოველგვარი ფორმები შრომის წახალისების და კარიერიზმის ჩანერგვისა. ბოლოს ბურჟუაზიამ შესძლო ტრედუნიონების, ე. ი. თვით მუშათა კლასის ორგანიზაციის ხელში ჩაგდება, რითაც ფართოდ ისარგებლა, განსაკუთრებით ინგლისში, იმისთვის რომ მშრომელთათვის დისციპლინა ჩაენერგა. ბურჟუაზია იშინაურებდა ბელადებს და მათი დახმარებით უნერგავდა მუშებს მშვიდობიანი ორგანიული შრომის აუცილებლობას, თავის მოვალეობათა მიმართ წუნდაუდებელი მოპყრობის და ბურჟუაზიული სახელმწიფოს კანონების მტკიცეთ შესრულების რწმენას. როგორც დაგვირგვინება მთელი ამ მუშაობისა, მოგვეევლინა ტეილორიზმი, რომელშიაც წარმოების პროცესის მეცნიერული ორგანიზაციის ელემენტები გადახლართულია ოფლის მომგვრელი სისტემის ყველაზე უფრო კონცენტრიულ ხერხთან.

ნათქვამიდან ცხადია, რომ ნებაყოფლობით დაქირაველული შრომის ნაყოფიერება არ არის რაიმე მზამზარეულად მოცემული, ისტორიის მიერ სინით მორთმეული. არა, იგი შედეგია ბურჟუაზიის რეპრესიული, აღმზრდელობითი, ორგანიზაციული და წამქეზებელი პოლიტიკისა, ხანგრძლივად და შეუპოვრად მომქმედი პოლიტიკისა მუშათა კლასის მიმართ. ბურჟუაზიამ თანდათან ისწავლა რაც შეიძლება მეტი შრომის პროდუქტის გამოწურვა მუშებისაგან, და ერთ-ერთი ძლიერი იარაღი მის ხელში იყო ნებაყოფლობითი დაქირაველების გამოცხადება შრომის ერთად-ერთ თავისუფალ, ნორმალურ, საღ, მწარმოებლურ და მაცხონებელ ფორმად.

ისტორიაში არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო შრომის ისეთი იურიდიული ფორმა, რომელსაც თავისთავად უბრუნველეყო ნაყოფიერება. შრომის იურიდიული გარსი შეხამებული იყო ეპოქის პირობებთან და შემეცნებებთან. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება იზრდება ტექნიკურ ძალთა განვითარების საფუძველზე, შრომის აღზრდით, მშრომელთა თანდათანობითი შეგუებით წარმოების ცვალებად საშუალებებთან და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ახალ ფორმებთან.

სოციალისტური საზოგადოების აშენება გულისხმობს მშრომელთა ორგანიზაციას ახალს საფუძვლებზე, მათს შეგუებას ამ საფუძვლებთან, მათს ხელახალი შრომითი აღზრდას შრომის ნაყოფიერების აწევის ერთად-ერთი მიზნით. მუშათა კლასმა, თავისი ავანგარდის ხელმძღვანელობით, თვითონ უნდა აღზარდოს ხელახლა თავისი თავი სოციალიზმის საფუძველზე. ვინც ეს ვერ გაიგო, მისთვის უცხოა სოციალისტური აღმშენებლობის ანა-ბანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორი მეთოდები გვაქვს ჩვენ მშრომელთა ხელახალი აზღრდისთვის? გაცილებით უფრო ფართო, ვიდრე ბურჟუაზიას აქვს და ამასთან უფრო პატიოსანი, პირდაპირი, დაუფარავი, პირმოთნეობით და სიცრუით არშეზავებული. ბურჟუაზია იძულებული იყო ქვეყანა მოეტყუებინა, როცა აცხადებდა, რომ შრომა თავისუფალიაო; ნამდვილად-კი ეს შრომა იყო არა მარტო საზოგადოებრივად ნაძალადევი, არამედ მონური შრომა, ვინაიდან იგი იყო შრომა უმრავლესობისა უმცირესობის სასარგებლოდ. ჩვენ კი ვაწყობთ შრომას თვით მშრომელთა სასარგებლოდ, ამიტომაც არ შეიძლება გვქონდეს რაიმე მოტივი, რომელიც გვაიძულებდეს დავფაროთ შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივ-იძულებითი ხასიათი. ჩვენ არ გვჭირდება ხუცების, ლიბერალების და კაუცკიანელების ზღაპრები. ჩვენ პირდაპირ და გულახდილად ვეუბნებით მასებს, რომ მათ შეუძლიათ იხსნან, აამაღლონ და ააყვაონ სოციალისტური ქვეყანა მხოლოდ მძაფრი შრომით, უდავო დისციპლინით და ყოველი მუშაკის მიერ დაკისრებული საქმის უყოყმანო შესრულებით.

ჩვენი მთავარი საშუალებაა იდეური ზეგავლენა, პროპაგანდა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. შრომის ბეგარას აქვს იძულებითი ხასიათი, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იგი ძალადობაა მუშათა კლასის მიმართ. შრომის ბეგარა რომ მშრომელთა უმრავლესობის წინააღმდეგობას იწვევდეს, მაშინ იგი და მასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლებაც ჩაიშლებოდა. შრომის მილიტარიზაცია მაშინ, როდესაც მშრომელნი წინააღმდეგნი არიან, არის „არაკეთილშობილი". შრომის მილიტარიზაცია თვით მშრომელთა ნებასურვილით სოციალისტური დიქტატურაა. იმას, რომ შრომის ბეგარა და შრომის მილიტარიზაცია მშრომელთა ნებისყოფას ძალას არ ატანს, როგორც ამას „თავისუფალი" შრომა სჩადიოდა, ყველაზე უკეთ მოწმობს კაპიტალიზმის ისტორიაში ჯერ არნახული აყვავება შრომის მოხალისეობისა შაბათობის სახით. ასეთს მოვლენას არსად და არასოდეს ადგილი არა ჰქონია. ნებაყოფლობითი, უანგარო შრომით კვირაში ერთხელ და უფრო ხშირადაც მუშები ნათლად გვიჩვენებენ არა მარტო იმას, რომ მზად არიან ზიდონ „იძულებითი" შრომის უღელი, არამედ იმასაც, რომ მოწადინებულნი არიან შესძინონ სახელმწიფოს ზედმეტი მუშაობა. შაბათობა არა მარტო ჩინებული მანიფესტაციაა კომუნისტური სოლიდარობისა, არამედ უტყუარი საწინდარი იმისა, რომ შრომის ბეგარა წარმატებით იქნება გატარებული. საჭიროა პროპაგანდის შემწეობით ამ ჭეშმარიტად კომუნისტური ტენდენციის გაშუქება, გაფართოვება და გაღრმავება.

ბურჟუაზიის მთავარი იდეური იარაღი რელიგიაა. ჩვენ-კი ვცდილობთ საქმის ნამდვილი მდგომარეობის აშკარად გარკვევას და განმარტებას, ბუნების მეცნიერებისა და ტექნიკურ ცოდნათა გავრცელებას, გაზიარებას და გაცნობას მასებისთვის საერთო-სახელმწიფოებრივი სამეურნეო გეგმისა, რომლის ნიადაგზედაც უნდა ხდებოდეს საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში მყოფი მუშა ხელის გამოყენება.

გასულ ხანაში მთავარ შინაარსს ჩვენს აგიტაციას პოლიტიკური ეკონომია აძლევდა: კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილება გამოცანა იყო და ამ გამოცანას მასებს ვუხსნიდით. ახლა საზოგადოებრივ გამოცანებს მასებს უხსნის თვით მექანიკა საბჭოთა წყობილებისა, რომელსაც მშრომელნი მართვა-გამგებლობის ყველა დარგში შეჰყავს. რა უფრო მეტი დრო გავა, პოლიტიკურ ეკონომიას მით უფრო მეტი ისტორიული მნიშვნელობა მიეცემა. პირველ ადგილს იქერენ ის მეცნიერებანი, რომელნიც იკვლევენ ბუნებას და მის დამორჩილების გზებს.

პროფესიონალურმა კავშირებმა ფართო მასშტაბით უნდა მოაწყონ მეცნიერულ-ტექნიკური საგანმანათლებლო მუშაობა, ისე რომ ყოველი მუშა საკუთარს შრომაში ჰპოვებდეს იმპულსებს აზროვნების თეორეტიული მუშაობისთვის, ხოლო ამ აზროვნებამ კვლავ უნდა დაუბრუნოს იგი შრომას, გააუმჯობესოს შრომა და გახადოს იგი უფრო მეტად ნაყოფიერი. ბეჭედითი საქმე უნდა გაუსწორდეს ქვეყნის სამეურნეო ამოცანებს, — არა მარტო იმ აზრით, რა აზრითაც ეს ხდება ახლა, ე. ი. არა მარტო შრომის აღორძინების სასარგებლოდ, საერთო ხასიათის აგიტაციის აზრით, არამედ კონკრეტულ სამეურნეო ამოცანათა და გეგმათა, მათი გადაწყვეტის საშუალებათა და გზების განხილვისა და აწონ-დაწონვის აზრით და, უმთავრესად, მიღწეულ შედეგების შემოწმების და შეფასების აზრით. გაზეთებმა აუცილებლად ყოველდღიურად თვალყური უნდა ადევნის მთავარი მნიშვნელობის ქარხნების და სხვა წარმოებათა საქმიანობას, უნდა აღნუსხოს წარმატება და მარცხი, წაახალისოს ერთნი, აშბილოს მეორენი...

რუსეთის კაპიტალიზმი გვიან გამოვიდა სამოქმედოთ და სხვისაგან იყო დამოკიდებული. ამ მიზეზით და აქედან გამომდინარე პარაზიტული თვისებების გამო, მან ევროპის კაპიტალიზმზე გაცილებით უფრო ნაკლებ მოახერხა მუშათა მასების სწავლება, ტექნიკურად აღზრდა და მათში მწარმოებლური დისციპლინის განმტკიცება. ამ ამოცანის განხორციელება ამჟამად მთლად პროლეტარიატის პროფესიონალურ ორგანიზაციებს დაეკისრათ. კარგი ინჟინერი, კარგი

მემანქანე, კარგი ზეინკალი ისევე უნდა იყვნენ ცნობილნი და სახელგანთქმულნი საბჭოთა რესპუბლიკაში, როგორც წინად იყვნენ აგიტატორები, რევოლიუციონური მებრძოლნი და როგორც ახლა არიან განთქმულნი ყველაზე მამაცი და ნიჭიერი ჯარის უფროსები და კომისრები. ტეხნიკის დიდმა და პატარა ბელადებმა საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავონ. ცუდი მუშები უნდა შეეარცხვინოთ იმისთვის, რომ მათ ცუდად იციან თავიანთი საქმე.

ჩვენში დარჩა და კვლავ დიდხანს დარჩება სამუშაო ხელფასი. რაც დრო გავა, მისი მნიშვნელობა მით უფრო შეიცვლება, მას სულ სხვა აზრი მიეცემა: საზოგადოების ყველა წევრი უზრუნველყოფილი უნდა იქნას ყველა იმით, რაც მისთვის საჭიროა. ამის გამო, იგი სამუშაო ხელფასი ალარ იქნება. მაგრამ ამის მოსაგვარებლად ამჟამად ჩვენ საკმაო სიმდიდრე არ შეგვწევს. ჩვენ ძირითად ამოცანას შეადგენს დასამზადებელ პროდუქტების რაოდენობის გამრავლება. ამას ექვემდებარება ყველა დანარჩენი ამოცანა: დღევანდელ მძიმე ხანაში სამუშაო ხელფასი მუშის პირადი არსებობის უზრუნველყოფის საშუალება კი არ არის, იგი საშუალებაა იმის შესაფასებლად, თუ რა მოაქვს ამა თუ იმ მუშას საბჭოთა რესპუბლიკისთვის.

ამიტომ სამუშაო ხელფასი, როგორც ფულით, ისე ნატურით გადახდილი, რაც შეიძლება მეტის სისწორით უნდა შეეფარდოს პირადი შრომის ნაყოფიერებას. კაპიტალიზმის დროს ცალობრივი და ნარდი მუშაობის სისტემას, ტეილორის მეთოდებს და სხვა ამისთანას აზრად ჰქონდა მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერება ზედმეტი მოგების გამოწურვით. გასაზოგადოებრივებულ წარმოების დროს ცალობრივ გასამრჯელოს, პრემიებს და სხვას აზრად აქვს საზოგადოებრივი პროდუქტის რაოდენობის გადიდება, და, მაშასადამე, საერთო სარჩო-საბადებლის გადიდებაც. იმ მუშებს, რომელნიც სხვებზე მეტად უწყობენ ხელს საერთო ინტერესს, უფლება ეძლევათ მიიღონ უფრო მეტი ნაწილი საზოგადოებრივი პროდუქტისა, ვიდრე ზარმაცებს, დაუდევრებსა და დეზორგანიზატორებს.

ბოლოს, მუშათა სახელმწიფოს, რომელიც ერთს აჯილდოვებს, არ შეუძლია არ დასაჯოს მეორე, ე. ი. ის, რომელიც აშკარად არღვევს შრომის სოლიდარობას, ძირს უთხრის საერთო მუშაობას, დიდ ზარალს აყენებს ქვეყნის სოციალისტურ აღორძინებას. რეპრესია სამეურნეო მიზნების მისაღწევად სოციალისტური დიქტატურის აუცილებელი იარაღია.

ჩამოთვლილმა ზომებმა—და მათთან ერთად კიდევ სხვა ზომებმაც—უნდა უზრუნველყონ შეჯიბრების განვითარება წარმოების სა-

ქმეში. უამისოდ ჩვენ ვერასდროს ვერ ავცილდებით საშუალო დონეს, რომელიც სრულებითაც არ არის საკმარისი. შეჯიბრებას საფუძველად უდევს ცხოვრების ინსტინქტი—ბრძოლა არსებობისთვის,—რომელიც ბურჟუაზიულ წესწყობილების დროს კონკურენციის, ქიშპობის ხასიათს იღებს. შეჯიბრება განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაშიაც არ გაჰქრება, მაგრამ როდესაც ცხოვრება უზრუნველყოფილი იქნება კეთილდღეობისთვის საჭირო პირობებით, შეჯიბრება მიიღებს სულ უფრო უანგარო და წმინდა იდეურ ხასიათს. იგი გამოიხატება იმაში, რომ რაც შეიძლება მეტი სამსახური გაუწიოს თავის სოფელს, მაზრას, ქალაქს ან მთელს საზოგადოებას და სამაგიეროდ სახელი გაითქვას, მადლობა მიიღოს, სიმპატია დაიმსახუროს ან და შინაგანი კმაყოფილება განიცადოს მუშაობის კარგად შესრულების გამო. მაგრამ მძიმე გარდამავალ ხანაში, როდესაც მატერიალურ სიკეთეთა მხრივ დიდ სიღარიბეს განვიცდით, როდესაც საზოგადოებრივი სოლიდარობის გრძნობა სულ არ არის განვითარებული, აუცილებელია, რომ შეჯიბრება იყოს ამა თუ იმ ზომამდე დაკავშირებული პირადი მოხმარების საგნებით თავისი თავის უზრუნველყოფის მისწრაფებასთან.

აი, ამხანაგებო, ყველა ის საშუალება, რომელიც მუშათა სახელმწიფოს მოეპოვება შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად. როგორც ხედავთ, ჩვენ არა გვაქვს მზა-მზარეული გადაწყვეტილება. არც ერთ წიგნში იგი არა სწერია; ასეთი წიგნი არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენ თქვენთან ერთად მხოლოდ ახლა ვიწყებთ ამ წიგნის წერას მშრომელთა ოფლით და სისხლით. ჩვენ ვამბობთ: მუშებო, მუშა-ქალებო, თქვენ გადახვედით ნორმებით განსაზღვრულ შრომის გზაზე. მხოლოდ ამ გზით ააშენებთ თქვენს სოციალისტურ საზოგადოებას. თქვენს წინაშე ამოცანაა, რომელსაც თქვენ მაგივრად არავინ გადასწყვეტს: ეს არის შრომის ნაყოფიერების ამაღლება ახალ საზოგადოებრივ საფუძველზე. თუ ამ ამოცანას არ გადასწყვეტთ, დაილუპებით, თუ გადასწყვეტთ,—კაცობრიობას ჯეროვან სიმაღლეზე ასწევთ.

მშრომელი არმიები.

საკითხი არმიის გამოყენებისა შრომის მიზნებისათვის, რამაც უდიდესი პრინციპიალური მნიშვნელობა მიიღო ჩვენთვის, არის ისეთი საკითხი, რომელთანაც ჩვენ მივედით ემპირიულის გზით და არა თეორეტიული მოსაზრებით. საბჭოთა რუსეთის ზოგიერთ განაპირა

კუთხეში ისეთი გარემოება შეიქმნა, რომ საკმაოდ მოზრდილი სამხედრო ძალა განსაზღვრულ ვადამდე თავისუფალი და სამხედრო მიზნებისთვის გამოუყენებელი რჩებოდა. ძნელი იყო ასეთი სამხედრო ნაწილის გადაყვანა სხვა, აქტიურ ფრონტებზე, განსაკუთრებით ზამთარში ტრანსპორტის მოშლის გამო. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა მესამე არმია, რომელიც ურალისა და ურალის მხრის გუბერნიებში იყო დაბინავებული. ამ არმიის ხელმძღვანელმა მომუშავეებმა, რომელთაც ესმოდათ, რომ არმიის დემობილიზაცია ჩვენ ჯერ არ შეგვეძლო, თვით აღძრეს საკითხი მისი შრომის მდგომარეობაზე გადაყვანის შესახებ. მათ გამოუგზავნეს ცენტრს ცოტათ თუ ბევრად დამუშავებული პროექტი მშრომელი არმიის დებულებისა.

ამოცანა ახალი იყო და ამასთან არც ადვილი. იმუშავებენ თუ არა წითელ-არმიელები? მათი შრომა საკმაოდ ნაყოფიერი იქნება თუ არა? დაფარავს თუ არა იგი ხარჯს? ამის შესახებ თვით ჩვენს წრეშიაც იყო ეჭვები. რაღა თქმა უნდა, მენშევიკებმა ხელად მომართეს ოპოზიციური ბუკი და ნაღარა. იგივე აბრამოვიჩი სახალხო მეურნეობის საბჭოთა ყრილობაზე, ვგონებ იანვარში თუ თებერვლის დასაწყისს, ესე იგი მაშინ, როდესაც მთელი საქმე ჯერ კიდევ პროექტს წარმოადგენდა, გვიწინასწარმეტყველებდა, რომ მარცხი აუცილებელია, რადგან მთელი ეს საქმე უაზრობას, არაკეთილის უტოპიას და სხვა ამისთანას წარმოადგენსო. ჩვენ სხვა თვალით ვუყურებდით ამ საქმეს. რა თქმა უნდა, სიძნელე დიდი იყო, მაგრამ ეს სიძნელე პრინციპიალურად არ განსხვავდებოდა საზოგადო საბჭოთა აღმშენებლობის ყველა სიძნელისაგან.

მართლაც და, დავუკვირდეთ რას წარმოადგენდა მესამე არმიის ორგანიზმი? ამ არმიაში ძალიან ცოტა დარჩა სამხედრო ნაწილები: ერთი მსროლელი და ერთიც ცხენოსანთა დივიზია—სულ 15 პოლკი—და კიდევ სპეციალური ნაწილები. დანარჩენი სამხედრო ნაწილები უკვე გადაყვანილი იქნენ სხვა არმიებში და სხვა ფრონტებზე. ხოლო არმიის მმართველობის აპარატი ჯერ კიდევ ხელუხლებელი იყო და ჩვენ გვეგონა, რომ გაზაფხულზე მოგვიხდებოდა ეოლგით მისი გადაყვანა კავკასიის ფრონტზე დენიკინის წინააღმდეგ, თუ კი იმ დროისთვის დენიკინი საბოლოოთ დამარცხებული არ იქნებოდა. საერთოდ, მესამე არმიაში, მის სამმართველოებსა, დაწესებულებებსა, სამხედრო ნაწილებსა, საავადმყოფოებში დარჩენილი იყო 120.000 წითელ-არმიელამდე. ამ საერთო მასაში, რომელიც უმთავრესად გლეხებისაგან შესდგებოდა, ითვლებოდა 16.000-მდე კომუნისტი და თანამგრძნობთა ორგანიზაციის წევრი. მეტწილად ესენი

ურალელი მუშები იყენენ. ამრიგად, მესამე არმია თავისი შედგენილობით და აგებულობით წარმოადგენდა სამხედრო ორგანიზაციაში ჩაბმულ გლეხთა მასას, რომელსაც მოწინავე მუშები ხელმძღვანელობდენ. არმიაში მუშაობდა მრავალი სპეციალისტი, რომელნიც ასრულებდენ დიდმნიშვნელოვან სამხედრო ფუნქციებს და იმყოფებოდენ კომუნისტების საერთო კონტროლის ქვეშ. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ მესამე არმიას, იგი გამოხატავდა მთელი საბჭოთა რუსეთის სურათს, თუ ავიღებთ მთელ წითელ არმიას, ან საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციას მაზრაში, გუბერნიაში ან მთელს რესპუბლიკაში თავიანთი სამეურნეო ორგანოებით, ყველგან ორგანიზაციის ერთსა და იმავე სქემას დავინახავთ. მილიონობით გლეხკაცობა ჩაბმული ჰყავთ პოლიტიკური, სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ფორმებში მუშებს, რომელთაც უჭირავთ ხელმძღვანელი მდგომარეობა საბჭოთა აღმშენებლობის ყველა დარგში. ისევ თანამდებობაზე, სადაც საჭიროა სპეციალური ცოდნა, მოწვეულნი არიან ბურჟუაზიის სკოლის სპეციალისტები. მათ ეძლევათ საჭირო დამოუკიდებლობა, მაგრამ მათი მუშაობის კონტროლი დატოვებულია მუშათა კლასის ხელში, მისი კომუნისტური პარტიის სახით. შრომის ბეგარის განსახორციელებლად არსებობს მხოლოდ ერთი გზა— მობილიზაცია, უმთავრესად გლეხების მუშა ხელისა მოწინავე მუშების ხელმძღვანელობით. ამრიგად, არმიის შრომისათვის გამოყენების საქმეში არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე პრინციპიალური დაბრკოლება. სხვანაირად რომ ვსთქვათ, მენშევიკების მიერ წამოყენებული პრინციპიალური მოსაზრებანი შრომის არმიების წინააღმდეგ არსებითად იყო მოსაზრებანი „იძულებითი" შრომის წინააღმდეგ საზოგადოთ, მაშასადამე, შრომის ბეგარისა და მთელი სამეურნეო აღმშენებლობის მეთოდების წინააღმდეგაც. ამ საწინააღმდეგო მოსაზრებებს ჩვენ ადვილად გადავაბიჯეთ.

რასაკვირველია, სამხედრო აპარატი, როგორც ასეთი, შეგუებული არ არის შრომის პროცესის ხელმძღვანელობისთვის. ასეთი განხრახვა არცა გვქონია ოდესმიდეს. ხელმძღვანელობა უნდა დარჩენილიყო სათანადო სამეურნეო ორგანოების ხელში; არმია იძლეოდა საჭირო მუშა ხელს ორგანიზაციულად შეკავშირებულ მჭიდრო ერთეულების სახით. ეს ერთეულები გამოსადეგნი იყენენ სრულიად მარტივი, ერთგვარი სამუშაოთა შესასრულებლად, როგორც მაგალითად, თოვლისაგან გზების გასაწმენდად, შეშის დასამზადებლად საღმშენებლო სამუშაოსთვის, ტვირთზიდვის ორგანიზაციისათვის და სხვა საქმეთვის.

ახლა უკვე შესამჩნევი გამოცდილება გვაქვს არმიის შრომისათვის გამოყენების საქმეში და შეგვიძლია ნამდვილ ფაქტებს დავემყაროთ. რა შედეგი მოგვცა ამ გამოცდილებამ? მენშევიკები აჩქარდენ დასკვნის გამოსატანად. იმავე აბრამოვიჩმა სამთომადნო მუშების ყრილობაზე განაცხადა, რომ ჩვენ გავკოტრდით, რომ მშრომელი არმიები წარმოადგენენ პარაზიტულ ორგანიზაციებს, სადაც ათი მუშაობს და ასი მათ ემსახურებაო. მართალია ეს? არა. ეს არის ფუჭსავატი და ბრაზიანი კრიტიკა იმ ხალხისა, რომელიც განზე სდგას, ფაქტებს არ ეცნობა, კრებს მხოლოდ ნაფლეთებსა და ნაგავს და ყველგან ან ჩვენს გაკოტრებას აცხადებს ან და მას გვიწინასწარმეტყველებს. ნამდვილად კი მშრომელი არმიები არა თუ არ გაკოტრდენ, არამედ მათ დიდი წარმატებაც მოიპოვეს, დაამტკიცეს თავიანთი ცხოველმყოფელობა, უფრო და უფრო წინ მიდიან და მკვიდრ ნიადაგზე სდგებიან. გაკოტრდენ სწორედ ის ვაჟბატონები, რომელნიც გვიწინასწარმეტყველებდენ, რომ მთელი ამ საქმიდან არაფერი გამოვა, მუშაობით არავინ იმუშავებს, წითელ-არმიელებს შრომის ფრონტზე ვერ გადაიყვანთ და მხოლოდ სახლებში გაიქცევიანო.

ეს სიტყვები შედეგი იყო მეშჩანური სკეპტიციზმისა, მასისადმი უნდობლობისა, გაბედული საორგანიზაციო ინიციატივისადმი უნდობლობისა. მაგრამ განა ჩვენ ასეთივე აზრები არ მოვისმინეთ, მაშინ როდესაც შევუდექით მობილიზაციას სამხედრო მიზნებისათვის? მაშინაც ხომ გვაშინებდენ საერთო დეზერტირობით, რომელიც აუცილებელი უნდა ყოფილიყო იმპერიალისტური ომის შემდეგ. დეზერტირობას, რა თქმა უნდა, ჰქონდა ადგილი, მაგრამ როდესაც გამოცდილებით შევამოწმეთ, იგი არც ისე მასიური აღმოჩნდა, როგორც გვაშინებდენ: ამ დეზერტირობამ არმია ვერ დაანგრია: სულიერმა და ორგანიზაციულმა კავშირმა, კომუნისტურმა მოხალისეობამ და სახელმწიფოებრივმა იძულებამ—სამივემ ერთად—უზრუნველჰყვეს მილიონიანი მობილიზაციები, ჯარის ახალი ნაწილების მრავალჯერ შედგენა და ურთულესი სომარი ამოცანების შესრულება. ბოლოს და ბოლოს არმიამ გაიმარჯვა. სამხედრო გამოცდილებათა თანახმად, შრომის ამოცანების საქმეშიც იმავე შედეგებს ველოდით და არც მოვსტყუვდით. წითელ-არმიელები არ გაიქცენ სამხედრო მდგომარეობიდან შრომის მდგომარეობაზე გადასვლისას, როგორც ამას სკეპტიკოსები გვიწინასწარმეტყველებდენ. კარგად დაყენებული აგიტაციის წყალობით თვით გადასვლას ამ ახალ საქმეზე თან სდევდა დიდი ზნეობრივი აღფრთოვანება. მართალია, განსაზღვრული ნაწილი ჯარისკაცებისა შეეცადა დაეტოვებინა არმია, მაგრამ ეს ხდება ყოველთვის,

როდესაც ჯარის მსხვილი ნაწილები ერთი ფრონტიდან მეორეზე გადაჰყავთ, როდესაც ზურგიდან იგზავნება ფრონტზე ან საერთოდ ადგილიდან იძვრის და როდესაც პოტენციური დეზერტირობა აქტიურ სახეს ღებულობს. მაგრამ მაშინვე საქმეში ჩაერევენ, თავიანთი უფლებების განხორციელებას შეუდგენ პოლიტგანყოფილებები, პრესა, დეზერტირობასთან ბრძოლის ორგანოები და სხვანი და ამჟამად დეზერტირობის პროცენტი მშრომელ არმიებში არაფრით არ აღემატება დეზერტირობის პროცენტს მეომარ არმიებში.

ნაწილობრივ მართალია ის აზრი, რომ არმიას საზოგადოდ, თავისი შინაგანი აგებულობის გამო, შეუძლია გამოჰყოს მხოლოდ მცირედი პროცენტი მომუშავეებისა. რაც შეეხება მესამე არმიას, უკვე აღნიშნე, რომ მას შერჩა მმართველობის სრული აპარატი მაშინ, როდესაც მისი სამხედრო ნაწილები ფრიად უმნიშვნელო რიცხვს წარმოადგენდა. ვიდრე შტაბი და სამმართველოები სამხედრო და არა სამეურნეო მოსახრებით ხელუხლებელნი იყვნენ, მომუშავეთა რიცხვი რომელსაც მესამე არმია იძლეოდა, მართლაცა და ძალიან მცირე იყო. 110.000 წითელ-არმიელის საერთო რიცხვიდან, ადმინისტრატიულ-სამნეო პოსტზე აღმოჩნდა 21%, დღე-ღამის განწესების საქმეში, (ყარაული და სხვა) სამხედრო დაწესებულებათა და საწყობების სიმრავლის გამო, აღმოჩნდა 16%-დე, ავადმყოფი, მეტ წილად ტიფით, და საექიმო-სასანიტარო პერსონალი—13%-მდე, წასულთა რაოდენობა (მიელინება, შეებულება, უკანონოდ წასვლა)—25%-მდე, ამრიგად, სამუშაოსთვის თავისუფალთა რაოდენობა შეადგენდა სულ 23%-ს. ეს იყო ის მაქსიმუმი, რის მიღებაც შეგვეძლო იმ ხანებში მესამე არმიისაგან. ნამდვილად კი პირველ ხანებში მუშაობდა დაახლოვებით 14%, უმთავრესად მსროლელთა და ცხენოსანთა დივიზიებიდან.

მაგრამ გამოირკვა თუ არა, რომ დენიკინი დამარცხდა, რომ საჭირო აღარ იყო კავკასიის ფრონტის დასახმარებლად მესამე არმიის გაგზავნა, მაშინვე შეუდექით არმიის მოუხეშავი და მძიმე აპარატების დაშლას და საარმიო დაწესებულებათა შრომის ამოცანებთან უფრო მკვიდრად შეხამებას. თუმცა ეს მუშაობა ჯერ დამთავრებული არ არის, მაგრამ მან უკვე მოგვცა ფრიად შესაშნელი შედეგები. ამჟამად*) ყოფილი მესამე არმია თავის საერთო რიცხვიდან სამუშაოდ იძლევა დაახლოვებით 38%-ს. რაც შეეხება მის გვერდით მომუშავე ურალის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილებს, ისინი უკვე მომუშავეთა

[1]) 1920 წლის მარტი.

49%-ს იძლევა. ეს არც იმდენად ცუდი შედეგია, თუ შევუდარებთ მუშების სიაოულს ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც, ბევრგან ამას წინად და ზოგან ახლაც, კანონიერი და უკანონო მიზეზების გამო, სამუშაოზე გამოუცხადებელთა რიცხვი აღწევდა 50 და მეტ პროცენტს [1]). ამას უნდა დავუმატოთ რომ ფაბრიკა-ქარხნების მუშებს ხშირად სამსახურს უწევენ ოჯახის მოზრდილი წევრები, მაშინ, როდესაც წითელ-არმიელები თავიანთ თავს თითონვე ემსახურებიან.

თუ ავიღებთ ურალში სამხედრო აპარატის მეშვეობით მობილიზაციით გაწვეულ ცხრამეტწლიანებს (ესენი უმთავრესად შეშის დასამზადებლად იყვნენ გაწვეულნი), დავინახავთ, რომ მათი საერთო რიცხვიდან, რომელიც ოცდაათიათას კაცს აღემატებოდა, სამუშაოზე გამოდის 75%-ზე მეტი. ეს უკვე უდიდესი ნაბიჯია, წინ გადადგმული. იგი მოწმობს იმას, რომ თუ ჩვენ სამხედრო აპარატს გამოვიყენებთ წმინდა—შრომითი ნაწილების მობილიზაციისა და შედგენისთვის, შეგვეძლება შრომის ნაწილების აგებულობაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც უზრუნველჰყოფს წარმოების მატერიალურ პროცესში უშუალოდ მონაწილეთა პროცენტის დიდს ზრდას.

დასასრულ, გამოცდილება უკვე ნებას გვაძლევს, გამოვთქვათ ჩვენი აზრი თვით სამხედრო შრომის ნაყოფიერების შესახებ. პირველ ხანებში, მიუხედავათ დიდი მორალური აღფრთოვანებისა, შრომის ნაყოფიერება მუშაობის მთავარ დარგებში მართლაც ფრიად დაბალი იყო და შრომის აღნუსხვის პირველი ცნობები საიმედოს არაფერს იძლეოდა. ასე მაგალითად, ერთი კუბიკური საჟენი შეშის დასამზადებლად პირველ ხანებში საჭირო იყო 13—15 სამუშაო დღე: ნორმად-კი, თუმცა ეს ნორმა დღესაც ძნელი მისაღწევია, 3 დღე ითვლება. უნდა დავუმატოთ, რომ ამ საქმის ოსტატი ხელსაყრელ პირობებში ახერხებს დღეში ერთი კუბიკური საჟენის დამზადებას. რის მოწმენი ვიყავით სინამდვილეში? სამხედრო ნაწილები დაბინავებულნი იყვნენ საჩეხი ტყიდან კარგა მოშორებით. ხშირად მათ ექვსი-რვა ვერსის გავლა უხდებოდათ მისასვლელად და დასაბრუნებლად. ამნაირად იკარგებოდა სამუშაო დღის შესამჩნევი ნაწილი. ადგილობრივ საკმაო ცული და ხერხი არ მოიპოვებოდა. მრავალი წითელ-არმიელი მინდვრის შვილი იყო და არ იცოდა, რა იყო ტყე, არასოდეს არ მოეჭრა ხე, არ წამოეჭრა და არ მოეხერხა. სამხედრო ნაწილების გამოყენება, მათი გაგზავნა იქ, სადაც საჭირო იყო, მათი უზრუნველყოფა ისე, როგორც საჭიროება მოითხოვდა, არც ისე უცბად

[1]) ეს პროცენტი ამჟამად შესამჩნევად შემცირდა (ივნისი, 1920 წ.).

ისწავლეს ჩვენმა საგუბერნიო და სამაზრო საბუეო კომიტეტებმა. გასაკვირველი არ არის, თუ ყველა ამას შედეგად მიჰყვა შრომის დაბალი ნაყოფიერება. მაგრამ იმის შემდეგ, რაც თავიდან აცილებულ იქნა ორგანიზაციის მთავარი უარყოფითი მხარეები, მივიღეთ გაცილებით უფრო დამაკმაყოფილებელი შედეგები. უკანასკნელი ცნობებით, შრომის პირველ არმიაში კუბიკურ საჟენ შეშაზე მოდის $4^1/_2$ სამუშაო დღე, რაც არც ისე დაშორებულია ახლანდელ ნორმისაგან. ყველაზე უფრო დამამშვიდებელია ის ფაქტი, რომ შრომის ნაყოფიერება საქმის გაუმჯობესებასთან ერთად სისტემატიურად იზრდება.

თუ რის მიღწევა შეგვიძლია ამ მიმართულებით, ამას მოწმობს ხანმოკლე, მაგრამ მეტად მდიდარი გამოცდილება მოსკოვის საინჟინრო პოლკისა. მთავარმა სამხედრო-საინჟინრო დისტანციამ, რომელიც ამ ცდას ხელმძღვანელობდა, საქმე დაიწყო იმით, რომ დააწესა ნორმა — სამი სამუშაო დღე ერთ კუბ. შეშაზე. ამ ნორმას მალე გადააჭარბეს: იანვარში კუბ. შეშაზე მოდიოდა $2^1/_3$ სამუშაო დღე, თებერვალში 2,1 მარტში—1,5 სამუშაო დღე, რაც მეტად მაღალ ნაყოფიერებას მოასწავებს. ეს შედეგი მიღწეულ იქნა ზნეობრივი ზეგავლენით, თვითეულის მუშაობის სწორე აღრიცხვით, შრომის თავმოყვარეობის გაღვიძებით, პრემიების დარიგებით იმ მომუშავეებისთვის, რომელნიც საშუალო ნორმაზე მეტს ამზადებდენ ანუ, პროფესიონალური კავშირების ენით რომ ვსთქვათ, მოქნილი ტარიფით, რომელიც შრომის ნაყოფიერების ყოველგვარ ინდივიდუალურ ცვლილებას ეგუება. ეს თითქმის ლაბორატორიული ექსპერიმენტი გარკვეულად გვისახავს იმ გზებს, რომლითაც ამიერიდან ჩვენ უნდა ვიაროთ.

ამჟამად ჩვენში მოქმედებენ შემდეგი მშრომელი არმიები: პირველი, პეტერბურგისა, უკრაინისა, კავკასიისა, სამხრეთ-ვოლგის მხრისა და სათადარიგო. უკანასკნელმა, როგორც ვიცით, ხელი შეუწყო ყაზან-ეკატერინბურგის გზის ხიდვის საშუალებათა შესამჩნევ ზრდას, და ყველგან, სადაც-კი ცოტად თუ ბევრად გონივრულად გამოიყენეს სამხედრო ნაწილები შრომის მიზნებისთვის, შედეგებმა დაგვანახვეს, რომ ეს მეთოდი უეჭველად ცხოველმყოფელი და სწორეა.

ერთხელვე აკვიატებული აზრი სამხედრო ორგანიზაციის აუცილებელ პარაზიტულობის შესახებ ყველგან და ყოველგვარ პირობებში დარღვეული აღმოჩნდა. საბჭოთა არმია თავის არსებაში ატარებს საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ტენდენციებს. უნდა ვიაზროვნოთ არა გასული ეპოქის გაყინული ცნებებით: „მილიტარიზმი",—„სამხედრო ორგანიზაცია", „იძულებითი შრომის უნაყოფობა", არამედ წინასწარ აღებული აზრის გარეშე; ფხიზლად უნდა მივუდგეთ

ახალი ეპოქის მოვლენებს და გვახსოვდეს, რომ შაბათი ადამიანისთვის არსებობს და არა ადამიანი შაბათისთვის, რომ ორგანიზაციის ყოველგვარი ფორმა და მათ შორის სამხედროც მხოლოდ იარაღია ხელისუფლების მქონე მუშათა კლასისა, რომელსაც უფლებაცა და შესაძლებლობაც აქვს ამ იარაღის გაუმჯობესების, შეცვლისა და გადაკეთებისა იმ დრომდე, ვიდრე საბოლოო შედეგს არ მიაღწევს.

მთლიანი სამეურნეო გეგმა.

შრომის ბეგარის ფართოდ გატარებას, ისევე, როგორც შრომის მილიტარიზაციის ზომებს შეუძლიათ ითამაშონ გადამწყვეტი როლი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ემყარებიან მთლიან სამეურნეო გეგმას, რომელიც ვრცელდება მთელ ჩვენ ქვეყანაზე და წარმოებითი მოღვაწეობის ყველა დარგზე. იგი ნავარაუდევი უნდა იყოს მრავალი წლებისთვის, მთელი მახლობელი ეპოქისთვის. ეს გეგმა ბუნებრივად განიყოფება ცალკე პერიოდებად ან საფეხურებად ჩვენი ქვეყნის სამეურნეო აღორძინების აუცილებელ ეტაპებთან შეფარდებით. ჩვენ საქმის დაწყება მოგვიხდება უმარტივესი და ამავე დროს ურთულესი ამოცანებიდან.

პირველ ყოვლისა უნდა უზრუნველვყოთ თვით შესაძლებლობა,— თუნდაც უმძიმეს პირობებში,—მუშათა კლასის არსებობისა და მით შევინახოთ სამრეწველო ცენტრები, დალუპვისაგან გადავარჩინოთ ქალაქები. გამოსავალი წერტილი ეს არის. თუ არა გვსურს გავთქვიფოთ ქალაქი სოფელში, მრეწველობა მიწათმოქმედებაში, თუ არა გვსურს მთელი ჩვენი ქვეყნის გლეხურ ქვეყნად გადაქცევა, უნდა ვუშველოთ რამე ჩვენს ტრანსპორტს, თუნდაც მინიმალურ დონეზე დაყენებით და უზრუნველვყოთ პირით ქალაქები, სათბობით და ნედლი მასალით მრეწველობა, ფურაჟით საქონელი. უამისოდ ჩვენ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ წინ. მაშასადამე, გეგმის უმახლობელესი ნაწილი არის ტრანსპორტის მდგომარეობის გაუმჯობესება, მისი გადარჩენა თუნდაც შემდგომი დაშლისაგან, დამზადება უსაჭიროესი მარაგის: სურსათის, ნედლი და სათბობი მასალისა. მთელ უახლოეს ხანაში მუშა ძალის გულმოდგინება და ინტენსიურობა ამ ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას მოუნდება, რითაც საძირკველი ჩაეყრება შემდეგ საქმეებს. ასეთი ამოცანა დავუყენეთ კერძოთ მშრომელ არმიებს. თვეებით თუ წლებით გაიზომება პირველი პერიოდი და აგრეთვე მისი მომყოლი პერიოდები, ამის შესახებ ეხლა არა ღირს წინასწარმეტყველება; ეს დამოკიდებულია მრავალს მიზეზზე, დაწყებული საერთაშო-

რისო მდგომარეობიდან და გათავებული მუშათა კლასის ერთსულოვნებითა და თავდაჭერით.

მეორე პერიოდი,—ეს არის მანქანების შეძენა ტრანსპორტის გასაუმჯობესებლად, შოვნა ნედლი მასალისა და სურსათ-საბოვაგისა. აქ ყველაფრის შუაგულში სდგას ორთქლმავალი.

ამრამად ორთქლმავალების რემონტს მეტის-მეტად შინაური საშუალებებით ვაწარმოებთ, რაც უზომო ძალასა და საშუალებებს მოითხოვს. მოძრავი შემადგენლობის რემონტი აუცილებლად გადატანილ უნდა იქნას სათადარიგო ნაწილების მასიური წარმოების ნიადაგზე. ახლა, როდესაც მთელი რკინის გზის ქსელი და ყველა ქარხანა ერთი პატრონის,—მუშათა სახელმწიფოს,—ხელშია, შეგვიძლია და უნდა შემოვიღოთ კიდეც მთელი ჩვენი ქვეყნისათვის ერთნაირი ტიპი ორთქლმავალისა და ვაგონისა, მოვაწესრიგოთ მათი შემადგენელი ნაწილები, ავამუშავოთ ყველა საჭირო ქარხანა სათადარიგო ნაწილთა მასიური წარმოებისათვის, რემონტი დავუახლოოთ გაცვეთილი ნაწილების ახალი ნაწილებით შეცვლას და ამით უზრუნველვყოთ მასიური აწყობა ახალი ორთქლმავალებისა სათადარიგო ნაწილებისაგან. ახლა, როდესაც კვლავ გაგვეხსნა სათბობისა და ნედლი მასალის წყაროები, მთელი ჩვენი ყურადღება ორთქლმავალის შენებას უნდა მივაქციოთ.

მესამე პერიოდი,—ეს არის მანქანათა შენება ფართოდ, მასიურად მოსახმარ საგნების დასამზადებლად.

დასასრულ, მეოთხე პერიოდი, რომელიც ემყარება პირველი სამი პერიოდის მონაპოვარს, ნებას მოგვცემს გადავიდეთ პირად მოსახმარი საგნების მეტად ფართო მასშტაბით წარმოებაზე.

ამ გეგმას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო როგორც საერთო დირექტივებს ჩვენი სამეურნეო ორგანოების პრაქტიკული მუშაობისთვის, არამედ როგორც სახელმძღვანელო ხაზს ჩვენი სამეურნეო მიზნების საპროპაგანდოდ მუშათა მასებში. შრომის მობილიზაციას ვერ გავატარებთ ცხოვრებაში, იგი ვერ გაიდგამს ფესვებს, თუ არ ჩავითრევთ ყველა იმათ, ვინც პატიოსანია, შეგნებული, ალფრთოვანებული მუშათა კლასში. ჩვენ უნდა ვუთხრათ მასებს სრული სიმართლე ჩვენი მდგომარეობის შესახებ და გავარკვიოთ, თუ რა პირი უჩანს ჩვენს მომავალს. ჩვენ მათ გულახდილათ უნდა განვუცხადოთ, რომ ჩვენი სამეურნეო გეგმა მშრომელთა მხრით ძალთა მაქსიმალური დაჭიმვის დროს არ მოგვცემს არც ხვალ, არც ზეგ სამოთხის ნეტარებას, რადგან უახლოეს ხანაში ჩვენი მთავარი მუშაობა იმის უნდა მოვანდომოთ, რომ შეექმნათ პირობები წარმოების საშუალებათა და-

სამზადებლად. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მინიმალურად მაინც უზრუნველყოფთ ტრანსპორტისა და წარმოების აღდგენის შესაძლებლობას, გადავალთ მოსახმარ საგნების წარმოებაზე. ამრიგად, მშრომელი უშუალოდ ხელშესახებ შრომის ნაყოფს, პირადად მოსახმარ საგნების სახით, მიიღებს მხოლოდ სამეურნეო გეგმის უკანასკნელ წუთს, ე. ი. მეოთხე პერიოდის დროს, და მხოლოდ მაშინ დაეტყობა ცხოვრებას სეროიზული შემსუბუქება. მასები, რომელთაც კიდევ კარგა ხნის განმავლობაში მოუხდებათ შრომისა და დანაკლისის სიმძიმის ატანა, სავსებით უნდა გაეცნონ ამ სამეურნეო გეგმის აუცილებელს შინაგანს ლოგიკას, რათა შესძლონ ამ გეგმის საკუთარ ხერგზე გადატანა.

ზემოჩამოთვლილი ოთხი სამეურნეო პერიოდის ერთი მეორისადმი მიმდევნობა არ უნდა გვესმოდეს მეტის-მეტად აბსოლუტურად. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვფიქრობთ სრულიად შევაჩეროთ ამჟამად ჩვენი საქსოვი მრეწველობა. ჩვენ ამას ვერ ვიზამთ თუნდაც მარტო სამხედრო მოსაზრებით. მაგრამ იმისთვის, რომ აუარებელ მოთხოვნილებისა და საჭიროების ზეგავლენით ყურადღება და ძალა არ დაქუცმაცდეს, საჭიროა, მივდიოთ ჩვენს სამეურნეო გეგმას, როგორც ძირითად, კრიტერიუმს და გამოვყოთ მთავარი და ძირითადი დამხმარე და მეორეხარისხოვანისაგან. თქმა არ უნდა, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ მივისწრაფვით კარჩაკეტილ, „ნაციონალურ" კომუნიზმისაკენ: ბლოკადის მოხსნა და, მით უმეტეს, ევროპის რევოლიუცია შეიტანდა მეტად არსებითს ცვლილებებს ჩვენს სამეურნეო გეგმაში, შეამოკლებდა მისი განვითარების საფეხურებს და დაუახლოვებდა ერთმანეთს ამ საფეხურებს. მაგრამ არ ვიცით, როდის მოხდება ეს ამბები. და ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ გავძლოთ და გავმაგრდეთ ევროპისა და მსოფლიო რევოლიუციის ყველაზე უფრო არახელსაყრელი, ე. ი. ყოველად ნელი განვითარების, დროს. ჩვენ იმავე ზემოთდახასიათებულ სამეურნეო გეგმით ვიხელმძღვანელებთ იმ შემთხვევაშიაც, თუ ნამდვილად დამყარდება სავაჭრო ურთიერთობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ჩვენი ნედლი მასალის ნაწილს ჩვენ გავატანთ მათ ორთქლმავალების და სხვა საჭირო მანქანების სანაცვლოდ და არა ტანისამოსის, ფეხსაცმელის და კოლონიალური საქონლის ბადლად, ვინაიდან ჩვენთვის პირველ რიგში სდგას არა მოსახმარი საგნები, არამედ ტრანსპორტი და საწარმოო იარაღი.

ბეცი სკეპტიკოსები და მეშჩანური ტიპის ხალხი ვიქნებოდით, გვეფიქრა, რომ მეურნეობის აღორძინება იქნება თანდათანობითი გადასვლა ახლანდელი სრული სამეურნეო დარღვევიდან მეურნეობის იმ

მდგომარეობაზე, რომელიც წინ უძღოდა მეურნეობის დაშლას, ე. ი. რომ ავიღლით იმავე საფეხურებს, რომლებითაც ძირს ჩამოვდიოდით, და მხოლოდ რამდენიმე, საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ დავაყენებთ ჩვენს სოციალისტურ მეურნეობას იმ დონეზე, რომელზედაც მეურნეობა იმპერიალისტური ომის წინა დღეებში იდგა. ასეთი წარმოდგენა იქნებოდა არა მარტო არასანუგეშო, არამედ სრულიად შემცდარი. რლვევა და ნგრევა, რომელიც სპობდა და ამსხვრევდა თავის გზაზე უთვალაე ღირებულებას, ამავე დროს სპობდა მეურნეობაში ბევრს რუტინულს, შმორიანს, უაზროს და გზას უკაფავდა ახალს აღმშენებლობას. შეფარდებულს იმ ტეხნიკურ შენაძენთან, რომელიც ამჟამად მსოფლიო მეურნეობას მოეპოვება.

თუ რუსეთის კაპიტალიზმი ვითარდებოდა არა საფეხურიდან-საფეხურზე გადასვლით, არამედ მრავალ საფეხურზე გადახტომით და პირველ-ყოფილ ველ-მინდორში შეჰქონდა ამერიკული ქარხნები, მით უმეტეს ასეთი გზა არ იქნება მიუწვდომელი სოციალისტური მეურნეობისთვის. მას შემდეგ, როდესაც დავძლევთ ბოროტ სიღარიბეს, დაეაგროვებთ ნედლი მასალისა და სურსათის მცირეოდენ მარაგს და გავაუმჯობესებთ ტრანსპორტს, ჩვენ შევძლებთ გადავახტეთ მრავალ საშუალო საფეხურს, ვისარგებლებთ რა იმ გარემოებით, რომ ჩვენ არა ვართ შებოჭილნი კერძო საკუთრების ბორკილებით და ამიტომ საშუალება გვაქვს ყველა საწარმოო დარგი და მეურნეობის ყველა ელემენტი მთლიან სახელმწიფოებრივ გეგმას დავუმორჩილოთ.

მაგალითად, ჩვენ უეჭველად გადავალთ ელექტროფიკაციაზე მრეწველობის ყველა ძირითად დარგში და პირადად მოსახმარ სფეროშიაც ისე, რომ „ორთქლის საუკუნის" გავლა არ დაგვჭირდება. ელექტროფიკაციის პროგრამა დასახული გვაქვს რამდენიმე მიმდევრობითს სტადიად საზოგადო სამეურნეო გეგმის ძირითად სტადიებთან შეხამებით.

ახალ ომს შეუძლია დააგვიანოს ჩვენი სამეურნეო განზრახვების განხორციელება; ჩვენს ენერგიას და დაძინებულ მუშაობას შეუძლია დააჩქაროს და დააჩქარებს კიდეც სამეურნეო აღორძინების პროცესს. მაგრამ რა ტემპიც არ უნდა მიიღოს შემდეგში მოვლენებმა, ცხადია, ჩვენს მუშაობას—შრომის მობილიზაციას, შრომის მილიტარიზაციას, შაბათობას და კომუნისტური შრომის მოხალისეობის სხვა დარგს—საფუძველად უნდა დაედოს **მთლიანი სამეურნეო გეგმა.** ამასთან უახლოესი პერიოდი მოითხოვს ჩვენგან მთელი ჩვენი ენერგიის დაგროვებას პირველი, ელემენტარული მიზნების ირგვლივ; ესენია: სურსათი, სათბობი მასალა, ნედლი მასალა, ტრანსპორტი. **არ უნდა**

გაიფანტოს ყურადღება, არ უნდა დაქუცმაცდეს ძალა. ასეთია ერთად-ერთი გზა ხსნისა.

კოლეგიურობა თუ ერთპიროვნულობა.

მენშევიკები სცდილობენ სცადონ ბედი ერთი საკითხის გარშემოც, რომლის საშუალებითაც აპირობენ მუშათა კლასთან კვლავ დანათესავებას. ეს არის საკითხი სამრეწველო დაწესებულებათა მართვა-გამგებლობის ფორმის შესახებ, საკითხი კოლეგიალური თუ ერთპიროვნული დასაბამისა. გვეუბნებიან, კოლეგიის ნაცვლად ერთპიროვნული მართვა-გამგებლობის შემოღება ქარხნებში დანაშაულობაა მუშათა კლასის და სოციალისტური რევოლიუციის წინააღმდეგ. საყურადღებოა, რომ ერთპიროვნულობისაგან სოციალისტური რევოლიუციის ყველაზე უფრო ერთგულ დამცველებად გამოდიან იგივე მენშევიკები, რომელნიც სულ ახლახან ამტკიცებდენ, რომ თვით ლოზუნგი სოციალისტური რევოლიუციისა არის ისტორიის აბუჩად აგდება და დანაშაული მუშათა კლასის წინაშეო.

სოციალისტური რევოლიუციის წინაშე დამნაშავე გამოდის პირველ ყოვლისა ჩვენი პარტიული ყრილობა, რომელმაც გამოსთქვა სურვილი მრეწველობის მართვა-გამგებლობის საქმეში და უმთავრესად მის დაბალ რგოლებში,—ფაბრიკა-ქარხნებში,—ერთპიროვნულობასთან დაახლოვებისა.

ამ გადაწყვეტილების განხილვა, როგორც მუშათა კლასის თვითმოქმედებისთვის საზარალო დადგენილებისა, უდიდესი შეცდომაა. მშრომელთა თვითმოქმედება ისაზღვრება და იზომება არა იმით, თუ რამდენი მუშაა დაყენებული ქარხნის სათავეში,—სამი თუ ერთი,—არამედ უფრო ღრმა მნიშვნელობის ფაქტორებით და მოვლენებით: სამეურნეო ორგანოთა აგებულობით, იმ ორგანოთა, რომლებშიაც პროფკავშირები აქტიურ მონაწილეობას იღებენ, საბჭოთა ყველა ორგანოს აგებულობით საბჭოების იმ ყრილობების ნიადაგზე, რომელნიც მშრომელთა ათეულ მილიონებს წარმოადგენენ; მმართველობაში ან მმართველობის კონტროლში იმათი შეყვანით, რომელთაც მართავენ,—აი ოაში გამოიხატება მუშათა კლასის თვითმოქმედება და თუ მუშათა კლასი, თავისი გამოცდილების თანახმად, პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ყრილობების საშუალებით მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქარხნის სათავეში უმჯობესია დაყენებულ იქნეს ერთი პიროვნება, ვიდრე კოლეგია, ეს არის გადაწყვეტილება, მუშათა კლასის თვითმოქმედებით ნაკარნახევი. გადაწყვეტილება შეი-

ძლება იყოს სწორი ან შემცდარი ადმინისტრატიული ტეხნიკის თვალსაზრისით, მაგრამ იგი თავზე არავის მოუხვევია პროლეტარიატისთვის, არამედ ნაკარნახევია მისივე შეხედულებით და ნებაყოფლობით. ამიტომ მიუტევებელი შეცდომა იქნება ერთმანეთში ავურიოთ პროლეტარიატის ბატონობის საკითხი ჭარხნის სათავეში მუშათა კოლეგიების დაყენების საკითხთან. პროლეტარიატის დიქტატურა გამოიხატება კერძო საკუთრების მოსპობაში წარმოების საშუალებებზე, მშრომელთა კოლექტიური ნებისყოფის გაბატონებაში მთელ საბჭოთა მექანიზმზე და არა ცალკე სამეურნეო საწარმოო დაწესებულებათა მართვა-გამგებლობის ფორმაში.

საჭიროა აქვე უარყოფილ იქნეს მეორე ბრალდება, მიმართული ერთპიროვნულობის დამცველთა წინააღმდეგ. ოპონენტები ამბობენ: „საბჭოთა მილიტარისტები სცდილობენ თავიანთი გამოცდილება სამხედრო სფეროდან გადმოიტანონ მეურნეობის სფეროში. შეიძლება ერთპიროვნულობის პრინციპი არმიაში კარგია, მაგრამ მეურნეობაში იგი არ ვარგა". ასეთი აზრი არც ერთი მხრით მართალი არ არის. მართალი არ არის, თითქოს არმიაში ჩვენ დაგვეწყოს ერთპიროვნულობიდან; ამჟამადაც კი სავსებით არ გადავსულვართ ერთპიროვნულობაზე. არც ის არის სწორი, თითქოს სპეციალისტების მოწვევასთან ერთად, სამეურნეო საწარმოო დაწესებულებათა მართვა-გამგებლობის ერთპიროვნული ფორმის დამცველებად ჩვენ გამოვედით მხოლოდ სამხედრო ორგანიზაციის პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილებას შემდეგ. ნამდვილად-კი ამ საქმეში ჩვენ გამოვდიოდით და გამოვდივართ რევოლიუციონური ამოცანებისა და ძალა-უფლების ხელში ჩამგდები პროლეტარიატის შემოქმედებითი ვალდებულებათა წმინდა-მარქსისტული შემეცნებიდან. წარსულში დაგროვებულ ტეხნიკურ ცოდნათა და მიჩვევათა გარდაცემის აუცილებლობა, სპეციალისტთა მოზიდვის და მათი ფართო გამოყენების აუცილებლობა, რათა ტეხნიკა უკანდახევის ნაცვლად წინ წავიდეს,—ყოველივე ეს გვესმოდა, ყოველსავე ამას აღვიარებდით არა მარტო რევოლიუციის დაწყებიდან, არამედ ოქტომბერზე ბევრად ადრე. მე ვფიქრობ, სამოქალაქო ომს რომ ამ გაეძარცვა ჩვენი სამეურნეო ორგანოები, არ წაეღო იქედან ყველაფერი, რაც კი მაგარი, ინიციატივით აღჭურვილი და დამოუკიდებელი იყო, ეჭვი არ არის, სამეურნეო მართვა-გამგებლობის სფეროში ერთპიროვნულობის გზაზე დადგომა მოხდებოდა უფრო ადრევე და უფრო უმტკივნეულოდ.

ზოგიერთი ამხანაგი მეურნეობის მართვა-გამგებლობის აპარატს უყურებენ, უპირველეს ყოვლისა, როგორც სკოლას. ეს, რასა-

კვირველია, სათაეშივე არ არის მართალი. მმართველობის ორგანოთა დანიშნულება არის მართვა-გამგებლობა. ვისაც სურს და შეუძლია ისწავლოს მართვა-გამგებლობა, წავიდეს სკოლაში, სპეციალურ საინსტრუქტორო კურსებზე. წავიდეს თანაშემწედ, რათა დაუკვირდეს და გამოცდილება დააგროვოს. მაგრამ ვინც ქარხნის გამგეობაში ინიშნება, ის მიდის არა სკოლაში, არამედ საპასუხისმგებლო ადმინისტრატიულ-სამეურნეო პოსტზე. მაგრამ თუნდაც რომ ამ საკითხს ვიწრო და, მაშასადამე, „სკოლის" შემცდარი თვალსაზრისით შევხედოთ, მე ვიტყვი, რომ სკოლა ერთპიროვნულობის დროს ათჯერ უკეთესია, იმიტომ რომ თუ თქვენ ვერ შესცვლით ერთ კარგ მუშაკს სამი მოუმწიფებელი მუშაკით, სამი უმწიფარისაგან შემდგარი კოლეგიის მართვა-გამგებლობის საპასუხისმგებლო პოსტზე დაყენებით თქვენ საშუალებას მოუსპობთ თვითეულს მათგანს ანგარიში გაუწიოს თავის თავს იმაში, თუ რა აკლია მას. ისინი ერთი მეორეს შეჰყურებენ გადაწყვეტილების დროს და ერთი მეორეს ამტყუნებენ მარცხის დროს.

რომ ეს საკითხი პრინციპის საკითხი არ არის, ამას ყველაზე უკეთ გვიმტკიცებენ თვით ერთპიროვნულობის მოწინააღმდეგენი იმით, რომ კოლეგიალობას არ მოითხოვენ სახელოსნოებისთვის, ცეხებისთვის, მადნებისთვის. ისინი აღშფოთებითაც კი ამბობენ, რომ მხოლოდ გიჟს შეუძლია მოითხოვოს სახელოსნოს სათავეში სამეულის ან ხუთეულის დაყენებაო. უნდა იყოს ერთი გამგე ცეხისა და სხვა არავინ. რისთვის? თუ კოლეგიალური მართვა „სკოლაა", რატომ არა გვჭირდება დაბალი ტიპის სკოლა? რატომ არ უნდა შემოვიღოთ კოლეგია სახელოსნოებში? ხოლო თუ კოლეგიალობა საჭირო არ არის სახელოსნოებისთვის, რატომ არის იგი საჭიროებული ქარხნისთვის?

აბრამოვიჩმა განაცხადა აჭ: რადგან ჩვენ ცოტა სპეციალისტი მოგვეპოვება, ბოლშევიკებს წყალობითა,—გაიმეორა კაუკკივით,—მათს მაგიერათ მუშების კოლეგიებს დავაყენებთო. არავითარ კოლეგიას, შემდგარს ისეთი პირებისაგან, რომელთაც ჩაბარებული საქმე არ იციან, არ ძალუძს გასწიოს მაგიერობა ერთი კაცისა, რომელმაც იცის ეს საქმე. იურისტების კოლეგია ვერ გასწევს ერთი მეისრის მაგიერობას. ავადმყოფთა კოლეგია ვერ დაიჭერს ექიმის ადგილს. თვით იდეა არ არის სწორი. კოლეგია თავის თავად არ აძლევს ცოდნას უცოდინარებს. მას შეუძლია მხოლოდ დაჰფაროს არცოდნა უცოდინარისა. თუ პასუხს აგებს ადმინისტრატიულ პოსტზე დაყენებული პიროვნება, იგი არა მარტო მოსჩანს სხვების წინაშე, არამედ თავის თავის წინაშეც, და გარკვევით ხედავს, რა იცის მან,

ღა რა აო იცის. მაგრამ ორიფერია იმაზე უარესი, როგორიც არის უმეცარ, ცუდად მომზადებულ მომუშავეებისაგან შემდგარი კოლეგია, დაყენებული პრაქტიკულ პოსტზე, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას. კოლეგიის წევრები იმყოფებიან მუდმივი დაბნეულობის, ურთიერთისადმი უკმაყოფილების მდგომარეობაში და თავიანთი უმწეობით რყევა და ქაოსი შეაქვთ მთელს მუშაობაში. მუშათა კლასი ღრმად არის დაინტერესებული ამაღლდეს იმ ზომამდე, რომ მართვა-გამგებლობა შესძლოს, ე. ი. ისწავლოს, მაგრამ ამისი მიღწევა მრეწველობის სფეროში შეიძლება იმით, რომ ქარხნის გამგეობა პერიოდულად უნდა ანგარიშს აძლევდეს მთელ ქარხანას, სადაც განიხილავენ ერთი წლის ან მიმდინარე თვის სამეურნეო გეგმას,--და ყველა ის მუშა, რომელიც სერიოზულ ინტერესს გამოიჩენს სამრეწველო ორგანიზაციის საქმისადმი, საწარმოო დაწესებულების ხელმძღვანელთა ან საგანგებო კომისიების მიერ ალრიცხვაზე უნდა იქმნას აღებული. შემდეგ ეს მუშა უნდა მოამზადონ სათანადო კურსებზე, რომელიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული თვით ქარხნის პრაქტიკულ მუშაობასთან; ბოლოს, ასეთი მუშა დაინიშნება ჯერ ნაკლებად პასუხსაგებ, შემდეგ უფრო საპასუხისმგებლო პოსტზე. ამრიგად ჩვენ ვიშოვით მრავალ ათასს, შემდეგში—ათი ათასს მომზადებულ კაცს. საკითხი სამეულების და ხუთეულების შესახებ აინტერესებთ არა მუშათა მასებს, არამედ უფრო ჩამორჩენილ, სუსტ, დამოუკიდებელ მუშაობისათვის ნაკლებად გამოსადეგ ნაწილს საბჭოთა მუშური ბიუროკრატიისას. მოწინავე, შეგნებული, მაგარი ადმინისტრატორი ბუნებრივად სცდილობს ხელში აიღოს ქარხანა მთლიანად, დაანახვოს თავის თავსაც და სხვებსაც, რომ მას შესძლებია მართვა-გამგებლობა. მაგრამ როდესაც ადმინისტრატორი სუსტია, როდესაც ფეხზე მაგრა ვერა სდგას, იგი სცდილობს თავი შეაფაროს სხვას, ვინაიდან სხვასთან ერთად ყოფნის დროს მისი სისუსტე იმდენად შესამჩნევი ალარ იქნება. ასეთს კოლეგიალობაში არის უაღრესად საბედისწერო დასაბამი—პირადი პასუხისმგებლობის ჩაქრობა. თუ მუშა ნიჭიერია, მაგრამ გამოუცდელი, მას სჭირდება ხელმძღვანელი, რომლის ხელქვეით ყოფნის დროსაც იგი ისწავლის, ხოლო ხვალ ჩვენ მას დავნიშნავთ გამგედ პატარა ქარხანაში. ამრიგად იგი წინ წავა. შემთხვევითს კოლეგიაში კი, სადაც თვითეულის ძალა და სისუსტე ცხადად არა სჩანს, პასუხისმგებლობის გრძნობა აუცილებლად ჭრება.

ჩვენი რეზოლუცია ლაპარაკობს ერთპიროვნულობასთან სისტემატიურად **მიახლოვების** შესახებ, რა თქმა უნდა, არა კალმის ერთი მოსმით. აქ შესაძლოა სხვადასხვა ვარიაცია და გადაჯგუფება. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც მუშას შეუძლია მარტო გაუძღვეს, დავაყენოთ იგი ქარხნის ხელმძღვანელად, მივცეთ მას თანაშემწედ სპეციალისტი. სადაც სპეციალისტი კარგია, დავაყენოთ იგი უფროსად და მივცეთ მას თანაშემწედ ორი ან სამი მუშა. ბოლოს, იქ, სადაც კოლეგიამ საქმით დამტკიცა თავისი შრომის უნარი, დავტოვოთ იგი. ეს არის ერთად-ერთი სერიოზული მოპყრობა საქმისადმი და მხოლოდ ასეთი გზით ჩვენ მივუდგებით წარმოების სწორ ორგანიზაციას.

არის კიდევ ერთი მოსაზრება საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი ხასიათისა, რომელიც მე ყველაზე უფრო არსებითი მგონია. ჩვენი მუშათა კლასის ხელმძღვანელი ფენა ძლიერ თხელია. ეს არის ის ფენა, რომელსაც იცნობდა იატაკ ქვეშ მუშაობის ხანა, რომელიც დიდხანს ეწეოდა რევოლიუციონურ ბრძოლას, ნამყოფია საზღვარგარეთ, ნაკითხია უხვად ციხეებში და გადასახლების დროს, აქვს პოლიტიკური გამოცდილება, ფართო ჰორიზონტი,—ეს არის ყველაზე ძვირფასი ნაწილი მუშათა კლასისა. შემდეგ მოდის უფრო ახალგაზრდა თაობა, რომელმაც შეგნებულად მოახდინა ჩვენი რევოლიუცია 1917 წ. ეს ძლიერ ძვირფასი ნაწილია მუშათა კლასისა. რასაც არ უნდა გადავავლოთ თვალი,—საბჭოთა აღმშენებლობას, პროფესიონალურ კავშირებს, პარტიულ მუშაობას, სამოქალაქო ომის ფრონტს,—ყველგან ხელმძღვანელ როლს თამაშობს ეს ზედა ფენი პროლეტარიატისა. საბჭოთა ხელისუფლების მთავარი მუშაობა ამ $2^1/_2$ წლის განმავლობაში მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენ მანევრები გვქონდა, ერთი ფრონტიდან მეორე ფრონტზე ვისროდით მუშათა მოწინავე წრეს. გლეხკაცობიდან გამოსული მუშათა კლასის უფრო ღრმა ფენები, მართალია, რევოლიუციონურად არიან განწყობილნი, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერ ღარიბნი არიან ინიციატივით. სენი, რითაც შეპყრობილია ჩვენი რუსი გლეხი, არის ჯოგური თვისება, პიროვნების უქონლობა, რომელიც შეაქო ლევ ტოლსტოიმ პლატონ კარატაევის სურათის დახატვით: გლეხი ითქვიფება თავის თემში, იგი ემორჩილება მიწას. სრულიად აშკარაა, რომ სოციალისტური მეურნეობა დამყარებულია არა პლატონ კარატაევზე, არამედ მოაზროვნე, ინიციატივის მქონე, პასუხისმგებელ მომუშავეზე. საჭიროა პიროვნების ინიციატივის აღზრდა მუშაში. პიროვნული დასაბამი ბურჟუაზიისა არის ანგარებიანი ინდივიდუალიზმი, კონკურენცია. პიროვნული დასაბამი მუშათა კლასისა არ ეწინააღმდეგება არც სოლიდარობას, არც ძმურ თანამშრომლობას. სოციალისტურ სოლიდარობას არ შეუძლია დაემყაროს პიროვნების უქონლობასა და ჯოგის თვისებას. და, ხშირად, სწორედ პიროვნობის უქონლობა იმალება კოლეგიალობას ქვეშ.

მუშათა კლასში არის მრავალი ძალა, ნიჭი, ტალანტი. საჭიროა მათი გამოჩენა, გამოაშკარავება შეჯიბრების საშუალებით. ამას ხელს უწყობს ერთპიროვნულობის დასაწყისი ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ სფეროში. ამიტომაც იგი კოლეგიალობის დასაბამზე მაღლა სდგას და უფრო ნაყოფიერია.

საბოლოვო სიტყვა მოხსენების გამო.

ამხანაგებო, მენშევიკების ორატორების, განსაკუთრებით აბრამოვიჩის საბუთები, პირველ ყოვლისა, ცხოვრებიდან და მის ამოცანებიდან მოწყვეტას მოასწავებს. სდგას კაცი მდინარის პირას, უნდა გავიდეს მეორე ნაპირზე, ის-კი მსჯელობს მდინარის თვისებებზე, მისი დენის ძალაზე. გადაცურვაა საჭირო,—აი, ამოცანა. ჩვენი კაუკიანელი კი ტოკავს, ტორტმანობს: „ჩვენ არ უარვყოფთ,—ამბობს იგი,—გადაცურვის საჭიროებას, მაგრამ, ამასთანავე, როგორც რეალისტები, ჩვენ ვხედავთ საფრთხეს და არა ერთს, არამედ რამდენიმეს: დენა ჩქარია, არის წყალქვეშა ქვები, ხალხი მოქანცულია და სხვა. მაგრამ მართალი არ არის, როდესაც გვეუბნებიან, რომ ჩვენ უარვყოფთ თვით გაცურვის საჭიროებას; არა, ეს ასე არ არის, არავითარ შემთხვევაში. ჯერ კიდევ 23 წლის წინეთ ჩვენ არ უარვყოფდით გაცურვის საჭიროებას“...

თავიდან ბოლომდე ყველაფერი ამაზეა აგებული. ჯერ ერთი,—ამბობენ მენშევიკები,—ჩვენ არ უარვყოფთ და არასდროს არ უარვყოფდით თავდაცვის საჭიროებას, მაშასადამე, არ უარვყოფთ არმიას. მეორე, პრინციპიალურად ჩვენ არ უარვყოფთ არც შრომის ბეგარასო. ერთი მიბრძანეთ, პატარა სარწმუნოებრივ სექტებს გარდა სად არის ისეთი ხალხი, რომელიც თავდაცვას უარყოფდეს „საზოგადოდ“? მაგრამ თქვენი განყენებული ალსარება ერთი ნაბიჯითაც არა სწევს საქმეს წინ, როდესაც დადგა დრო რეალური ბრძოლისა და მუშათა კლასის რეალური მტრის წინააღმდეგ რეალური არმიის შექმნისა, რას აკეთებდით თქვენ მაშინ? ხომ გვეწინააღმდეგებოდით, საბოტაჟს ეწეოდით, თუმცა „საზოგადოთ“ თავდაცვას არ უარჰყოფდით. თქვენ ამბობდით და სწერდით თქვენს გაზეთებში: „ძირს სამოქალაქო ომი“ იმ დროს, როდესაც თეთრგვარდიელები გვაწვებოდენ და დანა ჩვენს ყელთან ჰქონდათ მობჯენილი. თქვენ ახლა, უკანარიცხვით იწონებთ ჩვენს ძლევამოსილ თავდაცვას. თქვენი კრიტიკული მხედველობა გადაგაქვეთ ახალს ამოცანებზე და გვასწავლით: „საზოგადოთ ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ შრომის ბეგარისა,—ამბობთ თქვენ,—მაგრამ...

იურიდიული იძულება არ უნდა იყოს". ამ სიტყვაში არის საშინელი შინაგანი წინააღმდეგობა. ცნება „ბეგარა" თავის თავად შეიცავს იძულებითს ელემენტს. ადამიანი **დაბეგრილია**, ვალდებულია რაღაცა გააკეთოს, თუ არ გააკეთებს, ცხადია, განიცდის იძულებას, სასჯელს. აქ ჩვენ მივადექით კითხვას იმის შესახებ, თუ როგორია იძულება. აბრამოვიჩი ამბობს: ეკონომიური ძალდატანება-კი, მაგრამ არა იურიდიული იძულება. მელითონეთა კავშირის წარმომადგენელმა ამხ. გოლცმანმა მშვენივრად დაგვანახვა მთელი სხოლასტიურობა მსჯელობის ამნაირად აგებისა. ჯერ კიდევ კაპიტალიზმის დროს, ე. ი. „თავისუფალი" შრომის რეჟიმში, ეკონომიური ძალდატანება განუშორებელია იურიდიული იძულებისაგან. ახლა მით უმეტესად. ჩემს მოხსენებაში მე შეეცადე დამემტკიცებინა, რომ ახალ ეკონომიურ საფუძვლებზე მშრომელების შრომის ახალ ფორმებთან შეჩვევა და შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ სხვადასხვა გვარი მეთოდების ერთდროულად გამოყენებით, ეკონომიური დაინტერესებით, იურიდიული იძულებით, შინაგან-შეთანხმებული საშეურნეო ორგანიზაციის გავლენით, რეპრესიების ძალით და ყველაზე ადრე და ყველაზე უკანასკნელად იდეური ზედმოქმედებით, აგიტაციით, პროპაგანდით და, ბოლოს, კულტურული დონის საერთო ამაღლებით; მხოლოდ ყველა ამ საშუალების შეჯგუფებით, კომბინაციით შეიძლება მოპოვებულ იქნეს უმაღლესი დონე სოციალისტური მეურნეობისა.

თუ უკვე კაპიტალიზმის დროს ეკონომიური დაინტერესება აუცილებლად შეუღლებულია იურიდიულ იძულებასთან, რომლის უკან სდგას სახელმწიფოს მატერიალური ძალა, საბჭოთა, ე. ი. სოციალიზმში გარდამავალ, სახელმწიფოში ეკონომიურისა და საზოგადოდ იურიდიული იძულების შორის არ შეიძლება ხაზის გავლება. ჩვენში ყველა უმნიშვნელოვანესი საწარმოო დაწესებულება სახელმწიფოს ხელშია. როდესაც ჩვენ ხარატს ივანოვს ვეუბნებით: „შენ მოვალე ხარ ამ წუთას სორმოვის ქარხანაში იმუშავო, ხოლო თუ უარს იტყვი, ულუფას არ მიიღებო," რა არის ეს: ეკონომიური ძალდატანება, თუ იურიდიული იძულება? მას არ შეუძლია სხვა ქარხანაში გადასვლა, რადგან ყველა ქარხანა ეკუთვნის სახელმწიფოს, რომელიც ამ გადასვლას არ შეიწყნარებს. მაშასადამე, ეკონომიური ძალდატანება უერთდება სახელმწიფოს რეპრესიას. აბრამოვიჩს, ცხადია სურს, რომ დიდ საწარმოო დაწესებულებებში მუშების ჩასაბმელად, ჩვენ, როგორც მუშა ხელის განაწილების რეგულიატორებმა, ვისარგებლოთ მხოლოდ სამუშაო ხელფასის აწევით, პრემიებით და სხვ. აშკარაა.

მთელი მისი აზრი ამაში გამოიხატება. ხოლო თუ საკითხი ასე დაისმება, პროფესიონალური მოძრაობის ყოველ სერიოზულ მომუშავისთვის გასაგები გახდება, რომ ეს წმინდა წყლის უტოპიაა. ჩვენ არ შეგვიძლია იმედის დამყარება იმაზე, რომ მუშა ხელი ბაზრიდან თავისუფლად მოვა, რადგან ამისთვის საჭიროა სახელმწიფოს ჰქონდეს სასურსათო, საბინაო და სატრანსპორტო ხასიათის დიდი სამანევრო რესურსები, ე. ი. იყოს სწორედ ის პირობები, რომელიც ჯერ კიდევ შესაქმნელია. სამეურნეო ორგანოების მოთხოვნილების თანახმად, სახელმწიფოს მიერ გეგმა-შეწონით მოწესრიგებული, მუშა ხელის მასიური გადაყვან-გადმოყვანის გარეშე ჩვენ ვერაფერს ვერ გავაკეთებთ. აქ ჩვენს წინ იძულებულების მომენტი სდგება მთელი თავისი ეკონომიური საჭიროების სიგრძე-სიგანით. მე თქვენ წაგიკითხეთ ეკატერინბურგიდან მიღებული დეპეშა პირველი მშრომელი არმიის მუშაობის მსვლელობის შესახებ; იქ ნათქვამია, რომ შრომის ბეგარის ურალის კომიტეტის ხელში გაიარა ოთხიათას კვალიფიციურ მომუშავეზე მეტმაო. საიდან გაჩნდენ ესენი? უმთავრესად ყოფილი მესამე არმიიდან. ისინი სახლებში არ გაუშვეს, არამედ გაგზავნეს დანიშნულებისამებრ: არმიიდან გადასცეს შრომის ბეგარის კომიტეტს, რომელმაც დაჭყო ისინი კატეგორიებად და დაგზავნა ქარხნებში. ეს — ლიბერალთა თვალსაზრისით — „ძალადობაა" თავისუფალ პიროვნებაზე. ხოლო მუშების დიდი უმრავლესობა ხალისით მიდიოდა შრომის ფრონტზე, როგორც წინეთ — ბრძოლის ფრონტზე: მათ კარგად ესმოდათ, რომ ამას უმაღლესი ინტერესები მოითხოვდენ. ნაწილი მიდიოდა თავისი სურვილის წინააღმდეგ. — ასეთები იძულებულ-ჰყვეს.

სახელმწიფომ საუკეთესო მუშები პრემიალური სისტემის მეოხებით უნდა ჩააყენოს არსებობის უკეთეს პირობებში. ეს, რასაკვირველია, გასაგებია. მაგრამ ეს არა თუ არ უარჰყოფს, პირიქით, გულისხმობს, რომ სახელმწიფო და პროფესიონალური კავშირები, — რომელთა გარეშე საბჭოთა სახელმწიფო ვერ აღაშენებს მრეწველობას, — იღებენ მუშაზე რაღაც ახალს უფლებებს. მუშა უბრალოდ კი არ ევაჭრება საბჭოთა სახელმწიფოს, არა, იგი დაბეგრილია, მან ბეგარა უნდა გადაუხადოს სახელმწიფოს, იგი ყოველი მხრიდან დამორჩილებულია მისგან, რადგან ეს სახელმწიფო — **მისი** სახელმწიფოა.

აბრამოვიჩი ამბობს: „ჩვენთვის რომ უბრალოდ ეთქვათ, საქმე ეხება პროფესიონალურ დისციპლინასო, თავის მტერევა საჭირო აღარ იქნებოდა; მაგრამ რა შუაშია აქ მილიტარიზაცია". რა თქმა უნდა, საქმე შესამჩნევად ეხება პროფესიონალურ კავშირთა დისციპლინას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეხება იგი ახალი, **წარმოებითი** პროფესიონალური კავშირების ახალ დისციპლინას. ჩვენ ვცხოვრობთ საბჭოთა ქვეყანაში, სადაც გაბატონებულია მუშათა კლასი, და ეს-კი არ ესმით ჩვენს კაუცკიანელებს. როდესაც მენშევიკი რუბცოვი ამბობდა, რომ ჩემს მოხსენებაში პროფესიონალურ კავშირებიდან დარჩა მხოლოდ რქები და ჩლიქები, ამაში ცოტაოდენი სიმართლე იყო. პროფესიონალური კავშირებიდან, ისე, როგორც მას ესმის, ე. ი. ტრედ-უნიონების ტიპის კავშირებიდან, მართლაც ძალიან მცირე რამ დარჩა, მაგრამ მუშათა კლასის პროფესიონალურ-წარმოებით ორგანიზაციას საბჭოთა რუსეთის პირობებში უდიდესი მიზნები აქვს დასახული. როგორი? რა თქმა უნდა, არა შრომის ინტერესების სახელით სახელმწიფოსთან ბრძოლის მიზნები, არამედ სახელმწიფოსთან ხელი-ხელ გადაბმით სოციალისტური მეურნეობის აშენება. ამგვარი კავშირი არის პრინციპიალურად ახალი ორგანიზაცია, რომელიც განსხვავდება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არსებულ არა მარტო ტრედ-უნიონების, არამედ რევოლიუციონურ პროფესიონალურ კავშირებისაგან, ისე, როგორც პროლეტარიატის ბატონობა განსხვავდება ბურჟუაზიის ბატონობისაგან. მუშათა მმართველი კლასის წარმოებითს კავშირს არა აქვს ის მიზნები, ის მეთოდები და ის დისციპლინა, რომელიც აქვს დაჩაგრული კლასის ბრძოლის კავშირს. ჩვენში ყველა მუშა ეალდებულია შევიდეს კავშირში. მენშევიკები წინააღმდეგნი არიან ამისა. ეს ჩვენთვის სავსებით გასაგებია, იმიტომ რომ ისინი ფაქტიურად წინააღმდეგნი არიან **პროლეტარიატის დიქტატურისა**. ბოლოს და ბოლოს მთელი საქმე ამაში მდგომარეობს. კაუცკიანელები წინააღმდეგნი არიან პროლეტარიატის დიქტატურისა და მით წინააღმდეგნი არიან ყველა მისი შედეგებისა. ეკონომიური იძულება, ისე როგორც პოლიტიკური—სახელმწიფო—ხელობაა მხოლოდ მუშათა კლასის დიქტატურის თავისჩენისა ორ მჭიდროდ დაკავშირებულ დარგში. მართალია, აბრამოვიჩი ლრმა მოსაზრებებით გვიმტკიცებდა, რომ სოციალიზმის დროს იძულება არ იქნება, რომ ძალდატანების პრინციპი ეწინააღმდეგება სოციალიზმს, რომ სოციალიზმის დროს იმოქმედებს მოვალეობის გრძნობა, შრომისათვის შეჩვევა, შრომის მიმზიდველობაო და სხვა და სხვა, ეს უდავოა, მაგრამ საჭიროა მხოლოდ ამ უდავო ჭეშმარიტების გაფართოვება. საქმე იმაშია, რომ სოციალიზმის დროს არ იქნება თვით აპარატი იძულებისა, სახელმწიფო,—იგი სულერთიანად გაითქვიფება მწარმოებელ და მომხმარებელ კომუნაში. მიუხედავად ამისა, სოციალიზმის გზაზე გასაველელი გვაქვს სახელმწიფოებრივობის უმაღლესად დაჭიმვა. და ჩვენ თქვენთან

ერთად სწორედ ამ ხანაში ვცხოვრობთ. როგორც სანათი—ჩაქრობის წინ ერთბაშად გავარვარდება ხოლმე, ისე სახელმწიფო, ვიდრე გაქრებოდეს, ღებულობს პროლეტარიატის დიქტატურის ფორმას, ე. ი. ყველაზე უფრო დაუნდობელი სახელმწიფოს ფორმას, სახელმწიფოსი, რომელსაც ყოველის მხრით მბრძანებლურად ჩაბღუჯული აქვს მოქალაქეთა ცხოვრება. აი ეს წვრილმანი, ეს ისტორიული პაწია საფეხური—სახელმწიფოებრივი დიქტატურა—აბრამოვიჩმა და მისი სახით, მთელმა მენშევიზმმა, ვერ შენიშნა და წაიბორძიკა.

გარდა არმიისა, არავითარს სხვა ორგანიზაციას არ ჩაუბღუჯია წარსული ადამიანი ისეთი მძაფრი იძულებულებით, როგორც უმძიმეს გარდამავალ ხანაში ჩაბღუჯა იგი მუშათა კლასის სახელმწიფოებრივმა ორგანიზაციამ. სწორედ ამიტომ ვლაპარაკობთ ჩვენ შრომის **მილიტარიზაციის** შესახებ. მენშევიკებს შუბლზე უწერიათ მომხდარი ამბების კუდში დევნა და აღიარება რევოლიუციონური პროგრამის იმ ნაწილებისა, რომელთაც უკვე დაჰკარგეს პრაქტიკული მნიშვნელობა. ამჟამად მენშევიზმი თავისი განმარტებებით აღარ უარყოფს წითელი არმიის დეზერტირების და თეთრგვარდიელების განსჯა-გასამართლების კანონიერებას,—იგი იძულებულია აღიაროს ეს თავისი საკუთარი საეალალო ექსპერიმენტების შემდეგ, რომელიც მან „დემოკრატიაზე" მოახდინა. მან თითქოს გაიგო უკანა რიცხვით, რომ როცა კონტრრევოლიუციონერთა ბანდების პირისპირ სდგეხარ, არ შეიძლება თავის დაძვრენა ფრაზებით იმის შესახებ, რომ სოციალიზმის დროს წითელი ტეროური საჭირო არ იქნებაო. მაგრამ მეურნეობის სფეროში მენშევიკები კვლავ ცდილობენ ჩვენს გაგზავნას ჩვენს შვილებთან და განსაკუთრებით შვილისშვილებთან. მეურნეობის შენება კი გვიხდება ახლავე, ამ წუთში, ბურჟუაზიული საზოგადოების მძიმე მემკვიდრეობისა და ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სამოქალაქო ომის გარემოებაში.

მენშევიზმი, როგორც საზოგადოთ მთელი კაუკიანელობა, იხრჩობა დემოკრატიულ ბანალობასა და სოციალისტურ განყენებულ ცნებებში. კიდევ და კიდევ აშკარავდება, რომ მისთვის არ არსებობს გარდამავალი ხანის მიზნები, ე. ი. პროლეტარული რევოლიუცია. ამის გამო უსიცოცხლოა როგორც მისი კრიტიკა, ისე მისი წინადადებები, გეგმები და რეცეპტები. საქმე ის კი არ არის, თუ რა იქნება 20—30 წლის შემდეგ,—მაშინ, რა თქმა უნდა, ყველაფერი უკეთ იქნება,—არამედ ის, თუ როგორ დაეაღწიოთ დღეს თავი საერთო ნგრევა-ღლეევას, როგორ გავანაწილოთ ამჟამად მუშა ხელი, როგორ ავამაღლოთ დღეს შრომის ნაყოფიერება, როგორ მოვუაროთ იმ ოთხი ათას კვალიფიციურ მუშას, რომელიც არმიამ გადმოგვცა

ურალში. გავუშვათ ისინი, წავიდენ საითაც უნდათ: „ამხანაგებო, მიბრძანდით, სადაც უმჯობესია“? არა, ჩვენ ასე ვერ მოვიქცევით, ჩვენ ისინი ჩავსვით სამხედრო ეშელონებში და დავგზავნეთ ფაბრიკებსა და ქარხნებში.

„რილათი განირჩევა თქვენი სოციალიზმი,— ალმოსთქვამს ალბრამოვიჩი,—ეგვიპტური მონობისაგან? ფარაონები დაახლოვებით ასეთივე გზით აშენებდენ პირამიდებს, იძულებით ამუშავებდენ მასებს“. შეუდარებელი ანალოგიაა „სოციალისტისთვის“! აქ გამოტოვებულია იგივე წვრილმანი: ხელისუფლების კლასობრივი ბუნება. ალბრამოვიჩი ვერა ხედავს განსხვავებას ეგვიპტის რეჟიმსა და ჩვენს რეჟიმს შორის. მას დააეიწყდა, რომ ეგვიპტეში იყვნენ ფარაონები, იყვნენ მონათმფლობელნი და მონები. ეგვიპტის გლეხები თავიანთი საბჭოების საშუალებით კი არ სწყვეტდენ პირამიდების აშენების საკითხს— იქ იყო იერარქიულ-კასტური საზოგადოებრივი წყობილება,—და მშრომელებს ამუშავებდა კლასი, რომელიც მათი მტერი იყო. ჩვენში იძულებას ანხორციელებს მუშათა და გლეხთა ხელისუფლება მშრომელი მასების ინტერესების გულისთვის. აი რა ვერ შენიშნა ალბრამოვიჩმა. სოციალიზმის სკოლაში ჩვენ გვასწავლიდენ, რომ მთელი საზოგადოებრივი განვითარება დამყარებულია კლასებზე და მათს ბრძოლაზე, და ცხოვრების მთელი მსვლელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი კლასია ძალა-უფლების სათავეში და როგორი მიზნების გულისთვის ატარებს იგი თავის პოლიტიკას ცხოვრებაში. აი რა არ ესმის ალბრამოვიჩს. შეიძლება მან კარგად იცის ძველი ალთქმა, მაგრამ სოციალიზმი მისთვის ცხრაკლიტულში დაკეტილი წიგნია.

ლიბერალურ ზერელე ანალოგიებით, რომელნიც ანგარიშს არ უწევენ სახელმწიფოს კლასობრივს ბუნებას, ალბრამოვიჩს შეეძლო (და წარსულში მენშევიკები არაერთხელ მოქცეულან ასე) ერთნაირად განეხილა წითელი და თეთრი არმიაც. იქაც და აქაც სწარმოებდა მობილიზაციები უმთავრესად გლეხთა მასებისა. იქაც და აქაც ადგილი ჰქონდა იძულებას. იქაც და აქაც მრავალია ისეთი ოფიცერი, რომელთაც ცარიზმის ერთი და იგივე სკოლა გაეარეს. იგივე თოფი, იგივე პატრონები, ორივე ბანაკში,—რალაშია განსხვავება? განსხვავება არის, ბატონებო, და ეს განსხვავება განისაზღვრება ძირითადი ნიშნით: ვინა სდგას ხელისუფლების სათავეში? მუშათა კლასი თუ თავად-აზნაურობა, ფარაონები თუ გლეხები, თეთრგვარდიელობა თუ პეტერბურგის პროლეტარიატი. განსხვავება არის და მას მოწმობს იუდენიჩის, კოლჩაკის და დენიკინის ბედი. ჩვენში გლეხები სამობილიზაციოდ გამოჰყავდათ მუშებს, კოლჩაკთან კი—თეთრგვარდიელ ოფი

ცრებს. ჩვენი არმია შედუღდა და გამაგრდა, თეთრი ჯარი-კი დაიშალა და ნაცრად იქცა. არა, განსხვავება საბჭოთა რეჟიმსა და ფარაონების რეჟიმს შორის არის, —და ტყუილად არ დაიწყეს პეტერბურგის პროლეტარებმა თავიანთი რევოლიუცია იმით, რომ პეტერბურგის სამრეკლოებზე ტყვიით გულს უპობდენ ფარაონებს. *)

ერთი მენშევიკი ორატორი გაკვრით შეეცადა გამოვეყვანე მე მილიტარიზმის დამცველად საზოგადოდ. მისი ცნობებით, გამოდის თურმე, რომ მე ვიცავ,—არც მეტს, არც ნაკლებს,—გერმანიის მილიტარიზმს. თურმე მე ვამტკიცებდი, რომ გერმანელი უნტერ-ოფიცერი ბუნების მიერ შექმნილი სასწაულია და ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, უბადლო და შეუდარებელია . . . . ნამდვილად კი რას ვამბობდი მე? მხოლოდ იმას, რომ მილიტარიზმი, რომელშიაც საზოგადოებრივი განვითარების ყველა მხარე ჰპოვებს დასრულებულს, მკაფიო, მწვავე განსახიერებას, შეიძლება განხილულ იქნეს ორი მხრიდან: ჯერ ერთი, პოლიტიკური ანუ სოციალისტური მხრიდან,—და აქ იგი მთლად დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი კლასი სდგას ხელისუფლების სათავეში; და მეორე—ორგანიზაციული მხრიდან, როგორც სისტემა ვალდებულებისა, სწორი ურთიერთობისა, ნამდვილი პასუხისმგებლობისა, მტკიცე შემსრულებლობის სასტიკად განაწილებისა. ბურჟუაზიული არმია არის აპარატი მშრომელთა მხეცური ჩაგვრისა და დამონებისა; სოციალისტური არმია არის იარაღი მშრომელთა განთავისუფლებისა და დაცვისა. მაგრამ ისე რომ ნაწილი უსათუოდ მთელს ემორჩილება—არის საერთო თვისება ყოველი არმიისა. მკაცრი შინაგანი რეჟიმი განუყოფელია სამხედრო ორგანიზაციისაგან. ომის დროს ყოველგვარი დაუდევრობა, არაკეთილსინდისიერება და უბრალო შეცდომაც-კი ხშირად უამრავი მსხვერპლის გამომწვევია. ამიტომაც სამხედრო ორგანიზაცია სცდილობს უმაღლეს ხარისხამდე აიყვანოს გარკვეულობა, სიცხადე ურთიერთისადმი დამოკიდებულების და უდიდესი პასუხისმგებლობისა. ამგვარი „სამხედრო" თვისება ყველა დარგში ფასდება. მეც ამ აზრით ვსთქვი, რომ თავის სამსახურში ყოველი კლასი აფასებს ისეთს თავის წევრებს, რომელთაც, სხვა თანაბარ თვისებებთან ერთად, სამხედრო წვრთნა აქვთ მიღებული. მაგალითად, გერმანელი „კულაკი", რომელიც ყაზარმიდან გამოვიდა,

*) ასე უწოდებდენ შეფის პოლიციელებს, რომელნიც შინაგან საქმეთა მინისტრმა პროტოპოპოვმა 1917 წლის თებერვლის ბოლო რიცხვებში სახლების სახურავებში და სამრეკლოებში ჩაასაფრა.

როგორც ყოფილი უნტერ-ოფიცერი, წარმოადგენდა გერმანიის მონარქიისთვის და წარმოადგენს ახლა ებერტის რესპუბლიკისთვის უფრო მეტ ღირებულებას, მას უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე იმ „კულაკს", რომელსაც სამხედრო წვრთნა არ მიუღია. გერმანიის რკინის გზათა აპარატის უმაღლესს ხარისხამდე განვითარების მიზეზი რამდენადმე ის იყო, რომ საგზაო უწყება უნტერ-ოფიცრებს და ოფიცრებს იწვევდა სამსახურში. ამ მხრივ ჩვენც შეგვიძლია გადმოვიღოთ ზოგი რამ მილიტარიზმისაგან. ერთმა ჩვენმა ცნობილმა პროფესიონალურმა მომუშავემ, ამხ. ციპეროვიჩმა, აქ განაცხადა, რომ მუშა პროფესიონალისტი, რომელმაც გაიარა სამხედრო წვრთნა, რომელიც ერთი წლის განმავლობაში პოლკის კომისრის პასუხსაგებ როლს ასრულებდა, ამის გამო პროფესიონალური მუშაობისთვის გამოუსადეგარი არ გამხდარა. იგი დაუბრუნდა კავშირს ისეთივე თავიდან ფეხამდე პროლეტარი, როგორიც იყო წინად, იმიტომ პროლეტარიატის საქმისათვის რომ იგი იბრძოდა, მაგრამ იგი დაბრუნდა გამოწრთობილი, დავაჟკაცებული, უფრო დამოუკიდებელი და უფრო გაბედული, ვინაიდან იგი ხშირად იმყოფებოდა ძლიერ პასუხსაგებ მდგომარეობაში. იგი ხელმძღვანელობდა მრავალ ათას წითელ-არმიელს, რომელნიც შეგნების სხვადასხვა დონეზე იდგენ; ხოლო ამ წითელ-არმიელთა უმრავლესობას გლეხები წარმოადგენდენ. მან მათთან ერთად განიცადა გამარჯვებაც და დამარცხებაც, მას მათთან ერთად შეუტევია მტრისათვის და მათთან ერთად უკანაც დაუხევია. იყო შემთხვევები საკომანდო შემადგენლობის გამცემლობისა, „კულაკების" ამბოხებისა, პანიკისა, მაგრამ იგი თავის პოსტზე იდგა, აკავებდა ნაკლებად შეგნებულ მასას, მიმართულებას აძლევდა მას, სულს უდგამდა თავისი მაგალითით.სჯიდა გამცემლებს და საკუთარ ტყავისთვის მზრუნავებს. ეს გამოცდილება—დიდი და ძვირფასი გამოცდილებაა. და როდესაც პოლკის კომისარი უბრუნდება პროფკავშირს, იგი გვარიანი ორგანიზატორი ხდება.

კოლეგიალობის საკითხის შესახებ აბრამოვიჩის საბუთები ისეთი უსიცოცხლოა, როგორც მისი საბუთები ყველა საკითხის შესახებ,—საბუთები გარეშე მაყურებლისა, რომელიც მდინარის ნაპირას სდგას.

აბროვიჩმა თქვენ განგიმარტათ, რომ კარგი კოლეგია უკეთესია ცუდ ერთპიროვნულობაზე და რომ კარგ კოლეგიაში უნდა შედიოდეს კარგი სპეციალისტი. ყველაფერი ეს მშვენიერია,—მხოლოდ მენშევიკები რატომ არ მოგვაწოდებენ რამდენიმე ათას ასეთს კოლეგიას? მე მგონია, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მათ სა-

ქმეს უშოვის. მაგრამ ჩვენ, არა მაყურებლებმა, არამედ მომუშავეებმა უნდა ვაშენოთ იმ მასალიდან, რომელიც ხელთ მოგვეპოვება. ჩვენ გვყვანან სპეკები, რომელთაგან თუ ერთი მესამედი სინდისიერია და მცოდნე, მეორე მესამედი ნახევრად სინდისიერი და ნახევრად მცოდნეა, ხოლო მესამე მესამედი—არაფრად არ ვარგა. მუშათა კლასში ბევრნი არიან ნიჭით დაჯილდოვებულნი, თავდადებულნი და ენერგიულნი. ზოგიერთებს,—სამწუხაროდ ძალიან ცოტას,—აქვთ უკვე საჭირო ცოდნა და გამოცდილება. მეორეებს აქვთ ხასიათი და ნიჭი, მაგრამ არა აქვთ გამოცდილება და ცოდნა. მესამეებს—არც ერთი აქვთ, არც მეორე. ამ მასალიდან უნდა შეექმნათ ქარხნებისა და სხვა დაწესებულებათა გამგეობები, და აქ ზოგადი ფრაზებით ფონს ვერ გავალთ. პირველ ყოვლისა უნდა გამოვყოთ ყველა ის მუშა, რომელმაც გამოცდილებით უკვე დაგვიმტკიცა, რომ შეუძლია ხელმძღვანელობა გაუწიოს საწარმოო დაწესებულებას, და ასეთებს მივცეთ შესაძლებლობა დადგენ საკუთარ ფეხზე,—ასეთებს თვითონ სურთ ერთპიროვნულობა, იმიტომ, რომ ქარხნის გამგებლობა ქარხნის გამგებლობაა და არა სკოლა ჩამორჩენილთათვის. ძლიერს, საქმის მცოდნე მუშას სურს **მართოს**. თუ მან გადასწყვიტა და ბრძანება გასცა, მისი გადაწყვეტილება უნდა იქნეს შესრულებული. შეუძლიათ გამოსცვალონ იგი,—ეს სხვა საქმეა, მაგრამ სანამ საქმის პატრონია,—საბჭოთა, პროლეტარული საქმის პატრონი, იგი ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს საწარმოო დაწესებულებას სავსებით და მთლიანად. თუ მას ჩავრიცხავთ უფრო სუსტებისაგან შემდგარ კოლეგიაში, რომელნიც მართვა-გამგებლობაში ერევიან, საქმე ვერ გაკეთდება. ასეთს მუშა-ადმინისტრატორს უნდა მივცეთ სპეციალისტი თანაშემწე, ერთი ან ორი, იმის მიხედვით, თუ როგორია საწარმოო დაწესებულება. თუ შესაფერი მუშა-ადმინისტრატორი არ იშოვება, არამედ იშოვება კეთილსინდისიერი და მცოდნე სპეციალისტი, იგი უნდა დავაყენოთ წარმოების სათავეში, მივცეთ მას ორი-სამი ცნობილი მუშა თანაშემწეებად; სპეციალისტის ყველა გადაწყვეტილებას თანაშემწეები უნდა ეცნობოდენ, მაგრამ მათ არ უნდა ჰქონდეთ უფლება ამ გადაწყვეტილების გაუქმებისა. ისინი სპეციალისტთან ერთად შეასრულებენ მის სამუშაოს, თანდათან ზოგ რამეს შეისწავლიან და ნახევარი ან ერთი წლის შემდეგ ისინიც შესძლებენ დამოუკიდებელ ადგილის დაკავებას.

აბრამოვიჩს ჩემი სიტყვებიდან მოჰყავდა მაგალითი პარიკმახერისა, რომელიც დივიზიას და არმიას უფროსობდა. მართალია! მაგრამ აბრამოვიჩმა არ იცის, რომ, თუ ჩვენმა ამხანაგებმა-კომუნისტებ-

მა ხელი მოჰკიდეს პოლკების, დივიზიების და არმიების უფროსობას, ეს მოხდა იმიტომ, რომ ისინი წინეთ კომისრებად იყვნენ კომანდირ-სპეციალისტებთან. პასუხისმგებლობას ეწეოდა სპეციალისტი, რომელმაც იცოდა, რომ, თუ შეცდომას დაუშვებს, საკუთარი პასუხს აგებს და ვერ იტყვის, რომ იგი მხოლოდ „კონსულტანტია“ ან და „კოლეგიის წევრი“. ახლა ჩვენს არმიებში საკომანდო პოსტების უმრავლესობა, განსაკუთრებით დაბალ საფეხურებზე, ე. ი. პოლიტიკურად უფრო მნიშვნელოვან საფეხურებზე, უკავიათ მუშებს და მოწინავე გლეხებს. ხოლო საიდან დავიწყეთ ჩვენ ეს საქმე? ჩვენ ოფიცრებს ვაყენებდით საკომანდო პოსტებზე, მუშები კი კომისრებად გვყავდენ მიჩენილი და ესენი სწავლობდენ, სწავლობდენ წარმატებით და მათ შეისწავლეს კიდეც მტრის გაბერტყვა.

ამხანაგებო, ჩვენ ვსდგევართ ძნელი და შეიძლება უძნელესი პერიოდის წინაშე. ხალხთა და კლასთა ცხოვრების მძიმე პირობებმა გამოიწვიეს სასტიკი ზომები. რაც დრო გავა, მით უფრო თავისუფლად იგრძნობს თავს ყოველი მოქალაქე, მით უფრო შეუმჩნეველი გახდება პროლეტარიატის სახელმწიფოს იძულებითი ძალა. მაშინ შეიძლება მენშევიკებსაც მიეცეთ გაზეთების გამოცემის ნება, თუ კი მენშევიკები იმ დროს კიდევ იქნებიან. მაგრამ ახლა ჩვენ პოლიტიკური და ეკონომიური დიქტატურის ეპოქაში ვცხოვრობთ. მენშევიკები კი გაანაგრძობენ ამ დიქტატურის ძირის თხრას. როდესაც ჩვენ ვიბრძვით საშოქალაქო ფრონტზე, ვიცავთ რევოლიუციას მტრებისაგან, ხოლო მენშევიკების გაზეთი სწერს: „ძირს საშოქალაქო ომიო“, ამისი დაშვება არ შეგვიძლია. დიქტატურა არის დიქტატურა, ომი—ომია. და ახლა, როდესაც ჩვენი ქვეყნის საშეურნეო აღორძინების საქმეში ჩვენ დავადექით ძალთა უმაღლესი კონცენტრაციის გზას, რუსი კაუკიანელები, მენშევიკები, ერთგულნი რჩებიან თავიანთი კონტრრევოლიუციონური მოწოდებისა: მათი ხმა ძველებურად გაისმის, როგორც ხმა ეჭვის, რყევის, უნდობლობის და დაშლისა.

განა შემზარავი და სასაცილო არ არის, როდესაც ამ ყრილობაზე, სადაც შეგროვილია რუსეთის მუშათა კლასის გამპიროვნებელი ათას ხუთასი წარმომადგენელი, სადაც მენშევიკი 5%-ზე ნაკლებია, ხოლო კომუნისტი 90%-დე, აბრამოვიჩი გვეუბნება: „ნუ აჰყვებით იმგვარს მეთოდებს, როდესაც ერთი მუჭა ხალხი მთელი ხალხის მაგიერობას ეწევა“. „ყველაფერი ხალხის საშუალებით—ამბობს მენშევიკების წარმომადგენელი,—არავითარი ოპეკა მშრომელ მასაზე. ყველაფერი მშრომელთა მასების, ყველაფერი მათი თვითმოქმედების საშუალებით“. შემდეგ: „კლასის დარწმუნება არგუმენტებით არ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლებაო". შეხედეთ ამ დარბაზს, აი სად არის კლასი. მუშათა კლასი აქ არის ჩვენს წინაშე და ჩვენთან, და სწორედ თქვენ, მცირედი და უმნიშვნელო გროვა, სცდილობთ დააჯეროთ იგი თქვენი მეშჩანური არგუმენტებით. თქვენ გინდათ ამ კლასის ოპეკუნობა გასწიოთ. იცოდეთ, მას თავისი მაღალი თვითმოქმედება აქვს და ეს თვითმოქმედება მან გამოიჩინა, სხვათა შორის, იმაში, რომ თქვენ გადაგაგდოთ და თავისი გზით გასწია წინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX

კარლ კაუცკი, მისი სკოლა და მისი წიგნი.

წარსულში არა ერთხელ დაუპირდაპირებიათ ავსტრო-მარქსისტული სკოლა (ბაუერი, რენნერი, გილფერდინგი, მაქს ადლერი, ფრიდრიხ ადლერი) კარლ კაუცკის სკოლისთვის, როგორც ფარული ოპორტუნიზმი—ნამდვილი მარქსიზმისთვის. ეს დაპირისპირება გამოდგა წმინდაწყლის ისტორიული გაუგებრობა, რომლითაც ზოგი დიდხანს, ზოგი ნაკლებ ხანს სტყუვდებოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გარკვეით გამოაშკარავდა, რომ კარლ კაუცკი არის საფუძვლის ჩამყრელი და ყველაზე უფრო დასრულებული წარმომადგენელი მარქსიზმის ავსტრიული ყალბი მსგავსებისა. მაშინ, როდესაც ჭეშმარიტი მოძღვრება მარქსისა არის მოქმედების, შეტევის, რევოლიუციონური ენერგიის განვითარებისა და კლასობრივი თავდაცვის ბოლომდე მიყვანის თეორეტიული გამოხატულება,—ავსტრიული სკოლა გადაიქცა პასივობის და გადახვევის აკადემიად, გახდა ეულგარულ-ისტორიული და კონსერვატიული, ე. ი. მან მიზნად დაისახა ახსნა-განმარტება და გამართლება და არა მხილება, არა სამოქმედოდ და დასაბრძოლად მოწოდება; მან თავი დაიმკირა პარლამენტარული და პროფესიონალური ოპორტუნიზმის მიმდინარე საჭიროებათა მსახურის როლამდე; მან დიალექტიკა შესცვალა ურცხვი სოფისტიკით, და ბოლოს, რიტუალურ-რევოლიუციონური სიტყვების რახა-რუხის მიუხედავად, მის თავზე წამოსკუპებულ ტახტთან და საკურთხეველთან ერთად იგი გადაიქცა ყოვლად საიმედო დასაყრდნობად კაპიტალისტურ სახელმწიფოსთვის. თუ ეს ტახტი უფსკრულში გადაეშვა, ამაში ავსტრო-მარქსისტულ სკოლას არავითარი ბრალი არ ედება.

ავსტრო-მარქსიზმის დამახასიათებელია სიძულვილი რევოლიუციონური მოქმედებისა და შიში მის წინაშე. ავსტრო-მარქსისტი მზად არის გადაგვიშალოს თავისი ღრმა აზროვნება გუშინდელი დღის განმარტების საქმეში და საკმაო გამბედაობა ხვალინდელი დღის წი-

ნასწარმეტყველების დროს. მაგრამ დღევანდელი დღისთვის მას ყოველთვის აკლია ღრმა აზროვნება, დიდი მოქმედებისთვის მზადყოფა; დღევანდელი დღე მას ყოველთვის ეკარგება წვრილმან საზრუნავებში, რომელსაც შემდეგში ხსნის, როგორც ყოვლად აუცილებელს რგოლს წარსულისა და მომავალის გადასაბმელად.

ავსტრო-მარქსიზმი დაუშრეტელია, როდესაც საქმე ეხება იმ მიზეზების გამოძებნას, რომელნიც აბრკოლებენ ინიციატივას და აძნელებენ რევოლიუციონურ მოქმედებას. ავსტრო-მარქსიზმი მეცნიერული და თავმოწონებული თეორიაა პასივობისა და კაპიტულიაციისა. შემთხვევის მიზეზი არ არის, რასაკვირველია, რომ სწორედ ავსტრიაში, ამ ბაბილონში, რომელიც უნაყოფო ნაციონალური წინააღმდეგობებით იჯიჯგნება, ამ სახელმწიფოში, რომელიც წარმოადგენს არსებობისა და განვითარების შეუძლებლობის განხორციელებას, დაიბადა და გაძლიერდა რევოლიუციონური მოქმედების შეუძლებლობის ცრუ-მარქსისტული თეორია.

ყოველი გამოჩენილი ავსტრო-მარქსისტი წარმოადგენს თავისებურ „ინდივიდუალობას". სხვადასხვა საკითხებში ისინი არაერთხელ განსხვავდებოდენ ერთი მეორისაგან. მათ პოლიტიკური უთანხმოებაც მოსვლიათ ერთმანეთში, მაგრამ საერთოდ ისინი ერთსა და იმავე ხელის თითები არიან.

კარლ რენნერი ამ ტიპის ყველაზე უფრო დამშშვენებელი და მრჩობლი, ყველაზე უფრო თვითშეყვარებული წარმომადგენელია. სალიტერატურო მიბაძვის ან, უკეთ, სტილისტური მიმსგავსების ნიჭი მისი განსაკუთრებული თვისებაა. მისი საკვირაო, საპირველმაისო წერილები უაღრესად რევოლიუციონური სიტყვების მშვენიერი სტილით დამუშავებულს კომბინაციას წარმოადგენენ, რადგან სიტყვებს და მათს გადაბმას აქვს რაოდენადმე საკუთარი და დამოუკიდებელი ცხოვრება. რენერის წერილები მრავალი მუშის გულში აღვიძებდენ რევოლიუციონურ ცეცხლს, რასაც, როგორც ეტყობა, არასდროს არ განიცდიდა თვით ავტორი წერილებისა.

ხერელე, უშინაარსო ბზინვა ავსტრო-ვენური კულტურისა, გატაცება გარეგნულობით, ხარისხით, ტიტულით, თვისება იყო რენნერისა უფრო მეტად, ვიდრე დანარჩენი მისი თანამოძმეებისა. არსებითად იგი ყოველთვის სამეფო-საიმპერატორო მოხელე იყო, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა მარქსისტული ფრაზეოლოგია.

კარლ მარქსის შესახებ რევოლიუციონური პათოსით ცნობილი საიუბილეო წერილის ავტორის გადაჭცევა საოპერეტო კანცელად, რომელიც პატივისცემისა და მადლობის გრძნობით იხსენიებდა სკან-

დინველ მონარქებს, წარმოადგენს ისტორიის ყველაზე უფრო დამთავრებულ პარადოქსს.

ოტტო ბაუერი, რენნერზე უფრო სწავლული, პროზაიკული, სერიოზული და მოსაწყენია. არ შეგვიძლია უარვყოთ მისი ნიჭი წიგნების კითხვისა, ფაქტების შეკრებისა და დასკვნების გამოყვანისა, მაგრამ ყველა ამას აკეთებს იმის მიხედვით, თუ რა მიზნებს უყენებს მას პრაქტიკული პოლიტიკა, რომელსაც ჰქმნიან სხვები. ბაუერი მოკლებულია პოლიტიკურ ნებისყოფას. მისი მთავარი ოსტატობა იმაში მდგომარეობს, რომ უმწვავეს პრაქტიკულ საკითხებში ზოგადი ადგილებით დაკმაყოფილდეს. ძისი აზრი—პოლიტიკური აზრი,—რომელიც მუდამ მის ნებისყოფასთან პარალელურ ცხოვრებას ეწევა, მოკლებულია გამბედაობას. მისი ნაშრომი ყოველთვის უნივერსიტეტის სემინარის ნიჭიერი მოწაფის მეცნიერული კომპილაციაა. ავსტრიის ოპორტუნიზმის ყველაზე სამარცხვინო მოქმედება, ძალა-უფლების მქონეთა მიმართ ყველაზე მდაბალი ხელზე-მოსამსახურეობა სოციალ-დემოკრატიის მხრივ ბაუერში ჰპოვებდა ღრმა მოაზროვნე განმმარტებელს, რომელიც ზოგჯერ მოკრძალებით ეწინააღმდეგებოდა აზრის ფორმას, მაგრამ ყოველთვის ეთანხმებოდა მას არსებას. თუ ოდესმე ბაუერს გამოუჩენია ტემპერამენტისა და პოლიტიკური ენერგიის მსგავსი რამ, ეს მომხდარა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი რევოლიუციონური ფრთის წინააღმდეგ იბრძოდა და როდესაც იგი რევოლიუციონური მოქმედების **წინააღმდეგ** საბუთების, ფაქტების, ციტატების კორიანტელს აყენებდა. მისი უმაღლესი მომენტი იყო ის პერიოდი, როდესაც (1907 წლის შემდეგ) იგი, ჯერ ახალგაზრდა დეპუტატობისთვის, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მდივნის როლს ასრულებდა, აწვდიდა მას მასალას, ციფრებს, იდეის სუროგატებს, ინსტრუქტორობას ეწეოდა, სწერდა კონსპექტებს და თავის თავს ეჩვენებოდა დიდ მოსაქმედ, ნამდვილად კი—იყო მხოლოდ სუროგატების და ფალსიფიკატების მიმწოდებელი პარლამენტის ოპორტუნისტებისთვის.

მაქს ადლერი წარმოადგენს ავსტრო-გერმანული ტიპის საკმაოდ უცნაურს სახეს. იგი არის ლირიკოსი, ფილოსოფოსი, მისტიკოსი—ფილოსოფიური ლირიკოსი პასიფობისა, ისევე, როგორც რენნერი მისი პუბლიცისტი და იურისტია, ვილფერდინგი—მისი ეკონომისტი, ბაუერი—მისი სოციოლოგი. მაქს ადლერი ვერ დატეულა სამი განზომილების ქვეყანაში, თუმცა იგი მშვენიერად ეტეოდა ვენის მეშჩანურ სოციალიზმის და ჰაბსბურგის სახელმწიფოებრივობის ჩარჩოებში. იმ სახეობას, რომელსაც წარმოადგენდა მაქს ადლერი, უსია-

ძოვნო ხასიათს აძლევდა შეუღლება წვრილმანი ადვოკატური საქმიანობის და პოლიტიკური ქედმობრილობისა, რასაც თან ახლდა ფილოსოფიური თვალთმაქცობა და ეიდეალიზმის იაფი ყვავილები.

რუდოლფ გილფერდინგი, ვენელი, როგორც დანარჩენები, გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში შეიდა თითქმის როგორც მეამბოხე. მაგრამ მეამბოხე, ავსტრიულის „წრთობისა", ე. ი. ისეთი, რომელიც ყოველთვის მზად არის უბრძოლველად ქედი მოიხაროს, გარეგანი მოძრაობა და ფუსფუსი ავსტრიული პოლიტიკისა, რომლის წიაღშიაც გილფერდინგი აღიზარდა, მას, გილფერდინგს, მიაჩნდა რევოლიუციონურ ინიციატივად, და იგი ათეოდე თვის განმავლობაში მოითხოვდა, მართალია, ფრიად მორიდებულად, უფროინ იციატიურს პოლიტიკას გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელთაგან. მაგრამ თვითონ მას სწრაფად მოსცილდა ავსტრო ვენური ფუსფუსი. იგი მალე დაემორჩილა ბერლინის მექანიკურს რითმს და გერმანიის სოციალ-დემოკრატიის სულიერი ცხოვრების ავტომატიზმს. მან თავისი გონებრივი ენერგია გაასთავისუფლა წმინდა თეორეტიული სფეროსთვის, სადაც მან, მართალია, არა სთქვა დიდი სიტყვა,—არც ერთს ავსტრო-მარქსისტს არ უთქვამს დიდი სიტყვა არცერთს სფეროში,—მაგრამ მაინც დასწერა სერიოზული წიგნი. ამ წიგნით ხელგზე წამოიდებული, როგორც კარგი მზიდველი მძიმე ტვირთით, იგი შეიდა რევოლიუციონურ ხანაში. მაგრამ ფრიად მეცნიერულს წიგნსაც არ შეუძლია დაიკავოს ადგილი ნებისყოფის, ინიციატივის, რევოლიუციონური აღლოსი, პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა, ეროვნულისდაც შეუძლებელია მოქმედება... ექვმი განათლებით, გილფერდინგი მომხრეა სიფხიზლისა და მიუხედავათ თავისი თეორეტიული მომზადებისა, ყველაზე უფრო პრიმიტიული ემპირიკოსია პოლიტიკის საკითხების სფეროში. მისთვის დღევანდელი დღის მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ არ გადასცდეს იმ ნაკვალევს, რომელიც უანდერძა მას გუშინდელმა დღემ, და რომ ამ კონსერვატიულობისა და მეშჩანობის სიდუნეს მოუნახოს მეცნიერულ-ეკონომიური გამართლება.

ფრიდრიხ ადლერი ავსტრო-მარქსისტული ტიპის ყველაზე ნაკლები წონასწორობის მქონე წარმომადგენელია. მან მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო პოლიტიკური ტემპერამენტი. ავსტრიული პირობების აწეწილობასთან წვრილმან და დამჭანცავ ბრძოლაში ფრიდრიხ ადლერმა ნება მისცა თავის ირონიულს სკეპტიციზმს საბოლოოდ დაემსხვერა რევოლიუციონური საფუძვლები თავისი მსოფლ-მხედველობისა. მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული ტემპერამენტი ორაერთხელ აგდებდა მას ოპოზიციაში თავისი მამის მიერ შექმნილი სკოლის წი-

ნაალმდეგ. ზოგიერთ მომენტებში ფრიდრიხ ადლერი შეიძლებოდა გვჩვენებოდა ავსტრიული სკოლის რევოლიუციონურ უარყოფად. ნამდვილად კი იგი იყო და არის ამ სკოლის აუცილებელი დაგვირგვინება. მისი მფეთქავი რევოლიუციონერობა მოასწავებდა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნას ავსტრიული ოპორტუნიზმისას, რომელსაც დრო-გამოშვებით ეშინოდა თავისი საკუთარი არსებობისა.

ფრიდრიხ ადლერი სკეპტიკოსია სისხლით-ხორცამდე: მას არა აქვს რწმენა მასის და მისი მოქმედების უნარისა. მაშინ როდესაც კარლ ლიბკნეხტი გერმანიის მილიტარიზმის უმაღლესი გამარჯვების ჟამს პოტსდამის მოედანზე გამოვიდა და დაჩაგრულ მასებს ბრძოლისთვის მოუწოდა, ფრიდრიხ ადლერი ბურჟუაზიულ რესტორანში შევიდა ავსტრიის მინისტრ-პრეზიდენტის მოსაკლავად. ამ ნაბიჯით ფრიდრიხ ადლერი უნაყოფოდ შეეცადა ბოლო მოეღო თავისი საკუთარი სკეპტიციზმისთვის. ამ ისტორიულ ძალთა დაჭიმვის შემდეგ იგი უფრო უკიდურეს სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

სოციალ-პატრიოტიზმის შავ-ყვითელმა ხროვამ (აუსტერლიცი, ლეიტნერი და სხვ.) ადლერ-ტეროროისტს ლაჩრის პათოსის ლაფი გადაასხა. მაგრამ როდესაც მწვავე ხანა უკან დაჩნა და უძღები შვილი საკატორლო საპყრობილედან მოწამის შარავანდედით მოსილი მამის სახლს დაუბრუნდა, იგი ამ სახით ერთი-ორად და ერთი-სამად ძვირფასი აღმოჩნდა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიისთვის. ტეროროისტის ოქროს შარავანდედი პარტიის გამოცდილმა ყალბი ფულის მჭრელებმა დემაგოგიის იარაღად გადააქციეს. ფრიდრიხ ადლერი გადაიქცა აუსტერლიცების და რენერების საქმეების ნაფიც თავმდებად მასების წინაშე. საბედნიეროდ, ავსტრიელი მუშები ფრიდრიხ ადლერის სანტიმენტალურ-ლირიკულ პროსტრაციას სულ უფრო ნაკლებად განასხვავებენ რენნერის მალალ აღფრთოვანებული სიმდაბლის, მაქს ადლერის მალალ-ტალმუდიური იმპოტენციისა ან ოტტო ბაუერის ანალიტიური თავმომწონეობისაგან.

დაისვა თუ არა რევოლიუციონური ეპოქის დიდებული მიზნები, ერთიანად და მთლიანად იჩინა თავი ავსტრო-მარქსისტული სკოლის თეორეტიკოსთა აზროვნების სიმხდალემ. თავის უკანდაკანა ცდაში —შეეტანა საბჭოების სისტემა ებერტ-ნოსკეს კონსტიტუციაში, გილფერდინგმა ვამოხატა არა მარტო თავისი სულისკვეთება, არამედ სულისკვეთება მთელი ავსტრო-მარქსისტული სკოლისაც, რომელიც რევოლიუციურ ეპოქის დაწყებისასვე შეეცადა დამდგარიყო კაუცკიზე მარცხნივ სწორედ იმდენად, რამდენადაც რევოლიუციამდე მის მარჯვნივ იდგა.

ამ თვალსაზრისით მეტის მეტად საყურადღებოა მაქს ადლერის შეხედულება საბჭოთა სისტემაზე.

ვენელი ფილოსოფოს-ეკლექტიკოსი აღიარებს საბჭოთა მნიშვნელობას. მისი გაბედულობა ისე შორს წავიდა, რომ მან იშვილა კიდეც საბჭოები. იგი პირდაპირ აცხადებს საბჭოებს სოციალური რევოლიუციის აპარატად. მაქს ადლერი, რასაკვირველია, მომხრეა სოციალური რევოლიუციისა, მაგრამ არა შფოთიანი, ბარიკადებიანი, ტერორისტული, სისხლიანი რევოლიუციისა, არამედ გონიერული, ხელმოჭერილი, შეთანხმორებული, იურიდიულად კანონებში ჩამოსხმული, ფილოსოფოსთა უბანში მოწონებული რევოლიუციისა.

მაქს ადლერს ისიც-კი არ აშინებს, რომ საბჭოები არღვევენ ხელისუფლებათა კონსტიტუციონური განცალკევების „პრინციპს" (ავსტრიის სოციალ-დემოკრატიაში ცოტა არ არის ისეთი ჩერჩეტი, რომელიც ასეთს დარღვევაში ხედავს საბჭოთა სისტემის უდიდეს ნაკლს). პირიქით, პროფესიონალური კავშირების ვექილი და სოციალური რევოლიუციის იურისკონსულტი, მაქს ადლერი, უპირატესობასაც კი ხედავს ხელისუფლებათა შერევაში, რომელიც უზრუნველყოფს პროლეტარიატის ნებისყოფის უშუალო გამოხატვას. მაქს ადლერი მომხრეა პროლეტარიატის ნებისყოფის უშუალოდ გამ-ხატვისა. მაგრამ არა საბჭოების შემწეობით ძალა-უფლების ხელში ჩაგდების გზით. ის უფრო საიმედო მეთოდს იძლევა. ყოველ ქალაქში, რაიონში, უბანში მუშათა საბჭოებმა „კონტროლი" უნდა გაუწიონ პოლიციელებს და სხვა მოხელეებს და მათ „პროლეტარიატის ნებისყოფა" მოხვიონ კისერზე. როგორი უნდა იყოს „სახელმწიფოებრივ-უფლებრივი" მდგომარეობა საბჭოებისა ზეიცის, რენნერის და ამხანაგობის რესპუბლიკაში? ამის საპასუხოდ ჩვენი ფილოსოფოსი ამბობს: „მუშათა საბჭოები ბოლოს და ბოლოს მიიღებენ იმდენს სახელმწიფოებრივ-უფლებრივ ძალიერებას, რამდენსაც ისინი საკუთარი მოქმედებით და მოღვაწეობით უზრუნველყოფენ თავიანთთვისო". (Arbeiterzeitung № 179, 1 Juli 1919).

პროლეტარული საბჭოები თანდათან უნდა **ჩაექსოვონ** პროლეტარიატის პოლიტიკურ ხელისუფლებას, როგორც წინეთ, რეფორმიზმის თეორიით, ყველა პროლეტარული ორგანიზაცია უნდა ჩაქსოვოდა სოციალიზმს, რასაც ცოტაოდნად ხელი შეუშალა იმ გაუთვალისწინებელმა გაუგებრობამ, რომელსაც ოთხი წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ცენტრალურ სახელმწიფოებსა და ანტანტას შორის, და ყველაფერმა იმან, რაც მას შედეგად მოჰყვა. იძულებულნი გახდენ ხელი აეღოთ სოციალური რევოლიუციის მოუხდენლად სოცია-

ლიზმში გეგმაშეზომილად ჩაქსოვის პროგრამისაგან. მაგრამ სამაგიეროდ გაიხსნა ახალი პერსპექტივა საბჭოების გეგმაშეწონილი ჩაქსოვისა სოციალურ რევოლიუციაში—შეიარაღებული აჯანყების მოუხდენლად და ძალა-უფლების ხელში ჩაუგდებლად.

რათა საბჭოები არ ჩაეფლონ რაიონთა და უბანთა საქმეებში, გამბედავი იურისკონსულტი წინადადებას იძლევა—გაწეულ იქნეს სოციალ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდა. პოლიტიკური ძალაუფლება ძველებურად ბურჟუაზიის და მათ თანაშემწეთა ხელში დარჩება. მაგრამ სამაგიეროდ რაიონებსა და უბნებში საბჭოები კონტროლს გაუწევენ ბოქაულებსა და პოლიციელებს. ხოლო მუშათა კლასის სანუგეშებლად და მისი აზრისა და ნებისყოფის ცენტრალიზაციისათვის, მაქს ადლერი კეთილობით წაიკითხავს რეფერატებს საბჭოების სახელმწიფოებრივ უფლებრივ მდგომარეობაზე, როგორც წარსულში კითხულობდა იგი რეფერატებს პროფესიონალური კავშირების სახელმწიფოებრივ-უფლებრივ მდგომარეობაზე.

„ამ გზით,—გვპირდება ადლერი,—სახელმწიფო-საზოგადოებრივი ცხოვრების მთელს ხაზზე უზრუნველყოფილი იქნება მუშათა საბჭოების სახელმწიფოებრივ-უფლებრივი განწესრიგება, საბჭოების წონა და მნიშვნელობა და—საბჭოთა დიქტატურის განუხორციელებლად—საბჭოთა სისტემა მოიმოქმედებს ისეთს გაელენას, რომელზე მეტიც მას არ შეიძლება ჰქონდეს საბჭოების რესპუბლიკაშიც, ამავე დროს არ მოგვიხდებოდა ამ გაელენის სყიდვა პოლიტიკური ჭარიშხლით და ეკონომიური დარღვევებით“ (იქვე). როგორც ჰხედავთ, ყველა სხვა სიკეთეს გარდა, მაქს ადლერი რჩება ავსტრიულ ტრადიციებთან შეთანხმებული: მას სურს რევოლიუცია მოახდინოს ისე, რომ ჩხუბი არ მოუვიდეს ბატონ პროკურორთან.

* * *

ამ სკოლის მამამთავარი და მისი უმაღლესი ავტორიტეტი კაუცკია. გულმოდგინეთ იცავს რა, განსაკუთრებით დრეზდენის პარტიტაგსა და რუსეთის პირველ რევოლიუციას შემდეგ, მარქსისტული ორთოდოქსალობის დარაჯის რეპუტაციას, კაუცკი დრო-გამოშვებით უკმაყოფილოდ იქნევდა თავს თავისი ავსტრიული სკოლის საკბაოდ სახელის-გამტეხ საქციელთა გამო. განსვენებული ვიქტორ ადლერის მაგალითის მიხედვით, ბაუერი, რენნერი, გილფერდინგი,—ყველა ერთად და თვითეული ცალ-ცალკე—კაუცკის სთვლიდენ ძალზე პედანტურ, ძალზე მოუხეშავ, მაგრამ ამავე დროს ძალიან პატივცემულ და სრულიად სასარგებლო მამად და კვიეტიზმის ეკლესიის მასწავლებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაუცკიმ სერიოზული შიში ალუძრა საკუთარ სკოლას თავისი რევოლიუციონური კულმინაციის ხანაში, რუსეთის პირველი რევოლიუციის დროს, როდესაც მან საჭიროდ აღიარა სოციალ-დემოკრატიის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება და შეეცადა რუსეთის საყოველთაო გაფიცვის ცდიდან გამოტანილი დასკვნები გერმანიის მუშათა კლასისთვის დაეგენო. რუსეთის პირველი რევოლიუციის დამარცხებამ ერთბაშად შესწყვიტა კაუცკის ევოლიუცია რადიკალიზმის გზაზე. რაც უფრო უშუალოდ სვამდა მასიური მოქმედების საკითხებს თვით გერმანიის ცხოვრება, მით უფრო მიხვეულ-მოხვეული ხდებოდა ამ საკითხებისადმი კაუცკის დამოკიდებულება. იგი ერთს ადგილს სტკეპნიდა, უკან იხევდა, რწმენას ჰკარგავდა და მისი აზროვნების პედანტურ-სხოლასტიური მხარეები უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდებოდა. იმპერიალისტურმა ომმა, რომელმაც ყოველგვარ გამოურკვეველობას ბოლო მოუღო და ყველა ძირითადი საკითხი გადასაჭრელად დასვა, გამოააშკარავა კაუცკის სრული პოლიტიკური სიკოტრე. უმარტივესმა საკითხმა საშხედრო კრედიტებისათვის ხმის მიცემის შესახებ ერთბაშათ უიმედოთ დაუბნია მას დავთარი. ამას შემდეგ მთელი მისი ნაწერები ერთსა და იმავე თემისა ვარიაციას წარმოადგენენ: „მე და ჩემი არევ დარევა". რუსეთის რევოლიუციამ საბუდამოდ ბოლო მოუღო კაუცკის. მთელმა წარსულმა ვითარებამ მას მტრული განწყობილება ჩაუნერგა პროლეტარიატის ნოემბრის გამარჯვებისადმი. ამას აუცილებლად უნდა გადაესროლა იგი კონტრ-რევოლიუციის ბანაკში. მან დაჰკარგა ისტორიული ალღოს ნატამალიც-კი. მისი შემდგომი ნაწერები ბურჟუაზიული ბაზრის ყვითელ ლიტერატურად გადაიქცენ.

ჩემს მიერ გარჩეული კაუცკის წიგნი გარეგნულად აღჭურვილია ეგრედწოდებული ობიექტიური მეცნიერული შრომის ყველა თვისებით. საკითხს წითელი ტერორის შესახებ კაუცკი იკვლევს ისევე დალაგებულად და დაწვრილებით, როგორც მას ყოველთვის სჩვევია. იგი იწყებს ამ სოციალური პირობების შესწავლიდან, რომელთაც ნიადაგი მოუმზადეს საფრანგეთის დიდ რევოლიუციას; არ იციწყებს აგრეთვე ფიზიოლოგიურ და სოციალურ მიზეზებს, რომელთაც ხელი შეუწყეს სიმკაცრისა და ჰუმანიურობის გაბეითარებას კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში. ბოლშევიზმისთვის მიძღვნილ წიგნაკში, სადაც საკითხი განხილულია 154 გვერდზე, კაუცკი დაწვრილებით მოგვითხრობს, რითი იკვებებოდა ჩვენი ადამიანის მსგავსი ძველის-ძველი წინაპარი, და ფიქრობს, რომ იგი, იკვებებოდა რა უმთავრესად მცენარეულობით, მიირთმევდა კიდეე მწერებს და. შეი-

ძლება, ზოგიერთ ფრინველსაც (იხ. გვ. 95). ერთის სიტყვით, არაერთარი საბუთი არ იყო გვეფიქრა, რომ ასეთ სრულიად კეთილსაიმედო აშკარა ვეგეტარიანობის მომხრე წინაპრისაგან წარმოიშობოდა ასეთი სისხლისმსმელი შთამომავლობა, როგორიც ბოლშევიკები არიან. აი, როგორ ღრმა მეცნიერულ საფუძველზე დასვა საკითხი კაუწკიმ.

მაგრამ როგორც ამგვარ ნაწარმოებს ხშირად სჩვევია, აკადემიურ-სქოლასტიური მოკაზმულობის შიგნით ცბიერი პოლიტიკური პამფლეტი იმალება. ეს არის ყოველად მატყუარა და უსინდისო წიგნი. განა დაუჯერებელი არ არის, რომ კაუწკი ბოლშევიკების შესახებ თავს უყრის უსასიზღვრეს ჭორებს ჰავასის, რეიტერის და ვოლფის მდიდარი სუფრიდან და აბნაირად მეცნიერის ქუდის მიუხედავად აშკარად გვიჩვენებს სიკოფანტის ყურებს. მაგრამ ეს უსუფთაო წვრილმანები მხოლოდ მოზაიკური სამკაულებია საბჭოთა რესპუბლიკის და მის მმართველ პარტიისადმი მიძღვნილი დარბაისლური მეცნიერული სიცრუის ძირითად ფონზე.

კაუწკი ყოველად შავი ფერადებით ჰხატავს ჩვენს სიმკაცრეს ბურჟუაზიის მიმართ, რომელიც „წინააღმდეგობის გაწევის სურვილს არ იჩენდა".

კაუწკი ჭიცხავს ჩვენს დაუნდობლობას სოციალისტ-რევოლიუციონერებისა და მენშევიკების მიმართ, რომელნიც მხოლოდ „მიმდინარეობები" არიან სოციალიზმში.

კაუწკი საბჭოთა მეურნეობას ნგრევა-რღვევის ქაოსათ ჰხატავს.

კაუწკის საბჭოთა მომუშავენი და მთლად რუსის მუშათა კლასი გამოჰყავს ეგოისტთა, უსაქმურთა და საკუთარი ტყავის თაყვანისმცემელთა ხროვად.

იგი ერთი სიტყვითაც არ ეხება რუსის ბურჟუაზიის ყოფაქცევას, ისტორიაში არგაგონილ მის საზიზღრობას, მის გამომცემლობას ეროვნულ საქმეში: „პედაგოგიურის" მიზნით რიგის გერმანელებისთვის გადაცემას; ასეთსავე მზადებას პეტერბურგის გადასაცემად; რუსის მუშების და გლეხების წინააღმდეგ უცხო ქვეყნის—ჩეხო-სლოვაკიის, გერმანიის, რუმინიის, ინგლისის, იაპონიის, საფრანგეთის, არაბეთის და ნეგრების—ჯარის მოწვევას, მის შეთქმულობებს და მკვლელობებს ანტანტის ფულით; მის მიერ ბლოკადის გამოყენებას არა მარტო ჩვენი ბავშვების ამოსაღლეტად და დასაუძლურებლად, არამედ სისტემატიურად, დაუღალავად და დაჟინებით გაუგონარი სიცრუისა და ცილისწამების გავრცელებისთვის მთელ ქვეყანაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ერთი სიტყვითაც არ ეხება იმ საზიზღარ დევნას და ძალადობას, რომელიც ჩაიდინეს ჩვენი პარტიის მიმართ ეს-ერებისა და მენშევიკების მთავრობებმა ნოემბრის გადატრიალებამდე; არ ეხება პარტიის რამდენიმე ათასი პასუხისმგებელი მუშაკის სისხლის სამართალში მიცემას და ჰოჰენცოლერნთა გერმანიის სასარგებლოთ მათთვის ჯაშუშობის დაბრალებას; მენშევიკებისა და ეს-ერების მონაწილეობას ბურჟუაზიის ყველა შეთქმულობაში, მათ თანმშრომლობას შეფის გენერლებთან და ადმირალებთან,—კოლჩაკთან, დენიკინთან და იუდენიჩთან; ტერორისტულ აქტებს, რომელსაც ანტანტის შეკვეთით ახდენდენ ეს-ერები, აჯანყებებს, რომელსაც უკბოვეთის საელჩოების ფულით ეს-ერები აწყობდენ ჩვენს არმიაში მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი სისხლსა ღვრიდა იმპერიალიზმის მონარქისტულ ბანდიტებთან ბრძოლაში.

კაუცკი სიტყვას არა სძრავს იმის შესახებ, რომ ჩვენ არა მარტო მრავალჯერ გაგვიცხადებია, არამედ საქმითაც დაგვიმტკიცებია ჩვენი მზადყოფნა; თუნდაც დათმობითა და მსხვერპლის გაღებით, უზრუნველგვყო მშვიდობიანობა ჩვენი ქვეყნისათვის, რომ მიუხედავად იმისა, ჩვენ იძულებულნი ვიყოთ ვიომოთ ყველა ფრონტზე, რათა დავიცვათ არსებობა ჩვენი ქვეყნისა და ავიცდინოთ მისი ინგლისსაფრანგეთის კოლონიად გადაქცევა.

კაუცკი სიტყვას არა სძრავს იმის შესახებ, რომ ამ გმირული ბრძოლის დროს, რომლითაც ჩვენ ვიცავთ მსოფლიო სოციალიზმის მომავალს, რუსეთის პროლეტარიატი იძულებულია ხარჯოს თავისი მთავარი ენერგია, თავისი საუკეთესო და უძვირფასესი ძალები, რომ იგი იძულებულია ჩამოაშოროს ეს ძალები ეკონომიურსა და კულტურულ აღშენებლობას.

მთელს თავის წიგნაკში კაუცკი იმასაც კი არ იხსენიებს, რომ ჯერ გერმანიის მილიტარიზმმა, თავისი შეიდემანების დახმარებით და თავისი კაუცკების დაუდევრობით, შემდეგ ანტანტის ქვეყნების მილიტარიზმმა, რენოდელების დახმარებით და ლონგეების დაუდევრობით, რკინის ბლოკადა შემოგვარტყა, ხელთ იგდო ყველა ჩვენი ნავთსადგური, მოგვწყვიტა მთელს დედამიწას, დაქირავებულ თეთრგვარდიელთა ბანდების საშუალებით დაიჭირა ნედლი მასალით მდიდარი ტერიტორიები, დიდის ხნით ჩამოგვაშორა ბაქოს ნავთი, დონის ნახშირი, დონისა და ციმბირის პური და თურქესტანის ბამბა.

კაუცკი სიტყვას არ სძრავს იმის შესახებ, რომ აუტანელ პირობებში რუსეთის მუშათა კლასი თითქმის სამი წლის განმავლობაში უძღვებოდა და უძღვება გმირულ ბრძოლას 8.000 ვერსიან ფრონტზე

თავისი მტრების წინააღმდეგ: რომ რუსეთის მუშათა კლასმა შესძლო ჩაქუჩი ხმალზე შეეცვალა და შეექმნა უძლიერესი არმია; რომ ამ არმიისთვის მან ფეხზე დააყენა თავისი ღონემიხდილი მრეწველობა და, მიუბედავად ჩვენი ქვეყნის აოხრებისა, ქვეყნისა, რომლისთვისაც მთელი მსოფლიოს ჯალათებმა არ დაიშურეს ბღოკადა და საშოქალაქო ომი, იგი სამი წლის განმავლობაში საკუთარი ძალითა და საშუალებით აკმევს, აქმევს, აიარაღებს მილიონიან ჯარს, გადაჭყავ-გადმოჭყავს იგი, ის ჯარი, რომელმაც მაინც ისწავლა მტრებზე გამარჯვება.

ყველა ამაზე გაჩუმებულია კაუცკი იმ წიგნაკში, რომელიც დაწერილია რუსეთის კომუნიზმის შესახებ. და მისი სიჩუმე არის ძირითადი, უდიდესი და მთავარი სიცრუე, თუმცა პასიური, მაგრამ უფრო ბოროტი და საზიზღარი, ვიდრე საერთაშორისო ბურჟუაზიული პრესის ყველა ავაზაკის ერთად აღებული აქტიური სიცრუე.

ცილს სწამებს რა კომუნისტურ პარტიას, კაუცკი არსად არ ამბობს, —რა სწადია მას და რას ეტრფის იგი. რუსეთის რევოლიუციის ასპარეზზე ბოლშევიკები მარტონი არ მოქმედობდენ. ამ ასპარეზზე ვხედავდით და ვხედავთ,—ხან ძალა-უფლების სათავეში, ხან ოპოზიციაში,—ესერებს (არა ნაკლებ ხუთი ჯგუფი და მიმართულებაა), მენშევიკებს (არა ნაკლებ სამი მიმართულებისა), პლეხანოველებს, მარქსისტებს, ანარქისტებს... „სოციალიზმის" ყველა მიმდინარეობამ (კაუცკის ენით ვიტყვით) სცადა თავისი ძალა და დაგვანახვა, რა სურს და რა შეუძლია. „მიმდინარეობა" იმდენად ბევრია, რომ მეზობელთა შეჯენმის ყუნწიც არ ჩავარდება. თვით ამ „მიმდინარეობათა" წარმოშობა შემთხვევითი არ არის: ისინი წარმოადგენენ რევოლიუციამდე არსებულ სოციალისტურ პარტიათა და ჯგუფთა უუდიდესი რევოლიუციონური ეპოქის პირობებთან შეგუების, ასე ვთქვათ, სხვადასხვა ვარიანტებს. თითქოს კაუცკის წინაშე საკმაოდ სრული პოლიტიკური კლავიატურაა იმისთვის, რომ გვიჩვენოს ის კლავიში, რომელიც იძლევა სწორე მარქსისტულ ტონს რუსეთის რევოლიუციაში, მაგრამ კაუცკი სდუმს. იგი უარჰყოფს ბოლშევიკურ მელოდიას, რომელიც მის ყურთა სმენას ეხამუშება, მაგრამ იგი არ ეძებს სხვა მელოდიას. ადვილი გამოსაცნობია—რად: **ძველ ტაპიორს, საერთოდ, არა სურს დაუკრახ რევოლიუციის იარაღზე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლოსიტყვაობის მაგივრ.

ეს წიგნი გამოდის იმ დროს, როდესაც იკრიბება კომუნისტური ინტერნაციონალის მესამე კონგრესი. პროლეტარიატის რევოლიუციონურმა მოძრაობამ დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ პირველი კონგრესის შემდეგ განვლილ თვეებში. ოფიციალური, აშკარა სოციალ-პატრიოტების პოზიცია შეირყა ყველგან. კომუნიზმის იდეები უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება. უმოწყალოდ სახელგატეხილია ოფიციალური, გადოგმატებული კაუცკიანობა. თვით კაუცკი იმ „დამოუკიდებელ" პარტიის წიაღში, რომელიც მან წარმოშვა, ნაკლებად ავტორიტეტულ და საკმაოდ სასაცილო პიროვნებას წარმოადგენს.

მაგრამ ძაინც საერთაშორისო მუშათა კლასის რიგებში ნამდვილი იდეური ბრძოლა მხოლოდ ამჟამად იწყება. თუ, როგორც ახლა ვთქვით, გადოგმატებულ კაუცკიანობას სული ხდება, და შუაში მდგომი სოციალისტური პარტიების ბელადები იჩქარიან ჩამოშორდენ მას, კაუცკიანობა, როგორც მეშჩანური სულიერი განწყობილება, როგორც უმოქმედობის ტრადიცია, როგორც პოლიტიკური სიმხდალე, ჯერ კიდევ დიდს როლს თამაშობს მთელი მსოფლიოს მუშათა ორგანიზაციების ზედაფენებში, თვით იმ პარტიებშიაც კი, რომელნიც მესამე ინტერნაციონალისკენ იხრებიან და ფორმალურად ემხრობიან კიდეც მას.

გერმანიის დამოუკიდებელი პარტია, რომელმაც დროშაზე პროლეტარიატის დიქტატურა დაიწერა, ითვლის თავის რიგებში კაუცკის ჯგუფს, რომლის მთელი ძალღონე მიმართულია იქითკენ, რომ თეორეტიულად სახელი გაუტეხოს და ჩირქი მოსცხოს პროლეტარიატის დიქტატურას, მისი ცოცხალი გამოხატულების—საბჭოთა ხელისუფლების სახით. სამოქალაქო ომის პირობებში ამგვარი ერთად ცხოვრება წარმოსადგენია იმდენად და იმ დრომდე, რამდენადაც და ვიდრე „დამოუკიდებელი" სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელი წრეებისთვის პროლეტარიატის დიქტატურა წარმოადგენს კეთილ სურვილს, უფორმო პროტესტს ნოსკეს, ებერტის, შეიდემანის აშკარა და საბან-

ცხვინო გამცემლობის წინააღმდეგ და,—რასაც უკანასკნელი მნიშვნელობა არა აქვს—საარჩევნო და საპარლამენტო დემაგოგიის იარაღს.

უფორმო კაუცკიანობის გამძლეობას ყველაზე ნათლად საფრანგეთის ლონგეტისტების მაგალითი გვიჩვენებს. თვით ეან ლონგემ სრულიად გულწრფელად დააჯერა თავისი თავი და დიდხანს სხვების დაჯერებასაც სცდილობდა, რომ ის ფეხდაფეხ მოგვყვება ჩვენ და რომ ჩვენს ძმობას საერთო ბრძოლაში ხელს უშლის მხოლოდ კლემანსოს ცენზურა და ჩვენი ფრანგი მეგობრების ლორიოს, მონატის, როსმერის და სხვათა ცილისწამებანი. ნამდვილად კი საკმარისია გაეცნოთ ლონგეს რომელსამე საპარლამენტო სიტყვას და დარწმუნდებით, რომ ის უფსკრული, რომელიც გვაშორებს ჩვენ ამჟამად, შეიძლება უფრო ღრმა არის, ვიდრე იმპერიალისტური ომის პირველ პერიოდში იყო. რევოლიუციონური ამოცანები, რომელნიც ამ ჟამად სდგანან საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე, უფრო სერიოზული, უშუალო და გრანდიოზული, უფრო პირდაპირი და გარკვეული აღმოჩნდენ, ვიდრე 5—6 წლის წინეთ, და პოლიტიკური რეაქციონერობა ლონგეტისტებისა, ამ მარადიული პასიეობის საპარლამენტო წარმომადგენლებისა, უფრო შესამჩნევი გახდა ახლა, ვიდრე როდისმე, თუმცა ფორმალურად ისინი საპარლამენტო ოპოზიციის წიაღს დაუბრუნდენ.

იტალიის პარტია, რომელიც მე-III ინტერნაციონალის შემადგენლობაში შედის, სულაც არ არის თავისუფალი კაუცკიანობისაგან. რაც შეეხება ბელადებს, მათგან ძლიერ მნიშვნელოვანი ნაწილი ატარებს ინტერნაციონალისტურ საჭურველს მხოლოდ თანამდებობის გულისთვის და ქვეყიდან იძულების გამო. 1914—1915 წლებში იტალიის სოციალისტური პარტიისთვის გაცილებით უფრო ადვილი იყო, ვიდრე სხვა ევროპიული პარტიებისთვის, ომისადმი ოპოზიციონური განწყობილების შერჩენა, როგორც იმიტომ, რომ იტალია სხვა ქვეყნებზე ცხრა თვით გვიან ჩაერია ომში, ისე და უმთავრესად იმიტომ, რომ იტალიის საერთაშორისო მდგომარეობამ წარმოშვა იტალიაში ძლიერი ბურჟუაზიული შეჯგუფება (ჯიოლიტელები, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით), რომელიც უკანასკნელ მომენტამდე წინააღმდეგი იყო იტალიის ომში ჩარევისა. ამ გარემოებებმა შეაძლებინეს იტალიის სოციალისტურ პარტიას, შინაური კრიზისის გაუღრმავებლად, ხმა ეძლია სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ და საზოგადოდ ინტერვენციონისტული ბლოკის გარეშე დარჩენილიყო. მაგრამ სწორედ ამის გამო შენელდა პარტიის შინაგანი გაწმენდის პროცესი. იტალიის სოციალისტური პარტია, შედის რა მესამე ინტერ-

ნაციონალში, დღემდე ითვლის თავის რიგებში ტურატის და მის მომხრეებს, ეს ფრიად ფართო ჯგუფი,—სამწუხაროდ შეძლება არა გვაქვს ცოტად თუ ბევრად სწორედ განსაზღვროთ მისი რაოდენობითი მნიშვნელობა იტალიის საპარლამენტო ფრაქციაში, პრესაში პარტიულსა და პროფესიონალურ ორგანიზაციებში,—წარმოადგენს ნაკლებად პედანტიურს, არა იმდენად დოგმატიურს, უფრო მეტად დეკლამატიურს და ლირიკულს, ხოლო მაინც უბოროტეს ოპორტუნიზმს, რომანტიულ კაუცკიანობას.

კაუცკიანელებთან, ლონგეტისტებისა და ტურატისტების ჯგუფებთან მშვიდობისმოყვარე განწყობილებას ჩვეულებრივ იმ მოსაზრებით ამართლებენ, რომ სათანადო ქვეყნებში რევოლიუციონურ მოქმედებათა დრო ჯერ არ დამდგარაო. მაგრამ საკითხის ასე დაყენება საესებით ყალბია. არავინ არ სთხოვს კომუნიზმისაკენ მიმავალ სოციალისტებს დანიშნონ რევოლიუციონური გადატრიალება უახლოეს კვირეებსა და თვეებში. მაგრამ რასაც მესამე ინტერნაციონალი თხოულობს თავისი მომხრეებისაგან, ეს არის ის, რომ მათ აღიარონ არა სიტყვით, არამედ საქმით, რომ განათლებულმა კაცობრიობამ ფეხი შესდგა რევოლიუციონურ ეპოქაში, რომ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას მოელის ახლო მომავალში უდიდესი შერყევა და ახდილი კლასობრივი ომი, და რომ პროლეტარიატის რევოლიუციონურ წარმომადგენელთა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ამ აუცდენელი და მოახლოებული ომისთვის მოამზადონ საჭირო იდეური შეიარაღება და ორგანიზაციული დასაყრდნობი პუნქტები. ის ინტერნაციონალისტები, რომელნიც შესაძლოდ სთვლიან ამჟამად კაუცკისთან, ლონგეთან და ტურატისთან თანამშრომლობას, მათთან ერთად მხარ და მხარ მუშათა მასების წინაშე გამოსვლას, ამით ნამდვილად უარს აცხადებენ პროლეტარიატის რევოლიუციონური ამბოხების იდეურად და ორგანიზაციულად მომზადებაზე, დამოუკიდებლად იმისა, მოხდება ეს ამბოხება ერთი თვით ან წლით ადრე თუ გვიან. რათა არ დაქუცმაცდეს პროლეტარული მასების ახდილი აჯანყება გზისა და ხელმძღვანელობის დაგვიანებულ ძიებაში, საჭიროა პროლეტარიატის ფართო წრეებმა ახლავე შეისწავლონ წინამდებარე ამოცანები და მათი შეურიგებლობა კაუცკიანობისა და შემთანხმებლობის სხვადასხვა სახეობასთან. ნამდვილმა რევოლიუციონურმა, ე. ი. კომუნისტურმა ერთამ ხალხის მასების წინაშე უნდა დაუპირდაპიროს თავისი ო

ბასივობის დოკტრინერთა, ადვოკატთა და ტენორთა გაუბედავ და მერყეე ჯგუფებს და გაამაგროს თავისი უპირველესად იდეური, შემდეგ ორგანიზაციული პოზიციები, როგორც ახდილი, ისე ნაბევრად ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული და კონსპირატიული. აშკარა ან ფარული კაუცკიანელების ფორმალურად ჩამოშორების, მათი მუშაობა რიგებიდან გაძევების მომენტი ისაზღვრება, რასაკვირველია, გარემოების მიზანშეწონილობის მიხედვით, მაგრამ ჭეშმარიტი კომუნისტების მთელი პოლიტიკა ზემოხსენებული გზით უნდა მიიმართებოდეს.

... ეი რატომ მგონია, რომ ამ წიგნს მაინც არ დაუგვიანია— ჩემდა დიდად სამწუხაროდ, როგორც ავტორისათვის თუ არა, როგორც კომუნისტისათვის მაინც.

1920 წ. ივნისის 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი.

		ᲒᲐ-
წინასიტყვაობა		3
თავი	I. ძალთა განწყობილება	13
„	II. პროლეტარიატის დიქტატურა	21
„	III. დემოკრატია	30
„	IV. ტერორიზმი	51
„	V. პარიზის კომუნა და საბჭოთა რუსეთი	72
„	VI. მარქსი და კაუცკი	94
„	VII. მუშათა კლასი და მისი საბჭოთა პოლიტიკა	101
„	VIII. შრომის ორგანიზაციის საკითხები	130
„	IX. კარლ კაუცკი, მისი სკოლა და მისი წიგნი	179
პოლოსიტყვაობის მაგიერ		199

ეროვნული
ბიბლიოთეკა